K 38600
2

K 38600
2

კონსტანტინე კაპანელი

ფ. ყარანაშვილი

შ. ს. 2017-27963 0

ქართული სული ესთეტიურ სახეებში

K 38600
2

წიგნი პირველი

ქართული ლიტერატურა

თეორიული ანალიზი სოცი-
ოლოგიური თვალთახედვით

ტფილისი
1926

პოლიგრაფსკოლისა, წერეთლის ქ., № 3.
მთავკლ № 174 ტირაჟი 5.000

შინაარსი

	გვერდი.
ინასიტყვაობა.	3
ვალთახედვის პრინციპი	9

თავი პირველი:

ქართული კულტურის მიმართება მე-XIX საუკ. დასაწყისში.	27

თავი მეოერე:

ინდივიდუალიზმი და რომანტიზმი.

ალ. ჭავჭავაძე (1776-1846)

ციალური არე	34
ძნობის კულტი და ინდივიდუალიზმი	35
რსული და სევდა	38
აცებლობა და უსამართლობა	40

გრიგოლ ორბელიანი (1800-1883).

ციალური არე	42
ოდალურ-არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი	44
ტრიოტიზმი	48
დატეხის გრძნობა და დემოკრატიზმი	51
ყვარული და ბუნება	57
ოგადი იდეები	60

ვახტანგ ორბელიანი (1812-1890).

ციალური არე	62
შობლოს იდეა და სიყვარული	63

	გვერდი
მარადიული ქალურობა და ეროვნული იდეალი	69
სოციალური პრობლემა	71
ალექსანდრე ჭავჭავაძიდან ვახტანგ ორბელიანამდე	74

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816-1845)

იდეოლოგიური ბიოსფერო	78
ისტორიული პრობლემა	79
ბუნება და სიყვარულის ფილოსოფია	85
სოციალური განცდა და მარტოობის ტრაგედია	90
უსაზღვროების განცდა და ექსტაზი მოძრაობისა	96
მუსიკა და წარსული	104
რომანტიული ესთეტიზმი	106

მაური მესამე:

რომანტიზმის წარმოშობა და მეტყველება.

რომანტიზმის იდეოლოგია	109
ადამიანი და ბუნება	114
რომანტიკოსების მეტყველება	116
იდეათა მატერიალიზაცია და ტრაგედიული გრძნობა	122

მაური მეოთხე:

სოციალური პრობლემები.

ილია ჭავჭავაძე (1837-1907).

გადატეხის პერიოდი	128
ეროვნული სული და შრომის პრინციპი	133
„აჩრდილი“-ს იდეოლოგიური მნიშვნელობა	142
კლასთა ურთერთობა და ყაჩაღური განაპირება	148
ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია	152
ოჯახი და ეროვნული მთლიანობის იდეა	158
ასკეტიზმი	169
ილია ჭავჭავაძის ლირიკა	175

თაური ეეხუთე:

ქართული სული მთაში.

ვაჟა-ფშაველა (1861-1915).

	გვერდი.
ორგანოტროპიზმის მეთოდი და ქართული სულის ექსისტორიული განხრა	186
პანთეიზმი და ანთროპომორფიზმი	197
პანთეიზმი და ბიოფსიქიზმი	213
ტრადიცია და რევოლიუციური მორალი	223
ტანჯვა, შემეცნება და სიყვარული	228
ჰამლეტი და მინდია	239

ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურისათვის . 246

შეცდომათა გასწორება:

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:	გვერდი:
მსოფლმხედველობა	სოფლმხედველობა	6
თარგმინდა	თარგმნიდა	34
სამკვდრო	სამკვიდრო	39
დი	და	79
რომ	რომე	82
ურთიერთობა	ურთერთობა	—
გულუბრიყველოდ	გულუბრყვილოდ	83
გულწფელი	გულწრფელი	84
მავიწყდების	მავიწყდება	86
ამაობა	ამაოება	
ცნობენ	ჰცნობენ	—
ჩაფიქრემული	ჩაფიქრებული	87
ცივილაზაციამ	ცივილიზაციამ	—
მათთის	მათის	88
მაგრა	მაგრამ	231
კომლექსებს	კომპლექსებს	242

ყდის შემდეგ გვერდზე დაბეჭდილია ტ ფ ი ლ ი ს ი უნდა იყოს: თ ბ ი ლ ი ს ი.

კონსტანტინე კაკანელის

ნაწერებიდან გამოცემულია:

1. Страдание и Творчество, 200, გვ., 1917 წ.
2. სული და იდეა, 172 გვ., 1923 წ.
3. სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, (ორგანოტროპიზმი) 30 გვ., 1925 წ.
4. ქართული სული ესთეტიურ სახეებში, (ქართული ლიტერატურა) 260 გვ., 1926 წ.

მზად არის დასაბეჭდათ:

5. ქართული სული ესთეტიურ სახეებში, წიგნი მეორე და ესამე.
6. ჰამლეტი და ფაუსტი, (ინდივიდუალიზმის ტრაგედია)
7. იდეალების ევოლიუცია მსოფლიო ლიტერატურაში.

მზადდება დასაბეჭდათ:

8. ცხოვრება როგორც ესთეტიური ფენომენი, (ორგანოტროიზმის სისტემა).
9. სულის მიმოქცევა და მატერიის ხეტიალი უსაზღვროებაში.
10. მაშინური წარმოება, წარმავალობის სევდა და ესთეტიური ელიგია.

წინასიტყვაობა.

ქართული ლიტერატურა ქართული კულტურის რეფლექსოლოგიაა. ქართული კულტურის წყობა, როგორც ქართული რასა, ისტორიულად მომდინარეობს სხვადასხვა გზით სხვადასხვა წყაროდან: საუკუნეები მრავალი პერიპეტიებით და სოციალ-კულტურული შენაკადებით აწყობდენ, აგანწილებდენ ჩვენს ეროვნულ ტემპერამენტსა და სულს: შენაკადები ირანისა, ბიზანტიისა, ელლადისა და სლავური ქვეყნების ორგანიულად შემოდიან ჩვენი წარსულის ევოლიუციაში.

ქართული ყოფა ისტორიულ-გენეტიური სინთეზია საქართველოს მოსაზღვრე ყოფათა და ქართული სული თავის ევოლიუციის უსწორმასწოროობით, ეპიზოდიური აფექციონალიზმით აქტუალური შედეგია იმ შეწყობითი რეფლექსების, რომელთაც ავარჯიშებდა სოციალურად, ისტორიულად, გენეტიურად ჩვენი წარსული.

ძირეული თვისებანი ქართული ხასიათისა და ტემპერამენტის ფსიქოლოგიური გამონაკურია წარსულისა, მისი სოციალური კონვულსიებისა და ტკივილების, რომელთაც განიცდიდენ ჩვენი წინაპრები, რომელთა ბიოსოციური ენგრამები ინახებოდენ საუკუნეთა განმავლობაში ქართული სხეულის სასიცოცხლო ფენებში, როგორც ყოფის რეფლექსები, და რომლიდან პირდაპირ მომდინარეობს ქართული ეროვნული ქცევა თავის დაცრეცილი ფსიქოლოგიით, ღულარჭნილი ტემპერამენტით, ღრეკილი ნებისყოფით, ყარაჩოღული უზრუნველობით.

დეფექტი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული სულის ისტორიულ-გენეტიური ყოფის დეფექტია: ქართული ლიტერატურა დღემდე ესთეტიური მელანჟის დაღს ატარებს; ქართული შემოქმედება, როგორც ისტორიული ევოლიუცია, სრულყოფას მოკლებულია: კულტურა აზროვნებისა და მეტყველების--სისტემატიური ვარჯიში განსახეობისა და თქმის, მიღწევა ს ი ს რ უ ლ ი ს ა შემოქმედების პროცესში, ინტუიტური ხილვა სრულსახეობისა, ესთეტიური კათარსისი და მისგან მომდინარე სიხარული რუსთაველისა და შავთელების შემდეგ თანდათანობით შენელდა.

ამის ბუნებრივი შედეგია ქართული ლიტერატურის ისტორიული ფორმა თავის ფონეტიური კონსერვაციით, მძიმე გაბგერებით, ცუდი

სინტაქსით. აქიდანაა ისიც, რომ ჩვენში ლიტერატურა „სხვათა შორის“ იწერება.

ესთეტიურად სავალდებულო მინიმუმი წერისა და გააზრებისათვის, შემოქმედებისა და განსახეობისათვის ჩვენი კულტურის სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არის აკადემიურად წყობილი და განმტკიცებული. რუსთაველი ამბობდა: ყველა მელექსე პოეტი არ არისო და პოეზია სიბრძნის ერთი დარგიაო.

საჭიროა რუსთაველის დიდი აზრის გამოყენება და ჩვენი უსისტემო ლიტერატურული სინამდვილის საზომად გადაქცევა: ლიტერატურულ ღირებულებას წარმოადგენს მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელშიაც მოცემულია მეტყველებისა და გააზრების სოციალ-ესთეტიური სისრულე, დანარჩენი მხოლოდ მასალაა კულტურის ევოლიუციისათვის. ლიტერატურის შინაარსს შეადგენენ სოციალური ყოფის რეფლექსები და არა ცალკეული, უნიადაგო სურვილების თვითწვალებანი და კეთებანი, ესთეტიური განცდა სოციალური სულის ეროტიული დენაა ინდივიდუალურ ჩვევათა ხვეულებში — შეწყობითი ხასიათის რეფლექსებში. ლიტერატურა სოციალური სულის განსახიერებაა და რაც უაღრესად სოციალურია, ის ყოველთვის ინდივიდუალურად ღირებულია, სანამ ისტორია ინახავს სოციალურ სულს*).

სოციალური სული ისტორიულად კლასობრივ ფორმაში სახიერდება და ტრაგედია გაბატონებული კლასისა არის ამავე დროს ერის ტრაგედიაც: ეროვნული კულტურის გაფართოება და შევიწროება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაში არიან ისტორიულად გაბატონებული კლასები სხვადასხვა ეპოქაში. ქართული კულტურის ტევა საშუალო საუკუნეებში ბოლოს და ბოლოს შეიცავს ფაქტიურად ფეოდალური არისტოკრატიის პოტენციასა და შემოქმედებას; ხოლო ახალ საუკუნეებში ქართული კულტურის ძირეული პრობლემები გამოისახებიან იმ კლასის ინტერესებში, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა ფეოდალური არისტოკრატიისა და რომელიც გაუძღვა საქართველოში შემოჭრილ კაპიტალისტურ მოძრაობას: ორბელიანების საქართველოს დაეპატრონენ მეჯღანუაშვილები; ისტორიამ გამოიცვალა შინაარსის წყობა და ცვლილებათა ტკივილები რეფლექსოლოგიურად განსახიერდა ლიტერატურაში: სოციალური ყოფის სტრუქტურული ცვლილებები ლიტერატურაში იძლევიან იდეათა ევოლიუციას.

---

*) იხ. ჩვენი წიგნი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, 1925 წ., აგრეთვე შესავალი ამ წიგნისა „თვალთახედვის პრინციპი“.

თითოეული საკითხი, წამოყენებული ქართულ ლიტერატურასა და ქართულ პლასტიურ ხელოვნებაში, ჩვენთვის არის ერთგვარი კრებნარი სოციალური სულის განცდისა; იდეა, წარმოსახული შემოქმედებაში, რეფლექსია ყოფისა და ამიტომ შემოქმედების წყობა იქმნება შემოქმედისა და გარემოს ურთიერთობაში, კორელიაციაში: სანამ სახეს ან იდეას ჩამოაყალიბებს ხელოვანი, მანამ კორელიატი სახისა და იდეისა ხანგრძლივად ტრიალებს იმ ბიოსფეროში, რომელშიაც იმყოფება ხელოვანი: ამიტომ ხელოვნების ბუნება სოციალური ჯიშისაა რაც უნდა ინდივიდუალისტური იყოს იგი ფორმით, ვერბალური ან ფერითი კონსტრუქციით.

ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა რეფლექსიურად გამოსახავს სოციალური სულის ტკივილებსა, განცდებსა, ზრახვებსა და იჭვებს, რომელთაც ქართული ცხოვრების ისტორია იძლევა ფეოდალური სტრუქტურის ღღვევაში და იმ ნაციონალური მეობის დაშლის დროს, რომელიც ხანგრძლივი ბრძოლით ჩამოაყალიბა ფეოდალურმა არისტოკრატიამ საქართველოს მიწაწყალზე.

ქართული კულტურისა და ლიტერატურის სისტემატიზაცია დიდი საქმეა არა მარტო ნაციონალური ათვალებით, არამედ საერთო, საკაცობრიო მეცნიერული მიზნისათვის. გამორკვევა ქართული ცივილიზაციის ხასიათის, მისი თავისებურობის და ისტორიული ინდივიდუალობის, მისი პერსპექტივების და პოტენციის, ამის ვერბალურ-ინტელექტუალური კონსტრუქციისა გამოარკვევს ბევრ რამეს საერთაშორისო კულტურის ევოლიუციაში — კაცობრიობის აზროვნებისა და მეტყველების ვითარებაში.

მეორე მხრით, თვით ქართული კულტურის საერთაშორისო ლირებულების ცხადყოფისათვის საჭიროა გამოირკვეს იდეათა და განცდათა ევოლიუცია ქართულ ხელოვნებაში, ამ ევოლიუციის შინაგანი წყობა შეფარდებით სოციალური სულის ვითარებასთან — საჭიროა განრიგება და დალაგება ქართველი მწერლების გააზრებათა და ესთეტიურ-ფილოსოფიურ განსახეობათა.

კარგა ხანია, რომ იბერული კულტურის პრობლემა ყურადღების საგანია ევროპიელ მეცნიერთა წრეში; ქართულ უნივერსიტეტს ამ პრობლემისა და ბევრ სხვა პრობლემათა გადაწყვეტისათვის შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ვერ გააკეთებს ვერც ერთი დასავლეთის უნივერსიტეტი თავის მდიდარი მორთულობით და შინაგანი წყობის გაშლილობით. მრავალ კულტურათა მორფოლოგია უცნობია დასავლეთისათვის და არა ერთი და ორი ესთეტიურ-ლიტერატურული და

ფილოსოფიური მიღწევა აღმოსავლეთის ცივილიზაციისა ელის „ევროპეიზაციის“.

სწორედ ამიტომ, დავით აღმაშენებელისა და გიორგი მთაწმინდელის შემდეგ ყველაზე დიდი კულტურული საქმე გააკეთა საქართველოში მან, ვინც პირველად დაიწყო ორგანიზაცია ქართული უნივეოსიტეტისა.

ინტელექტუალური კულტურის წრეწირი დღითი-დღე ფართოვდებოდა ქართული უნივერსიტეტის გარშემო და ბევრს არც კი ექნებოდა ხალისი იმის გაკეთებისა, რაც დღეს კეთდება საქართველოში, რომ ჩვენი კულტურის ინტელექტუალური ატმოსფერო პერესპექტივებში არ შლიდეს გიგანტურ ჰორიზონტს.

ჩვენი სულის სოციალური მძლეობა თანდათანობით იძლევა აზროვნებისა და განცდის ორიგინალურ ნიმუშებს; ისტორიული ტანჯვით დათენთილი ტემპერამენტი ქართველი ხალხისა ელის თავის შემოქმედების რენესანსს და ის, რაც ვერ გაკეთდა ინდივიდუალიზმის ეპოქაში, შეიძლება გაკეთდეს სოციალური კულტურის პერიოდში. მხოლოდ საჭიროა წარსულისა და გაკეთებულის სისტემატიზაცია — წარსულისა და გაკეთებულის შეცნობა, კვალიფიკაცია ყოველგვარი ცრუპატრიოტული და ადვოკატური გამოსარჩლების გარეშე.

ნათელი მსოფლმხედველობა და მიუდგომელი მსჯელობა ყველაზე უფრო ესაჭიროება საქართველოს—აფექტებისა და „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ ქვეყანას. ჩვენი მიზანია როგორც ამ წიგნში, ისე სხვაგან ესთეტიურ-ინტელექტუალურ პრობლემათა სწორი დაწყობა და ანალიზი გარკვეული მსოფლმხედველობის პრინციპიული გაგებით. ის, ვისაც აქვს აზროვნებისა და შემოქმედების პატივისცემა, დაინახავს ჩვენს ცდაში სიახლესა და სისტემას; ხოლო ვინც შურითა და მტრობითაა დაძენძილი, მან დაიცადოს და დაიწმინდება; რასაც ადამიანის გონება ვერ გააკეთებს, მას დრო გააკეთებს.

ამ წიგნში ავტორი ხელმძღვანელობს ორგანოტროპიული სოციოლოგიის მთავარი პრინციპებით, რომელთაც იცნობს საზოგადოება და რომელთა საფუძველს წარმოადგენს მდგომარეობისა და იდეოლოგიის შორის შემოქმედებითი ურთერთობა.

მწერალი ფაქტიურად მსხვერპლია თავის ტემპერამენტისა და შემოქმედებითი ფანტაზიის; ამ მსხვერპლს თხოულობს ის ურთერთობა იდეოლოგიისა და მდგომარეობის, რომელშიაც ცხოვრობს ივი; კუთხებრივი და ბიოსფერიული ორგანიზაცია ადამიანის ხასიათის, სულის, ნებისყოფის იხედება თითოეულ ეპოქაში თავისებურად.

ქართული სული რომანტიზმის პერიოდში ორ მომენტს შეიცავს— ერთი არის მომენტი აგრესიული ინდივიდუალიზმისა და მგრძნობელობის (ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი), მეორე— მარადიული ქალურობისა და ტრაგედიის შეგრძნობა (ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი).

სულ სხვაა ქართული სული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში: მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რომანტიზმი გლოვობს ჯერ ქართული ისტორიული დიდების დაღუპვას და მერე საკმაოდ დაქანცულ სულს ესახება იდეა მარადიულ ქალურობისა და კოსმიური რღვევის ტრაგედია.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი თავის დასაწყისში შეუდგა დაღუპულ ინდივიდუალიზმის ღირებულებათა გადაფასებისა და სოციალურ ძალთა კოროლარიების გამონახვას: ილია ჭავჭავაძის მთელი მხატვრული შემოქმედება შეიცავს ერთ იდეას —ურთერთობას გლეხისა და ფეოდალის შორის. ილია ჭავჭავაძე იდეოლოგიურად იწყებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს და მიუძღვება მას თავის ტიტანიურ ენერგიით და სულით თითქმის ბოლომდე.

საქართველოს კაპიტალიზაცია და ვაჭრობის ვითარების შედეგი ქართულ ლიტერატურაში შემოდის გენეტიურად ფეოდალისა და გლეხის ურთერთობის დამთავრების შემდეგ: ფეოდალის ადგილს იკავებს ვაჭარი და სოციალური სულის ორგანიზაციაც სხვა სახისაა.

გ. ერისთავი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე იწყებენ სულ სხვა ეპოქას ქართულ ლიტერატურაში: კარაპეტები, დურმიშხანები, მეჯღანუაშვილები მაოი ძემკვიდრეებით შემოდიან ჩვენს საზოგადოებაში მას შემდეგ, რაც საზოგადოებიდან თავიანთი უფლებებით და პრეტენზიებით გავიდენ ფეოდალები; საქმე იმაში კი არ არის, მწერალმა როდის გამოაქვეყნა ან როდის დაწერა თავის ნაწარმოები: საქმე იმაშია—რა სახის სოციალ-ფსიქოლოგიურ სფეროში მოქმედებს გმირი და როგორია ბიოსფერიული წყობა მდგომარეობისა, სადაც იშლებიან მისი იდეალები, გრძნობები, ილიუზიები, განცდები.

ქართული სულის ევოლიუცია მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი ხვეულით მიდის:

1. ინდივიდუალიზმი და კოსმიური სევდა,
2. ფეოდალისა და გლეხის სოციალური ურთერთობა,
3. გლეხი და საქართველოს კაპიტალიზაცია.

ინდივიდუალიზმისა და კოსმიური სევდის გამომსახველი იყო ფეოდალური არისტოკრატია, რომელიც ორგანიულად განიცდიდა

თავის ყოფის სოციალური საფუძვლების უნიადაგობასა და დაშლას; ხოლო როდესაც ფეოდალურმა არისტოკრატიამ ისტორიულად დაჰკარგა აბსოლუტური ინდეპანდანტობა და ჰეგემონიის საშუალება, ისტორიას გამოჰყავს გლეხი თავის იდეალებით და სოციალური ტრაგედიით; იწყება ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია და ქართველი გლეხი დეგენერატ ფეოდალს ებრძვის უფლებისათვის; ილია ჭავჭავაძე გამოსახავს ამ ბრძოლას და გლეხის უფლებას: ქართული ოჯახი, ქალ-ვაჟის ურთერთობა, სიყვარულის და იდეალების შეგრძნობა ილ. ჭავჭავაძეს აქვს დაკავშირებული გლეხისა და ფეოდალის ურთერთობასთან.

ილ. ჭავჭავაძის ნაწერებში ქართველ ვაჭარს ვერ ვხედავთ და ვერც იმ გრძნობებსა და იდეალებს, იმ ილიუზებსა და ოცნებებს, რომელნიც ვაჭარს და ვაჭრულ ცხოვრებას ახასიათებენ: ილ. ჭავჭავაძე ფსიქოლოგიურად აგრძელებს ქართული სულის ისტორიულ ანალიზს: ბარათაშვილის უკანასკნელი მოთქმიდან ფეოდალური არისტოკრატიის სევდიანი ინდივიდუალიზმი თანდათანობით გადადის გლეხისა და ფეოდალის სოციალურ ურთერთობაში.

ილ. ჭავჭავაძიდან ევოლუცია ქართული სულის ორი მიმართულობით მიდის: ერთი — ვაჭრული და ბურჟუაზიულ-ქალაქური ჰაერეთი სიღარიბის ტრაგედიისა, მარქსიზმისა და მესამე დასის მეთაურობით, მეორე — ცენტრებიდან ისტორიულად გახიზნული, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური კულტურა სხვადასხვა პროვინციათა, დაგროვილი მოდგმათა რიგებში ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის მხატვრულ-ფილოსოფიურ და სიმბოლიურ განსახეობით.

1926 წ. იანვრის 28

ქ. ტფილისი.

კონსტანტინე კაპანელი.

თვალთახედვის პრინციპი.

ქართული კულტურა იდეოლოგიურად აერთებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს: რამდენად ქართული კულტურა ისტორიულად იკვებებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შენაკადებით, იმდენად ქართული კულტურის ისტორია სინთეტიური ფორმაა ცივილიზაციისა.

სინთეტიური ხასიათი ქართული კულტურისა მტკიცდება მასალებით, რომელთაც იძლევიან ქართველი მწერლები და მეცნიერები, რომელთა სისტემატიზაციის პერიოდი დგება. ჩვენი წიგნი — ქართული ლიტერატურის ერთგვარი ცდაა ქართული შემოქმედების სისტემიზაციისა ორგანოტროპიული სოციოლოგიის თვალთახედვით. „სოციალური ესთეტიკის საფუძვლებში ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებია, რომ მეცნიერება და ხელოვნება კულტურის რეფლექსოლოგიური ფორმებია.

ქართული ლიტერატურა ქართული სულის გენეტიურ ფსიქოლოგიას შეიცავს: უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურული ნაწარმოები ორგანიულად უკავშირდება სოციალურ განცდას; ხოლო რამდენად სოციალური განცდა თავის მრავალმხრივობით მოცემულია ლიტერატურაში, იმდენად ლიტერატურის კრიტიკა საჭიროებს თემატიურ ანალიზს, რადგან ლიტერატურა წარმოადგენს სოციალური კულტურის ბიოსფერიულ რეფლექსებს.

იდეების თემატიური ანალიზი უსრულესი ფორმაა ლიტერატურული კრიტიკისა: ყოველი პერიოდი ლიტერატურისა ეხება რამდენიმე მომენტს სოციალური ცხოვრებისას და თითოეული მომენტი მოითხოვს განხილვას იმ ფსიქოლოგიური კავშირისას, რომელიც არსებობს ლიტერატურულ იდეასა და მის წარმომშობ მდგომარეობის შორის.

თემატიური დალაგება ლიტერატურული მასალებისა მოითხოვს დიდ შრომას და დაკვირვებას ნაწარმოებთა კლასიფიკაციის დროს; ჩვენ არ დავერიდეთ ზედმეტ შრომას და რაოდენად შეგვეძლო ჩვენი ცხოვრების რეალურ პირობებში, განვიხილეთ ქართული სულის სოციალ-ისტორიული ევოლიუცია მეკხრამეტე საუკუნის განმავლობაში

ჩვენ ვიცით, რომ შეცდომები გვაქვს, მაგრამ შეცდომათა გარეშე საქმის გაკეთება შეუძლებელია: ქართული კულტურისა და ლი-

ტერატურის მცოდნე ამ შეცდომებთან ერთად დაინახავს იმასაც, რაშიაც ჩვენ უცოდველი და მართალი ვართ.

ყველა საკითხი ლიტერატურისა ჩვენ გადაგვაქვს გენეზისის არეში, რადგან ვფიქრობთ, რომ იდეის წარმოშობა გაუგებარია გენეტიურ კვლევა-ძიების გარეშე: ა რ ს ებ უ ლ ი ყოველთვის შედეგია მდგომარეობისა და არსის შორის გენეტიური ურთერთობისა.

ცხოვრება და იდეა მარადიულ ურთერთობაში არიან; ცხოვრება ჰქმნის იდეას, იდეა აწესრიგებს ცხოვრებას; ცვლილებანი ცხოვრებისა იდეების ცვლილებებს იწვევენ; იდეების ცვლილებანი ცხოვრების ცვლილებებსა ჰქმნიან; იდეა გადადის მეორე იდეაში ცხოვრების გავლენით; ცხოვრების ფორმები სახიერდებიან იდეათა საშუალებით; იდეა ცხოვრების პროდუქტიცაა და შემოქმედებითი ფაქტორიც.

ყოველი ხალხის ლიტერატურა დემონსტრაციაა იმ ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ ი უ ლ ი ურთერთობისა, რომელიც არსებობს ადამიანისა და საყოფა-ცხოვრებო სფეროს შორის.

სამყარო წარმოადგენს დიდ ლაბორატორიას, რომლის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საშუალებებით მზადდება, იქმნება სხვადასხვაობა ორგანიულ-მატერიული და სულიერ-იდეური ცხოვრებისა. არც ერთი კათეგორია იმ თ ა ვ ი თ ვ ე არ არსებობს, ყველაფერი მზადდება და იქმნება: იდეები დროისა, სივრცისა, ხარისხისა, ღირებულებისა, რასის ნიჭიერებისა — ერთი სიტყვით, ყოველი თვისება მატერიისა და სულის არსებობის დიდ ლაბორატორიაში ე წ ყ ო ბ ა...

ცხოვრება — ორგანიულ-ფსიქიურ ჩვევათა კომპლექსებია და ინტელექტის უმაღლესი ფორმა ისეთივე პროდუქტია ბიოსფერიულ ურთერთობათა, როგორც შაქარი და ქინაქინა.

სული ინტელექტით, ინტუიციით, იდეალებით, ილიუზიებით წარმოადგენს სოციალ-ისტორიულ და გენეტიურ ყოფის ეპიფენომენს. მართალია, ყოველ ეპოქაში სულის იდეალები და ილიუზიები სახიერდებიან კლასობრივ ფორმაში, მაგრამ რაკი ყოველი კლასი არსებობს მხოლოდ განსაკუთრებულ ტერიტორიულსა და სოციალ-ისტორიულ პირობებში, იდეოლოგიური გარსი კლასობრივი შემოქმედებისა უაღრესად ისტორიულია და, ცხადია, რაოდენად იდეოლოგია ისტორიულად თავისებურობს, იმდენად იგი ეროვნულია, იმდენად იგი ატარებს კოლექტიური სულის დამახასიათებელ ატრიბუტებს.

ამიტომ ჩვენი სოფლგაგების თვალთახედვით ქართული სული, განსახიერებული ქართულ მეტყველებასა და ლიტერატურაში, წარმოადგენს ქართველი ხალხის სოციალ-ისტორიული განცდებისა, სურვი-

ლებისა და იდეალების მხატვრულ გამოფენას კაცობრიობის ორგანოტროპიულ და კუთხებრივ შემოქმედებათა გალერეაში.

ყოველი საუკუნისა და ყოველი ხალხის ლიტერატურას აქვს ისეთი შინაარსი, ისეთი ფორმა, რომელთაც საჭიროებს საზოგადოებრივობის ევოლიუცია; შინაარსი და ფორმა ლიტერატურაში ყოველთვის სოციალური ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობენ; ლიტერატურა იმდენად დიდი ღირებულებისაა თავის შინაარსით და ფორმით, რაოდენადაც სოციალური სულის ინტერესი ლიტერატურულ გამოთქმაში ორგანიულად უკავშირდება ადამიანის საერთო სულიერ ყოფას.

ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ბუნება იცვლება სოციალურ არეში — ბიოსფერიულ წრეში; სხვადასხვა საზოგადოებას სხვადასხვა ბიოსფეროში სხვადასხვანაირი სულისა და განცდის წყობა აქვს; ისტორიაში ხდება ერთგვარი წნევა სოციალურ ძალთა და ლიტერატურა ყოველი ხალხისა და ეპოქის ამ წნევის გავლენის ქვეშ ვითარდება: არ შეუძლია არც ერთ ეპოქაში ლიტერატურამ შემოიტანოს ისეთი თქმა, ისეთი აზრი და განცდა, რომელთაც არ მოითხოვს სოციალური სული — საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროება და საჭიროებიდან გამომდინარე სურვილები: ლიტერატურა ერთგვარი დემონსტრაციაა სურვილების.

სურვილთა სხვადასხვა ფორმა წარმოუდგენელია გარეშე სოციალური მდგომარეობისა და პირობების; სხვადასხვა მდგომარეობაში ადამიანს ებადება სხვადასხვა სურვილი: ყასაბს სასაკლაოზე მსუქანი ძროხების დანახვა ისეთს სურვილებს უღვიძებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ შეყვარებულის სურვილებთან.

ცხოვრების ყოველ კუთხეში მიმდინარეობს თავისებური წყობა მოვლენებისა, რომელთა შორის ადამიანის ყოფა მოძრაობს სტიქიურ-ირრაციონალურად და რომელთა დეფორმაცია ადამიანს არ შეუძლია. მართალია, მეცნიერება წინ მიდის, ტეხნიკა სწრაფად ვითარდება, საერთო გალამაზება ცხოვრების თანდათანობით ხდება, მაგრამ სამყაროს ყოველ კუთხეში, არსებობის ყოველ პირობებში ადამიანი მაინც თავისებურად იტანჯება, თავისებურად წვალობს და ამ წვალების რეფლექსია ის, რასაც ჩვენ ვუძახით სულს, იდეას, აზრს — საერთოდ იდეოლოგიას.

ყოველ საუკუნეში იდეოლოგია წარმოადგენს სოციალური ძიების ფორმულას: მუსიკა, მხატვრობა, მოქანდაკეობა, წყობილსიტყვაობა, განყენებული აზროვნება — ერთი სიტყვით, მთელი ინტელექტი ადამიანისა, განსახიერებული სხვადასხვა ფორმაში, ისეთ სტილს იღებს, რომელსაც მოითხოვს სოციალური ცხოვრების ინტერესი.

ლიტერატურაში ყოველი საუკუნე ხმარობს განსაკუთრებულ რიცხვს სიტყვებისას, ტერმინებისას, ცნებებისას; კონსტრუქცია ლიტერატურულ-ესთეტიურ მეტყველებისა სოციალური სულის შემოქმედებაა: ჩვენი საუკუნე ლიტერატურაში გამოდის ისეთი სიტყვებით და ცნებებით, რომელთაც არ იცნობდა წინა საუკუნე და ალბათ მომავალ საუკუნეს ექნება სხვა კონსტრუქცია მეტყველებისა და განცდის.

ამრიგად, ლიტერატურა ინახავს იმას, რასაც ცხოვრება სპობს; რაც რეალურად ჰქრება, ის ლიტერატურულად ინახება.

წარსული საუკუნეების ცხოვრება, მისი შინაგანი წყობა, განცდა, იდეალები, სურვილები, ტანჯვანი, თქმები და ზრახვები რეალური არსებობის შეუჩერებელმა დენამ მოსპო; მოძრაობს არსებობის როია სტიქიურ-ირაციონალური და ამ უსაზღვრო მოძრაობაში იძირებიან სახეები და ფორმები, იკარგებიან განცდანი და წყობანი. მხოლოდ ლიტერატურულ-ესთეტიურ სახეებში რჩება ის, რაც სამარადჟამოდ მოისპო და გაქრა უსაზღვროებაში: ოდისე. ჰამლეტი, თინათინი, მინდია, ოთარაანთ ქვრივი უფრო დიდი რეალობანია, ვიდრე ხაშ-ხაშა ლოყებიანი ფინანსისტი ან ბანკის ღიპიანი დირექტორი; ხელოვნების შინაარსი და ფორმა მდგომარეობიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ჩამოყალიბების შემდეგ მდგომარეობას არ ემორჩილებიან: არსებობა ჩაკეტილია და ჩაბეჭდილი განსაკუთრებულ კუთხეში, როგორც სატუსაღოში, მაგრამ სატუსაღოს ვიწრო ფანჯრებიდან სული იყურება უსაზღვროებაში და ყოველ წუთს სცდილობს გამოიგონოს ისეთი რამ, რაც გადალახავს დროისა და პირობების საზღვრებს.

ხელოვნებაში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ცდა ადამიანისა ასახოს საკუთარი ყოფა ესთეტიურად და ამ ასახვით ორგანოტროპიულად შეებრძოლოს მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია ყოფის ესთეტიური ასახვა და რომლითაც ადამიანი კმაყოფილი არ არის; ლიტერატურა იდეათა და გრძნობათა ერთგვარი აჯანყების დემონსტრაციაა: და ამრიგად ლიტერატურული შემოქმედება იმავე დროს ისტორიის რევოლიუციონური პათოსიცაა: ლიტერატურა იწერება სოციალური სულის აჯანყებით.

კაცობრიობის ისტორია, დაკუთხული სხვადასხვა მიწა-წყალზე ეროვნულ-ისტორიული ტრადიციებით, მოდგმათა ადათებით და სოციალ-კულტურული განაზრებით, ჩვენ გვეჩვენება როგორც დიდი აუზი, რომლის შეუჩერებელი შინაგანი ღელვა დროგამოშვებით ამოატივტივებს ზედაპირზე გამჭვირვალე ქაფის ბუშტებს: სახელმწიფოები თავიანთ ეროვნული სულებით არსებობის მღელვარე ოკეანეზე

წარმოადგენენ ასეთ ბუშტებს; ბუშტები მოძრაობენ, ქანაობენ და შემდეგ უსაზღვროებაში იშლებიან სამარადჟამოდ, თითქო აღარაფერი ყოფილა..

ყოველი ერი თავის ისტორიულ მიწა-წყალზე იბრძვის არსებობისათვის თავის ორგანიულ-ბიოლოგიური პოტენციით, ნებისყოფით და მოხერხებით; ყოველი ერი ეძიებს ცხოვრების საშუალებას; მოძრაობს, იგონებს სხვადასხვა ხერხს თავის ყოფის გასამშვენებლად; კულტურის ისტორია ცხოვრების ესთეტიზაციის ისტორიაა: ყველა რელიგია, ყველა სისტემა აზროვნებისა სცდილობს ბოლო და ბოლოს არსებობის პირობების გარდაქმნას, გადაკეთებას, ფერისცვალებას. კაცობრიობა იბრძვის უკეთესი პირობებისათვის და კულტურა ყოველი საუკუნისა ამ ბრძოლის მიღწევების წყობაა. ერთი საუკუნის სულიერსა და გონებრივ კულტურას წინ მიუძღვის ყოველთვის რამდენიმე საუკუნის სოციალ-ისტორიული ღელვა, ძიება, მოძრაობა და ტანჯვა; იდეოლოგია კულტურის რეფლექსოლოგიაა და ლიტერატურა ამ რეფლექსოლოგიის ერთ-ერთი ფორმათაგანი.

ესთეტიური იდეალების მეტამორფოზა უმეშვეოდ გადაკავშირებულია სოციალურ სტრუქტურათა ევოლიუციასთან და კულტურის ყოველგვარი ვითარება ათავისებურებს ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართებას.

ხალხის ცხოვრება, ხ ა ლ ხ ი ს გ ა ნ ც დ ა დ ქცეული, ერთად-ერთი და უდიდესი წყაროა ლიტერატურისა და ხელოვნების; თვით ისტორია თავის ეპოქებითა და პერიპეტიებით სტრატეგიისა და სახელმწიფოებრიობის სფეროში უშინაარსოა გარეშე ლიტერატურისა და ესთეტიურ იდეალებისა; ხალხის ისტორია იმდენად შინაარსიანია, იმდენად მდიდარია და თავისებური, რაოდენად ხალხი ესთეტიურად ასახავს თავის ყოფას, რაოდენად ხელოვნება აჰკვეთს ხალხის განცდათა მგზნებარე დაზგაზე სურვილებსა და მიზნებს, ცხოვრების იდეალებსა და ზრახვებს: საქართველოს წარსული საინტერესოა სწორედ იქ, იმ ეპოქებში, სადაც ქართული სული შლის იდეალების მარაოებს ქართული ლიტერატურის ფურცლებად, სადაც დიდი მწერლები და ფილოსოფოსები ქართულ აზროვნებას მეტყველების მშვენიერ ფორმებში ასახავენ.

ომებსა, ცეცხლს, ძახვილს სოციალურ პერიპეტიებს, სხვადასხვა სახის მორალურ-იდეოლოგიურ ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში აქვს იმდენი მნიშვნელობა, რაოდენად ხალხის და საზოგადოდ ადამიანის განცდა აისახავს მდგომარეობას: საჭიროა მდგომარეობის არა მარტო არსებობა, არამედ ა ს ა ხ ვ ა ც, გ ა ნ ც დ ა ც.

მდგომარეობა იწვევს ნერვიულ-ფსიქიურ გაღიზიანებას, გაღიზიანება გადადის შეგრძნობაში, მაგრამ ამასთანავე ნერვიულ-ფსიქიური ბუნება ადამიანის ა ხ ვ ე დ რ ე ბ ს ყოველგვარ გაღიზიანებასა და შეგრძნობას გენეტიურად მიღებულ თავისებურობას, რომელიც მოქმედებს მდქომარეობაზე ისე, როგორც მდგომარეობა მოქმედებს ამ თავისებურობაზე. თავისებურობა ინდივიდუალური, ან რომელიმე ეპოქის ნერვიულ-ფსიქოლოგიური თავისებურობა სინტეზია მემკვიდრეობით მიღებულ განცდათა, მაგრამ ყოველგვარ პირობებში ეს გენეტიური სინტეზი ანგარიშგასაწევია, ვინაიდან მასში არის ერთგვარი ენერგია, ერთგვარი idée force, რომელიც გაღიზიანებისა და შეგრძნების ფსიქო-ნერვიულ ჩქერებს აძლევს მ ი მ ა რ თ ე ბ ა ს და ხშირად „ერთსადაიმავე" პირობებში, ერთსადაიმავე ეპოქაში სხვადასხვა იდეალებსა და სულებს ამოძრავებს: სული ყოვლობისა და მისი ინტელექტუალურ-ესთეტიური სახეობა არ არის ზედროულად მოცემული და უცბად განსხეულებული, როგორც იუნონა იუპიტერის თავის ქალაში: ჩვენი სულის ყოველ ვლენაში არის ორი მხარე — წ უ თ ი ე რ ი ჩ ხ ვ ლ ე ტ ა და გ ე ნ ე ტ ი უ რ ი წ ვ ა.

რაციონალისტები—ინტელექტუალისტები ყველა კათეგორიისა და მიმართულების ვერ ამჩნევენ ისტორიაში, კულტურის ევოლიუციაში ასეთი ხასიათის ურთერთობას მდგომარეობისა და სულიერობის ფორმებს შორის: კაცობრიობის წარსულის როგორც პრეისტორიულ, ისე ისტორიულ პირობებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა ს, ა რ ა მ ე დ გ ა ვ ლ ე ნ ი ს პ ი რ უ კ უ ღ მ ა გ ა ვ ლ ე ნ ა ს ა ც მდგომარეობაზე; ჩვენს ძირითად დებულებას არ ეწინააღმდეგება არც ერთი სერიოზული მიმართულება თანამედროვე აზროვნებაში: პირიქით, სპეციალურ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევანი, კოსმოლოგიური, ბიოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები ჩვენი დროისა სავსებით ადასტურებენ სულისა და მის შემოქმედების გაადგილებას, აზროვნებისა და მდგომარეობის შორის გენეტიურ ფსიქო-კომპლექსიზმს. ჩვენ გადავიტანეთ სულისა და გაგაზრების ყველა საკითხი გენეზისის არეში და ამასთანავე ეძლიეთ ფსიქოლოგისტური სოლიპსიზმი ორგანოტროპიზმის კორელატიური იდეით. ღმერთები და მითები, ლეგენდები და ისტორიული თქმულებები, ფილოსოფიური სისტემები და ესთეტიური იდეალები, მხატვრული სახეები ლიტერატურისა და პოეზიის ერთგვარი ს ა ხ ე ც ვ ლ ი ლ ი უკუქცევაა იმ ბიოლოგიური ენერგიის, რომელიც მოთავსებულია განსაზღვრულ კოლექტიურ, ან ინდივიდუალურ სხეულში და რომლის შემოქმედებითი ასხივოსნება შექმნა მდგომარეობის გაღი-

ზიანებამ და გაღიზიანებისაგან გამოწვეულმა წვამ; მდგომარეობისაგან მიღებულ გაღიზიანებას სული ახვედრებს ყოველ ეპოქაში, ყოველგვარ პირობებში იმ პოტენციას, რომელიც დაგროვილა სამყაროის კუთხურ განცდათა და ჩვეულებათა რეზერვუარში. ფილოსოფიურ-ესთეტიური აპერცეპცია შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხდება ინტეგრალური შეხვედრა ბიოგენეტიური მეხსიერებისა და მდგომარეობის ახალი გაღიზიანების, საიდანაც სული თავისი მწველი სურვილებით და კუნთების მჩხვლეტი შეგრძნობებით იწყებს ახალ მიმართებას მიზნებისა და სახეობით პერსპექტივებისაკენ.

ჩვენი დროის იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი არის მხოლოდ სტილის საკითხი, მხოლოდ თქმის ტექნიკის საკითხი; ყოველი სტილი მდგომარეობისა და გენეტიური განცდის სულიერი მოთხოვნილების ფორმაა: არც ერთ ადამიანს და არც ერთ ეპოქას არ შეუძლია იქონიოს სტილი, რომელიც არ შეეფარდება მისი სულისა და ნერვების მოთხოვნილებას; ლუი მეთოთხმეტეს დროის სტილი სწორი ფსიქოლოგიური გამოსახულებაა ფეოდალურ-არისტოკრატიული პრესიოზობისა; სიმბოლიზმის ქარაგმული გაურკვევლობა თქმაში თანამედროვე ქაოტიური განცდის ასახვაა; ექსპრესიონიზმისა და იმპრესიონიზმის demiparole გაქალაქებული სულის ნერვიული ატორტმანებაა: ყველაფერს ახალს ლიტერატურაში წინ მიუძღვის ახალი ცხოვრებასა და ისტორიაში. კულტურის ფორმებისა და ხელოვნების შორის რომ არსებობს ურთერთობა, ეს იცოდენ მანამ, სანამ ტენი გამოაქვეყნებდა თავის თეორიას და სანამ ჟან-მარი გიუიო მოახდენდა ამ თეორიის რესტავრაციას: 1917 წ. დიუბომ გამოუშვა წიგნი Réfléctions critiques sur la poésie et la peinture, რომელშიაც სხვადასხვა ხალხისა და დროის ხელოვნებას უკავშირებდა არა მარტო საერთო კულტურის განვითარებას, არამედ ჰაერისა და გეოგრაფიული მყარობის გავლენასაც. აქედან იპ. ტენისათვის ადვილი გადასადგმელი იყო ნაბიჯი სოციოლოგიის სფეროში, სადაც ხელოვნებას დაეთმო ადგილი, როგორც სულიერი კულტურის „ტემპერატურას“. ტენი გადაჭრით ამბობს: L'œuvre d'art est déterminée par un ensemble qui est l'état général de l'esprit et de mœurs environantes.

ეპოქისა და ხალხის საერთო სულიერ განწყობილებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვის, როგორც ტემპერატურას ფლორის განვითარებისათვის: ყოველ ეპოქაში იბადება არა ერთი მხატვრული მეტყველების ნიჭი, მაგრამ ეპოქის გამომხატველ სიტყვას ამბობს მხოლოდ ის, ვისი სულიერი განწყობილება შეეფარდება ეპო-

ქის საერთო სულიერ განწყობილებას, განსაკუთრებით კი გაბატონებულ სულიერ გემოვნებას; დანარჩენი ნიჭი იღუპება უნიადაგობისა და უადგილობის გამო. ისტორიისა და ეპოქის „სულიერი ტემპერატურა“, ტენის აზრით, ბოლოს და ბოლოს არის შედეგი სამი ელემენტისა: რასიული თავისებურობისა, კლიმატიური მდგომარეობისა და კულტურული პირობებისა.

მისაღებია სავსებით დებულება: მდგომარეობა აძლევს ფორმას ხელოვნებას, სულიერობასა და მთელს ინტელექტუალობას; მდგომარეობა ჰქმნის აზროვნების მიმართულებას, მაგრამ ამ დებულებაში ხელოვნება არის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსახულება საერთო ინტელექტუალური კულტურის, რომელიც ყოველთვის განსაზღვრულია მდგომარეობით და პირობებით. მართალია მდგომარეობა აძლევს ფორმას სულიერობას, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის დაჩქარებაშეუძლია სულიერობის გავლენას: კანტი ყოველ დღე გამოდიოდა სასეირნოდ, მაგრამ სამი დღე ზედიზედ არ გამოსულა, როდესაც ჟან ჟაკ რუსსოს ნაწერებს კითხულობდა; გოეთეს „ვერტერი“ პირადი ცხოვრების მდგომარეობითაა ნაკარნახევი, მაგრამ ვინ იცი რაოდენი პირადი ცხოვრების მდგომარეობა შექმნა „ვერტერმა“ საზოგადოებაში?

აქ სრული ორგანოტროპიზმია აყოვლადებული, ორგანოტროპიზმი, რომელიც ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო მკვეთრი და დინამიურია, ვიდრე ტენის ხელოვნების ფილოსოფია და ჩვენი დროის სიმბოლისტ-იმპრესიონისტების ესთეტიური ბავარდაჟი, მოკლებული ყოველგვარ გარკვეულ გააზრებას, გარკვეულ პრინციპს და სოფლგაგებას. ორგანოტროპიზმის ესთეტიურ ფილოსოფიაში მოცემულია ურთერთობის პრობლემა მდგომარეობისა და სულის შორის, სულისა და მდგომარეობის შორის. მხოლოდ ამ გზით და ამ მეთოდით გასაგებია ჩვენთვის ის, რასაც იპ. ტენს უსაყვედურებს ენეკენი თავის შესანიშნავ წიგნში: Critique Scientifique. დაახლოებით ერთ და იმავე მდგომარეობამ სოციალ-ისტორიულ ევოლიუციის პროცესში ჩვენ მოგვცა შილლერი და გოეთე სხვადასხვა შემოქმედებითი სულებით; შატობრიანი და ფლობერი ერთი პროვინციიდან იყვნენ, მაგრამ სულიერად სხვადასხვაობდნენ; ბერნსი და კარლეილი შოტლანდიის მთიელებია ორივე, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა: ყოველ მათგანს აქვს საკუთარი გრძნობითი ტონი, საკუთარი ფსიქოლოგიური რეზონანსი, საკუთარი კავშირი ეპოქის სულიერობასთან.

გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი დასტირიან ისტორიულ საქართველოს ნანგრევებს თითქო ერთნაირი მიდგომით, მაგრამ, რომ დააკვირდებით, განსხვავება არსებობს არა მარტო მათ განცდათა შორის, არა მარტო მათ თქმათა შორის, არამედ მათ სოფლგაგებათა და აზრთა შორისაც: გრიგოლ ორბელიანი საქართველოს წარსულის სივრცით წარმოსახვაში („ლხინი") ეძიებს სულის ნავთსაყუდელს; ნანგრევების სახეები, მიმოიფლიან რა პოეტურ წარმოსახვაში კოსმიურ არეებს, უსახავენ ვახტანგ ორბელიანს ქალური სინაზის მზიდაობას („იმედი") და როგორც ინგლისელ მგოსანს შელლის, ტკბილი სურვილების ეროტიულ ნემსებით ჩხვლეტენ ოცნების სფეროში გადაწოლილ სულს: გადააფასებს რა წუთისოფლურ ღირებულებებს, საზოგადოებისა და ქვეყნის უსაზღვრო ოქრიალს, საქართველოს არსებობის შესაძლოებას, ანთებული შინაგანი წვით ტ უსაზღვროების სიყვარულით, ნიკოლოზ ბარათაშვილი დაისადგურებს ყოფას ოცნებით წარმოსახულ მარადობაში („მერანი").

აქ არის სხვადასხვაობა არა მარტო სტილისა და თქმის, არამედ ტემპერამენტისა და სულის, აზროვნებისა და გრძნობითი ტონის: აქ არის სოციალური ფსიქოლოგიის პათოსის გაადგილება, გაკერძოება, ინდივიდუალიზაცია; ამ შემოქმედებითი ხასიათის გაადგილებასა და გაკერძოებაში ჰკივის და თრთის სული ისტორიული განცდის, სული კუთხეებრივი ტკივილების, რომელსაც ენატრება გაშლა უსაზღვროებაში, გაშლა მარადობაში, რომელიც წუხს, რომ შებოჭილია რღვევადი და ხრწნადი ეგოიზმით — კუთხებრივი მყარობითა და ბიოსფერიული წყობის აზროვნებით.

ყოველგვარი შემოქმედება, სანამ განსახიერდება, ერთგვარ განცდას შეიცავს — განცდას, რომელიც მიღებულ გაღიზიანებას აძლევს ინდივიდუალურ ყოფშეგრძნობას; არსებობის გამოსახვა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც არსებობა გაივლის განცდის შემოქმედებით დაზგაზე: რაოდენად განცდა გულისხმობს განცდის საგანს, იმდენად განცდის პროცესი თავის ბუნებით კორელიატიური და სოციალური ხასიათისაა: განცდა არის მეობის გარემყარობამდი გაფართოება და გარემყარობის მეობაში გადმოტანა: განცდა სულის სოციალ-კოსმიური ფენომენია და გერმანელების Erlebnis ერთგვარად Ausleben-იც არის*).

*) Simmel.—Der konflikt der modernen kultur.

საქართველოს მეცნიერებათა ... ბიბლიოთეკა

ისტორიაში საინტერესოა განცდის გადაქცევა სოციალურ ძალად და ადამიანის მოქმედება სოციალურ არეში გარემყარობის წნევის ქვეშ. მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა ინტელექტუალისტებმა ცხოვრება გაყვეს ორად: ერთი მხრით დარჩა ბუნება, მეორე მხრით აზრი (მეტაფიზიკური მატერიალიზმი და მეტაფიზიკური იდეალიზმი). ორივე მხარეს დაავიწყდა ურთერთობა შემოქმედებითი ხასიათისა, აზრისა და ბუნების შორის. ფრიდრიჰ ენგელსი აბბობს: „აზრი ადამიანისა იმდენად ვითარდებოდა, რაოდენად ადამიანი ეჩვეოდა ბუნების გარდაქმნასო“*). მშვენიერად არის ამ სიტყვებში აზრის გამოყენებითი ბუნება დახასიათებული და ამასთანავე მოცემული. შემოქმედებითი ურთერთობა იდეოლოგიისა და მდგომარეობის შორის.

მარქსიც ასეთივე სიტყვებით ახასიათებს იმ ურთერთობას, რომელიც ფაქტიურად არსებობს იდეოლოგიისა და მდგომარეობის შორის და რომელსაც აქვს ორგანოტროპიული ხასიათი**). მარქსი მთელი თავის არსებით წინააღმდეგი იყო ინტელექტუალიზმის და ფილოსოფოსებს უსაყვედურებდა სწორედ იმას, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევდენ ადამიანის მოქმედებით მხარეს. განა მარქსს არ ეკუთვნის სიტყვები: „ფილოსოფოსებმა მრავალნაირად ახსნეს ქვეყანა, დადგა დრო მისი გარდაქმნისო“. ამ სიტყვებით მარქსი უარყოფს ინტელექტუალიზმს თავის აპრიორიზმით და კათეგორიებით; იგი გარკვეულად დგას და ამბობს: ცხოვრებამ შექმნა ადამიანის სული და სულმა უნდა გარდაქმნას ქვეყანაო. მარქსიზმი თავის თავად იდეოლოგიისა და მდგომარეობის ურთერთობის მოძღვრებაა; არ არის მარქსსა და ენგელსის ნაწერებში არსად ისეთი ადგილი, რომელიც იდეოლოგიისა და მდგომარეობის ორგანოტროპიულ ურთერთობას არ იღებდეს მთლად. ადამიანები წარმოებასთან ერთად იცვლიან იდეებს***),—ამბობს მარქსიზმი; აქიდან იდეა არის წარმოების რეფლექსი და სული რეფლექსების აქტიური დაჯგუფება მოქმედებისა და ბრძოლისათვის.

ამრიგად, ისტორია არის შემოქმედებითი პროცესი და ყოველ შემომქმედს შეაქვს ცხოვრებაში ინდივიდუალურად სახეცვლილი სოციალური სული; შემოქმედების განსახიერება ხელოვნებასა და მეცნიერებაში en réalité არის სოციალური სულის დაბრუნება ინდივი-

*) Архив К. Маркса и Ф. Энгельса под редакцией Д. Рязанова Т. 3, кн. II. Стр. 125.

**) იხ. მარქსის თეზისები ფოერბახის შესახებ.

***) Маркс и Энгельс „О Людвиге Фейербахе“. „Архив“, кн. I, ст. 216.

დუალურ ტყვეობიდან სოციალურ არეში იდეების მატერიალიზაციის საშუალებით (წიგნები, სურათები, ქანდაკებები, ხაზები ფერებით და სხვ.).

ყოფას აქვს თავის რეფლექსები და ამ რეფლექსების ავტომატიზაცია შეადგენს ხელოვნებისა და იდეოლოგიის საფუძველს: იდეოლოგია უაღრესად ისტორიულია და მისი თითოეული ფორმა ლიტერატურის და მეცნიერების სახით ევლინება ეპოქას სოციალური საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით; იდეათა მორის ისეთივე ბრძოლაა გამართული, როგორც არსთა შორის ბუნებაში: ცალკეული აზრი ებრძვის თავის გარემოს და ლიტერატურაში გადადის მხოლოდ ბრძოლისა და გამარჯვების შემდეგ; პრინციპი არსებობისათვის ბრძოლისა ისე ამოძრავებს და ასახიერებს გონებას, მის იდეებს, ასოციაციებს, ილლიუზიებს, როგორც ორგანიული ცხოვრების ევოლიუციაში ჯიშებსა და გვარებს.

სული და გონება ორგანიული ჯიშისა არიან: ბიოლოგიის უკანასკნელი მიღწევები ამტკიცებენ, რომ გონების სწორი მუშაობისათვის თირკმლებისა და თუ გნებავთ ქუსლების უჯრედთა მუშაობას აქვს ისეთივე დიდი მნიშვნელობა, როგორც სხეულის სხვა ნაწილებისას; სული თავის იდეებით და განცდებით შეწყობილი კი არ არის ინდივიდუალობის ჭურჭელში: სული თანდათანობით და ტანჯვით მომდინარეობს ორგანიული ყოფის სიღრმეებიდან; სანამ იდეა ცნობიერების გარკვეულობაში გადავა, მანამ იგი ქვეცნობიერებით სამყაროში არის ჩაძირული და ცნობიერებაში მაშინ გადადის, როდესაც სული სოციალური საჭიროების ტკივილებს იგრძნობს.

გონებას, სულს, აზრს ქვეცნობიერებით სამყაროდან ერეკებიან მხოლოდ საჭიროება და ინტერესი. იქ, სადაც საჭიროება და ინტერესი არ არიან, გონება და სული მატერიაში იძირებიან. არსებობა ქვეცნობიერებითი პროცესია და იდეა მხოლოდ ჩვენის კოორდინატი; ინტელექტუალიზმისა და კანტის ფილოსოფიის შეგირდებს, რომლებიც არ იცნობენ ბიოლოგიისა, სოციოლოგიისა და რეფლექსოლოგიის მიღწევებს, ჩვენი აზრის ორიგინალობა აშფოთებთ: მათ სურთ სიძველეთა ინტელექტუალური გადანაშთებით ემსახურონ მარქსიზმსა და ინტელექტუალიზმს ერთნაირად; ისინი არ იცნობენ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს და მეთვრამეტე საუკუნის იდეებს ასაღებენ მეოცე საუკუნეში გულუბრყვილოდ; აი რას ამბობს ჭეშმარიტი მარქსიზმი:

„Человек в основе своей не рассудочное животное. Он существо, поведение которого вытекает из взаи-

модействия между материальной средой, его безсознательными врожденными инстинктами и приобретенными навыками. Импульс, а не сознательное намерение является первичным источником деятельности*). განა აქ არ არის ის, რასაც ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს და რაც იბრძვის კანტისა და ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, შეიარაღებული ბიოლოგიით და სოციოლოგიით? ჩვენ კარგად ვიცით, რა ძნელია საქართველოში დაძლევა იმ ჰაერეთისა, რომელსაც ჰქმნის უცოდინარობა, მაგრამ ის დიდი სოციალური ინტერესი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას კეთილშობილი ზრახვებით აღელვებს, დამთავრდება ორიგინალობისა, აზრისა და ნიჭის პატივისცემით; მაშინ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ჩვენს ლიტერატურასა და მეცნიერებაში გასავალი არ ექნება იმას, რასაც სიყალბე შეაქვს ინტელექტუალურ კულტურაში.

ბიოლოგიზმი და მარქსიზმი — ორი დიდი შენაკადია ჩვენი საუკუნის იდეოლოგიისა, რომელთა გარეშე ლიტერატურა და სპეციალური მეცნიერებანი ვერ დარჩებიან, რომელთა გავლენის ქვეშ მოქცეულია ხელოვნების ყველა სფერო და აზროვნების ყოველი მიმართულება.

ასეთ ეპოქაში უაღრესად საჭიროა სწორი გაგება და ცოდნა სახელმძღვანელო იდეებისა — ცოდნა ბიოლოგიისა, სოციოლოგიისა, კულტურათა ევოლიუციისა, სახეობითი ლიტერატურისა; აზროვნებისა და შემოქმედების სისტემატიზაცია ყოველ საუკუნეში ემყარება იმ იდეებს, რომელთაც იძლევიან სპეციალური მეცნიერებანი.

ხელოვნების საკითხების გამორკვევა გადაკავშირებულია მჭიდროდ ეპოქის სოფლმხედველობის წყობასთან: საზოგი ესთეტიურ ღირებულებათა სოციალური სოფლშეგნებაა და თითოეული ლიტერატურული ნაწარმოები წარმოადგენს იმდენ ღირებულებას, რაოდენად სოციალური სული აწყობილია მის გასაგებად და შესაგრძნობად.

ორგანოტროპიზმის ესთეტიური პრინციპი **) ემყარება შემოქმედებით ურთერთობას მდგომარეობისა და იდეოლოგიის შორის, რაც გამომდინარეობს ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებათა დასკვნებიდან, რაც უარყოფს ინტელექტუალიზმის ისტორიულ ფორმებს და განსაკუთრებით კანტის ფილოსოფიას.

---

*) Л. Джемсон и коллегия „Плебса", Очерк марксистской психологии. 1925 г. стр. 27.

**) იხ. ჩვენი წიგნი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები" (ორგანოტროპიზმი) 1925 წ.

აი კიდევ ნიმუში მარქსისტული სოფლმეცნიერებისა და სულიერი ცხოვრების მატერიალისტური გარკვევისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველამ, ვისაც სურვილი აქვს მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მუშაობისა რევოლიუციის ეპოქაში: „ჩვენი პოლიტიკური ზრახვანი, ჩვენი მორალური და ეთიური პრინციპები, ჩვენი გემოვნებანი, არსებულ მდგომარეობათა მიღება, ჩვენი რევოლიუციური გატაცება, კლასობრივი შეგნება მუშებისა ერთი მხრით და მეორე მხრით — კაპიტალისტების, ყველაფერი ეს ბოლოს და ბოლოს დამყარებულია ქვეცნობიერებით კომპლექსებზე, რომლებიც იწვევენ ამა თუ იმ ჩვენ მოქმედებებს *).

ესთეტიური გრძნობა, ლიტერატურული ტიპი, გმირის მოქმედება, სიხარული და სევდა წარმოადგენენ განცდის ორგანიულ რეფლექსებს, რომელნიც მიღებულია სოციალურ ყოფაში დეტერმინისტულად, ყოველგვარ ინტელლექტუალური უნივერსალების „კონსტანტ“ ფორმულების გარეშე, ხანგრძლივ ტანჯვასა და წვალებაში. ცხოვრება ფაბრიკაა და სული თავის იდეებით, ტემპერამენტებით, სახეებით, ემოციებით ამ დიდი ფაბრიკის ორგანოტროპიული პროდუქტი. ქვეცნობიერებითი ხასიათის კომპლექსები ამუშავებენ ამ ქარხანას და იდეოლოგიური წყობანი ეპოქათა გამომდინარეობენ საჭიროებისა და ინტერესის ცვლილებებიდან.

ქართული ცხოვრების სოციალური ტკივილები ისტორიულად ჰქმნიან ქართული სულის ევოლიუციას და სახეები ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა სოციალური ყოფის რეალებია, მომდინარე ბიოსოციურ წვალებათა და მღელვარებათა ქვეცნობიერებიდან, როგორც წყარო ჩვენი დიდებისა და შენაკადი მსოფლიო ცივილიზაციის.

ორგანოტროპიზმის თეორია, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ჩვენ ხელოვნებისა და ლიტერატურის პრობლემათა გარკვევის დროს, მეთოდოლოგიური ხასიათისაა: იგი იღებს ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ორგანიზაციას და ამჩნევს, რომ ყველა თვისება ტანისა და სულის იქმნება სოციალურ არეში მემკვიდრეობით (გენეტიურად) და ინდივიდუალურად.

სული და გონება თავიანთი ტემპერამენტისა და იდეის სპეციფიური თვისებებით შეწყობითი რეფლექსებიდან მომდინარეობენ. ესთეტიური განცდა აერთებს ქვეცნობიერებისა და ცნობიერების

*) Л. Джемсон и Коллегия «Плебса», Очерк марксистской психологии. 1925 г. стр. 14.

*) Л. Джемсон и коллегия „Плебса“, Очерк марксистской психологии. 1925 г. стр. 30—31.

სფეროებს სულის მიმოქცევის პროცესში. ცნობიერება ქვეცნობიერებაში გადადის და ქვეცნობიერება ცნობიერებაში.

სულის მიმოქცევა ცალკეულ არსში, ისტორიასა და სამყაროში ერთნაირად მიმდინარეობს და ამავე დროს ყოველ სოციალურ არეში თავისებურ წყობას იღებს; ხოლო როდესაც წყობა სულის მიმოქცევისა ჩამოყალიბებულია თავის დროულ ვლენაში, სოციალური არე განიცდის სულის გავლენას ისე ძლიერად, როგორც სული განიცდიდა სოციალურ არეს გავლენას.

ეს არის ორგანოტროპიული ურთერთობა სოციალური წყობისა და ინდივიდუალური შემოქმედების შორის: სოციალურ ძალთა წყობამ წარმოშვა გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილებს"; მაგრამ თავის თავად „პასუხი შვილებს" ერთ დროს იარაღი იყო გამარჯვებისათვის იმ ბრძოლაში, რომელმაც წარმოშვა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებით წარმოსახვაში იდეა ამ ლექსისა. ვახტანგ ორბელიანის „იმედი" ფსიქოლოგიური გამოკრთომაა ისტორიული ღლვევით დატანჯული ხულის სინაზისა და ეს განცდა პოეტს ევლინება როგორც ნუგეში ტანჯვის წუთებში, როგორც იარაღი თვითდაცვისა; მთელი სევდა, გამოსახული რომანტიულ მიმართულებაში, დაწყებული ალ. ჭავჭავაძიდან და დამთავრებული ნიკოლოზ ბარათაშვილით, ერთგვარი ფირმაა ქართული სულის ინდივიდუალობის თავდაცვისა ფეოდალური არისტოკრატიის ჰეგემონიის დროს.

ლიტერატურა ამ მხრივ რელიგიაა (religare) ისტორიული და კულტურული ხასიათისა: იგი ერთგვარი ლოცვაა სასოწარკვეთილების ჟამს; მართალია, დრო-გამოშვებით ასეთი დიდი სოციალური ძნიშვნელობა ლიტერატურისა საქართველოში იცვლებოდა თამადურ-ყარაჩოღული კიკლიკობით, მაგრამ აქაც ჩვენ გვაქვს საქმე სოციალური სულის დაავადებასთან და ამ მხრივაც თამადურ-ყარაჩოღული ელემენტი ჩვენი ლიტერატურისა დამახასიათებელია.

ილია ჭავჭავაძის გაგებით ლიტერატურა ერის მსახურების საშუალებაა, პოეტი ხელმძღვანელია ხალხის და კალამი მისი იარაღია ბრძოლის: ლიტერატურა გამოსახავს ხალხის ტკივილებს („ერის წყლული მაჩნდეს წყლულად") და მოქმედებს ხალხის ზნე-ჩვეულებაზე. ამ მიზნით იყო მიმართული მთელი შემოქმედება ილია ჭავჭავაძისა.

ლიტერატურა ყოფის პროდუქტია, ხოლო წარმოშობის შემდეგ ლიტერატურა ახდენს გავლენას ყოფაზე: შატობრიანისა და ბაირონის იდეები წარმოიშვენ სოციალური დესტრუქციის ნანგრევებზე და ეს იდეები ვრცელდებოდენ არა მარტო ევროპაში, არამედ აღმოსავლეთშიაც ვაჩნდნენ გმირები в гарольдовом плаще. ამრიგად ლიტე-

რატურას სოციალური ყოფის საჭიროება იძლევა და ლიტერატურის ევოლიუცია ყოფის ევოლიუციის მაჩვენებელია.

ასეთია ორგანოტროპიული კავშირი მდგომარეობისა და იდეოლოგიის შორის — ლიტერატურისა და სოციალური საჭიროების შორის.

იდეოლოგიის ისტორიაში ხელოვნება ზოგადად თამაშობს დიდ როლს, ხოლო საქართველოში ხელოვნება შეიცავს თითქმის მთელს ქართულ იდეოლოგიას: ქართული ლიტერატურა და ხუროთ-მოძღვრება დომინანტური ფირმებია ქართული კულტურისა და იდეოლოგიის, ქართული ცივილიზაციისა; ქართული სულის რელიგიურ-პანთეისტური ლტოლვა, წარმართულ ვნებათა შემცვლელი და ძლიერი ეპიზოდიურ ფირმებში, განსახიერებულია ფეოდალურ სტილის კოშკებისა და ტაძრების აგებულებაში; ქართული ლიტერატურა კი სიტყვათა საშუალებით იძლევა ქართული სულის ისტორიულ განცდათა სახეობას.

იდეოლოგიის ევოლიუცია მტკიცეთ ემყარება საზოგადოებრივობის ევოლიუციას და ხელოვნების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი წყობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების რეფლექსებს; საზოგადოებრივი ყოფის ცვლილება ყოველთვის ისახება იდეოლოგიურ-ლიტერატურულ ფირმებში, მეტყველებისა და გააზრების განსახეობაში, თქმათა და აზრთა ფორმალურ ორგანიზაციაში.

ყოველი კლასი წარმოების საშუალებით და მარქაფად აწყობს თავის იდეოლოგიას — თავის უფლებას, მორალს, ლიტერატურას არა მხოლოდ დაწყობისა და ესთეტიური ვარჯიშობისათვის, არამედ სოციალური საჭიროებისათვის; და ამიტომ იდეოლოგია ისეთივე ძალაა არსებობისათვის ბრძოლისა და ცხოვრების გამართლების, როგორც ინდუსტრია და მეურნეობა, როგორც ტეხნიკა და მრეწველობა. იდეოლოგია ხელოვნებისა და მეცნიერების სახით ერთგვარი სახელმძღვანელოა სოციალური პრაქტიკისა, არსებობისათვის ბრძოლისა; ხელოვნებას ისეთი დიდი ადგილი უჭირავს ყოფის საჭიროებაში, რომ მის მაგიერობას ინდუსტრია და მეცნიერება ვერ შეასრულებენ; ხელოვნება და განსაკუთრებით ლიტერატურა სოციალური ცნობიერების ორგანიზაციაა: თქვენ შეგიძლიათ შეისწავლოთ ქართველი გლეხის ყოფა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სტატისტიკის საშუალებით, მაგრამ ასეთი შესწავლით ვერასოდეს ვერ მიიღებთ ისეთ ცოდნას ქართველი გლეხის მდგომარეობისას, როგორიც შეიძლება მიიღოთ ილია ჭავჭავაძის, ეგ. ნინოშვილის ან რაფიელ ერისთავის ნაწერებიდან.

სოციალური ემოციების წარმავალი ფირმა ხელოვნებას გადაქცევს პერმანენტულ იდეურ არსებობაში და რაც ოდესღაც სოციალ-ისტორიული ყოფის ხვეულში რომელიმე ჯგუფს ან ცალკეულ ადამიანს აწვალებდა, აღელვებდა, — რის რეალობა ცხოვრების არენიდან გადენა დრომ, ის რჩება ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში, და როგორც უდაბნოში აწვერადებული პირამიდები, ებრძვის წარმავალობას და დავიწყებას წუთისოფლისას.

ამრიგად ორგანოტროპიული სოციოლოგია მარქსიზმთან ერთად მიდის იმ დასკვნამდე, რომ მდგომარეობა აწყობს იდეოლოგიისა და ხელოვნების ფირმას, მაგრამ ერთხელ დაწყობილი და ჩამოყალიბებული იდეოლოგია ცდილობს გარდაქმნას მდგომარეობა: ფაქტიურად ცხოვრების პროცესი არის ურთერთობა შემოქმედებითი ხასიათისა მდგომარეობისა და იდეოლოგიის შორის; ლიტერატურა, როგორც ერთ-ერთი სახე იდეოლოგიისა, გამოსახავს სოციალურ სულს, მის ემოციებსა და იდეალებს.

ამ თვალხედვით ლიტერატურული კვლევა-ძიების სხვადასხვა მეთოდი კარგავს ცალკეულ, ეკლეტიურ არსებობას: ბიოგრაფიული, ისტორიული, ესთეტიური მიდგომანი ლიტერატურული კრიტიკისა ერთდებიან სოციოლოგიურ მეთოდოლოგიაში და ლიტერატურული ნაწარმოები მთლიანად ირკვევა სოციალური ყოფის არეში; მეტყველების ფორმა, შინაგანი წყობა, სტილი, იდეა და ტენდენცია ლიტერატული ნაწარმოებისა ორგანიულად, უმეშვეოდ გამომდინარეობენ სოციალური ყოფის საჭიროებიდან, მის გენეტიურ-მორფოლოგიურ ბუნებიდან. ღირებულება ლიტერატურული ნაწარმოებისა კორელიატიურია სოციალური ყოფის ინტერესებთან და ლიტერატურული სტილი ესთეტიური განსახიერებაა საზოგადოებრივობის სულისა, მისი განცდისა და ბიოსოციური ინტერესისა.

სიტყვით „ესთეტიკა“ ჩვენ გამოვსახავთ წ ყ ო ბ ი ს ა დ ა ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ი დ ე ა ს და არა იმას, რასაც ბაუმგარტენი და კანტი ამბობდენ ამ სიტყვით; ე ს თ ე ტ ი კ ა ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა: აგებულება ცხოვრებისა და კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების — აი რა უნდა შეისწავლოს ესთეტიკამ; ამ გაგებით ყოველი სრულყოფილი მოვლენა ესთეტიური მოვლენაა: ყაჩაღი, რომელიც განასახიერებს ყაჩაღობის ყველა თვისებას და ყაჩაღური სულის ზრახვებს, ისეთივე ესთეტიური ფენომენია, როგორც სიქსტინის მადონა ან ვენერა მილოსელი. აგებულების შესწავლაში ორგანოტროპიზმის თვალთახედვით ესთეტიკა აქცევს მთავარ ყურადღებას წარმოშობის იდეას: არა ფაქტიური წყობიდან

დაწყება ანალიზისა და შესწავლის, არამედ გენეზისიდან; ფაქტიური წყობის გენეზისის არეში გადატანა და იქ შესწავლა მოვლენისა არსისა და მდგომარეობის შემოქმედებით (créatrice) ურთერთობაში—აი მთავარი პრინციპი ჩვენი მეთოდოლოგიური სოფლმხედველობისა, რომელიც შეადგენს ბიოლოგიზმისა და სოციოლოგიურ მოძღვრებათა სინთეტიურ ფორმას და რომლის კონცეპცია ჩვენ ჩამოვაყალიბეთ წიგნში „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“.

თავი პირველი

ქართული კულტურის მიმართება მე-XIX საუკუნის დასაწყისში.

მორეულ წარსულიდან საქართველო განიცდიდა აღმოსავლეთის გავლენას: საქართველოს სოციალ-ისტორიული და ოჯახური ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში ითვისებდა აღმოსავლეთის ჩვეულებებს; ქართული ლიტერატურა და ხალხური მეტყველება ერთნაირად ატარებენ დაღს მუსლიმანურ-არაბული კულტურის გავლენისას: ქართველ მწერლებს შემოქონდათ სპარსულ-არაბული სიტყვები ქართულ ლიტერატურაში, საზოგადო ცხოვრებასა და ოჯახში; ქართული კულტურის სისავსის გამომსახველი პოემა „ვეფხის ტყაოსანი" ათარგულია მუსლიმანურ-არაბული კულტურის იდეოლოგიურ დაზგაზე: ელლინურ-დასავლეთური სული „ვეფხის ტყაოსანში" გათქვეფილია მუსლიმანურ-არაბულ ესთეტიურ წარმოსახვაში.

დროთა ვითარებაში ქართული კულტურის სოციალ-ისტორიული არე შეიცვალა და ქართული სული ჩაიკეტა აზიური ცხოვრების დეგრადაციის პირობებში.

ქართველი საზოგადო მოღვაწეები კარგად გრძნობდენ საქართველოსა და ქართველი ხალხის ტრაგედიას: საქართველო ისტორიულმა აუცილებლობამ დააყენა მუსლიმანურ ქვეყნებთან ერთად დეგენერაციის გზაზე: ოდესღაც არაბულ-მუსლიმანური ცივილიზაცია იყო წყარო ქართული სულის დიდებისა და კეთილშობილეპის; ახალ საუკუნეებში იმავე ცივილიზაციის გადაგვარებული და გაველურებული მემკვიდრეები ყოველმხრივ ავიწროებდენ და ანადგურებდენ საქართველოს, მის სახელოვან და მდიდარ წარსულს.

სწორედ ამიტომ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი მეცნიერი საბა-სულხან ორბელიანი მოგზაურობს ევროპაში და ეძიებს ყოველგვარ საშუალებას გააბას კავშირი სოციალ-ეკონომიური და კულტურული საქართველოისა და ევროპის შორის; საბა სულხან ორბელიანი მიდის ლუი მეთოთხმეტესთან და პირდება სა-

ფრანგეთს ყოველგვარ დახმარებას საქართველოში, თუ კი საფრანგეთი მოისურვებს იყოს საქართველოსთან ეკონომიურ და კულტურულ-დიპლომატიურ ურთერთობაში. საბა სულხან ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში მაჩვენებელია ქართული კულტურის ახალი მიმართებისა; ეტყობა ქართულმა სულმა გადააფასა მრავალჯერ საერთაშორისო მდგომარეობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯელალ-ედინებისა და ხოჯა-ხანების აზია აღარ გამოადგებოდა საქართველოს წინამძღოლად.

ქართული კულტურის აღორძინების ხანა სასოწარკვეთით ეძიებს გამოსავალს იმ სოციალ-ისტორიული ტრაგედიიდან, რომელსაც შეეძლო მთლად გაენადგურებინა საქართველო; სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში საქართველო სულს ღაფავდა პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად: დაუსრულებელმა ომებმა ისე გაანადგურეს და გააჩანაგეს საქართველო, რომ ხშირად ქართველი მეფეები მათხოვრებად იქცეოდენ და შემთხვევათა სამოწყალოდ ხდებოდენ; ქართული სოფლები დაცარიელდენ და გაღატაკდენ; ქართველი ფეოდალების საუკეთესო ნაწილი ტყვედ იყო გაყვანილი აღმოსავლეთში; დანარჩენები ბუჩქებში იმალებოდენ, ერთმანეთს შვილებსა და ქალიშვილებს პარაკდენ და ყიდდენ ან ოსმალეთში, ან სპარსეთში; ერთი ფრანგი მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლამაზ ქალებსა და ვაჟებს საქართველოდან ხშირად შეხვდებოდენ ეგვიპტესა, ასურეთსა და სპარსეთის სავაჭრო მოედნებზე; ისინი გამოყავდათ გასაყიდად და ამრიგად ქართული სისხლი ერეოდა სპარსულ-ირანულ სისხლს, ხოლო თვით საქართველო თანდათან ცარიელდებოდა ფიზიკურად, ეკონომიურად, მორალურად და ინტელექტუალურად; შრომის ხალისი ერში ჩაკლა ისტორიულმა პირობებმა; დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ქვეყანა თანდათანობით უდაბნოდ იქცეოდა, მაგრამ კულტურის ტრადიციამ—ისტორიულმა სულმა სასოწარკვეთის ჟამს ისევ იფეთქა და აზიის პოლიტიკურ-კულტურულ ქაოსიდან საქართველომ პირი იბრუნა ევროპისაკენ.

საქართველოს ევროპასთან კავშირი ჰქონდა საშუალო საუკუნეებიდან: ამ კავშირს განსაკუთრებით ხელი შეუწყეს კათოლიკე მისიონერებმა; კათოლიკური რელიგია საქართველოში ვრცელდებოდა ევროპიული ფორმით ლათინური ენის საშუალებით; საშუალო საუკუნეებში საქართველოში დაარსდა კათედრა კათოლიკე მისიონერებისათვის და იმ დროიდან სისტემატიურად საქართველო მისიონერების საშუალებით ეცნობოდა ევროპას; ევროპიელი მეცნიერები მოდიოდენ საქართველოში, ქართველები გადიოდენ ევროპაში, ღე-

ბულობდენ განათლებას, სამეცნიერო ხარისხებს; 1629 წელს პატრებმა რომში დააარსეს ქართული სტამბა*). ამავე წელს რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. 1740 წელს ივ. ჯიგნიშვილს რომში მიეღია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. დაახლოვებით ამავე დროს Maggio-მ გამოსცა ქართული ენის გრამატიკა; ქართული სული, დამარცხებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ პირობებში, იხიზნება მეცნიერებისა და რელიგიის სფეროში: ისტორიული idée force—რუსთაველისა და მთაწმინდელის ინტელექტუალური პოტენცია დეზასტრებისა და კოშმარების ეპოქებში ტრადიციულად ეძახის ქართულ სულს იდეებისა და მეცნიერებისაკენ, მსოფლიო კულტურის განათებულ მწვერვალებისაკენ.

ერეკლე მეფის დროს საქართველოსა და ევროპის ურთერთობის საკითხი ისე გამწვავდა, რომ გაჩდენ ცალკე პოლიტიკური ხასიათის საორიენტაციო ჯგუფები: ზოგი იყო საფრანგეთის ორიენტაციის, ზოგი ინგლისის; ჯგუფთა შორის ბრძოლა იყო გაჩაღებული და ამ ბრძოლამ იმსხვერპლა სხვათა შორის განათლებული ქართველი პაატა ბატონიშვილი, რომელსაც ერეკლე მეფის ბრძანებით ავლაბარში თავი მოსჭრეს.

ეტყობა საქართველოში კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა აწუხებდა არა მარტო ქართველ მეფეს, არამედ ქართველ ინტელიგენციასაც და ქართველი არისტოკრატიის საუკეთესო ნაწილს; საფრანგეთის კულტურა და ენციკლოპედისტების ფილოსოფია, ინგლისის სოციალურ-ისტორიული მოძრაობანი და მოძღვრებანი, რუსეთის ევროპეიზაცია პეტრე დიდის შემდეგ ისე მკვეთრად შეიჭრენ ქართული კულტურის იდეოლოგიურსა და სოციალ-ისტორიულ ჰაერეთში, რომ დიდი ნაწილი ქართველი არისტოკრატიისა, მიუხედავად ქართული ტემპერამენტის აფექციონალიზმისა და უზრუნველობის, სერიოზულად განიცდიდა ქართული ცხოვრების სოციალურ ტრაგედიას, და ეძიებდა გზას ქართული ცივილიზაციის რენესანსისათვის. ალექსანდრე ორბელიანი თავის „შეთქმა“-ში საკმაო საბუთებს იძლევა ქართველი ინტელიგენციის ისტორიული ტრაგედიის განცდებისას თვით იმ დროსაც, როდესაც ერეკლე მეფე თავის სტრატეგიული ნიჭით და გმირობით იცავდა საქართველოს საზღვრებს და კულტურულ ინდივიდუალობას: პაატა ბატონიშვილის ტრაგედია ქართველი არისტოკრატიის საუკეთესო ნაწილის ტრაგედიაა და სოლომონ ლეონიძის სიტყვებში, რომლე-

*) მიხ. თამარაშვილი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,“ 87.

ბითაც ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი უსაყვედურებს ე რ ე კ ლ ე მ ე ფ ე ს ერის კეთილდღეობით ვით კამათლებით თამაშს, გამოსახულია ერთგვარი სოციალ-რესპუბლიკანური იდეა ქართველი არისტოკრატიისა; ეს მაჩვენებელია ქართული კულტურის საზოგადოებრივობის და ქართული სოციალური აზროვნების განვითარებისა ფეოდალური ყოფის ხღუდეებში: ქართული სული მოქცეულია თავის სოციალურ განცდებით ევროპის ცივილიზაციის ორბიტოში და ინტელიგენციაში იწყება ფრაქციონული დანაწილება სოციალ-კულტურული მიმართების გამოსარკვევად; ქართული აზროვნების ევოლუციაში ეს მოვლენა ფრიად საინტერესოა.

ამრიგად საქართველოს გადახრა ევროპისაკენ ისტორიულად აუცილებელი იყო და ერეკლე მეფის პოლიტიკური ნაბიჯი, რომელიც 1783 წ დათავდა საქართველოს რუსეთთან შეერთებით, წარმოადგენდა ქართველი ერის სოციალ-კულტურულ მისწრაფებას: აზია მეტს ვერაფერს მისცემდა საქართველოს და ქართველ ხალხს ესაჭიროებოდა სუნთქვა ახალ კულტურულსა და ინტელექტუალურ ატმოსფეროში. ასეთ ატმოსფეროს წარმოადგენდა ევროპა დიდი ქალაქებით, სახელმწიფოებრივი სისტემებით, მეურნეობისა და კულტურის თავისებური და ორიგინალური წყობით. ამიტომ ე რ ე კ ლ ე მეფის ნაბიჯი ისტორიულად უ ა ლ რ ე ს ა დ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი და პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ ი ა: რუსეთი იყო მხოლოდ გზა და საშუალება ქართული სულის ევროპაში გასვლისა—ქართული კულტურის ევროპეიზაციისა, ქართული ცხოვრების სპარსულ-არაბული სტილის გამოცვლისა.

ე რ ე კ ლ ე მეფე გრძნობდა კარგად, რომ საქართველოს შინაგანი კულტურულ-სოციალური წყობა თავის მდივან-ბეგებით, ძველი სემინარიებით, ოჯახური მორთულობით, საზოგადოებრივი ურთერთობით დაცვეთილიყო და ვერ აკმაყოფილებდა სიმტკიცისა და ძლიერების იდეას; ამასთანავე მწვავედ იდგა სახალხო მეურნეობისა და ფინანსების საკითხი.

სულიერი საზრდოც აღარ იყო: გონებას აღრჩობდა სოციალური ყოფის სივიწროვე და პრიმიტივობა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წინად საქართველო ბიზანტიის საშუალებით უერთდებოდა დასავლეთ ევროპას, ახლა საქართველო ევროპას უახლოვდებოდა რუსეთის გზით: რუსეთი პ ე ტ რ ე დიდის შემდეგ მოექცა ევროპის ორბიტოში და ევროპიული ცხოვრების სტილი, ფორმა, თავისებურობა თანდათანობით იჭრებოდენ რუსულ-აზიურ სოციალურ ჩვეულებებში.

მდიდარი კულტურა საფრანგეთისა თავის ენციკლოპედიური ლიტერატურით, ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის ფორმულებით,

რუსოს და ვოლტერის ფილოსოფიური მოძღვრებებით ვრცელდებოდა რუსეთში; მთელი წყება რუსეთის ინტელიგენციისა გატაცებული იყო რუსოს ნაწერებით, ვოლტერის ფილოსოფიით: რუსომ პუშკინზედაც დიდი გავლენა იქონია და ეს გავლენა ნათლად ჩანს მის პოემაში Цыгане; ვოლტერის იდეები და დეიზმიც ვრცელდებოდა რუსეთში: კაცი, რომელიც თავისებური იყო ხასიათით და ქცევით, რუსეთში ვოლტერის მიმდევრის სახელს ატარებდა; ამბობდენ: у него Вольтер сидит в голове.

ეს დიდი გატაცება ვოლტერიანიზმით და ენციკლოპედისტების ფილოსოფიით რუსეთიდან თანდათანობით საქართველოში გადმოვიდა; ქართველი ბატონიშვილები ეცნობოდენ რუსეთში საფრანგეთის ლიტერატურას, ფილოსოფიას და ცხოვრების სტილს. განსაკუთრებით ეკატერინე მეორეს შემდეგ საფრანგეთი დიდ მოდაში შემოვიდა: რუსეთის სკოლის ტიპები écoles de la noblesse, institut des jeunnes illes და სხვა საფრანგეთიდან იყო გადმოღებული; ჩვენშიაც შემოვიდა „კეთილშობილთა სასწავლებელი“, რომელიც შემდეგ გადაკეთდა სათავად-აზნაურო გიმნაზიად. ერთი სიტყვით, იდეოლოგია საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატიისა და სტილი ვერსალის მოეწონა რუსეთისა და საქართველოს ფეოდალურ არისტოკრატიას: ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია და მისაღებიც. საქართველოში გავრცელდა ევროპიული ჟურნალ-გაზეთები, შეიქნა მოთხოვნილება პრესის გაცნობისა.

ბატონიშვილი დავითი იცნობდა ვოლტერის ფილოსოფიას და განათლებული კაცი იყო: მან დაწერა რუსულ ენაზე საქართველოს ისტორია; ბატონიშვილმა იოანემ შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი და ენციკლოპედიურ ლიტერატურას გაეცნო კათოლიკე მისიონერების დახმარებით.

ამრიგად, ფართოვდება ინტელექტუალური ჰაერეთი ქართული კულტურის და ვითარდება საზოგადოებრივობა; ხოლო ქვევიდან — სოციალურ ფენებში. ამ საზოგადოებრივობის იდეას ამაგრებს და ასაზრდოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი აჯანყებები, რომელთაც ჰქონდა დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა: ნაციონალური სულის idée force იცავდა თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და კუთხებრივ-ტროპიულ თავისებურობას: ამ დაცვაში ფსიქოლოგიურად იქმნებოდა ეროვნული მთლიანობა — თავადაზნაურობა უახლოვდებოდა გლეხობას; იდეა ნაციონალური მეობისა მათ აერთებდა ჩინოვნიკური რუსეთის საწინააღმდეგოდ; მართალია ამ ფსიქოლოგიურ გაერთებაში წოდებრივი ინტერესები სხვადასხვაობდენ,

მაგრამ ეს სხვადასხვაობა წოდებრივ ინტერესთა ეროვნულ ინდივიდუალობის ექსტაზში ავიწყდებოდათ.

ასე რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველის სულიერი განცდა ღრმავდება და ფართოვდება; ამის შედეგი იყო ქართული პრესის ორგანიზაცია და პირველი ქართული გაზეთის გამოცემა 1819 წ. პირველი გაზეთი ატარებდა სახელწოდებას „საქართველოს გაზეთი"; 1822 წ. გაზეთი დაიხურა, მაგრამ მოთხოვნილება პრესის დარჩა ქართველ საზოგადოებაში.

1798 წ. გარდაიცვალა ერეკლე მეორე და მისმა მესამე ცოლმა დარიამ თავის ინტრიგებით ბაგრატიონების დინასტიას საფლავი გაუთხარა: მას უნდოდა საქართველოში ეთამაშა ეკატერინე მეორეს როლი და ამიტომ ხელს უშლიდა გიორგი მეთორმეტეს ტახტის მემკვიდრეობა გადაეცა დავით ბატონიშვილისათვის. სწორედ ამან გამოიწვია 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტი და გენერალი კნორინგის რეპრესიები, რომლებმაც მოამზადეს 1804 და 1812 წწ. აჯანყებები. იმპერატორის ჩინოვნიკებმა თავიანთი უხეში საქციელით, ქართველი ხალხის ეკონომიური შევიწროებით და ეროვნულ-ისტორიული ტრადიციების ტლანქად დარღვევით შექმნეს ოპოზიცია ქართველ ხალხში და მის ინტელიგენციაში.

ინტელიგენცია ისტორიულად ბარომეტრია ეროვნული სულისა: რაც უნდა კლასობრივი იყოს ინტელიგენციის სულისკვეთება, მაინც ისტორიული ფორმა ეროვნული თავისებურობისა ინტელიგენციით გამოისახება; თუ ერი მორალურად დაცემულია, თუ ერში ტრადიცია სუსტობს, ყველაზე ადრე და უფრო ეს ინტელიგენციას დაეტყობა: ეროვნული idée force ინტელიგენციის ნებისყოფით ისაზღვრება, ქართველ ინტელიგენციას არ შეუძლია დაიტრაბახოს დიდი გმირობით და მაღალი ეროვნული მორალით: ჩვენს წარსულს en masse არ ახასიათებს ის, რასაც ჰქონდა ადგილი რუსეთში, დაწყებული დეკაბრისტების მოძრაობიდან; მაგრამ თითო-ოროლა გმირი საქართველოში ხშირად იყო; მათ რიცხვს ეკუთვნიან სოლომონ ლეონიძე, პაატა ბატონიშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და სოლომონ დოდაშვილი. სოლომონ ლეონიძე ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ თითქმის არა ჩანს, ხოლო პაატა ბატონიშვილი თვით ერეკლე მეფის დროს დაილუპა პოლიტიკურ ბრძოლაში ქართული კულტურისათვის; სოლომონ ლეონიძისა და პაატა ბატონიშვილის ღირსეული მემკვიდრეებია ფილადელფოს კიკნაძე და სოლომონ დოდაშვილი—ორი კეთილშო-

ბილი რაინდი ქართული კულტურის ინდივიდუალობისა, რომლებმაც დააარსეს ფარული საზოგადოება 1829 წელს.

ფარული საზოგადოება უკანასკნელი ისტორიული ცდაა ეროვნული ინდივიდუალობის დაცვისა და ამ ცდაში შედის ორი სხვადასხვა ელემენტი: ერთი წმინდა ეროვნულ-ისტორიული, მეორე ეროვნულ-კლასობრივი; ცხადია, 1829 წ. დაარსებულ საზოგადოებას სხვადასხვა თვალთახედვით უყურებდენ სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და ბატონიშვილები.

ბატონიშვილებისა და ორბელიანებისათვის ფარული საზოგადოება იყო ერთგვარი საშუალება ეროვნული მთლიანობის რესტავრაციისა ფეოდალური არისტოკრატიის დირიჟორობით, ხოლო სოლომონ დოდაშვილი და ფილადელფოს კიკნაძე ფარულ საზოგადოებას უყურებდენ ქართულ კულტურის ისტორიულ-ეროვნული რენესანსის თვალთახედვით და ამ თვალთახედვაში იყო უდიდესი პატრიოტული იდეალიზმი და ექსტაზი: დიდი უსამართლობა იქნებოდა, ჩვენ რომ ფსიქოლოგიურ განსხვავებას ვერ ვხედავდეთ ფილადელფოს კიკნაძისა და სოლომონ დოდაშვილის ისტორიულ-ეროვნულ იდეალიზმის და იმ ფიზიოლოგიურ-კლასობრივ პატრიოტიზმის შორის, რომელსაც ანვითარებდენ ლუარსაბ ორბელიანის ლამაზ ბალში ქალებთან ღრეობას შექცეული და ღვინის ორთქლით შეთამაშებული თავადები; თუ როგორი იყო მაშინდელი ქართველი თავადების სოციალ-ეროვნული იდეალი, ჩანს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოებიდან“, ხოლო ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ნაწილის ზრახვები სავსებით გამოისახებოდენ დოდაშვილისა და კიკნაძის ორგანიზაციულ-თეორიულ მუშაობაში. კიკნაძისა და დოდაშვილის წინ იდგა საქართველო ქართველი ხალხის, ქართული ეროვნულ-ისტორიული სულის, ქართული კულტურის ინტელექტუალური ატმოსფერისა, ხოლო ქართველ თავადებს ქართული კულტურის პრიმატად მიაჩნდათ ფეოდალურ-არისტოკრატიული სტილი ქართული ცხოვრებისა

მიუხედავად ამ ფსიქოლოგიური განსხვავებისა, ორივე ნაწილი ფარული საზოგადოების ენერგიულად იბრძოდა ქართული ეროვნული ინდივიდუალობის დაცვისათვის; ბარონ როზენის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფარულ საზოგადოებას მეთაურობდა სამოცდა თხუთმეტი კაცი; მათ შორის ყველაზე უფრო აქტიურად მუშაობდენ ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი

ერისთავი, დიმიტრიბ ყიფიანი, ალექსანდრე ორბელიანი.

ფარულ საზოგადოებას თანაუგრძნობდა საფრანგეთის კონსულის მდივანი ლეტელიე, ფილადელფოს კიკნაძემ ამ საზოგადოებისათვის შეიმუშავა საგანგებო ანბანი, რომლითაც ხდებოდა მიწერ-მოწერა წევრთა შორის, მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ლიტერატურის გავრცელებაში სოლომონ დოდაშვილი — კაცი განათლებული დიდი ფილოსოფიური ერუდიციით.

1832 წ. ფარულ საზოგადოებას უნდა მოეხდინა აჯანყება ქალაქ თბილისში: უნდა აეღოთ არსენალი, ხელთ ჩაეგდოთ იარაღები და დაწესებულებები; მაგრამ საზოგადოების ერთმა წევრმა — იასე ფალავანდიშვილმა გასცა თავის ამხანაგები და გამოძიების შემდეგ მეთაურები გადაასახლეს საქართველოდან:

გრიგოლ ორბელიანი გაგზავნეს ნოვგოროდში, ვახტანგ ორბელიანი — კალუგაში, გიორგი ერისთავი — ვილნოში, ალ. ორბელიანი — ორენბურგში, სოლომონ დოდაშვილი — ირკუტსკში.

ფარული საზოგადოების დამარცხებით დაიშალა უკანასკნელი ორგანიზაცია ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქართველი ინტელიგენციის სული შეიპყრო სევდამ.

სწორედ ეს სევდა არის საგანი იმ ლიტერატურული მიმართულებისა, რომელსაც მეთაურობენ ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და ბოლოს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბრძოლის ფილოსოფიით და კოსმიური განცდებით.

თაური მეოცე

ინდივიდუალიზმი და რომანტიზმი

ალექსანდრე ჭავჭავაძე

სოციალური არე

ქართული კულტურა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ორ ელემენტს შეიცავდა: ერთი ელემენტი იყო გადანაშთი აღმოსავლეთის სპარსულ-ირანული კულტურისა, ხოლო მეორე დასავლეთ ევროპისა: მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველო დაუახლოვდა ასეთუისე ინტელექტუალურად ევროპას: ვერსალის სასახლეს, მის არისტოკრატიულ პოზასა და სტილს, ვ ო ლ ტ ე რ ი ს ირონიასა და ფილოსოფიას; ქართველები ეცნობოდენ ევროპას და ქართული კულტურის აღმოსავლეთურ წყობაში შემოდიოდა დასავლეთის კულტურა და სული, დასავლეთის თქმა და ესთეტიურ-მორალური პრინციპები.

მართალია, ქართული კულტურის დირიჟორად მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ისევ რჩება აღმოსავლეთი სპარსული გემოვნებით და ესთეტიური ფილოსოფიით, მაგრამ დასავლეთის ლიტერატურასაც აქვს გავლენა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე იცნობდა ფრანგულ ლიტერატურას და თარგმინდა საფრანგეთის დიდ კლასიკებს: ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ სთარგმნა ტრაგედიები „სიდ“, „იფიგენია“, „სინნა“, „ალზირა“. ცხადია, ფრანგი კლასიკების გავლენას ადგილი ექნებოდა ჩვენში: ევროპის ლიტერატურა და რუსული ჩინოვნიკური კარიერა ერთნაირად ანუგეშებდა ქართველი თავადის სულს 1832 წ. შემდეგ; დამარცხება ნაციონალური კულტურის ფრონტზე თავდებოდა მელანქოლიური განცდებით და განათლებული ქართველისათვის იყო ორი გზა — ან ჩინოვნიკური აღმატების და წყნარი ცხოვრების ინტერესი, ან სასოწარკვეთილების ცრემლები და ოხვრა ტანჯული სულისა; ხშირად ქართველი მწერალი ამ გზებს აერთიანებდა ფსიქოლოგიურად; მართალია, რუსი იმპერატორის სამსახურს და არისტოკრატიულ სალონებს დამებით და დემუაზელებით ეჩვეოდენ, მაგრამ ლიტერატუ-

რულ-ესთეტიურ კულტურასა და ქართული ნაციონალური ცხოვრების ტრადიციასაც არ ღალატობდენ: ტანჯვით, წვალებით ეგუებოდენ რეალურ პირობებს ახალი ეპოქისას და რაც ცხოვრებას მოჰქონდა, იმას სათავეში ეცნობოდენ.

სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურას თითქმის ჩვენ დროამდე რაღაც შინაური ხასიათი აქვს: საზოგადოება დღემდე ვერ შეეჩვია დაინახოს ლიტერატურაში თავის ყოფა და სული; ქართველი მწერალი განაპირებული და ზედმეტი ბარგია საზოგადოებაში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ლიტერატურა თითქმის არ შორდება ოჯახს: რაც იწერებოდა, იწერებოდა მხოლოდ ვინმეს ხათრით და სადმე ოჯახში წასაკითხავად; მართალია ამ შემთხვევაშიც ლიტერატურა სოციალურ გრძნობებსა და იდეებს ასახიერებდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა ლიტერატურის საზოგადოებრივ მხარეზე, ლიტერატურის სოციალური სულის შესახებ.

ამას უსათუოდ ჰქონდა მნიშვნელობა: ლიტერატურა შინაურებისათვის არასოდეს არ იქნება დამუშავებული ისე, როგორც ფართე საზოგადოებისათვის; როდესაც მწერალი დიდი მასსის წინაშე დგას, იგი გრძნობს სულიერად, მორალურად ვალდებულებას თავისას და გაცილებით უფრო სერიოზულად უყურებს თავის პროფესიას, ვიდრე მაშინ, როდესაც სწერს შინაურებისათვის. მართალია, შინაურ ლიტერატურას ხშირად ინტიმური ხასიათი აქვს, მაგრამ ინტიმობასაც ისტორიული მნიშვნელობა ეკარგება და მასთან ერთად საერთო ღირებულებაც.

სწორედ ამით აიხსნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ლიტერატურა რაღაც ფრაგმენტალური და დაუმუშავებელია, როგორც ფორმისა, ისე შინაარსის მხრივ.

ქართული მეტყველება ამ პერიოდისა სუსტია: ალექსანდრე ჭავჭავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა და თუ გნებავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ენასაც შედარებით დავით გურამიშვილის ენასთან პროგრესი არ ეტყობა. ალ. ჭავჭავაძე პირდაპირი მემკვიდრეა მეთვრამეტე საუკუნის მეტყველებისა და იდეოლოგიის: მის ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ქართული მეტყველების ჩვეულებრივ ფორმას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ესთეტიურ იდეოლოგიათა შენაკადების სინთეზით.

გრძნობის კულტი და ინდივიდუალიზმი

აღმოსავლეთი გრძნობის ქვეყანაა: მხე ახურებს სხეულს და სისხლის ინტენსიური მოძრაობა გულის საშუალებით გონებას ებრ-

ძვის; მთელ აღმოსავლეთის ცივილიზაციას, მის პოლიტიკურ-კულ-ტურულ და რელიგიურ იდეებს იმორჩილებს გრძნობა; აღმოსავლეთ-ში არის რაღაც ფატალური კულტი გრძნობისა და უდიდესი საზო-გადო მოღვაწეები აღმოსავლეთისა უფრო გრძნობით ხელმძღვანელო-ბენ, ვიდრე ინტელექტით.

გრძნობა ყოველთვის უსაზღვრო თავაწყვეტის პრეტენზიაშია; იგი ყოველთვის ებრძვის გონებას. აკი ალექსანდრე ჭავჭავაძე ამბობს:

მგრძნობელობა სჯობს ყოველთ თვისებათ ცით მოვლენილთა,
შვებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს.

ალ. ჭავჭავაძე უარყოფს ნების თავისუფლებას: ადამიანის მე გრძნობას ემონება და თავისუფალი აღარავინაა ამ ქვეყნად:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ!
ერთგზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ.

გრძნობა უდიდესი და უსაშინელესი ძალაა: მას ყველა ემორჩი-ლება, მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია; სიყვარული, როგორც უმშვენიერესი ფორმა გრძნობისა, მეფობს სამყაროში:

სიყვარულო, ძალსა შენსა
ვინ არს რომე არ მონობდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად,
ოხვრას ხარკად არა გცემდეს.
შენგან მეფე მონას ეყმოს,
შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრახვის,
რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს?!

სიყვარულის მონაა მეფე, სიყვარული აგიჟებს ბრძენსა, სიყვა-რული იმორჩილებს ყოველ არსს და ცხადია ბულბულსაც არ ეძრახ-ვის სიყვარულით ვარდს უმღეროს; ვინ იცის, შეიძლება სივრცეში პლანეტებსაც ერთმანეთის სიყვარული აჩერებს და იზიდავს ერთმა-ნეთისაკენ უსაზღვრეობაში? სიყვარული ისეთი დიდი მოვლენაა, რომ არამცთუ ლიტერატურა, არამედ ცხოვრებაც უსიყვარულოდ წარმო-უდგენელია: რა საზიზღარი იქნებოდა ჩვენი ყოფა ყოველდღიური, რა საცოდავი იქნებოდა ჩვენი გონება თავის ფორმულებით და სისტე-მებით, რომ მათ დრო-გამოშვებით არ ამშვენებდეს სიყვარულის რო-მანტიზმი, ილიუზიები და გრძნობის გაალება!

გრძნობა დაუშრეტელი წყაროა კაცობრიობის ბედნიერებისა და უბედურების: გრძნობა ამოძრავებს მასსებს ისტორიაში; გრძნობა

აათრთოლებს ვნებით სავსე ტანებსა და სხეულებს სამყაროში. დასავლეთი ევროპის რაციონალიზმს—გონების ფილოსოფიას ალ. ჭავჭავაძე უპირდაპირებს გრძნობას და გრძნობის ფილოსოფიას; მშვენიერია გონებისა და გრძნობის დიალოგი:

გონება ესრეთ ჰშთასძახის ხმითა მრისხანით, მყარითა,
ნუ ჰღუპავ თავსა, ნუ ჰღუპავ მაგა სენითა მწარითა!
ხოლო გული კი ესრეთ ჰბმობს, ღმობითა სიტყვა წყნარითა:
შენ მას ნუ უსმენ, იხარე სიყვარულითა მტკბარითა!
ცუდათ წარადგენს გონება მუნ თვისთა ბრძნულთა თათბირთა,
სადაცა გული მმართველობს, თვით იპყრობს მისთა ადგილთა,
იგი არს მაშინ ხელმწიფე, განმგე ყოველთა წადილთა...

ალ. ჭავჭავაძე გრძნობას მიყვება ბოლომდის და იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც სამარადჟამოდ გამართულია გონებისა და გრძნობის შორის, იგი ყოველთვის გრძნობას იცავს:

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა,
ბრძენი სულ სიკვდილსა ჰფიქრობს
და ლოთი გამარჯვებასა...

აქ, ისე, როგორც გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში, ღვინოს ხსენება მეტად ვულგარულ ხასიათს აძლევს მშვენიერ აზრებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ალ. ჭავჭავაძის სიტყვები საინტერესოა თავის გარკვეული შინაარსით და ფილოსოფიით, რომელიც მოგვაგონებს რუსოს ფილოსოფიას; ჟენეველი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო ქადაგებდა გრძნობის უპირატესობას და ერთდროს რუსოს სიტყვებმა დიდი გავლენა იქონიეს ისეთ მშრალ ინტელექტუალისტზე, როგორც იყო კანტი. ამბობენ: კანტმა ბევრი ადგილი თავის ნაწერებში გადააკეთა რუსოს გავლენითო. გრძნობას გაუწიეთ ანგარიში აღზრდის დროსო,—ამბობდა რუსო და ამ სიტყვებით იგი ილაშქრებდა ისტორიული რაციონალიზმისა და ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ.

რუსოს სიტყვები რევოლიუციონურ მანიფესტად მოევლინა დასავლეთ ევროპის ლიტერატურას: რომანტიკოსებმა ამ სიტყვებზე ააშენეს თავიანთი იდეოლოგია ინდივიდუალიზმით და სევდით.

გრძნობის აპოლოგია მეობის პრობლემასთან არის დაკავშირებული: თავის გრძნობით და მგრძნობელობით ადამიანის „მე“ უპირდაპირდება სამყაროს, ისტორიას, მის ცვლილებებს; დრო მიდის, რაც იყო, აღარ არის, მაგრამ „მე“ ადამიანისა იგივეა, რაც იყო: იგივეობა „მე“-ში და ცვლილება სამყაროში შეადგენენ წუთისოფლის

ტრაგედიას; ალ. ჭავჭავაძე ეხება ამ საკითხს ლექსებში „ვაჲ, დრონი, დრონი“:

ვა, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად
წარილტვნენ, განქრნენ სიზმარებრ ჩქარად!
მე იგივე ვარ მარად და მარად,
არ ვსდევ ჟამთა ცვლას.

საკითხია: რაოდენად ადამიანი არ სდევს ჟამთა ცვლას? თუ დრო იცვლება, დროსთან ერთად იცვლებ ადამიანიც, მაგრამ ამ ცვლილებაში საშინელი ტკივილებია. დრო იცვლება, დროსთან ერთად სოციალური ყოფის სული და წყობა, მაგრამ ადამიანი ხშირად დიდ ხანს ატარებს თავის გულში წარსულის სახეებს, იმას, რაც ოდესღაც იყო და აღარ არის; სულს შეუძლია თქვას:

არ ვსდევ ჟამთა ცვლას:
მე იგივე ვარ მარად და მარად.

აქ ამართულია მთელი ფილოსოფია რომანტიული ინდივიდუალიზმისა ამაყი მეობით და ადამიანის ცხოვრების ტრაგედიით; „ვა, დრონი, დრონი“ იშვიათი ფორმულაა რომანტიზმისა და მისი ინდივიდუალიზმის.

აქვს თუ არა იგივეობას ადგილი საერთოდ ცხოვრებაში? არის თუ არა ყოფა სხვადასხვა დროს ერთი და იგივე? ამის შესახებ მეცნიერები შეთანხმებულნი არ არიან: ზოგი ამბობს: იგივეობა არსებობს, ზოგი კი უარყოფს იგივეობას.

ჩვენი აზრით იგივეობას ადგილი არ აქვს ცხოვრებაში: ცხოვრება არ იმეორებს მთლიანი იგივეობით თავის შინაარსს და ფორმას; რაც იყო, აღარ გამეორდება და რომანტიკოსები ხომ ამიტომ იტანჯებიან: ვერ ხედავენ იმას, რაც იყო და ტირიან; იქ, სადაც ოდესღაც მშვენიერება და ცხოვრება იყო, მხოლოდ მტვერი, ნანგრევები და ხავსია.

წარსული და სევდა

„გოგჩის ტბა“.

პოეტი სავსე ოცნებით და ილიუზიებით იხედება გოგჩის პირას: ტბა ვრცელი „ხმოანებით ზღვისა ამბაძავი, დრო-გამოშვებით ზვირთთა აღქაფებით ღელავს მრისხანედ“:

ზოგჯერ ვით ბროლი გულუბრყვილო, წმინდა, უძრავი.
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.

აი, ამ ტბის გარშემო ოდესღაც „ყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“, დღეს კი აქ არის „უდაბურება, მდუმარება, არარაობა“: „თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ“. აქ ყო-

ფილა ტაძარი, სადაც მეფეები მოწიწებით იდრეკდენ მუხლთ, სადაც ესმოდათ ღვთის დიდება მორწმუნეთა და „ცისა მიმართ გრგვინვიდან ხმანი ფსალმუნთა“. დღეს ამ ნანგრევებში ისვენებენ პირუტყვები, ნადირები; ზოგჯერ გამვლელები შეაფარებენ თავიანთ საქონელს... აქვე ყოფილა თურმე წინად სავაჭრო მოედანი, სადაც „სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა პირსა ქვეყნისასა ამა საქმით ადრივ ცნობილან“.

აქ ყოფილა ცხოვრება, მოძრაობა, ვაჭრობა, ღვთისმსახურება, სილამაზე, სიყვარული, ალერსი. დიდი ქალაქები და სავაჭრო მოედნები ტბის გარშემო გაშენებულიყვნენ; მეფეები დაბრძანდებოდენ, მდიდრულად მორთულნი, თავიანთ სასახლეებში. ბანოვანები მათ ეალერსებოდენ; აქვე ცდიდენ ოდესღაც საუკეთესო მხედრებს თავიანთი ტაიჭებით, ჯირითით და ისართ სროლით

ამ დიდებიდან და ცხოვრებიდან დარჩენილა მხოლოდ ნანგრევები და ხავსი: რაც იყო ოდესღაც, აღარ არის და სევდა წარმავალობისა აწუხებს პოეტის სულს; ეგრე ბოლო ეღება ყველაფერს, რაც არსებობს ამ ქვეყნად და ცხოვრებას არა აქვს არავითარი აზრი გარეშე წუთების დაჭერისა და დროს ტარებისა, გარეშე carpe diem-სა.

„გოგჩის ტბა“ წააგავს საუცხოვოდ „მანფრედი“-ს ერთ ადგილს: შუალამისას მანფრედი ზის რომის ნანგრევებში ერთ-ერთ ქვაზე და მწარე ფიქრებში იგონებს კაცობრიობის წარსულს, მთვარე ქურდულად მიიპარება ღრუბელთა შორის, სივრცე ვარსკვლავიანი გაშლილია უსაზღვროდ და დიდი არისტოკრატი ფიქრობს რომის წარსულ დიდების შესახებ; შორიდან დროგამოშვებით მოისმის ძაღლის სევდიანი ყეფა, თითქო პირუტყვი გლოვობს არსებობის წარმავალობას; ეგრე სევდიანად დადიოდენ ევროპის რომანტიკოსები და იდეალისტები ძველ ქალაქებში და იგონებდენ წარსული ცხოვრების დიდებასა და მშვენიერებას, სილამაზესა და სიხავსეს... ქართველი არისტოკრატებიც წარსულს დატირიან: ზოგი გოგჩის ტბის პირას, ზოგი ბეთანიის ეკლესიაში, ზოგი მთაწმინდაზე.

წარსულის გლოვა და ცრემლებით მოგონება რომანტიზმის თვისებაა: სული, შეყვარებული თავის მდგომარეობას, ტირის, როდესაც ისტორია ასაფლავებს მდგომარეობის სოციალ-ისტორიულ წყობას:

„წყეულ არს ის დრო, როს სამკვდრო დავკარგეთ კრულნი!
გვძლია სოფელმან ხელმყოფელმან, აწ გვაგო შურნი“...

ქართულ ლიტერატურაში ალ. ჭავჭავაძე იწყებს რომანტიული სევდის ეპოქას: შეიძლება ალ. ჭავჭაძემ ვერ გადალახა ეროვნულ-ის-

ტორიული საზღვრები შემოქმედებისა, შეიძლება ალ. ჭაჭავაძის ნაწერებში მოლიანად ქართული სული ვერ აიწია მსოფლიო სევდის სიმაღლემდე, მაგრამ დასაწყისი ამ გრძნობის ქართულ ლიტერატურაში გვაქვს—ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“-ში. იდეა რღვევისა და წარმავლობის სევდა პირველად ქართველმა „გოგჩის ტბი“დან ამოიკითხა: ეს მშვენიერი ლექსი როგორც ფორმით, ისე შინაარსით დიდხანს დარჩება შედევრად ქართულ ლიტერატურაში.

მტაცებლობა და უსამართლობა

„ვაჲ სოფელსა ამას“ ..

ალ. ჭავჭავაძე განსაკუთრებით საყურადღებოა როგორც პოეტი სოციალურ გრძნობათა და იდეათა: არსებობის ტრაგედიას და ცხოვრების უკუღმართობას საერთოდ ალ. ჭავჭავაძე უკავშირებს ეკონომიურ უთანასწორობას, მტაცებლობას და ხვეჭას; ჩაგვრისა და ტანჯვის გრძნობა ახასიათებს ადამიანის ყოფას: წუთისოფელი ადამიანებით ბოროტებისა და სიცრუის ჭურია:

„ვაჲ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტების და სიცრუის ჭურთა,
კეთილმოყვრების დათრგუნვის მსურთ, უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
იქ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულით,
სძრახვენ კეთილმომქმედ შურით შემკულნი,
ზოგნი არიან გამდიდრებულნი,—
განა რითა ძმაო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

საკვირველია, რომ დიდი ფეოდალი, არისტოკრატი, თავადიშვილი, ეკატერინე მეორეს ნათლული, რომელიც თავის მეტრიკით და სოციალური მდგომარეობით დაშორებულია ჩაგვრას, რომელსაც აქვს ყოველგვარი საშუალება დაიკმაყოფილოს თავის ინდივიდუალური მოთხოვნილებები, ეგრე ლამაზად და გულწრფელად განიცდის უსამართლობისა და მტაცებლობის საშინელებას: რომანტიკოსები საერთოდ, გარდა ბაირონისა, დემოკრატიულ და რევოლუციონურ იდეებს ერიდებოდენ, მათ უფრო აინტერესებდა უსამართლობა ზოგადი, კოსმიური ხასიათისა, წარმავალობის იდეა და ამაოება; ალ. ჭავჭავაძე პირდაპირ და გარკვევით ლაპარაკობს წართმევისა და ეკონომიური უთანასწორობის შესახებ: მართალია, აქიდან რევოლიუციონურ დემოკრატიზმამდე კიდევ შორს არის, მაგრამ ერთგვარი პროტესტი არსებული წესწყობილების წინააღმდეგ უსათუოდ გვაქვს ალ. ჭავჭავაძის ზემოდ მოყვანილ სიტყვებში: დანამდვილებით ისტორიუ-

ლად არ ვიცით, როგორ და რამ გამოიწვია ალ. ჭავჭავაძეში სურვილი შეხებოდა სოციალური უთანხმოების პრობლემას, შესაძლებელია თვითონ მივიდა ამ იდეამდე საკუთარი განცდებით და დაკვირვებით, მაგრამ ევროპის გავლენას აქ, ცხადია, აქვს ადგილი, თუმცა ბაირონის გავლენაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვინაიდან ბაირონი მაშინ არ იყო ცნობილი თავის სოციალ-ანარქიული იდეებით. სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნება—ვიფიქროთ გავლენა სენ-სიმონელებისა და თვით სენ-სიმონისა, რომელიც მაშინდელ ევროპაში დიდ მოდაში იყო.

ყოველ შემთხვევაში პირველი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედებას სხვათა შორის ახასიათებს სოციალ-ეკონომიურ პრობლემათა განცდა, გულწრფელი უარყოფა ჩაგვრისა და მტაცებლობის, იდეა თანასწორობისა და სამართლიანობის. შეიძლება, ეს აიხსნება წმინდა ქართული, რუსთაველური სულის კეთილშობილებით, შეიძლება ალ. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში ალაპარაკებდა არა რომელიმე ევროპიელის სიტყვები, არამედ ავთანდილის კეთილშობილებით სავსე ანდერძი:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“.

ალ. ჭავჭავაძე თავის სოფლგაგებით და განცდებით ეკუთვნის საქართველოს კულტურის გადატეხის პერიოდს: ქართული სული, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იკვებებოდა ირანული ცივილიზაციით და საერთოდ აღმოსავლეთის გავლენით, შინაგან წყობაში სხვაფერდება; საზოგადოებრივი და კულტურული სფერო ქართული ცხოვრებისა იცვლება: მეტყველება, ზნე-ჩვეულებანი, ჩაცმა-დახურვა, ურთერთობა სოციალურ-ოჯახური ხასიათისა—ყველაფერი სხვაფერდება, ქართული სული იცვლის თავის ისტორიულ ტანისამოსს და განცდები, ჩაწყობილნი აღმოსავლეთის ესთეტიურ-ფილოსოფიურ და მორალურ ფორმულებში, ხელახლა ეწყობიან სხვა სახის იდეოლოგიურ ჩარჩოებში, სხვა ესთეტიურ-მორალურ ფორმულებში: სპარსეთის გავლენას ცვლის რუსეთის გავლენა და რუსეთის საშუალებით ევროპას უახლოვდება საქართველოც: ფრანგული კულტურის სუბტილური, ესთეტიურად თავისებური და მომბიბლავი წყობა იტაცებს ქართულ სულსაც; ვერსალისა, ვოლტერისა და რუსეთის გავლენა აფართოებს თავის არეს. რუსეთის საშუალებით ქართულ მწერლობაშიც შემოდის ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის გავლენა: ალ. ჭავჭავაძე იცნობდა ენციკლოპედისტებს, იცნობდა ვოლტერსაც: ალ. ჭავჭავაძემ ვოლტერს ლექსიც უძღვნა, თუმცა ამ ლექსში არ არის გამოსახული გარკვეული იდეა, გარკვეული ფორმა ქართულ და ფრანგულ სულთა ურთერთობისა.

მთლიანად ალ. ჭავჭავაძე როგორც პოეტი და როგორც შემომქმედი ხასიათდება თავის ეპოქის საზოგადოებრივი შეხედულებით: ის პატარა წიგნაკი, რომელიც დაგვიტოვა ალ. ჭავჭავაძემ, არ არის საკმარისი, მივაკუთვნოთ მას დიდი პოეტის სახელი, მაგრამ ეს სავსებით საკმარისია ჩვენ დავახასიათოთ ის საზოგადოებრივი სოფლმხედველობა, რომელიც ლიტერატურას უყურებდა როგორც დროს გასართობ მასალას, რომელთან მწერალს ჰქონდა ფსიქოლოგიური კავშირი მხოლოდ შემთხვევითი ხასიათისა და რომლის გავლენით აიხსნება პოეტის ლექსთა კრებულის ოდენობა და შინაარსის ღირებულება. ჩვენი დრო ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას გადაჭარბებული პატრიოტიზმით და კულტურული ეგოცენტრიზმით ვერ შეხედავს: მართალია, ყოვლად შეუძლებელია მოეთხოვოს ერთ მწერალს ის, რაც მეორეს მოეთხოვება, რადგან ყოველ მწერალს თავის შემოქმედებითი პოტენცია აქვს, თავის საკუთარი ტემპერამენტი და ინდივიდუალური ძძლეობა, მაგრამ, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილს მეტად შევიწროებულ ყოფაში შეეძლო იმის გაკეთება, რასაც გვაძლევს მის მიერ დატოვებული პოემა „ბედი ქართლისა“ და ფილოსოფიური ლექსები, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიკითხოთ: რას აკეთებდენ ბედნიერი არისტოკრატები—ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი თავიანთ ცხოვრების სოციალურად და ეკონომიურად უზრუნველყოფილ გასაქანზე?

გრიგოლ ორბელიანი

სოციალური არე

გრიგოლ ორბელიანი თავის მოღვაწეობით ეკუთვნის იმ პერიოდს ქართული კულტურისას, როდესაც მტკიცდებოდა კავკასიაში რუსეთის მონარქიული რეჟიმი; სწორედ გრიგოლ ორბელიანის დაბადების წლიდან რუსეთის ჩინოვნიკურ-კანცელიარული ცხოვრება მტკიცდება საქართველოში: მართალია, საქართველო შეუერთდა რუსეთს 1783 წ., მაგრამ ფაქტიურად ქართული კულტურის თვითარსებობითი მიმდინარეობა ათითხუთმეტი წელი კიდევ გრძელდებოდა და მთელი სიმძიმე და სიმწვავე იმპერატორული რუსეთის ბატონობისა საქართველომ იგრძნო პირველად მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში; შინაგანი წყობა ქართული კულტურისა შეიცვალა რუსეთის გავლენით და ქართული ცხოვრების სტილიც გადასხვაფერდა; შეირყა ისტორიული და სოციალური ფენა ქართული სულისა; პირველი ტკივილები ამ შერყევისა, რომელიც განიცადა ინტელიგენციამ, გამოისახა 1832 წ-

შეთქმულებაში. ცხადია, მიზანი ამ შეთქმულებისა იყო ქართული კულტურის რესტავრაცია და კლასი, რომელიც წინ მიუძღოდა ამ შეთქმულებას, იყო საქართველოს ფეოდალური არისტოკრატია — ქართველი თავად-აზნაურობა.

1832 წ. აჯანყება უნდა მომხდარიყო ქართველი თავადების მეთაურობით, მაგრამ ეს სრულებით არ უკარგავს ამ აჯანყებას ეროვნულ ხასიათს: რაოდენად ქართველი ფეოდალები გამოსახავდენ ქართული კულტურის სულსა და აზრს, იმდენად 1832 წ. შეთქმულება იყო ეროვნული, ვინაიდან მაშინ საქართველოს არ ყავდა არც ერთი სხვა ჯგუფი, გამომსახველი ეროვნული სულისა, ქართველი თავადაზნაურობა ქართველი ხალხის სოციალ-ისტორიულ ზრახვებსა და იდეალებს ამჟღავნებდა.

ამრიგად ფ ა რ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს შეთქმულება ატარებს ისტორიულად ორ დიდ იდეოლოგიურ თვისებას: ე რ ო ვ ნ უ ლ ს და კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ - ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი უ ლ ს; შეთქმულებაში ერთი მხრით ისახება უკმაყოფილება ქართული ეროვნული სულის, მეორე მხრით გამბედაობა და ფსიქოლოგიურ-მორალური სისუსტე ფეოდალური არისტოკრატიისა. შეთქმულებაში არის ისტორიულ-პატრიოტული მომენტი, არის აგრეთვე მომენტი, მაჩვენებელი კლასობრივი პრეტენზიების და ინტერესების.

ფსიქოლოგიურად ქართული რომანტიზმის პირველ მოციქულებს ალ. ჭავჭავაძეს, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს ეს გაორება ეტყობათ შემოქმედებაში: რაოდენად მათი კლასობრივი და არისტოკრატიული ინტერესები კმაყოფილდებოდენ მონარქიულ-ჩინოვნიკური ცხოვრების იერარქიებით და სტილით, იმდენად ქართულ ეროვნულ-რომანტიულ ნაღვლიანობაში შემოდიოდა ერთგვარი ოპტიმისტურ-მეშჩანური ტონი; დამახასიათებელია ამ მხრივ სწორედ გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ყველაზე ადრე შეეგუა რუსეთის ბატონობას საქართველოში და რომლის პოეტურ სულში ნათლად იხედება დროგამოშვებით ჩინოვნიკური ყოფის „ბლაგოპოლუჩიე“.

ამით აიხსნება ის, რომ გრიგოლ ორბელიანი იტევს თავის ინდივიდუალობაში ყოველთვის შეურიგებელ წინააღმდეგობებს: მასში ერთი მხრით მოჩანს ადამიანი, რომელსაც თამამად შეუძლია ადიდოს ნიკოლოზ პირველი — ყველაზე უფრო რეგვენი და ბარბაროსი მეფე რუსეთისა, მეორე მხრით — პატრიოტი, რომელიც ოცნებობს ქართული კულტურის სოციალ-ისტორიული წყობის რესტავრაციაზე.

საკვირველია გრიგოლ ორბელიანის პოეტური სული როგორ მოხერხებულად და ვირტუოზულად ატარებს თავის ხანგრძლივ ცხოვ-

რებაში ორ სხვა და სხვა გრძნობას — გრძნობას არისტოკრატიულ-სალონური კეთილყოფისას და პატრიოტულ-რომანტული სევდისას. 1829 წ. გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოოზ პირველის სადიდებლად წერს თავის „სადღეგრძელოებში“ შემდეგ სიტყვებს: „თამარის დღენი, დიდების დღენი შენ მოუვლინე შენსა ივერსაო“ — ხოლო ამავე წელს შედის ფარული საზოგადოების ასოციაციაში და იწყებს ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ.

ძალა-უნებურად იჭვი გეპარება პოეტის იდეალურ-რომანტიულ ზრახვებში: გარკვევით გრძნობთ, რომ გრიგოლ ორბელიანის პატრიოტიზმში შედის დიდი დოზა კლასობრივ - ინდივიდუალისტური სოფლმხედველობისა და ესთეტიკის, გრძნობთ რომ აქ თქვენ საქმე არა გაქვთ დიდ პატრიოტთან; თქვენ წინაშე დგას ქართველი ფეოდალი თავის ფეოდალურ-არისტოკრატიული ინტერესებით და სოფლმხედველობით.

დამახასიათებელია ამ მხრივ პოემა „ლხინი“, სადაც ქართველი პოეტი იძლევა ფეოდალური არისტოკრატიის განცდას ისტორიული დეზასტრების მომენტში; მართალია „ლხინი“ ფორმის მხრივ სუსტი ნაწარმოებია: სიტყვათა წყობა ამ პოემისა მეტად ბლაგვია, მაკრამ, მიუხედავად ამისა, შინაარსი მისი ღირსია დიდი ყურადღებისა; პოემაში გალექსილია ფეოდალური კულტურის დიდება და სული — არისტოკრატიული ინდივიდუალიზმის სოფლმხედველობა.

ფეოდალურ - არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი

„ლ ხ ი ნ ი“

ომის შემდეგ ჯარი გამარჯვებული მოილხენს: ომი შესწყდა; დადუმდა არე, სადაც წინად ჰქუხდა ბრძოლა; ღამეს ანათებს მთვარე, ირგვლივ სიჩუმეა; ჯარი მოუჯდება ცეცხლს და სვამს ღვინოს:

... ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
ლხინით, შექცევით გულნი აღგვიგზნე!
გულის ჭირთ მდევნო ნიჭო ციერო,
ვინ არს, რომელ გსვა და არ ალხინე?

აქ გრიგოლ ორბელიანი ნამდვილი მემკვიდრეა იმ მწერლებისა, რომელთაც შემოიტანეს საქართველოში სპარსული ხორციელი ლოთობისა და ღვინის სმის კულტი: პოეზია აქ ფიზიოლოგიაში გადადის და პოეტი ღვინოს უწოდებს „ციურ ნიჭს“. სიმართლე უნდა ითქვას, გაუგებარია რას ეძახის პოეტი „ციურ ნიჭს“? ნუთუ ციური

ნიჯი“ მას ჰგონია ლოთის განცდა და ბოდვა?—ეს წმინდა სპარსული გაგებაა ექსტაზისა—გაგება მეტად ტლანქი და ფიზიოლოგიური ხასიათისა.

ჯარი სვამს ღვინოს და იძახის:
ძმანო, აღვავსოთ ფიალა
წინაპარო მოსახსენებლად,
რომელთა დასდვეს სიცოცხლე
მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების
სხივს მოგვფენს გასამხნევებლად,
რომელთა სული მაღალი
ჩვენც მიგვიზიდავს ცად მაღლად.

ღვინოს სმა და ლოთობაში წინაპრების მოგონება ქართული ტემპერამენტის დამახასიათებელი კი არიან, მაგრამ აქაც ჩანს რაღაც მეტად ვულგარული შერიგება პატრიოტული გრძნობისა და ღვინის დალევის; ასეთი ვულგარიზმი პატრიოტიზმის გაგებაში გრიგოლ ორბელიანს აქვს კიდევ ლექსში „იარალის“, ხოლო „ლხინ“-ში იგი იძლევა ამ ფიზიოლოგიური პატრიოტიზმისა და ისტორიული დიდების განსახეობას: ქართველი ფეოდალი, ნახევრად მთვრალი, ალბად ამაყ პოზაში, ლეკურზე რაინდულ ხელდადებით, იყურება ვარსკვლავიან სივრცეში და მღერის:

ეს ვინ გამოჩნდა? ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუთუ ვეღარა უცვნია შვილი
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?
შენ, ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობასა წესი და ძალი:
და ივერიის აღჩნდა მეფობა
და გაძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!
ქრისტეს ნათელით განათლებული
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარემორტყმული
შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით!

და განქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო სცნეს მუნ ცხოვრება!...

შემდეგ პოეტი იგონებს გორგასლანს, რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდენ; იგონებს „მხედართ მთავარს უძლეველს, გულმოწყალე მსაჯულსა, ზეჩაგონებით განსწავლულს, ენამდინარე მეტყველსა“—დავით აღმაშენებელს, რომელმაც ააშენა ქალაქები და ხმლით შემოხაზა დიდი საქართველოს საზღვრები. გრიგოლ ორბელიანი განაგრძობს თამარ მეფის შესახებ:

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
საროტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარცა ღმერთი მშვენიერების,
ქველმოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მადლის მშვიდი და წყნარი
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!
სხივცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!
მის დროშას მოჰსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი,
მხედართმთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი ლომებრ გულადი“!

პოეტს სურს აგრძნობინოს მკითხველს ქართველი მეფეებისა და ქართული ფეოდალური კულტურის ძლიერება: იგი იძლევა მეტაფორულ ენაზე სურათს ქართული კულტურის ცენტრალიზაციისას:

თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქართლელი
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით!...
თამარი ლოცავს ჯვარითა,
ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის,
უსაზღვროება წყალობით!...

ამ სიტყვებში გამოსახულია ქართული სულის და კულტურის ისტორიული გაშლილობა: საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართველი ლაშქარი სხვადასხვა ტანისამოსით და გამომეტყველებით დიდუბის მიდამოებში შეყრილა, ქართველი პოეტი გატაცებით აგვიწერს ამ ყრილობის სტილს და ფერადობას შედუღებულთ ერთმანეთთან ნაციონალური ძლიერებით და გამარჯვებით. გრიგოლ ორბელიანს აგონდება ქეთევან „ნაზად აღზრდილი, ხორცგადაგლეჯილი შანთებით, მკერდზედა ცეცხლანთებული, სულის სიმაღლით და დიდებით“ სახელგანთქმული; აგონდება ნათელი გვირგვინით შემოსილი გმირები კახეთის ელიზბარი, შალვა, ბიძინა და სხვა; აგონდება ერეკლე მეფე, რომლის „ხმალსა მღელვარეს ველარ იხილავს აწ საქართველო და რომელთან ერთად მარხია დიდება ივერიისა“.

გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

ასეთია ისტორიული პოეტიზაცია ქართველი ფეოდალისა და არისტოკრატის: გრიგოლ ორბელიანს, დამარცხებულს პოლიტიკურ ბრძოლაში, დარჩენია მხოლოდ თავი ინუგეშოს საქართველოს წარსულის მოგონებით, ქართველი გმირების ლამაზი თავგანწირვით, ბრძოლით: პოემა „ლხინი“ ნამდვილი აპოლოგიაა წარსულის თაყვანისცემისა და გმირის კულტის; ამ აპოლიგიაში ქართველი არისტოკრატი ხედავს ცხოვრების აზრს და პათოსით გაიძახის:

ეჰ მამულო სასურველო,
ვინ გახსენოს რომ მის გული
არ ათრთოლდეს?...

გრიგოლ ორბელიანი წარსულთან ერთად გადაავლებს რა თვალს საქართველოს მიწა-წყალს, აგვიწერს მის სილამაზეს, მის მიდამოს:

სად ველნი ფერით ზურმუხტნი
ნაზადა ამწვანდებიან,
მათზე კასკასით წყარონი
გახარებულნი მორბიან;
მათ სიკამკამეს ყვავილნი
თავდახრით განცვიფრდებიან;
გულს მათი ხილვა უხარის,
თვალთ კვალად ენატრებიან!
სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შავის ბედისა!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მოყვარე თავის მიწისა!...

ამრიგად გრიგოლ ორბელიანის წინ იშლება საქართველოს წარსული თავის დიდებით, გმირობით, მეორე მხრით საქართველოს ბუნება გულადი და პურადი ხალხით.

პატრიოტიზმი

„იარალის“, „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“

პატრიოტიზმი შეადგენს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების მთავარ თვისებას და თითქმის ყველა მის ნაწარმოებს ეს თვისება ეტყობა. მაგრამ განსაკუთრებით პატრიოტიზმის იდეა გამოსახულია ორ დიდ ლექსში: „იარალის“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ლექსი „იარალის“ ლამაზად და განცდით დაწერილია; ამ ლექსში გაცილებით უფრო ლამაზი ფორმაა მოცემული ქართული თქმისათვის, ვიდრე „ლხინ“-ში. „ლხინ“-ში მეტყველება რიტორიულია და მშრალი, „იარალის“-ში კი ლამაზი და რიტმიული, ხოლო „იარალის“-იც იწყება სამწუხაროდ იმ ფიზიოლოგიური პატრიოტიზმით, რომლითაც იწყება „ლხინი“; „იარალის“-იც სმისა და ჭამის ესთეტიკით შედის პატრიოტულ განცდაში:

„ჩემო იარალი! ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს;
ჩვენებურადა, ძველებურადა,
ეჰსვამდეთ, ვიძახდეთ: არი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით
მადასა განგვიღვიძებდეს.
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდენ წინ სუფრას.
ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს!..
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი
ლომგულნი გმირნი
ჰბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.
გისმენდე თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი
მტერთ საძიებლად დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.

ჯეირნის მწვადი შიშინით, კახურის ღვინით აღვსილი აზარფეშა, მოთალი, თევზი, მწვანილი (წითელი ბოლოკი ალბად), სუფრა გაშლილი—აი რა აგონებს გრიგოლ ორბელიანს სამშობლოს! მხოლოდ ამის შემდეგ ის ლაპარაკობს—„ცა მშვენიერი, ცა მშობლიური"-ო, მაგრამ ორი სტრიქონით ქვევით ისევ „ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს"-ო... ეს გაძღომისა და კუჭის პატრიოტიზმია! აქ მთელი ბოტანიკაა და ფიზიოლოგია კვებისა; ამაზე უარს ლუარსაბ თათქარიძეც არ იტყოდა: რა აქვს ასეთ პატრიოტიზმს საერთო ფილადელფოს კიკნაძისა და სოლომონ დოდაშვილის პატრიოტიზმთან? განა ეს კეთილშობილი რაინდები ქაროული ცივილიზაციისა ოდესმე გაურევდენ ერთმანეთს გაძღომისა და პატრიოტიზმის გრძნობებს? მართალია კაკობრიობა „კუჭისათვის" იბრძვის, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის თქმაში კუჭისა და ფიზიოლოგიური განცდის ფორმა ისე ტლანქად არის გამოსახული, რომ სრულებით არ ეგუება

რომანტიზმის იდეოლოგიას ევროპიული გაგებით. გრიგოლ ორბელიანი დანატრის მათ, ვინც თვის სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად, და იგონებს ჩვეულებრივად ისტორიულ ბრძოლების სურათს:

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ფრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა,
კვალად ზეხტომა და ხმალთ კრიალი;
ზოგი არწივსა,
ზეცას მფრინავსა,
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა.

ეს ადგილი მეტად ლამაზი ადგილია და მოგვაგონებს პუშკინის პოემის იმ ადგილს, სადაც დახასიათებულია „Полтавский бой“; გრიგოლ ორბელიანი აქ თვით განიცდის ბრძოლის ესთეტიკას და არა მარტო სიტყვებში, ბგერათა წყობაშიაც გვაძლევს მებრძოლთა ფსიქოლოგიას თავის რიტმით და შინაგანი ღელვით.

სამწუხაროდ ამ მშვენიერი სიტყვების გაგრძელებას შეადგენს ისევ კვებისა და სმის ბრუტალური გრძნობა, მოკლებული ყოველგვარ რომანტიკას:

სად აზარფეშა? სად არს მწვანილი?
ღვინის წილ — კვასი...

და სხვა... ჩრდილოეთში პოეტი სწუხს, რომ მოკლებულია კახურ ღვინის დალევის საშუალებას,—სწუხს, რომ არა აქვს მწვანილი და სვამს მხოლოდ კვასს. ასეთია თავის შინაარსით ეს ლამაზად დაწერილი ლექსი და იქაც მოჩანს დიდი ფეოდალი არისტოკრატიულ-ამირანული მადით.

„იარალის“ დაწერილია 1834 წ. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ 1877 წ. ეტყობა პოეტი სულით უფრო დაწმენდილია; „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მშვენიერი ლექსია როგორც შინაარსით, ისე ფორმით; პოეტი უმზერს თამარ მეფის სახეს, შვენებით სავსეს, სახიერებით განსხივებულსა:

„მიხარის — გიმზერ!
ვჰსწუხვარ — და გიმზერ!
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე...

გრიგოლ ორბელიანს უხარია, რომ საქართველოში იყო თამარ მეფე; მაგრამ სწუხს, რომ აღარ არის:

ყვავილოვანი
წალკოტი შენი
შენის დიდებით სხივმოკლებული
აღარა შვენის,
აღარ გვიბრწყინვის...

გრიგოლ ორბელიანი იგონებს თამარის დროს გულის გასამაგრებლად: ერის დაცემისა და წახდენის ჟამს წარსული ერთად ერთი ნუგეშია რომანტიკოსებისათვის; ქართველი პოეტიც აქ ინუგეშებს თავს და იმედს ისახავს, რომ ოდესმე ივერია დადგება ერად სხვა ერთა შორის, „წმიდით საყდარით", „ენით მდიდარით", „სწავლისა შუქით განათლებული", იმედს ისახავს, რომ ოდესმე საქართველოში კვლავ გამტკიცდება „სიტყვა ქართული რუსთაველისა".

მაგრამ ცოტა დაფიქრების შემდეგ პოეტი ისევ ივსება პესიმიზმით და მწარე განცდებით:

...ვა თუ რაც წახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი?

გრიგოლ ორბელიანს ეზიზღება ცრუ, დაუნდობელი ქვეყანა, სადაც ყველაფერი იცვლება და მარადიული არა არის რა. პოეტი ხედავს უდაბურს ტყეში დარღვეულ ტაძარს და მშვენიერი მეფის დაცრეცილ სახეს. წარმავალობისა და სევდის გრძნობა იპყრობს გრიგოლ ორბელიანის სულს: სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული წარსულის დიდებით და აწმყოში სევდით თავდება.

ბადატეხის გრძნობა და დემოკრატიზმი

„პასუხი შვილებს", „მუშა ბოქულაძე"

გრიგოლ ორბელიანი იყო მოწმე ქართული კულტურის ევოლიუციისა თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში; ნიჭიერი პოეტი კარგად ამჩნევდა როგორ იცვლებოდა ფსიქოლოგიური ჰაერეთი მის გარშემო—ამჩნევდა, რომ ქართული კულტურის ისტორიულ სულს ცხოვრების არენიდან დევნიდა ახალი თაობა მეტყველებისა და აზრის ახალი წყობით; დიდი ფეოდალი და პოეტი, შეყვარებული ძველ სა-

ქართველოს, მის ყარაჩოღულ ყოფას და სტილს, სპარსულ გემოვნებას, ვერ ეგუება შვილების იდეოლოგიას.

„ვაი ჩვენს იმედს, ვაი თქვენს მოსვლას“! - ეუბნება გრიგოლ ორბელიანი ქართველ მამების სახელით იმ ახალ თაობას, რომელსაც საქართველოში შემოაქვს ახალი ფორმა ქართული მეტყველებისა და აზროვნების, რომელიც კრიტიკულად უყურებს რელიგიას, ეკლესიას, ტრადიციას.

ჰე სასურველო
გმირთა მამულო!
ნუ თუ შენ მართლა ესრეთ დამცირდი
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა
დაეხელმწიფნენ ცრუპოეტები,
ცრულიბერალნი,
პატრიოტები:
მესხი, მეველე, მელიქალები?!

სასოწარკვეთით იძახის გრიგოლ ორბელიანი და ამ სიტყვებში გამოსახულია მთელი ტრაგედია იმ წოდებისა, რომელიც გადის ისტორიიდან მთელი თავის ფსიქოლოგიით და სტილით, თავის სოფლგაგებით და იდეალებით, რომელსაც სოციალურ ცხოვრებაში არ აქვს ნიადაგი, არა აქვს არსებობის საშუალება. გრიგოლ ორბელიანი ასახელებს ახალი თაობის უმეცრებას, უქმობას, არარაობას: ახალ თაობას იგი აბრალებს ენის წახდენას, ურწმუნოებას, ხოლო ძველი თაობა გამოყავს ენისა, საყდრისა და სარწმუნოების დამცველად.

„პასუხი შვილებს“ გამომსახველია იმ იდეოლოგიის, რომელსაც ატარებდა და ჰქმნიდა ფეოდალური არისტოკრატია და რომელიც იყო არისტოკრატიული ტრადიციული გაგებით: გრიგოლ ორბელიანი წინააღმდეგია სიახლის როგორც ძველი თავადიშვილი, რომელსაც შეუთვისებია მთელი თავისი არსებით ტრადიციული წყობა ქართული კულტურისა თავის არქაიზმებით, სპარსულ-ირანული გაბგერებით და თავისებურობით; ევროპიული სიტყვებს და ვოლტერიანიზმი, რომელსაც ქადაგებდა დავით ბატონიშვილი ლიბერალიზმი და სხვა ასეთი გრიგოლ ორბელიანში ირონიას იწვევს; პოეტი ილაშქრებს ქართული კულტურის ევროპეიზაციის წინააღმდეგ მთელი თავისი არისტოკრატიული მედიდურობით: ის, რაც ევროპიდან შემოდის ქართულ კულტურასა და ლიტერატურაში, მხოლოდ „მეველეებისა და მელიქალების“ საქმედ მიაჩნია: გრიგოლ ორბელიანი ანგარიშს არ უწევს, თუ როგორ ერეკება ისტორიის არენ-

დან ცხოვრება ტრადიციას და როგორი სიმძლავრით შემოდის კულ-ტურულ-ინტელექტუალური სხვაობა ქართულ ცხოვრებაში.

„პასუხი შვილებს“ ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი ხასიათის ნაწარმოებია იმიტომ, რომ ქართულ ლიტერატურაში ამ ლექსით პირველად დაისვა ის დიდი საკითხი, რომელიც ყოველ საუკუნეში და ყოველი ხალხის ცხოვრებაში თავისებურად იჭრება და რომელიც წარმოადგენს ზოგად ფსიქოლოგიურ თვისებას ცივილიზაციისას: ბრძოლა ძველისა და ახლის შორის — ბრძოლა მამათა და შვილთა შორის ამოძრავებს მთელს შე-მოქმედებით ევოლიუციას; ახალი ძველს ებრძვის, შვილი მამას ასა-ფლავებს — ასეთია „წესი“ იმ დაუნდობელი, შეუბრალებელი, მკაცრი და ვერაგი ქარიშხალის, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით, რო-მელიც მუდამ სადღაც მიეჩქარება და სიჩქარეში ერთი მხრით აწ-ყობს, ხოლო მეორე მხრით ანგრევს. რაც დღეს მშვენიერია და რი-გიანი, ის ხვალ საზიზღრად და ქაოსად იქცევა: ცხოვრება მარადიული ქორწილია მარადიული გარდაცვალების პროცესში; „ახალი“ „ძვე-ლის“ ნგრევით ხარობს და საზრდოობს. „ახლის“ ბედნიერება „ძვე-ლის“ დაღუპვას ნიშნავს.

საბერძნეთის მითებში მოცემულია სიმბოლო „ახლისა“ და „ძვე-ლის“ შორის ბრძოლის: ზევესი ებრძვის თავის მამას კრონოსს და ართმევს მას ცოლს; პრომეთე ებრძვის ზევესს ცეცხლისა და კულტუ-რისათვის. რუსულ ლიტერატურაში ბრძოლა მამათა და შვილთა შორის დაახასიათა ტურგენევმა რომანში „Отцы и дети“; გრიბოე-დოვის კომედიაში „ვაი ჭკუისაგან“ ისევ მამათა და შვილთა შორის ბრძოლის სურათია გაშლილი: „მამათა“ წარმომადგენელია ძველი ჩინოვნიკი ფამუსოვი თვის ქალალდებით და კანცელიარიით; ჩაცკი თავის ნერვიული სულით და ხასიათით შვილების ფსიქოლოგიას იძლევა; ბრძოლა ჩაცკებსა და ფამუსოვებს შორის შეიცავს მსოფ-ლიო ისტორიას; ყოველ ხალხის ცხოვრებაში ამ ბრძოლას თავისე-ბური ფორმა აქვს ყოველ საუკუნეში.

საქართველოში მამათა და შვილთა ბრძოლა თავისებური და მწვავე იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში: მამების სული, აწყობილი სპარსულ-ირანული სტილით და ფეოდალურ-არისტოკრა-ტიული ყოფის რეფლექსებით, ვერ ეწყობა ორგანიულად შვილების სულს, აწყობილს ევროპიული ცხოვრების ქალაქურ-დემოკრატიული სტილით და მაშინური წარმოების სოციალური რეფლექსებით. ბრძოლა „ძველისა“ „ახლის“ საწინააღმდეგოთ საქართველოში ენერგიული იყო იმიტომ, რომ წარმოებისა და მეურნეობის ფორმა ხანგრძლივად ინახავდა ძველი სოციალური ყოფის გადანაშთებს, ხოლო გავლენა

ევროპიული, ქალაქურ-ბურჟუაზიული ცხოვრებისა ქართულ სულზე პირდაპირი არ იყო, არამედ მეშვეობითი და ეგზოტიური.

გრიგოლ ორბელიანი თავის გარშემო ნათლად ხედავს, რომ ცხოვრება საზოგადოებრივი იცვლება, განიცდის ტეხას, მაგრამ ამ ცვლილებაში მთელი სიმპატია გრიგოლ ორბელიანისა „ძველი"-საკენ იხრება: ქართული კულტურა რაინდული სულით, სახელოვან ტაძრებით, რუსთაველისა და შავთელის მეტყველებით — ქართული კულტურა დავით აღმაშენებლისა და გიორგი მთაწმინდელის დიდი სახეებით, თამარ მეფის ღვთაებრივი სინაზით და მებრძოლი ერით, გმირთა ძვლებიო მოკენჭილ და სისხლით მორწყულ მიწა-წყალზე ათასჯერ უფრო ძვირფასია გრიგოლ ორბელიანისთვის, ვიდრე სკეპტიციზმით და დეიზმით დაძენძილი ქალაქური ცივილიზაცია ჟურნალისტებისა და მელიქ-აღების.

გრიგოლ ორბელიანი ამიტომ სასოწარკვეთილებითა და „ვაი"-ს ძახილით ხვდება ახალ თაობას, რომელსაც არ აქვს წარსულის პატივისცემა, რომელიც გაიძახის „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი"-ო (ილია ჭავჭავაძე): გრიგოლ ორბელიანის სული შეზრდილია და შეწყობილი ქართული ისტორიულ-ფეოდალური დიდების ჩვეულებას, და, როდესაც ცხოვრებას შემოაქვს ახალი სოციალური ყოფის განცდანი და ჩვევანი, პოეტი მთელი თავის რაინდულ-არისტოკრატიული მედიდურობით ილაშქრებს ახალი ცხოვრების მეთაურების წინააღმდეგ. გრიგოლ ორბელიანი აქ ივიწყებს თავის ყარაჩოღობას, ივიწყებს ჩინოვნიკურ მდგომარეობასაც და იბრძვის როგორც მამულიშვილი კულტურული ტრადიციის დასაცავად.

ფსიქოლოგიურად გასაგებია რატომ იბრძვის გრიგოლ ორბელიანი; დაცვა ტრადიციის ძველი თავადისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე ახალი ცხოვრების პატივისცემა; ტრადიციასთან გრიგოლ ორბელიანს აკავშირებს თავისი კლასობრივი ინტერესი: „ქართული", „ეროვნული" გრიგოლ ორბელიანისთვის ერთგვარად თავადური არის; კლასობრივობა შეიცავს ეროვნულ ინტერესებს და ერის ინტერესების საუკეთესო დამცველია ყოველთვის პოლიტიკურად და ეკონომიურად გაბატონებული კლასი. კლასობრივი ყოფა ერთად ერთი საშუალებაა ეროვნული ყოფის გამტკიცებისა და გაძლიერების. კლასობრივი ტკივილი და განცდა ეროვნული ტკივილი და განცდის მაჩვენებელია: გრიგოლ ორბელიანის ბრძოლა ახალ თაობასთან, მისი „პასუხი შვილებს" ტიპიური დეკლარაციაა ფეოდალური კულტურის მარჯვე და გულადი დამცველისა. საინტერესოა გრიგოლ ორბელიანის მიერ წამოყენებული საკითხი ერის დაცემის

და ენის წახდენის შესახებ: ისტორიული ფაქტია, რომ ეროვნული კულტურის შევიწროება იძლევა მეტყველების და ლიტერატურის დაცემას; მაგრამ რა არის ამის მიზეზი?—სოციალ-ეკონომიური ცხოვრება: ქართველი რომანტიკოსების და თვით გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება გვიჩვენებს, რომ შეიძლება კაცი მშვენიერი მცოდნე იყოს წარსულის, მაგრამ ენა მაინც არ ემარჯვებოდეს; ენის სიმდიდრეს ჰქმნის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების გაშლა, ინდუსტრიის განვითარება, სოციალურ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი ნივთების სიმრავლე—ერთი სიტყვით წარმოება. ენისა და ლიტერატურის წახდენა წარმოებისა და სოციალური სტრუქტურის დაშლის ნიშანია; გრიგოლ ორბელიანი მშვენიერად ამჩნევს ფაქტებს სოციალურ დეფორმაციისას, მაგრამ ფაქტების ინტერპრეტაციას იძლევა კლასობრივ-პატრიოტული თვალთახედვით. გრიგოლ ორბელიანის პოეტური სული გაჟღენთილია მოქალაქისა და პატრიოტის ინტერესებით; საკმაოა მხოლოდ, რომ მის გარკვეულ იდეოლოგიაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია იმ ყარაჩოღულ-თამადურ თქმას, რომელსაც ფრანგები ეძახიან poèsie lègère და რომელიც ამცირებს პოეტის შემოქმედებასა და მოღვაწეობას, პოეტის სერიოზულ ბრძოლას ლიტერატურული იდეალებისათვის. გრიგოლ ორბელიანი ახალ ცხოვრებას როდესაც ებრძვის ტრადიციის საშუალებით, მის ბრძოლას აქვს ისტორიული მნიშვნელობა: ეს ბრძოლა დამახასიათებელია ეპოქის სოციალურ მიმდინარეობათა წინააღმდეგობისა; სიმართლე გრიგოლ ორბელიანის მხარეზე არ არის, რა თქმა უნდა, მაგრამ მისი იდეოლოგიური პოზიცია იძლევა საინტერესო ლიტერატურულ მიმართულებას ქართული კულტურის ევოლიუციაში; მისი ყარაჩოღობა შეიძლება იყოს carpe diem-ის ერთგვარი ფორმა, ნაგრამ ქართული ეროვნული სულის დადებით თვისებას იგი არ წარმოადგენს, როგორც ავლაბრული ყოფა-ქცევა არ წარმოადგენს არაფერს საინტერესოს კულტურული ქართველისათვის: carpe diem სასოწარკვეთილებისა და წარმავალობის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს. მისი დაყვანა ყარაჩოღულ ღრეობამდე უარყოფაა იმ სულიერი სინაზისა, იმ რელიგიურ-ესთეტიური ხასიათის სევდისა, რომელიც აკავშირებს ადამიანის სულს ტანჯვისა და წვალების წუთებში უსაზღვროებასთან. ყარაჩოღობა სპობს ამ მშვენიერ გრძნობას მასხრობით, ღრეობით, ღვინის ორთქლით, გაძღომით, ლოთობით. სული აქ მთელი თავის სინაზით, ადამიანობით, სიყვარულით იძირება ხორცის ვულგარულ ლირწებრივობაში. გრიგოლ ორბელიანის ლამაზ ესთეტიურ განცდებში ყარაჩოღობას უსათუოდ შეაქვს დისონანსი და კიტა აბაშიძე სავ-

სებით მართალია, როდესაც გრიგოლ ორბელიანს უსაყვედურებს ვულგარობას*). ქართული ლიტერატურა და პოეზია ამ ყარაჩოღული განცდებით ვერაფერს მოიგებს. წაგებით კი წააგებს ბევრს. გრიგოლ ორბელიანს საქართველო უყვარს—უყვარს მთელი თავის არსებით. გრიგოლ ორბელიანი ნამდვილი მიჯნურია ქართული ცხოვრების ტრადიციის, მისი დიდების, რაინდობისა და სილამაზის; ამ ღრმა და სერიოზულ იდეოლოგიურ-ესთეტიურ გატაცებას ყარაჩოღობა ხელს უშლის; წუხილსა და სევდას, რომელთაც განიცდის გრიგოლ ორბელიანი, ყარაჩოღობა ვერ შველის.

გრიგოლ ორბელიანი სწუხს, რატომ ქართველები რუსთაველის სიტყვებს არ ხმაროობენ, რატომ რუსთაველის ენით არ ლაპარაკობენ. იმდენად მართალია აქ გრიგოლ ორბელიანი, რაოდენად რუსთაველის მეტყველება სიმბოლოა ქართული სულის სიმწიფისა და პერფექციონიზმის; ხოლო, რაც შეეხება რუსთაველის ენით ლაპარაკს, გრიგოლ ორბელიანი სცდება: ჩვენს დროს სხვა სიტყვები და სხვა გამოთქმები ესაჭიროება, ვინაიდან სხვანაირია ჩვენი სოციალ-ისტორიული ყოფა; ჩვენი ცხოვრების სტრუქტურა და ფორმა; რუსთაველის ენით დღეს ლაპარაკი არ შეიძლება. რუსთაველი დიადია, როგორც სახე ქართული სულის სრულყოფისა, მაგრამ ყოველ საუკუნეს თავისი სტილი და ფორმა აქვს. და ისტორია არ იმეორებს მთლიანი იგავეობით თავის წყობას, თავის წარსულს. გრიგოლ ორბელიანი კი წარსულისკენ იხედება: თავის არისტოკრატიული გემოვნების გამომსახველ ცხოვრებას იგი ხედავს მხოლოდ წარსულში, იმ წარსულში, რომელსაც ამშვენებენ რაინდობა, ქალის კულტი, ბრძოლის ესთეტიკა, ინდივიდუალიზმის პათოსი.

ისტორიაში კი შემოდიან ახალი ფეტიშები დემოკრატიზმით და რევოლიუციებით: ილია ჭავჭავაძემ შეარყია ორბელიანების სოფლხედვა და ინტელექტუალური ატმოსფერო; სრულებით მოულოდნელად გრიგოლ ორბელიანი წერს „დემოკრატიული“ შინაარსის ლექსს „მუშა ბოქულაძე“.

მართალია, გრიგოლ ორბელიანი წინადაც ჰქადაგებდა დრო-გამოშვებით და პოროიობით ნიჭის პატივისცემას, გვარიშვილობას, კეთილ საქმეს; მაგრამ „მუშა ბოქულაძე“-ში ჩვენ გვაქვს მთელი ეპოლოგია სიღარიბისა; მხოლოდ გრძნობთ, რომ წერს მართლა დიდი არისტოკრატი, რომელსაც აკლია შინაგანი სითბო: მართალია პოეტი თანაუგრძნობს მუშას, მაგრამ თანაუგრძნობს, როგორც არისტოკრა-

*) იხ. კიტა აბაშიძე. „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ“.

ტი, როგორც დიდი სულგრძელი და კეთილშობილი კაცი, რომელიც სიამოვნებს თავის სულგრძელობით და კეთილშობილობით:

რას მიყურებ ეგრე გაკვირვებითა?
ნუ თუ სახე არ გინახავს მუშისა:
მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერჩაჟანგებული,
კაცი გულით დაჩაგრული, ბედითა
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი...
ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაქცევია
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა?

გრიგოლ ორბელიანი განაგრძობს მუშის გარეგნობის აწერას: წყვრულვაში უდროოდ გათეთრებული, შუბლზე ღარები, სიმწარით ცხოვრება... შემდეგ გადადის ცხოვრების ზოგად ტრაგედიათა აღნიშვნაზე: „ძმის ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა, მეგობრისაგან იუდის ამბორი, ნაზი ხელით გულს დასმული დაღები“ ისევ სიღარიბეს უბრუნდება პოეტი და ამბობს მუშის სიტყვებით: „სიღარიბე მეტად ძნელი ყოფილა; მუშა ოფლით იწურება, სხვა კი ბაღში ქეიფობს, დროს აჭარებს; მაშ ვინა ვარ, რა მქვიან ამ სოფელში, თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?“ სიჭაბუკე შრომამ წაიღო და მომავალშიც მუშა იმედს ვერ ხედავს. ერთად ერთი, რაც მუშას აიმედებს, ეს არის ნუგეში „ზეციურის მადლით განათებული“. დღეს ვერ ნახავთ მუშას, რომელიც თავს ინუგეშებდეს ზეციური მადლით და ღმერთით. გრიგოლ ორბელიანის მუშა ბოქულაძე ამ მხრივ მხოლოდ ისტორიული დოკუმენტია იმ დროისა, როდესაც მუშას ჯეროდა საიქიოს ბედნიერება და ციური ნუგეში.

საინტერესოა ლექსი „მუშა ბოქულაძის“ ბოლო: „ჰე, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით... მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი, სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი, საუკუნოს განსასვენსა ალაგსა“! გრიგოლ ორბელიანის მუშა ძალიან მორწმუნე კაცია და ამავე დროს იმის იმედი არა აქვს, რომ სააქაოში შეიძლება გათანასწორება; ამიტომ ამ ლექსით პოეტი გამოსახავს წმინდა ქრისტიანულ დემოკრატიზმის იდეას.

სიყვარული და ბუნება
„საღამო გამოსალმებისა“

გრიგოლ ორბელიანის ნაწერებში განსაკუთრებული სილამაზით და განცდით არიან შემკულნი ის ადგილები, სადაც სიყვარულისა და ბუნების შესახებ არის ლაპარაკი: გრიგოლ ორბელიანი უსწორმასწორო პოეტია—ხან მშრალი და რიტორიული, ხან რიტმიული და

მუსიკალური; „ლხინი“, ზოგიერთი ადგილის გარდა, და „მუშა ბოქულაძე“ მთლიანად მეტად მშრალი და რიტორიული ნაწარმოებია; ხოლო „საღამო გამოსალმებისა“ და „ჩემს დას ეფემიას“ უმაღლესი პოეზიით აღსავსე ლექსებია; მხატვრული სული ამ ლექსებში სინაზის ტალღებით ირხევა და ბუნების უსაზღვროებას ერთვის ესთეტიური ლიტურგიით; 1841 წ. მაისის პირველ რიცხვებში კავკავში გრიგოლ ორბელიანი ლექსს წერს, რომელშიაც საუცხოოდ გადაკავშირებულია ერთმანეთს ორი დიდი გრძნობა—გრძნობა სექსუალური და ბუნების სიყვარული. აქ რომანტიული ნაღვლიანობა და ბუნების სიყვარული ერთმანეთში ილესება და სული თითქო ლოცულობს სამყაროის უსაზღვროების წინაშე, დაქანცული წუთისოფლური ღელვით, სოციალ-ისტორიული დეზასტრებით და კატასტროფებით, მაგრამ მთვრალი სილამაზით და სიყვარულით:

მზე ჩაესვენა. მის შუქი
გამოსალმის ჟამს კავკაზსა
თავსა ეხვევა ალერსით,
ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ-მთანი მდუმარედ
ცათამდის აყუდებულნი
ჰსხედან ვით დევნი სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვანთ გვერდთა შავადა
ღრუბელნი ზე დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან
გაზაფხულისა ველითა
ტყე შემოსილი სიმწვანით
მთებისა კალთებს შეამკობს
სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი
ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს
კლდენი ბანს ეუბნებიან!

ამ მშვენიერი სურათით გატაცებული, პოეტი ივსება წუხილით და ტანჯვით, მას შორდება ის, ვინც მას უყვარს; „სიშორის ნისლმან მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი და გულით ოხვრა სიმწარის“ „აღმოუტია“ „უნებლიეთ“ პოეტმა:

ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების!...
თანა სდევს ჩემი მას სული!

გრიგოლ ორბელიანს აღარავინ შერჩა ქვეყნად მანუგეშებელი: დარჩა „მწუხარების მსხვერპლად", წაიღო ეტლმა „ყოველი საამებელი სულისა"; დაღამდა; პოეტი მარტოა; არავის ესმის მისი ტანჯვა და ჩივილი:

დაყრუვდა არე... მხოლოდა
ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ სჩანს: მთანი მდუმარედ
აყუდებულან ცათამდის
და ყაზბეგისა საამოდ
ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
წყალნი მთით დაქანებულნი
უფსკრულსა იკარგებიან!
თერგი ჰრბის, თერგი ჰლრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან!

ეგრე ორგანიულად უკავშირდებიან ერთმანეთს პოეტის სულში კავკასიონის ბუნების სიდიადე და გზნება სიყვარულისა: სულში ისტამბებიან მწველი განცდანი ეროტიული ნდომისა და რომანტიული მელანქოლიით დამძიმებული სახეები ლამაზი ბუნებისა; გრიგოლ ორბელიანი სიყვარულის თემას ადგილ-ადგილ ბესიკისებურად ეხება:

„ეგ ჩემნი მკვლელნი, ზილფებნი გველნი,
ვინ დაადგინა ვარდ ღაწვთა მცველად,
რომ დღე და ღამით ესრედ განცხრომით
ზედ ხელმწიფობენ ჩემ თვალთა მწველად?
ნეტა ვის მისცეს ბედმან ხვედრი ეს
რომ გარდაშლიდეს მაგ გველთა-მცველთა,
და ზედ დაკვდომით, სულ ამოხდომით
ვარდთ დაგეკონოს, ღაწვზე გაშლილთა?"

სიტყვათა წყობა და მარცვალთა დენა სტრიქონებში აქ პირდაპირ ბესიკის მეტყველებას მოგვაგონებს, ხოლო ეროტიული განცდა „სულ ამოხდომით", „ზედ დაკვდომით" სპარსული ფიზიოლოგიური ესთეტიკის გამბედაობაა.

გრიგოლ ორბელიანს უყვარდა პოეტი გრიბოედოვის ქვრივი, ალ. ჭავჭავაძის ქალი ნინო, რომელიც სახელგანთქმული იყო თავის სილამაზით და ხასიათით,—და რომელსაც სხვათა შორის გიორგი ერისთავიც ეტრფოდა ერთ დროს; გრიგოლ ორბელიანმა თავის სიყვარული ღრმად განიცადა და ხშირად იხსენიებს სატრფიალო ლექსებში

ჭავჭავაძის ქალს, რომელსაც „ნინა“-ს ეძახის; სიყვარული გრიგოლ ორბელიანს სევდის და წარმავალობის იდეას უსახავს:

„ჰე ჭაბუკო, სიყვარულით დღენი შენი განატარე, იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე, ერთსა წამსა ნუ დაჰკარგავ...“

ცხოვრება წარმავალია, დაიჭირე ლამაზი წუთები ცხოვრებისა, — ამბობს გრიგოლ ორბელიანი. მხოლოდ დრო-გამოშვებით წარმავლობის გრძნობას, მეტად ლამაზს, პოეტი ღვინოსა და დუდუკის დიპლიპიტოთ ვულგაროულად ანელებს; წარმავლობის გრძნობა იძირება ფიზიოლოგიურ სიმთვრალეში.

ზოგადი იდეები და შემოქმედების ძირითადი თვისებანი.

გრიგოლ ორბელიანს თავის ლექსებში გაბნეული აქვს ზოგადი ხასიათის იდეები ცხოვრებისა, ადამიანისა, მისი ინდივიდუალური ღირსების, კულტურის ფორმისა და შინაარსის შესახებ; გრიგოლ ორბელიანი პოეტი მოაზროვნეა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი არისტოკრატია და დიდი თავადიშვილი, მაინც ამბობს:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგეშმცემელი,
თუ არა ვდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი...

ცხოვრება და სიცოცხლე კეთილი საქმით, დაცემულის აღდგენით, ბოროტების დევნით, სიმართლის მფარველობით აზრია მთელი ცივილიზაციის და აქ გრიგოლ ორბელიანი დგას მსოფლიო მოღვაწეთა რიგში, როგორც კეთილშობილი რაინდი და მებრძოლი საუკეთესო იდეალებისათვის.

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას.

გრიგოლ ორბელიანი აქ წინააღმდეგია წოდებრივი უთანასწორობისა და, ემყარება რა გიორგი მთაწმინდელისა და შოთა რუსთაველის დიდ ტრადიციას, მოითხოვს ინდივიდუალური შემოქმედებისათვის სრულ თავისუფლებას. თაყვანისცემა ინდივიდუალურ ღირსებას და არა გვარიშვილობას, გზა ფართე ნიჭს, — ამბობს გრიგოლ ორბელიანი; ამ სიტყვებში ჩვენი პოეტი დიდი ლიბერალი და ჰუმანისტია.

მართალია, „მუშა ბოქულაძე“-ში მან მოგვცა მხოლოდ ქრისტიანული დემოკრატიზმი საიქიოსა და ცხონების იდეით, მაგრამ ზემომოყვანილ სიტყვებში ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტად პროგრესიული და დემოკრატიული იდეები. გრიგოლ ორბელიანი ისეთ პირობებში

ცხოვრობდა, ისეთ წრეში ტრიალებდა, ისეთი მდგომარეობის კაცი იყო, რომ მას დიდი რევოლიუციონერობა არ მოეთხოვება; მართალია, პრაქტიკულ ცხოვრებაში არ იყო მაინც და მაინც სიმპატიური: მას არ უყვარდა დახმაობა, ღარიბების ყურადღება; ნათესავსაც და ისიც ისეთს დიდ კაცს, როგორიც იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, იგი ყურადღებას არ აქცევდა; თვითონ ფუფუნებაში ცხოვრობდა და თავის დისწულის გაჭირვებულ მდგომარეობას მხოლოდ „თანაგრძნობით“ შველოდა; გრიგოლ ორბელიანი სალონებში ატარებდა დროს, ინახავდა ასობით მონადირე ძაღლებს და ბაზიერებს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილს ცრაფრით არ დახმარებია. ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი გრიგოლ ორბელიანის ქცევა ისტორიულად მსხვილი საბუთია ქართული სულის ეგოცენტრიზმისა და ინდივიდუალურ-პერსონალური უზრუნველობისა.

თეორიაში გრიგოლ ორბელიანი სოციალურ იდეებსა და გრძნობებს გამოსახავს, ხოლო პრაქტიკაში—პირადულ ცხოვრებაში სხვანაირად იქცევა; როდესაც სოციალური და დემოკრატიული იდეები შემოვიდა ქართული ცხოვრების პრაქტიკაში, ქართულ საზოგადოებაში, გრიგოლ ორბელიანი ამას უპასუხებს ლექსით „პასუხი შვილებს“. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს en réalité გრიგოლ ორბელიანი რეტროგრადია და ძველი წესწყობილების დამცველია. მთელი შემოქმედება გრიგოლ ორბელიანისა აშენებულია იდეოლოგიურად წარსულის სიყვარულზე: საქართველოს წარსული ფეტიშია გრიგოლ ორბელიანისათვის და იქ, სადაც გრიგოლ ორბელიანი ხედავს ამ წარსულის სახეს, განიცდის ბედნიერებას, სიხარულს; საქართველო მეფეებით და გმირებით, საქართველო დიადი წარსულით გრიგოლ ორბელიანისათვის შეადგენს ცხოვრების აზრს.

ვინაიდან ისტორიული ფორმა ქართული კულტურისა ღუპება, ვინაიდან სასახლეები და ტაძრები, სადაც მოძრაობდენ დიდება და შშვენიერება, აღარ არიან, გრიგოლ ორბელიანი სევდით და ტანჯვით დაჰყურებს საქართველოს თავის არისტოკრატიული სულის არწივის ჰორიზონტიდან. ამიტომ გრიგოლ ორბელიანის ჩანგის კილო მწუხრულიადა მის პოეზიის მთავარ საგანს წარმოადგენს მწუხარება, სევდა.

სევდის განცდას თან ახლავს, როგორც ვთქვით, თამადური სენსუალიზმიც; აღმოსავლეთიდან მომდინარე კულტი ხორცისა და მისი მგრძნობელობის დროგამოშვებით ვულგარულად მიყვება სასოწარკვეთილებისა და ტრაგედიის განცდას; ხანდახან ხორცის კულტი და გრძნობის აპოლოგია მთელ ესთეტიურ კონცეპციას წარმოადგენს და ქართველი მწერალი თითქო უახლოვდება საკუთარი

გზით კაცობრიობის ისტორიაში ხშირად აღძრულ დიდ პრობლემებს. ასეთია დიალოგი გრძნობასა და გონებას შორის, რომელსაც იძლევა ალ. ჭავჭავაძე. მაგრამ, სამწუხაროდ, დრო და მისი გემოვნება თავისებური განცდებით უდგება ასეთ სერიოზულ მომენტებს შემოქმედებისას. მწერალს ეტყობა, რომ სული მისი ჩვეულებრივად ახურდავებს მშვენიერ გრძნობებს ვულგარულ შეგრძნობებში.

ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის იდეები სიყვარულისა, მარადობისა, პატრიოტიზმისა და სხვა მოვლენათა შესახებ, მშვენიერად გამოთქმულნი, ჰკარგავენ ღირებულებას ესთეტიურს ხშირად იმით, რომ მათ წარმოსახვასთან ერთად მოცემულია ლექსებში ფიზიოლოგიურ-ვეგეტატიური ხასიათის გაღიზიანებანი, რომელთაც იძლევიან სახეები—„ღვინო“, „მოთალი“, „აზარფეშა“, „მწვანილი“... პოეზიაში ყველაფრის ხსენება შეიძლება: ჩვენ მომხრე ვართ პოეტური ლისანსების და ვფიქრობთ, რომ ესთეტიურ განცდას, ხშირად ძალიან ლამაზს და სახიერს, ცხოვრებაში იძლევა უბრალო მოვლენა; მაგრამ ესთეტიური მიღების პრინციპი იმალება შემომქმედის ტემპერამენტულ განხრაში და თუ მწერალი ესთეტიურ სახეთა დაპირდაპირებაში ორგანიულად იხრება ვულგარიზმისაკენ, მკითხველის წარმოსახვაში მას ეკარგება ღირებულება. ესთეტიური პრინციპი ერთგვარად რევოლიუციური ჯიშისაა: სული მშვენიერია მხოლოდ ექსტაზისა და ჯანყის წუთებში; ფიზიოლოგია და კმაყოფილება ათავებს თათქარიძის განცდებით: გრიგოლ ორბელიანის ბოტანიკური და კულინარული „ემოციებიდან“ თათქარიძის ბოზბაშამდე სოციალურ ფსიქოლოგიის ევოლიუციაში მცირე მანძილია.

ამიტომ ქართული სულის სევდა, გამოწვეული ნაციონალური კულტურის ინდივიდუალისტური წყობილების დაშლით, პირველ ხანებში ამარქაფებულია ყარაჩოღობისა და თამადობის კულტს; მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ქართული სულის სევდა გადადის ტრაგედიულ განცდაში და უახლოვდება ფსიქოლოგიურად კაცობრიობის ზოგად იდეებს სევდისა და ამაოებისას.

ვახტანგ ორბელიანი

სოციალური არე გოლსა და ვახტანგ გრიგოლ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანი შემოქმედების საერთო ხასიათით წააგავს გრიგოლ ორბელიანს: სოციალური არე მოღვაწეობისა და ცხოვრების გრიორბელიანებს თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. უფრო მსხვილი ჩინოვნიკი იყო და უფრო მეტ

ყურადღებას იქცევდა მეფის მთავრობისას, მაგრამ არისტოკრატიული ჯიშით და აღზრდით ვახტანგ ორბელიანიც სარგებლობდა; ვახტანგის დედა თეკლე ბატონიშვილი ერეკლე მეფის ქალი იყო; შვილმა დედისაგან შეითვისა საქართველოს წარსულისადმი ღრმა სიყვარული, ხასიათის სიმტკიცე და სულის სიაზიზე.

ვახტანგ ორბელიანი შეთქმულთა დამარცხების დროს ოცი წლისა იყო, და როგორც მონაწილე ფარული საზოგადოებისა, იგი გადაასახლეს კალუგაში, საიდანაც დაბრუნდა საქართველოში 1837 წ. ვახტანგ ორბელიანმა გვიან დაიწყო წერა და მიაი ლიტერატურული მოღვაწეობა თითქმის მეოცე საუკუნემდე აღწევს; ამიტომ მან განიცადა გავლენა ახალი იდეებისა საქართველოში, თუმცა ყოველგვარ გავლენას იგი აძლევდა პასუხს თავის ერთხელ შემუშავებული სოფლმხედველობიდან; საქართველოს წარსულისადმი სიყვარული და სევდა აწმყოში — აი რა ახასიათებს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებას ზოგადათ. წრე, რომელშიაც ვითარდება პოეტის სული, გამსჭვალულია ღრმა პატრიოტიზმით: დედა და დეიდები—მარიამ და ქეთევან ბატონიშვილები ანვითარებდენ პოეტში ნაზ პატრიოტულ გრძნობებს და შეიძლება ამ ქალურ ატმოსფეროს გავლენით აიხსნება ის პატარა ი მ ე დ ი, რომელიც ქალწულის სახით ევლინება ვახტანგ ორბელიანს სასოწარკვეთისა და ტანჯვის წუთებში.

სამშობლოს იდეა და და სიყვარული

„არის ადგილი“, ობოლი“, „ჯვარი ვაზის“, „ირაკლი და მისი დრო“

ვახტანგ ორბელიანი ეძიებს ქართული კულტურის წარსულში დიად სახეებს და საქართველოს მიწა-წყალზე უთვალავ ნანგრევთა შორის ხშირად პოეტს ეჩვენება წარსულის გადანაშთი სილამაზე, მისი დიდება და ძლიერება არის ადგილი, ამბობს პოეტი, — რომ შვენებას ვერ აწერს ხელი და რომლის მოშორება თვალს ადამიანისას ენანება; თვალი რომ მოაშოროთ, გული მისკენ იწევს მაინც და ნახვას სიხარულით მოელის; ამ ადგილს ზაფხულობით დაჰქროლავს ზეფირი, ზამთრობით მზე ათბობს; ღამის მნათობნი სიხარულით დაცქერიან მას, უხვად სხივებს უგზავნიან ზამთარ-ზაფხულ. ეს ადგილი ვარსკვლავებისა და მზისათვის საყვარელი ადგილია: ამ ადგილზეა ამართული საქართველოს დიდება.

დიდი შენობა მის დიდს მთაზე არს აღმართული,
ათასის წლისა ხავსით არის იგი მორთული,
დგას დიდებულად, გულამაყად, მტკიცედ და მაგრად,
თითქო უბრძანებს გარეშემო ხეობათ და მთათ:

„აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლო, ვდგევარ ლიტონი,
„მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი“!...
რა შენობაა ის შენობა?—ჰკითხეთ თითონ მას.
ათასის წლისა მის კედელი მოგცემთ თითონ ხმას.
იმის კედელი, ჯერაც მტკიცე, არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რვეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: „მე აღვშენდი ხელით ძლიერით,
„ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.
„ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი,
„იძროდნენ მათგან ხეობანი, მთანი და ბარნი;
„სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ,
„ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს ცდილობდნენ“.

ეს შენობაა გელათის მონასტერი, მისი კედელი „ჯერ მტკიცე“, „არ დარღვეული“ წარსულის რვეულია; ათასმა წელმა განვლო გრიალით მას შემდეგ, რაც აშენდა გელათის მონასტერი; ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის—რაოდენჯერ შერყეულა სამყარო მიწის ძვრით, ქარიშხალით, სეტყვითა და მეხით, მონასტერი, როგორც ძველად, დგას „ათასის წლის ხავსით შებურვილი“. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ ამაღლდა და ბევრჯერ დაეცა საქართველო: არა ერთი და ორი უბედურება განიცადა ქართველმა ხალხმა, ამ უბედურების მოწამე არიან მაღლა ცა, დაბლა გელათი.

აქ განისვენებს დიდი თამარი, „თამარ ბრწყინვალე, ფალამარ ტურფა და მშვენიერი“, პოეზიისა სხივით მორთული, ივერიის ძეთა დიდება და სიყვარული“, აქვე განისვენებს დიდი დავითი—დავით აღმაშენებელი. მონასტერი დგას, როგორც მცველი წარსულ დიდებათა.

ეს ლექსი მშვენიერია, როგორც თავის ვერბალური წყობით, ისე შინაარსით: ვახტანგ ორბელიანი ჯერ აგვიწერს გელათის მიდამოს სილამაზეს, რომელიც ედემის მსგავსია და რომლის „შვენება ედემისა არის შეგნება“. ამ მშვენიერ ადგილზე ქართული სულის ძლიერებას აუშენებია მონასტერი, რომელიც ამაყად იყურება დაუსრულებელ სივრცეში, რომელსაც, როგორც ქეოპსის პირამიდას, არ ეშინია დროსი და რღვევის, რომლის „წიაღში“ ისვენებენ ქართული კულტურის დიდი ორგანიზატორები დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე.

ლექსში სამი მომენტია: ბუნების სიწყნარე, ბუნების არევა და ქართული კულტურის დიდება დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დასახელებით. ვახტანგ ორბელიანი იღებს ქართული კულტურის მეორე დიდ ფაქტს: წმინდა ნინოს შემოსვლას საქართველოში: „მავე

ზღვა ღელავს, შფოთავს, ზვირთებს ზვირთებზე ისვრის, განრისხებული ღრიალებს, თითქო დუღს; ამ განრისხებულ ზღვაზე მოეშურება, მოფრინავს, ზვირთებს მოაპობს ნავი უშიშრად; ტალღები ნავს ებრძვიან, ნავი ტალღებს და ამ ბრძოლაში ნავი უახლოვდება კოლხიდის ნაპირს.

ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,
არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება:
ნათელი, ტურფა ვით ოცნება მშვენიერია,
მაგრამ ნათელს პირს სოფლის შვება არ უწერია;
ამ სოფლის გრძნობა არ აღელვებს მის წმინდა გულსა:
ის არ ეკუთვნის არც აწმყოსა, არც დროს წარსულსა,
ეკუთვნის მხოლოდ მომავალსა წმინდა ასული,
მხოლოდ ცისა და კეთილისთვის მას უძგერს გული!
მაღალ შუბლზე აქვს აღბეჭდილი მას მადლი ღვთისა,
ნათელს თვალებში მას უბრწყინავს ნათელი ცისა,
გულის სიკეთე და სიმშვიდე, ჭეშმარიტება,
იმა სოფლისა მოლოდინი და ნეტარება!
მიდის ასული... ხელს უპყრია ჯვარი ვაზისა,
არ ეშინია შიმშილისა, არც უგზო გზისა;
ვერ აბრკოლებენ მას ჭაობნი, ვერცა მდინარნი,
ვერც ფრიალონი, უფსკრულნი და მთანი მყინვარნი;
არ ეშინია წამებისა, არცა სიკვდილის:
დედა-წმინდისა წილხდომილსა ქვეყანას მიდის.

ბუნება კვნესის, მიწა ირყევა და საშინელ ქაოსში იძირებიან კერპები ძველი ღმერთებისა; წმინდა ნინოს წინაშე ემხობა ერი: „წმინდამ ერს ჯვარით ჯვარი დასწერა“—საქართველოზე გადმოვიდა მადლი ზეცისა: საქართველოს მოევლინა წმინდა ნინო, რომელმაც ქართველთა შორის მოფინა სხივი ქრისტიანობისა და „ერი ველური“ დაეწაფა „სიტყვას ციურს“. ქრისტეს მოძღვრებამ დაიპყრო საქართველო, მისი მთანი და ბარნი; „აშენდენ დიდებულად წმინდა ტაძარნი“, ელლინთა სწავლის ნათელი წყარო შთამოიღვარა საქართველოში: „დაშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა“. სხვა და სხვა კუთხეში აშენდენ აკადემიები, ქართველობა დაეწაფა მეცნიერებას. გიორგი მთაწმინდელმა შემოიღო საქართველოში ჩვეულება ახალგაზრდობის გაგზავნისა საზღვარ-გარეთ. ერთი სიტყვით ქართველობა მოექცა მსოფლიო კულტურის ორბიტოში, ქართველი ერი შეიმოსა ცივილიზაციის ძვირფასი ტანისამოსით, აზრით, გრძნობით, ლამაზი მეტყველებით.

მაგრამ დიდხანს ბედნიერება არ გაგრძელებულა; ისტორიაში დაიწყო რღვევის პერიოდი:

დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან? აღარ არიან:
მაი დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი
ჩვენ თვალწინ პირქვე ტიელად ჰყრიან.

ძველი დიდება დაინგრა და უცხო ქვეყნიდან მოსული მგზავრი დადის ნანგრევთა შორის; წარწერებს კითხულობს, მაგრამ საუბედუროთ „წარწერილნი დროთგან მთლად აღმოფხვრილან“. დარჩა ქართული ენა, რომელსაც დღეს ქართველობა ხმარობს და ჯვარი ვაზისა, რომელიც წმინდა ნინომ შემოიტანა საქართველოში თავის მადლით.

„ჯვარი ვაზისა“ ერთგვარი ისტორიული პოემაა ბუნების აწერით, ქრისტიანობის იდეით და ქართული კულტურის დიდებით: აწერილია შავი ზღვა მღელვარე ქარიშხალის დროს და მისტიურად მოსრიალე ნავი, რომელიც ებრძვის ზღვის ტალღებს და ბოლოს და ბოლოს მოადგება კოლხიდას. ნავიდან გადმოდის ქალი, სავსე სინაზით, რომელსაც წუთისოფლიური ვნებანი არ აწუხებენ და რომელიც სულით ილტვის ცისკენ; ეს ქალია წმინდა ნინო, მას ხელში უკავია ჯვარი ვაზისა — სიმბოლო ქრისტიანული კულტურისა, ძმობის და ერთობის

ქრისტიანობის შემოსვლით საქართველოში ბოლო ეღება კერპთაყვანისმცემლობას, უმეცრებას და იწყება განათლებისა და დიდების ეპოქა: შენდებიან კოშკები და სასახლეები, ტაძრები საზღვარაცილებული გუმბათებით — სიმბოლიური სახეები ადამიანის სულის დენისა ღვთაებისაკენ... ხოლო დიდხანს ეგრე არ გაგრძელებულა და რღვევის ძალას დაემორჩილა დიდება საქართველოისა: ტაძრები და სასახლეები დაინგრენ; დარჩა ქრისტიანული ცხოვრების იდეა ვაზის ჯვარით.

საქართველოს წარსულის ოქროს ხანას და მის საუკეთესო წარმომადგენელს შოთა რუსთაველს ეხება ვახტანგ ორბელიანი „ობოლ-“ში: პოეტს წარმოდგენილი ყავს ადამიანი, რომელიც მარტოა ამ ქვეყნად, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანებს არ წააგავს, რომელსაც ერთობა აქვს მხოლოდ ბუნებასთან — მთებთან, ცასთან, ზღვასთან; თავის ობლობას, მარტოობას სულისას იგი უამბობს მზით ანთებულ სივრცეს, მნათობებს, ჭექას, ელვას, მთათა მწვერვალებს — თოვლისა და ყინულის ტახტთ. ობოლმა გადავიდა მთები და ტყეები: მისდევს დიდს მდინარესა:

ნახა შავი ზღვა, ლურჯი, წმინდა, მიძინებული,
ვით ყრმა დედის გულს, თვის კიდეზედ მისვენებული.

მიძინებულ ზღვაზე მზის სხივები დათამაშობენ, ტალღებს ეალერსებიან, ვრცელი, უსაზღვრო მკერდი ზღვისა ბრწყინავს, კაშკაშებს; მზის სხივები თანდათანობით სცილდებიან დედამიწას; მთვარე და მნათობნი ცაში გაბრწყინდენ, ზღვის უსაზღვრო გულს, როგორც სარკეს, ჩააცქერდენ; სივრცე ლურჯი, ოვალმიუწდომელი ვარსკვლავებით და მთვარით „შთაიხატა“ ტალღებში.

უცბათ ობოლს მოესმა შორით გრგვინვა; მძიმედ შეინძრა ზღვა, ვით ვეშაპი; სჭექს, ქუხს და ზღვა აღელვებული ქაფს ასხამს ზვირთებში; ტალღები პირქვე სცემენ ნავებს, ღეწენ ხომალდებს; ზღვა თითქო ეომებოდა კლდეებსა და ნაპირებს; „უშიშრად დგას კოლხიდა ძველი, მშვენიერთ ასულთ, ძველად განთქმულთ მიწა-მშობელი“. კოლხიდა—მტკიცე საფუძველია საქართველოს დიდებისა, ქვეყანაა ოქროს კრავისა და ბიბლიისა; ობოლი, სავსე გამოუთქმელი, კოსმიური სევდით, შორდება კოლხიდას და შავი ზღვის მღელვარე ტალღებით მიადგება ელლინთა ქვეყანას:

ქვეყანავ ელლინთა, მიწავ გმირთა ელლინთ მამულო,
მტარვალთ ხელითა დანგრეულო და წამებულო,
დიდო აკვანო, დიდო კერავ განათლებისა,
დიდო სამშობლოვ ჰომერის და თემისტოკლისა;
შენ შეიშვილე და შენ იძმე იგი ობოლი...

ობოლი სწავლობს ელლინთა სიბრძნეს და ბრუნდება ისევ თავის საყვარელ სამშობლოში.

ნახა: აქ კლდენი ფრიალონი გზად იჭრებიან,
ძველნი ტაძარნი დაწგრეულნი კვალად დგებიან;
იქ გზას უჭრიან ღრე-კლდეებში, მთებით ბარს, რუთა;
აქა აგებენ მაღალ კოშკებს, მაგარ სადგურთა,
იქა—ტაძართა, დიდთ პალატთა და მაგარ ციხებს;
იქ მდინარებში სდგმენ დიდთ კედელთ და სდებენ ხიდებს.
ესმის ყოვლის მხრით მაღალი ხმა წერაქვ-ბარისა,
ჭექა ნალმისა და საამო ხმა სიმღერისა.
ნახა სამშობლო ცხოვრებისთვის ახლად დგებოდა,
ახლის ცხოვრებით და დიდებით იმოსებოდა.
დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,
იმისი სახე მშვენიერი და მომღიმარი.
მისი სიტურფე, მის სინაზე, მისთ თვალთ ნათელი
ივერის მთა-ბართ და ერისა მანათობელი!
მაშინ აღმოხდნენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,

მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი!

თამარ მეფის მშვენებამ აამღერა რუსთაველი; ტახტზე ზის თამარ მეფე, მას ხელში უპყრია დიდი რვეული და ბრძანებს სიტყვებს ნაზი ხმით და ღიმილით:

მსურს ვნახო, ვინც წარმოსთქვა ესე ლექსები,
ტურფად წყობილნი, მარგალიტნი, საგოგმანები.

მოჰგვარეს ჭაბუკი, რომლის ნათელს თვალებში ბრწყინავს ცეცხლი ციური—გონების სიბრძნე, სულის განცდა, ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა; თამარ მეფეს არ უკითხავს ჭაბუკის არც გვარი, არც სახელი; ხოლო ჭაბუკმა თამარ მეფეს მოახსენა;

—დიდო მეფეო, მაგ რვეულში რაც დაიწერა,
შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა".

მეფე ჭაბუკს უმზერდა ტკბილი ღიმილით; ეს ჭაბუკი იყო შოთა რუსთაველი—ქართული კულტურის დიდება და სახელი. „ობოლი" თითქო გაგრძელებაა „ჯვარი ვაზისა": ქრისტიანობის შემოღება საქართველოში და ქართველ ახალგაზრდობის გაგზავნა ელლინთა ქვეყანაში, შოთა რუსთაველი და ქართული კულტურის აყვავების ეპოქა—აი შინაარსი „ობოლისა" და „ჯვარი ვაზისა". ხოლო „არის ადგილი" გამოსახულებაა ბერებისა და ქრისტიანობის ისტორიული შემოქმედების, მის არქიტექტურისა და მატერიალური მძლეობის.

გელათის კედლები მრავალ საუკუნეთა ხავსით. მძლე ვით პირამიდები ეგვიპტისა, წმინდა ნინოს ნაზი სახე და იდეა ქრისტეს მოძღვრებისა, შოთა რუსთაველი და თამარ მეფე ქართული ცივილიზაციის დიდი სახეებია და ვახტანგ ორბელიანი პატრიოტული აღფრთოვანებით შეყურებს ამ დიად სახეებს: პოეტის სულს იტაცებს ქართული კულტურის წარსული, ქართული ცივილიზაციის მშვენიერება, ხოლო პოეტის ცრემლებს იწვევს ის, რომ ი ყ ო და ა ღ ა რ ა რ ი ს საქართველოს დიდება.

საყურადღებოა, როგორც ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ ლ ო რ ი ფ ი კ ა ც ი ა, „ირაკლი და მისი დრო": საქართველოს მიწა-მამულს, მტრისაგან წამებულს, ცამ მოუვლინა მეფე ირაკლი, რომელიც დღე და ღამე ძრწის და იბრძვის სამშობლოს კეთილდღეობისათვის; ირაკლი ებრძვის ქრისტეს მტერს, „წინ უდგას თვის ერს"; ირაკლი ებრძვის დაღესტანს, ებრძვის აზათ-ხანს, ოსმალეთს, სპარსელებს; ირაკლის აღტაცებით შეყურებს ევროპა. მტრები ირგვლივ აწვებიან საქართველოს, ერი მცირდება; თავგამოდებით იბრძვიან ქართველები მთასა და ბარში, მაგრამ „ისტორიული ეტლი" საქართველოისა უფსკრუ-

ლისაკენ მიექანება და ამიტომ ირაკლის გული უწყალოდ კვნესის: რა ქნას, არ იცის დიდმა მეფემ. თუმცა იგი ძველებურად იბრძვის, მაგრამ შველა მაინც აღარ არის: თავის გარშემო მეფეს არა ჰყავს თანატოლები. საქართველო ბრძოლის და გამარჯვების ქვეყანაა:

„ჰკითხეთ მშვენიერს ალაზნის ველსა,
არეზის კიდეთ,
ევფრატსა ჰკითხეთ
და ქართლში გორის ციხეს მაღალსა;
ასპიხძას მტკვარზედ,—
ღრე-კლდეთ არაგვზედ,—
ჰკითხეთ სომხეთში ერევანს, განჯას,
მის მთათ და ბართა,
წმინდა ტაძართა
და ევფრატზედა სავაჭრო დიდ გზას...

ამ ადგილებზე იბრძოდენ საქართველოსათვის წინაპრები, იბრძოდა ერეკლე მეფეც, დღეს მის წმინდა საფლავზე არის მხოლოდ „ოცი აგური და ფარჩა ძველი“: ასეთია ბედი დიდებისა და მშვენიერების ამ ქვეყნად,—უნდა სთქვას პოეტმა და მთელი უსამართლობა ცხოვრების ირონიულად გამოსახულია სიტყვებში—„ოცი აგური და ფარჩა ძველი“.

ყოველგან პოეტი ხედავს წარსულში დიდებასა და ბედნიერებას, ხოლო აწმყოში დიდება და მშვენიერება არარაობად ქცეულან, ხავსით და მტვერით შემოსილან. ვახტანგ ორბელიანი ისე დასტირის საქართველოს წარსულ დიდებას, როგორც გრიგოლ ორბელიანი; მაგრამ გრიგოლ ორბელიანის თქმა ადგილ-ადგილ რიტორიული და მშრალია, ხოლო ვახტანგ ორბელიანის სიტყვები გამთბარია შინაგანი განცდით და შემოქმედების გრძნებით; ვახტანგ ორბელიანის სტილი და ვერბალური წყობა ლამაზია, რიტმიული: სიტყვები ბუნებრივი ერთმანეთის ამყოლეობით ამეტყველებენ პოეტის გულწრფელობას შემოქმედებაში; „ისტორია“ დაძლეულია პოეზიით და განცდით; წარსული მოცემულია პოეტურ განსახეობაში.

მარადიული ქალურობა და ეროვნული იდეალი

„იმედი“.

მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს მაგალითები კულტურის განცდისა და სიმბოლიზაციის: შორეულ წარსულიდან დიდი იდეალისტები კულტურას და ყოფას წუთისოფლურს აძლევენ ერთგვარ სიმბოლიურ სახეს, გამომსახველს ადამიანის სულის სი-

ნაზისას; ყველგან, სადაც დიდი მწერალი ითვალისწინებს თავის ნაციონალური კულტურის წარსულს, იდეა ნაციისა და ისტორიისა, იდეა სოციალ-ისტორიული ტანჯვისა სახიერდება ქალურობის სიმბოლიურ განსახეობაში. სული წარსულის ნანგრევებიდან იღებს წარმავალობის შეგრძნობას, სევდას არსებობისას და მას ებადება გულში ერთგვარი გზნება მარადიული ქალურობისადმი—ერთგვარი მოთხოვნილება იხილოს თავის ქვეყნის წარსული ქალური სახის სინაზეში.

საუცხოოდ აქვს გამოთქმული ეს იდეა ინგლისელ მწერალს პერსი შელლის თავის „ეპიფსიქიდიონ"-ში: წარსულის ნანგრევები პოეტს აგონებენ ლამაზსა და ნაზ სახეს ქალისას, რომელსაც შეუქმნია ყველაფერი, რაც მშვენიერია ამ ქვეყნად. გოეთეც ხშირად განიცდიდა ასეთი წარმოდგენის გავლენას. მისტიკოსებს იაკობ ბემეს და ვლადიმირ სოლოვიოვს აქვთ მთელი თეორიები მარადიული ქალურობისა და ცხოვრების აზრის შესახებ.

საქართველოში ხომ ქალის კულტი ძლიერია ისტორიულად: ჯერ ამაზონებმა გაუთქვეს სახელი ქართველ ქალს*), შემდეგ სილამაზემ და დედობამ; თანდათანობით ქართველი ქალი კაცობრიობის სოფლმხედველობაში იღებდა ერთგვარ დიად სახეს: საბერძნეთის დიდი ტრაგიკოსი ესხილი იხსენიებს თავის „პრომეთე"-ში კოლხიდას, როგორც მებრძოლ ქალთა ქვეყანას; პუშკინი „ბახჩისარაის შადრევანში" ახასიათებს ქართველ ქალს, როგორც მეომარს და ღარაღის კარგ მხმარებელს.

ამრიგად ქართველმა ქალმა შორეულ წარსულიდან გაითქვა სახელი; ამას მიემატა კულტი თამარ მეფისა და ქართველის ეკზალტიური ბუნება, მოყვარული ქალისა და აფექტების. ვახტანგ ორბელიანის „იმედი" — სიმბოლია ქართული სულის ისტორიული განცდისა, მარადიული ქალურობის იდეისა.

ვინა ხარ, ეჰა, მშვენიერო, მოხვედი სითა?
ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა?..
მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა,
შენც გაუღიმე სიმშვიდითა ძველსა ივერსა!..
იყავ შვენება, ნეტარება ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!
მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა,

*) იხ. კ. კაპანელი «სული და იდეა», თაური «ქალი და სიყვარული».

პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა.
მაგარ სადგურნი, ფრიალოთგან გადმოკიდულნი;
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი, დატეებულნი;
წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოთ ტყენი ჰბურვიან;
არ აცხოვლებენ შთენთ და საფლავთ წირვა, ცისკარი,
მხოლოდ დროებით მათზედ ჰბერავს გრიალით ქარი!
რას ნიშვნენ შთენნი, ეს ნანგრევნი, შენ გსურს იკითხო?
გსურს ივერიის შავი ბედი ამოიკითხო?

პოეტი ეკითხება ქალწულს: „ვინა ხარ, მშვენიერო, მოხვედი სითა“. ქალწული ხმას არ იღებს, ხოლო პოეტი განაგრძობს თავისი პატრიოტული ტკივილების ამბავს — წარსულის დიდების ცრემლიან თხრობას: ვახტანგ ორბელიანი იხსენიებს პალატთ და მონასტერთ აოხრებულთ, უპატრონო საფლავთ, სასახლეთა კედლებს დარღვეულთ. ვახტანგ ორბელიანს „იმედი“ დაწერილი აქვს პოლონელი მწერლის ვირონიჩის გავლენით, მაგრამ ორიგინალობა და ქართული რომანტიული სული ამ ლექსში უსათუოდ არის; იდეა „იმედისა“ გვაგონებს ერთი მხრით გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოებს“, ხოლო მეორე მხრით ილია ჭავჭავაძის „აჩრდილს“-ს. „სადღეგრძელოები“, „იმედი“ და „აჩრდილი“—სამივე ერთგვარი სიმბოლოებია ქართული სულის ისტორიული მოძრაობისა. გრიგოლ ორბელიანი „სადღეგრძელოებ“-ში იძლევა ქართული სულის აგრესიულ-ინდივიდუალისტურ სიმბოლოს. მეფეები და გმირები დიდი განცდებით და ტიტანიური სახეებით სივრცეში ეჩვენებიან პოეტს როგორც აზრი ქართველი ერის ისტორიული ცხოვრებისა; გრიგოლ ორბელიანი ქართული კულტურის იდეას ხედავს გმირობასა და ტიტანობაში. ხოლო ვახტანგ ორბელიანს ქართული კულტურის ისტორიულ მსვლელობაში ეჩვენება მარადიული ქალურობის იდეა; ილია ჭავჭავაძე, როგორც დავინახავთ შემდეგში, „აჩრდილით“ იძლევა ქართული კულტურის სოციალურ ფორმას შრომის პრინციპით და რევოლიუციით.

ვახტანგ ორბელიანის „იმედი“ მარადიული ქალურობის იდეით ასახიერებს პატრიოტიზმის რომანტიულ იდეალს.

სოციალური პრობლემა

„სამშობლო ქვეყნის პასუხი“.

ვახტანგ ორბელიანი უკვირდება ქართული კულტურის ევოლიუციას და ამჩნევს, რომ არსებობის ძველი სტილი იცრიცება, იწყება ახალი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა; დიდი ბრძოლისა და გმირების ქვეყანაში

შემოდიან ისტორიულ მემკვიდრეებად ინტრიგანი და ზარმაცი მოდგმები.

...„შრომის წილ ზარმაცობა,
სწავლის წილ სმა და ძილი, ძმობის წილ—დავა, მტრობა!“

თავად-აზნაურობა თავის ქონებას „ბითურ-ცხრაში“ აგებს და თავის ცოლშვილს უყურადღებოთ ტოვებს; რაც წინაპრებმა ტანჯვით და ბრძოლით შეიძინეს, იმას თავადები კარტში აგებენ და ფულებს უაზროდ ფანტავენ.

ჩარჩებს ფულებს ართმევენ, მერე ამ ჩარჩებს ემალებიან, ან ცრემლებით ევედრებიან... ვალებში იხრჩობიან და საშინელ სიღატაკეში ვარდებიან. ვახტანგ ორბელიანი ხედავს, რომ ქართველი თავადების და აზნაურების გაპროლეტარება იწყება, ხედავს, რომ მდგომარეობის ბატონია ფული და სასოწარკვეთით ამბობს თავის ქვეყნის ფეოდალურ-არისტოკრატიული აზრის გამომსახველ სიტყვებს:

ტკბილის ლექსებისათვის ჩემს გულს აღარ სცალიან,
ჩემ ბატონად, პატრონად ძუნწნი ჩარჩნი დგებიან.

ეს სიტყვები დაწერილია 1883 წ., როდესაც ფეოდალური კულტურის ნანგრევებზე საქართველოში ვითარდებოდა სწრაფად კაპიტალისტური ცივილიზაცია; ხმლის კულტის მაგიერ შემოდიოდა ფულის კულტი; მეჯღანუაშვილები (ლ. არდაზიანი), კარაპეტები (გ. ერისთავი), დროიძეები (ე. ნინოშვილი) იკავებდენ ქართველი ფეოდალების ისტორიულ ადგილებს. ცხადია, ვახტანგ ორბელიანი, როგორც დიდი თავადი და არისტოკრატი, როგორც რომანტიკოსი ზიზღით უყურებს მეჯღანუაშვილებისა და დურმიშხანების (დ. ჭონქაძე) დროს. ოდესღაც მისი წინაპრები არაბეთსა და ოსმალეთში დანავარდობდენ, სპარსელებსა და ლეკებზე ბატონობდენ; დღეს ქართველები ისე დაწვრილმანებულან, ისე დაქუცმაცებულან, რომ ჩარჩებს ევედრებიან თავიანთ საჭიროებისათვის, საქართველოს ბევრი უბრძოლია, ბევრი უთმენია და დღეს ქართველი ერი დამსგავსებია შიმშილისგან მომაკვდავ ძროხას, რომელსაც ეუბნებიან:

მოიცა, ნუ მოკვდები, ველნი აშწვანდებიან-ო.

რა ცხოვრებაა ასეთი ცხოვრება?—ამბობს ქართველი ფეოდალი და ამ სიტყვებში ნათლად ისახება კლასობრივი ფსიქოლოგიის ისტორიული ფორმა, გამოწვეული ქართული კულტურის სოციალური ევოლიუციით—ქართველი ფეოდალების დეგენერაციით და ვაჭრობა-მრეწველობის წარმოშობით; სილამაზის ქვეყანა ჩაუვარდათ ხელთ ჩარჩებს და საყვარელი სამშობლო, ბევრჯერ სისხლით მორწყული და ძვლებით მოკენჭილი, იყიდება ნაჭერ-ნაჭერად.

ამ ლექსში ვახტანგ ორბელიანი რომანტიული გაიზრებისა და ოცნების სფეროდან ჩამოდის დაბლა—სოციალური ცხოვრების ფენებში, იხედება დაკვირვებით და გულის ტკივილით, აღშფოთებით აღნიშნავს ქართული კულტურის ფერისცვალებას—კაპიტალისტურ ცივილიზაციის გაძტკიცებას.

„სამშობლო ქვეყნის პასუხი“ დაწერილია ილია ჭავჭავაძის ლექსის—„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“?-ს გამო.

მკითხავ, ჩემო პოეტო, რაზედ მოგიწყენია?
ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ, „მომავალი შენია!“
მაგ გვარი იმედები ჩემს ყურს ბევრი სმენია...“

პოეტი გულგატეხილია მუდმივი იმედებით და უსამართლობით წუთისოფლად: სამართალი არ არის არც ისტორიაში, არც სამყაროში; ისტორია ერთს აშენებს და მეორეს ანგრევს, ერთს მსხვერპლად სწირავს მეორეს ბედნიერებას: საქართველოს რომ აოხრებდენ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები უდარდელად იყვნენ; საქართველო თითქო ისტორიის შეწირვაა დასავლეთის ერების ბედნიერებისთვის:

... დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვებოდით,
რომ ქრისტესთვის თქვენ თვალწინა თქვენს კარს ვწყდებოდით?

აქ დიდი და მძიმე მორალური ბრალდებაა წამოყენებული დასავლეთის ერების საწინააღმდეგოთ; ისტორია უსამართლოა, ქრისტეს მოძღვრება ისტორიულად დაჩაგრულია და ქვეყანა რჩება გლეჯის არენად. სამყაროში არა ჩანს გამწესრიგებელი და პატრონი, სამყარო ქაოსია; ვახტანგ ორბელიანი ეხება არსებობის დიდ პრობლემას — სამართალსა და ღმერთს. პოეტს ვერ გაუგია, — თუ ღმერთი არსებობს, რატომ ამდენი უსამართლობაა ამ ქვეყნად:

გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა,
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ, მითხარით ერთი:
„ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებობს და იყო ღმერთი?
„თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება,
„და თუ ეს აზრი არ არს შტერთა და ცრუთ ზმანება,
„თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვაოა, მთათა და ველებს
„თავის შუქითა, სიუხვითა ის აცხოველებს;
„თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა,
„თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი აღმოაცენა;...
„თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
„თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,
„მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?-ვო,

ვახტანგ ორბელიანი აქ მოგვაგონებს ბაირონს: სასოწარკვეთილება იწვევს ორივე პოეტში ერთნაირ გრძნობას უსამართლობისა და ღვთაებისადმი. თუ სამართალი და ღმერთი ქვეყნად არიან, მაშინ რად ხდება ესოდენ უსამართლობა? ასეთივე საკითხი დაებადა დიდ მეცნიერს და ფილოსოფოსს ემანიულ კანტს ლისაბონის მიწის ძვრის დროს: თუ ქვეყნად ღმერთი არის, რატომ დაიღუპენ პატიოსანი და კეთილი მოქალაქენი ლისაბონისაო? — ამბობდა ემანუილ კანტი. მართლაც გაუგებარია ღვთაებისა და უსამართლობის არსებობა პარალელურად; კაკობრიობა შორეული წარსულიდან ამ საკითხზე ფიქრობს და ჩვენი დრო — ბიოლოგიის გაბატონების საუკუნე — ამას თავისებურად უყურებს: ჩვენ ვიცით, რომ სიკეთე და ბოროტება ქვეყნად ისეთივე მოვლენებია, როგორც სითბო და სიცივე; ბუნება სრულებით არ ფიქრობს სიკეთე უქნას ადამიანებს; ქვეყანა საკმაოდ დიდია და ადამიანები უსაზღვროებაში ისეთ უმნიშვნელო წერტილს წარმოადგენენ, რომ არა აქვს მნიშვნელობა ადამიანების წვალებასა და ტანჯვას ისეთი უნივერსალური, როგორც თვით ადამიანები ფიქრობენ.

ალ. ჭავჭავაძიდან ვახტანგ ორბელიანამდე

ორი დიდი უბედურება აწვალებდა საქართველოს ისტორიულად: ერთი უბედურება იყო გარეშე მტრების მოუსვენარი დაცემა, ხოლო მეორე— შინაური უთანხმოება.

თავისებური იყო ქართული კულტურის ისტორიული ორგანიზაცია და ქართული ეროვნული სულიც თავისებური შეიქმნა ამ ორგანიზაციის გავლენით: შორეულ წარსულიდან ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ ქართველი ხალხის დამამცირებელ ძალებს; ერთი ძალა ყოველთვის მოდიოდა გარედან, მეორე კი შიგნიდან; საქართველოს ერთ მხრივ აწვალებდენ და გლეჯდენ ოსმალეთი, სპარსეთი, ლეკეთი; ხოლო მეორე მხრით—თვით ქართველები ერთმანეთთან მტრობით.

უცხოეთიდან ჩამოსული მწერლები და მეცნიერები ქართველი ხალხის უბედურებას მიაწერენ უფრო ქართველის გაუტანლობას, ვიდრე გარეშე ძალას. „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“*) მთავარი ისტორიული სენია ქართული კულტურის, ქართული საზოგადოებრივი სულის ევოლიუციის, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის.

*) იხ. კ. კაპანელი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“. ორგანოტროპიზმი.

ყველა კულტურულ ქვეყანაში ეწყობოდა ისტორიულად სხვადასხვა სახის წრე, რომელშიაც თავს იყრიდენ კაცობრიობის დაერის საუკეთესო წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოციქულები: იტალიაში რენესანსის ამწყობი წრე, საფრანგეთში რონსარის პლეიადა, რუსეთში დეკაბრისტებისა და პეტრაშევცების ჯგუფი, გერმანიაში იენის, ვეიმარის, ფრაიბურგის წრეები დიდ ისტორიულ და კულტურულ საქმეებს აკეთებდენ; მათი სახით ისტორია აწყობდა სოციალ-კულტურულ შემოქმედებათა დაჯგუფებას, სოციალურ სულთა ორგანიზაციებს, რომელთა შედეგი იყო ხშირად რეფორმები, როგორც სოციალ-პოლიტიკური ხასიათის, ისე ლიტერატურულ-კულტურული და ესთეტიური.

კულტურისა და ხელოვნების ევოლიუციისათვის ყოველგვარ ძალთა დაჯგუფებას აქვს დიდი შემოქმედებითი მნიშვნელობა: ცალკეული გენია წარმოუდგენელია; ინდივიდუალური შემოქმედების პოტენცია გამომდინარეობს სოციალური მოძრაობის აუზიდან, როგორც წყარო გეოლოგიურ ფენებიდან.

საქართველოში სამწუხაროდ ისტორიულად ადგილი არ ჰქონებია კოლექტივისტური სულის მუშაობას, მოსაზღვრე ძალების შეთანხმებულ დაწყობას; ეს ტანჯავდა ყოველთვის ჩვენს დიდ კულტურულ მოღვაწეებს, დაწყებული გიორგი მთაწმინდელიდან და დავით ალმაშენებლიდან: ეს იყო მიზეზი საქართველოში ყივჩაყების მოპატიჟებისა და შემოყვანის.

მეთვრამეტე საუკუნეშიაც საქართველო მწვავედ განიცდიდა ისტორიულ სენს: დაუძლურებული ომებით და ეკონომიური პრიმიტივობით ქართული სოციალური სული ქართულ ენერგიას ძველებურად ხარჯავდა ეგოცენტრიზმისა და პერსონალიზმისათვის.

დიდი უბედურება მტრებსაც აერთებს სულიერად და როდესაც საქართველოს წაართვეს თავისუფალი არსებობის საშუალება, როდესაც ერმა იგრძნო იმპერატორული ბრძანებისა და გენერალ კნორინგის ძალადობა, თითქო მოემზადა თავის სოციალური ყოფის დასაცავად; მაგრამ ამ მომზადებაშიაც ისტორიულმა სენმა — „უჩემოთ ვინ იმღერეთობამ“ იჩინა თავი, და ქართული კულტურის წარმომადგენლები გაანაწილეს დიდი რუსეთის ვრცელ მიდამოებში.

ცუდმა ისტორიულმა ცხოვრებამ ცუდი ნებისყოფა აღზარდა და რასაც ქართველობა აკეთებდა, ისტორიულად განსაზღვრული იყო ყოველთვის: მკვდრები მართავენ ცოცხლების ყოფასო, — ამბობს მარქსი; ეს ისტორიული დეტერმინიზმის გამომსახველი თქმა მშვენივრად ახასიათებს ქართულ კულტურას, მისი ევოლიუციის თავისებურობას.

ქართული სოციალური სული დაცრეცილია და მასთან მარქაფად დაცრეცილია ქართული აზრისა და მეტყველების კულტურა, ქართული შემოქმედების ისტორიული დაზგა; ცხადია, ეს სოციალ-გენეტიურად გამომდინარეობს ფეოდალური კულტურის ფსიქოლოგიიდან და მორალიდან.

ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ატარებს დაღს იმ დაცრეცილ სოციალ-კულტურული წყობისას, რომელშიაც იგი სახიერდებოდა თანდათანობით, ეპიზოდიურად, შემთხვევით, მაგრამ იმმანენტური აუცილებლობით. ქართული სულის ისტორიულ ევოლიუციას ზედ ეტყობა ნიშანი დიდი პოტენციისა, მაგრამ ამ პოტენციას ქართველობა არასოდეს ჭკუით არ ხმარობდა.

პირდაპირ შეგეცოდება ქართული ისტორიული სული, როდესაც წარმოიდგენ მის უხეირო ობიექტიურ პირობებს და ამ პირობების დამღუპველ შედეგებს. ალ. ჭავჭავაძე მშვენიერად აყენებს საკითხს გონებისა და გრძნობის შებრძოლებისას; ამჩნევთ, რომ ქართველი მწერალი საკუთარი განცდით უახლოვდება კაცობრიობის მარადიულ საკითხს; გიხარია კიდევაც, რომ ქართულ ლიტერატურაში, ქართულ აზროვნებაში ასეთი განცდა იბადება; ელი ბოლომდე: აბა როგორ გადაჭრის პრობლემას მწერალი და სამწუხაროდ რაოდენად კმაყოფილი იყავი დასაწყისში, იმდენად უკმაყოფილო რჩები ბოლოს; მწერალს იდეა გადააქვს მოულოდნელად ისეთ სფეროში, რომ იქ განცდას ანიავებს ლოთის ღრეობა; ასევე ემართება გრიგოლ ორბელიანს ხშირად: პოეზია ფიზიოლოგიამდე ჩამოდის და ექსტაზი მოქმედებისა ჭქრება ისე, რომ ვერ აღწევს მიზანს, ვერ იწვევს სოციალურ ამყოლეობას გააზრებისას, შინაგანი ხილვისას, ინტუიციისას, აპოლონიური შეჭვრეტისას უსაზღვროებაში, მარადობაში, — ერთი სიტყვით თქმაში ბატონობს ფიზიოლოგია და არა სული და სიბრძნე.

ვახტანგ ორბელიანი ფსიქოლოგიურ ვანცდაში უფრო კულტურულია, უფრო დაწმენდილია: ვახტანგ ორბელიანი თავის პოეტურ წარმოსახვაში ბოლომდე მიდის ესთეტიური ხილვით, აპოლონიური შეჭვრეტით; პოეტის სულს დაძლეული აქვს ფიზიოლოგია და ამიტომ სწორედ იგი ეგრე ლაბაზად, ეგრე ბუნებრივად და შინაგანი თავისუფლებით ამეტყველებს თავის გრძნობებს და ემოციებს. საინტერესოა ამ მხრივ სხვადასხვაობა გრიგოლ ორბელიანისა და ვახტანგ ორბელიანის: გრიგოლ ორბელიანი განცდის წყობით პირდაპირი სალდათია ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით (soldat); ვახტანგ

ორბელიანი სულის არისტოკრატია. გრიგოლ ორბელიანი ქვეყანას ხედავს როგორც ბრძოლისა და ძლიერების არენას: მაგარი კუნთები, ცხენების ჭიხვინი,—შემდეგ ლოთობა და ღვინო კოჯრის ნიავით—აი გრიგოლ ორბელიანის ესთეტიურ-ფილოსოფიურ წარმოსახვათა ფაქტურა; ვახტანგ ორბელიანი იდეებისა და ნახ ოცნებათა სამყაროში ტრიალებს: საქართველოს კულტურაში იგი ეძიებს წმინდა ნინოს ქრისტიანული მოძღვრებით განათებულ სახეს, შოთა რუსთაველს, სულის სინაზით შეკავშირებულს თამარ მეფესთან, ლამაზ ქალს მისტიურად მოელვარე იმედით ნანგრევებზე; ვახტანგ ორბელიანის ნაწერებში ვერ შეხვდებით ალ. ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ღვინოს კულტსა და ლოთობას, ღრეობას, მოთალისა და მწვანილის ესთეტიკას.

ვახტანგ ორბელიანი ისტორიული წინამორბედია ნიკოლოზ ბარათაშვილის: მართალია ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ ვახტანგ ორბელიანი დიდხანს ცხოვრობდა და დიდხანს მოღვაწეობდა; მისმა მოღვაწეობამ მეოცე საუკუნემდი მოაღწია თითქმის, მაგრამ მაინც გრიგოლ ორბელიანის შემდეგ ქართული სულის ისტორიულ-გენეტიურ სახეობას იძლევა „იმედი"-ს ავტორი. ალ. ჭავჭავაძე თავის შემოქმედების წყაროდ იღებს შედუღებას ევროპიულ-ფრანგულ კულტურისა სპარსულ კულტურასთან: ალ. ჭავჭავაძე თავის ლექსებში იძლევა იდეებს ხან სპარსულ-ირანულ, ხან ფრანგულ-ევროპიულ ხასიათისას; ალ. ჭავჭავაძე ხან ტირის გოგჩის პირას, ხან ვნებით იწვის ლოთურ თავდავიწყებაში.

გრიგოლ ორბელიანი თავისი ამაყი, თავადური გამოხედვით ქადაგებს აგრესიულ ინდივიდუალიზმს, გმირისა და ბრძოლის კულტს, მძლეობას და სილამაზეს ისტორიულ-ეროვნულ სულისას; ვახტანგ ორბელიანი, როგორც შელლი, თავის შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობს სულის სინაზეს და ინტელექტუალურ კულტურას. ქართული სული თითქო დაიქანცა აღმოსავლეთურ-ირანული ხასიათის აფეთქებით და გრძნობებით, თითქო ყარაჩოღობა გარდაიქმნა სევდისა და კოსმიურ შეგრძნობათა კულტად; ქართულმა სულმა თითქო დაძლია ფიზიოლოგიურ-ვეგეტატიური სიმთვრალე, თითქო დაიწყო ინტელექტუალური პერიოდი ქართული კულტურისა.

ისტორიული ორგანიზატორი ქართული კულტურისა—თავადაზნაურობა საბოლოოდ დაეცა; ეროვნული ინდუსტრია მოდუნდა; ნაციონალური სიმდიდრე, შეძენილი საუკუნეთა განმავლობაში, განიავდა ომების დროს; ხალხი დაიქანცა სულიერად და ფიზიკურად; ინტელიგენცია გაიხრწნა და ჩინოვნიკებად განაწილდა; ეპიკურეიზმ-

საც შნო დაეკარგა და სევდა ნაციონალური სულისა გაღრმავდა მარადობის შეგრძნობამდე. არავითარი იდეოლოგიური წრეები, არავითარი სოციალ-კულტურული დაჯგუფება ევროპიული ხასიათისა აღარ შერჩა საქართველოს: პერსონალიზმისა, მარტოობისა, რღვევისა და მწუხარების ჟამს ქართული კულტურის არეზე გამოჩნდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

იდეოლოგიური ბიოსფერო.

სოციალ-ისტორიული წყობის გადატეხა ღრმა ტკივილებს იწვევს ქართულ სულში: ნაწილი ქართველი არისტოკრატიისა ეგუება სახელმწიფოებრივი წყობილების ახალ ფორმას, მის სოციალური ყოფნის იერარქიას, სალონურ-ჩინოვნიკურ ანტურაჟს; ხოლო ნაწილი საზოგადოების აღრმავებს ეროვნულ-ისტორიულ სევდას, ქართული სულისას: — „ქართლის ბედი“-დან თანდათანობით გადადის კაცობრიობის პლანეტარული ხვედრის განცდაზე და იმ მწარე გრძნობებს, რომელნიც გამოიწვია კლასობრივ-ისტორიულმა და ინდივიდუალურმა ტანჯვამ, ნიკოლოზ ბარათაშვილი აერთებს მთელი კაცობრიობის სევდასთან; ქართული სული არღვევს ტერიტორიულ-ისტორიულ და კუთხებრივ ზღუდეებს ინდივიდუალური ხასიათისას. საქართველოს მიწა-წყალზე — მთაწმინდისა და მტკვრის მიდამოებში, განათებული ორგანიული ტანჯვის შინაგანი ხილვით და ათრთოლებული შემოქმედების ინტენსიური ექსტაზით, ეძიებს ცხოვრების აზრს, არსებობის მიზანს, სიმართლისა და სიყვარულის იდეას — ეძიებს მარადიული და წყეული კითხვების პასუხს: ქართული ლიტერატურის გრძნობითი ტონი იშვიათი გულწრფელობით ამახვილებს ქართული სულის საკაცობრიო ემოციებს; ქართული აზროვნების ჰორიზონტი ფართოვდება: ღვინოსა, ქიშმიშისა და სპარსულ-ირანული მგრძნობელობის მაგიერ ქართული ლიტერატურა იხილავს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლას, სულის ობლობას, მარტოობის ტრაგედიას, ცხოვრებიდან გაქცევისა და მოძრაობის ექსტაზის განცდას. ჩინოვნიკურ-არისტოკრატიული პრესიოზობის მდორე ჭაობი ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეარყია თავის ტანჯული სულის ქარიშხალისებურ მძლეობით: — ჯერ „ბედი ქართლისა“ განიხილა მან და შემდეგ ზოგადათ — ქართული სულის პლანეტარული ხვედრი სევდისა და ამაოების იდეით.

ისტორიული პრობლემა

„ბედი ქართლისა“

პოემა „ბედი ქართლისა“ წარმოადგენს მხატვრულ სახეებში საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზებს და იმ სოციალ-პოლიტიკურ ტრაგედიას, რომელსაც განიცდიდა ერეკლე მეფე აზიისა და ევროპის შუა-ქარში; ამ პოემაში მოცემულია საქართველოს პოლიტიკური ტრაგედიის კონცეპცია, აღა-მამად ხანის შემოსევა, ომი, ღალატი, თავგანწირვა ჯარისა, მეფის სასოწარკვეთილება და ქართული პატრიოტიზმის აპოლოგია, თქმული სოლომონ ლეონიძის პირით, შექსპირისებური ასახვა ქართული კულტურის იმ პერიოდისა, როდესაც ხდება გადატეხა ისტორიული ნებისყოფისა. პოემა „ბედი ქართლისა იწყება მეფე ერეკლეს ლოცვით:

მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთამხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთამპყრობელო
და აღადგინე დღეს საქართველო.

ეგრე ილოცდა მეფე ირაკლი კრწანისის მინდვრად; ცა მოწმენდილი იყო და ლამაზი, დილის ნიავი აგრილებდა მეომართა სახეებს; ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი ძლიერი დი რისხვიანი; ერეკლე მეფე იდგა ჯარის წინ და ამხნევებდა მეომრებს, ვით პატრიარქი და მეგობარი; ჯარი სიხარულით ელოდა შეტაკებას.

პოემის ეს ადგილი იძლევა ძლიერ შთაბეჭდილებას: ერეკლე მეფე, დილის ბურუსში გახვეული, თავის ჯარის წინაშე მოგვაგონებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, რომელთაც დაყავდათ ხალხი უდაბნოებში და გაჭირვების დროს ამ ხალხთან ერთად კვდებოდენ; ერეკლე მეფე ნამდვილი მოძღვარია თავის ერის:

იგი ჯართან ერთად განიცდის ბრძოლის ექსტაზს და ეს განცდა ჯარში შედის ელექტრონის ჩქერივით; ჯარი გატაცებით ამბობს:

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი.

ამ რიგად მეფე და ლაშქარი ბრძოლის წინა წუთებში ფსიქოლოგიურად ედუღებიან ერთმანეთს და ქართული ბრძოლა მტერთან იწყება:

დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა,
და მტერთ საომრად ჯარნი შეყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალს განამხნევებს, მხნეს განაღვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს.

ამ სტრიქონებში ნიკოლოზ ბარათაშვილი იძლევა ბრძოლის ესთეტიურ-მუსიკალურ განცდას: ნაღარის ხმა,—ხმა ბრძოლისა, რომელიც მხდალს განამხნევებს, მხნეს განაღვიძებს და მიჯნურსაც სულს შეუშფოთებს, ესმის ქართველ ლაშქარს; ეს ხმა ისტორიულად ნაცნობია ქართველისათვის, ეს ხმა საომარი სიმბოლოა.

შეექმნათ ძლიერი ომი: ივერთ მხედარნი ეკვეთნენ სპარსელებს და მტკვარს მიემატა სისხლის ღვარი; სპარსელები და ქართველები იბრძვიან ორივე მხრით გამწარებით, მაგრამ სპარსელები რიცხვით უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ქართველები: ქართველებმა რომ ნახეს გასაჭირი, მყისვე ჩაიკეცეს ქუდები, ხმალს ხელი იკრეს მამა-პაპურად და დაერივნენ მტრებს თავისებურად.

საღაპოს ქართველები დარჩენ გამარჯვებული, მაგრამ, როდესაც მეფემ დაინახა მსხვერპლი, გამარჯვებით კმაყოფილი ველარ დარჩა: ძვირად დაუჯდათ ქართველებს გამარჯვება მრავალრიცხვოვან მტერზე; გმირები დაეცნენ ბრძოლაში სამშობლოსათვის. ბრძოლისა და თავგანწირვის შედეგს ბარათაშვილი პესიმისტურად ახასიათებს:

აწ საფლავიცა არსად სჩანს მათთვის,
ჰაერში გაქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა
მაგრამ, ჰოჲ გმირნო, ნუ შეშფოთდებით;
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაეცემის.

გმირთა საფლავები არსად სჩანან; ჰაერში გაქრა სახელი და არ არსებობს ძეგლი, რომელიც გვიქადაგებდეს დიდ საქმეებს წარსულისას. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი აჩენს, რომ არის ძეგლი ფსიქოლოგიური, ძეგლი მემკვიდრეობით და საშვილიშვილოდ მიღებული, რომელიც, თუ ერთხელ სულს დაეტყო, არასოდეს არ წაიშლება.

გამარჯვების შემდეგ მეფე ერეკლემ ჯარს უბრძანა უკან დახევა და ციხეში გამაგრება, რადგან ლაშქარი მეტად მცირერიცხოვანი ყავდა; აღა-მაჰმად-ხანი სამი დღე უვლიდა ციხეს გარშემო, ვერ აიღო და უკან აპირებდა წასვლას სპარსეთში, მაგრამ ამ დროს გამოჩდა მოღალატე, რომელმაც აცნობა აღა-მაჰმად-ხანს ერეკლე მეფის მდგომარეობა და აღა-მაჰმად-ხანი ისევ მოუბრუნდა ციხეს, მოადგა მის კარებს და გააფთრებული ეძიებდა ერეკლე მეფეს. ერეკლემ ადრე შეიტყო ღალატი და თავს უშველა — „გაქუსლა მთიულეთისკენ თავის ცხენით“.

ბარათაშვილი აგვიწერს არაგვის გარშემო ატეხილ ჭალებს და ქართველის ფსიქოლოგიურ განცდას ამ ჭალების გაშლილ ფართობზე:

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს.
ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო!
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენ ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულ მთებს
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს!

ამ სტრიქონებში პოეტი ახასიათებს საქართველოს ბუნებას: მდინარე არაგვი ჩქარად მავალი, გარშემო მთებით და ულრანი ტყეებით; დაბლა — ლამაზი, მობიბინე ჭალები და სივრცე ლურჯი, თვალმიუწდომელი ბადებენ ადამიანის სულში ერთგვარ გაშლისა და გაქანების გრძნობას; მეორე ნაწილში პოეტი ახასიათებს ამ გრძნობას შუბლის გაგრილებით, ღვინოს ექსტაზით, ქართველური შეძახებით და უდარდელობით. აქ მოცემულია ქართული განცდის მშვენიერი ფსიქოლოგია, ქართული სულის საუცხოვო ანალიზი ექსტაზის

წუთებში. შემდეგ ბარათაშვილი აგვიწერს მთიულეთის ხეობის არეს. ამ არეში არაგვის პირას ერეკლე მეფე ისვენებს ძველ ჩარდახში; მეფე დაფიქრებული, „მოწყენის თვალით გადმომზირალი“, დიდხანს უჰვრეტდა მდუმარედ არაგვის წყალთა ჩქეფას; დიდხანს ფიქრობდა მეფე და ბოლოს დაუწყო ლაპარაკი თავის მსაჯულს:

შენი ირაკლი ის აღარ ვარ,
პატარა კახად რომ გინახავარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს.

„მამული დარღვეული“—აი რას ხედავს ერეკლე მეფე და რის შველა სურს მას, მაგრამ ეძიებს საშუალებას: მემკვიდრეს ძლიერს ვერ ხედავს, ხალხში ღალატი და მტრობაა გამეფებული, საუკეთესო მამულის შვილები დაეცენ ბრძოლაში. სად არის ხსნა?

აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო.

სოლომონ მსაჯული უსმენს თავის მეფეს და როდესაც შეიტყობს, რომ მეფე ერეკლე აპირებს საქართველოს რუსეთის ხელთ გადაცემას, განცვიფრდება: მას არა სჯერა ის, რასაც მეფე ეუბნება:

იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.

სოლომონ ლეონიძე ტიპია ქართველი ინტელიგენტის — ტიპი უაღრესად რეალური: იგი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, როდესაც სხვადასხვაობას აქვს ადგილი ერთა შორის; ამიტომ იგი ეკითხება მეფეს:

იცი, მეფეო, რომ ი ვ ე რ ნ ი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

რა თქმა უნდა, ამის პირდაპირ პასუხს მეფე ერეკლე არ იძლევა: მან იცის, რომ საქართველოს ბედნიერების საკითხი პრობლემატიკურია, მაგრამ სხვა გზას იგი ვერ ხედავს:

ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველი არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?

აი სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები: ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას ერეკლე მეფე მაინც

და მაინც დიდი ოპტიმიზმით არ უყურებდა, მაგრამ სხვა გზა საქართველოს აღარ ჰქონდა და ეს აწუხებდა ქართველი ხალხის დიდ გმირს; საქართველო მანამდიც ეძიებდა დახმარებას საქართველოს გარედ: ერეკლე მეფის სასახლეში ბატონიშვილთა შორის ამის შესახებ დიდი დავა იყო; მაშინ რამოდენიმე ორიენტაციის სხვადასხვა ჯგუფი იყო საქართველოში; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდენ საქართველოს ინგლისელების ხელთ გადაცემას; ამისათვის ავლაბარში ერეკლე მეფის ბრძანებით თავი მოჭრეს განათლებულ ქართველს პაატა ბატონიშვილს. რომ საქართველოს თავისთავად, დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო, იცოდენ ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა და საკვირველია, რატომ სოლომონ ლეონიძე ეგრე გულუბრიყველოდ მსჯელობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიუხედავად თავის დიდი ნიჭისა, ამ საკითხში ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგად არ იცნობდა ქართველი ინტელიგენტის მაშინდელ პრობლემებს; არ იცოდა მან, რომ ხშირად ყოფილა დიდი დავა ერეკლე მეფის დროს საქართველოს ბედის შესახებ და ქართული კულტურის პერსპექტივების შესახებ. ამაზე ლაპარაკი საბა-სულხან ორბელიანსაც ჰქონდა ლუი მეთოთხმეტესთან და ქართულ კულტურას რომ თავისუფალი განვითარების გარანტია ჰქონოდა, საქართველოსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადებაც იყო განზრახული. საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის საკითხი არ იყო ახალი იმ დროისთვის და გაუგებარია ის პოზიცია, რომელსაც იკავებს ამ საკითხისადმი ისეთი დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ინტელიგენტი, როგორიც იყო სოლომონ ლეონიძე.

აქ კი შეიძლება ვიფიქროთ ერთი რამ: ბარათაშვილს არ აინტერესებდა საკითხის ისტორიული მხარე, ბარათაშვილი ყუოადღებას აქცევს უფრო ეროვნულ-სოციალურ მხარეს და ამიტომაა ალბათ, რომ ათქმევინებს სოლომონ ლეონიძეს თავის საყვარელ მეფისადმი საშინელ საყვედურს:

მადლობა, ღმერთო, შენსა კანგებას!
ერთ კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი...
...და იგი მათს ბედს ასე განაგებს
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება...
...მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?...

ამ საყვედურში ისმის დიდი რესპუბლიკანელის ხმა, რომელიც გამოწვეულია ცხოვრების უსამართლობით და მეფის უფლებით; სოლომონ ლეონიძე სახელმწიფოებრივ ფიქრებში იყო გართული, როდესაც მოადგა თავის სახლის ჭიშკარს; წინ მოეგება თავის საყვარელი ცოლი სოფიო, განსახიერება მშვენიერებისა და გულკეთილობის; როდესაც ცოლმა დაინახა ქმრის მოწყენილი სახე, ჰკითხა მიზეზი მოწყენილობისა. ქმარმა დიპლომატიური და მოხერხებული პასუხი გასცა: უთხრა, რომ მეფეს განზრახული აქვს საქართველოს შეერთება რუსეთთან და მაშინ ქართველი grande dame-ები იქნებიან პეტერბურგში, და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში უფრო მხიარულად დროს გაატარებენ, ვიდრე პრიმიტიულ საქართველოშიო. მაგრამ სოფიო სრულებით არ არის კმაყოფილი ასეთი პასუხით და მეფის განზრახვით.

უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,—.

ამბობს ქართველი ქალი. სოფიო განსახიერებაა ქართველი ქალის ისტორიული ტიპისა—ქართველი ქალის, რომელსაც უყვარს საქართველო ორგანიულად, ფიზიკურად, რომელსაც ვერ წარმოუდგენია წუთისოფლიური სიამე საქართველოს მიწა-წყლის გარეშე, საქართველოს ჰაერის გარეშე. სოფიო ვერ ხედავს იმ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტრაგედიას, რომელსაც განიცდის ერეკლე მეფე; სოფიო ერთვავარად წააგავს თავის მეუღლეს სოლომონს: პატრიოტობა ახასიათებს ორივეს და ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემის ბოლოს სწუხს, რომ ასეთი მამულის მოყვარული ქალები საქართველოში მხოლოდ ძველად იყვნენ და ეხლა აღარ არიან. პოემა თავდება იმით, რომ მეფე ერეკლე ბრუნდება თბილისში და თბილისი კვლავ იწყებს აღორძინებას, მაგრამ ქართლის ბედი პატარა კახს უკვე გადაწყვეტილი აქვს: საქართველო უნდა შეუერთდეს დიდ რუსეთს, ვინაიდან სხვა გზით საქართველოს არსებობა არ შეუძლიან.

პოემა დაწერილია 1839 წ. მთელს პოემაში დაცულია რეალისტური ასახვის მეთოდი: რომანტიული ადგილები ისე გაბნეულია პოემაში, ან ისე მარჯვედ ჩართულია, რომ ვერ ამჩნევთ ვერც ერთ გაურკვეველ თქმას, ვერც ერთ აზრს ბუნდოვანს და გაუგებარს, თუმცა ენა პოემის, თქმის კონსტრუქცია ადგილ-ადგილ მეტად ბლაგვია. საერთოდ ნიკოლოზ ბარათაშვილს არა აქვს მაინც და მაინც დაწმენდილი და სუფთა ენა, მაგრამ ის, რაც ჩვენ გვხიბლავს მის ნაწერებში, არის გულწფელი და ღრმა აზრი, დიდი ცოდნა ადამიანის სულისა, მკვეთრი მოფიქრება.

პოემა „ბედი ქართლისა“ პირველი პოემაა ქართულ ლიტერატურაში ევროპიული გაგებით; პოემა აშენებულია ისტორიულ ფონზე და მხატვრული წყობით წააგავს პუშკინის ისტორიულ პოემას „პოლტავას“: მეფე, ჯარი, ოჯახი, ქალი ისე გადაკავშირებულია სოციალ-ისტორიულ მოძრაობას ბარათაშვილის პოემაში, როგორც პუშკინის ნაწარმოებში. ბარათაშვილი ამ პოემაში იჩენს დიდ რეალისტურ ნიჭს და საკვირველია, რომ მთელს პოემაში არსად ჩანს ავტორი, მისი პესიმისტურ-ფილოსოფიური სულის წვალება; პოემის არქიტექტონიკა ოსტატურადაა აგებული: ჯერ მოქმედება, — შემდეგ გააზრება და დახასიათება გმირებისა თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობაში საუცხოოა. ერეკლე მეფის თქმა, ისე თავისებურია, რომ სრულებით არ წააგავს სოფიოს თქმას; ერეკლე მეფე სიტყვებს ამბობს პატრიარქიული პათოსით და სიდიადით; არის რაღაც გრანდიოზული და ზვიადი მის თქმასა და ლოცვაში; სულ სხვა არის სოფიოს ყოველი სიტყვა, რაღაც ბავშური, ქალური ნაივობით გამოთქმული:

უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე...

მიუხედავად იმისა, რომ პოემის ენა არ არის დაწმენდილი, ამ სიტყვებში ჩანს დიდი ფსიქოლოგი და სტილის ოსტატი. იმ დროსთვის, როდესაც ლიტერატურა მხოლოდ ნაცნობთა გასართობად იწერებოდა საქართველოში, პოემა „ბედი ქართლისა“ დიდი ისტორიული მოვლენااა, განსაკუთრებით ისტორიული შინაარსით და მხატვრული კონსტრუქციით.

ამის შემდეგ ჩვენ შეუდგებით სხვა ნაწერების დახასიათებას, რომელთა შორის ფსიქოლოგიურად ისახება იდეა კოსმიური სევდისა.

კოსმიური სევდა

ბუნება და სიყვარულის ფილოსოფია

„შემოღამება მთაწმინდაზე“ „ჩინარი“, „რად ჰყვედრი კაცსა“.

ბუნება ნუგეშისა და სევდის არეა: ყოველი ადამიანი ბუნებაში ხედავს ერთგვარ თანამგრძნობს თავის განცდისა და სულის ინტერესებისას; ბუნება ლიტერატურაში დიდი ხანია შემოიჭრა; ცრუკლასიკები ბუნებას ყურადღებას არ აქცევდენ: კორნელის, რასინის და ხშირად მოლიერის ნაწერებშიაც ბუნებას ვერ შეხვდებით; ცრუკლასიკები იღებდენ წერის საგნად ადამიანს გმირის პოზაში უსათუოდ.

რომანტიკოსებმა პირველად შემოიტანეს ლიტერატურაში ბუნების აწერა და სიყვარული ბუნების მოვლენებისადმი; couleur locale რომანტიკოსების ლიტერატურული თქმაა და ეს თქმა ლიტერატურაში შემოიჭრა მკვეთრად: შექსპირის, ბაირონის, შატობრიანის, რუსეთში ტურგენევის ნაწერებში ბუნება საუცხოვო ფერებითაა დახასიათებული; შატობრიანი ბუნებას უყურებს ერთგვარი შიშით და იმედით.

ბუნების დაუსრულებლობა მართლა შიშისა და იმედის გრძნობას იძლევა; ადამიანი მეტად განსაზღვრულია ყოფაში, მაგრამ ამ განსაზღვრაში ადამიანს აქვს ერთგვარი ესთეტიურ-კულტურული სახიერება, თუნდაც თავის შინაგან ხილვაში, აზრისა და სულის ექსტაზში.

ქართულ ლიტერატურაში შოთა რუსთაველმა საუმუალო საუუკუნეებში გადაგვიშალა ჩვენს წინ ბუნების რიტმი და მუსიკალობა: შოთა რუსთაველი მულღა-ზაზნარის ველზე ავთანდილის სიტყვებით გვაერთებს ბუნებასთან, მის მუსიკასთან. რუსთაველის შემდეგ ვაჟა-ფშაველამდე ყველაზე უფრო ლამაზად და ღრმად განიცდის ბუნებას ნიკოლოზ ბარათაშვილი. მართალია, გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთ ნაწერში მშვენიერი სურათი შეგხვდებათ ბუნების, მაგრამ განცდას ეს სურათი არ იძლევა: არ არის ფსიქოლოგიური წვალება. მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერებში ჩვენ გვაქვს ორგანიული განცდა ბუნების სილამაზისა და ამ განცდის მეტად ორიგინალური გამოსახვა ფილოსოფიურ-პოეტურ მეტაფორებში.

„შემოღამება მთაწმინდაზედ“ — შედევრია ბუნების განცდისა: პოეტი ადის მთაწმინდაზე მაშინ, როდესაც იდუმალობა დაისადგურებს არემარეს: ძირს გაშლილ ლამაზ ველს დაყურებს იგი; საღამოსევდიანი და წყნარი იტაცებს მის სულსა, გრძნობას და აღტაცებით ამბობს იგი:

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან!

ამ ტაეპში ბარათაშვილი გამოსახავს ადამიანის სულის ლტოლვას უსაზღვროებისადმი, ადამიანის სულის მისწრაფებას მარადობისაკენ; პოეტი განაგრძობს მშვენიერი სიტყვებით:

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება
გულის თქმა ჩემი შენს იქითა იძიებს სადგურს,
ზეხაართ სამყოფს რომ დაშთოს იქ ამაობა.
მაგრამ ვერ ცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს.

ჩაფიქრემული პოეტი სდგას მარტო და ცათა მიმართ ტრფობით მზირალს, შემოერტყმის ღამის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ „მდუმარებითა". ხანდისხან ნელად ჰქროლავს ნიავი, ღელეთა მორის აღმოკვნესის უცნაური ხმა და ეს ხმა პოეტის გულს რაღაცნაირად უთანხმდება:

სდუმდა ყოველი მუნ არე მარე,
ბინდი გადეკრა ცისა კამარას,
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური,
ვარსკვლავი მარტო მისა ამარას.
გინახავთ სული ჯერედ უმანკო
მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე,
დისკო გადახრით შუქმიბინდული.

სამყარო გაშლილია უსაზღვრო სივრცეში; მთვარეს, როგორც შეყვარებული, მისდევს ვარსკვლავი და მთვარე კი წააგავს სულს, დაქანცულს მხურვალე ლოცვით; მთვარე „დისკო გადახრით შუქმიბინდული და ნაზად მოარე" სიმბოლოა რომანტიზმის იდეალებისა და ილიუზიების. სულის სევდა და მწუხარება ნუგეშს იღებს ბუნებისაგან, როდესაც ბუნებაში ასეთი კოსმიური სახეა აწყობილი. ნიკოლოზ ბარათაშვილიც გრძნობს ერთგვარ ფსიქოლოგიურ შვებას:

მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს...

„შემოღამება მთაწმინდაზე" გამოსახავს ისეთ იდეას, რომელსაც ლიტერატურაში ეძახიან leu commun (საერთო ადგილი), მაგრამ მიუხედავად ამისა ბარათაშვილს აქვს თავის საკუთარი შეგრძნობა ბუნებისა, საკუთარი ხილვა იმ საიდუმლოებისა, რომლის არსებობას ქვეყნად ამჩნევს მისი აზიზი და სათუთი სული.

მაშინდელი მთაწმინდა იყო ვერანი და უდაბური; დღეს კი იქ ფუნიკულიორი ადის და ბაღია გაშენებული: ცივილიზაციამ მთაწმინდაზე ელექტრონით დაკლა საიდუმლოება, მაგრამ ცივილაზაციამ ახალი საიდუმლოებაც მოიტანა; საღამოს, როდესაც ფუნიკულიორით ახვალთ მთაწმინდაზე და გადახედავთ ელექტრონით განათებულს თბილისს, რაღაც ჟრუანტელი დაგივლით ტანში: დაბლა ქალაქი უსაზღვროების კალთაში თავის ელექტრონით და ავტომობილებით, თავის კომერციით და საქმეებით ისე ჩაწოლილა, რომ შეგეცოდება საერთოდ ყოფა ადამიანისა ქალაქის უსაზღვრეობის არეზე; გრძნობა ინდივიდუალური უსუსურობისა ცივილიზაციან ადამიანში გააღრმავა და ამ მხრივ ცივილიზაცია ხელოვნებაში იძიებს ახალი

რომანტიზმის პერიოდს: მეცნიერება არ ეწინააღმდეგება ხელოვნებას; მეცნიერებით გაკაფულ გზას ქვეყნად ყოველთვის შემოერტყმის რომანტიულ-კოსმიური ბურუსი.

დაკვირვებული და ღრმა სულისათვის მთაწმინდა დღესაც რომანტიულია და ვინც მთაწმინდიდან გადახედავს თბილისის არემარეს, ის უსათუოდ მოიგონებს სევდისა და ტანჯვის დიდ მგოსანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელმაც თავის მეორე ლექსში „ჩინარი“ გადაგვიშალა ბუნების სიყვარული და სულის არსებობა ბუნების მოვლენებში. „ჩინარი“ ქართული ლიტერატურის მარგალიტია; ამ ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილი თითქო ასახიერებს შოთა რუსთაველის ნაიქვამს: შ ა ი რ ო ბ ა სიბრძნისაა ერთი დარგი:

მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიავი:
და შრიალითა არხევს ჩინარსა,
ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უსაკოთაც და უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა
არს მნიშვნელობა მათთის საუბრის!
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა,
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლების
და აღმოარხევს უფსკრულებიდან
და აღელვილი კლდესა ეხლების.

მტკვარი — და ჩინარის ფოთლები გამოსცემენ სახიობასა მსოფლიო სულისა, და პოეტი ბარათაშვილი დარწმუნებულია, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთა და უსულოთ შორის“; სამყაროს აქვს სული და განცდა; ის, რასაც ჩვენ ბუნებაში ხმაურობას ვეძახით, ენტელექიის ხმაა; სული არსებობს ყოველ არსში, ყოველ ნივთში, მინერალებში არის მინერალური სული, მცენარეებში მცენარეული ან ვ ე გ ე ტ ა ტ ი უ რ ი, როგორც ამბობენ ბუნებისმეტყველები, ცხოველებში მოძრაობს ცხოველური სული და ადამიანში უმაღლესი ფორმა სულისა, რომელსაც ძველი ბერძნები ეძახდენ ლოგოსს (logos). სამყარო წარმოადგენს ერთ დიდ სხეულს, ერთ დიდ ტანს, რომელიც სავსეა გრძნობებით და სულით, აზრებით და განცდებით; ნიკოლოზ ბარათაშვილი აქ ვაჟა-ფშაველასთან ერთად უახლოვდება ევროპის დიდ მეცნიერებს, ბიოლოგებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბუნება ასულდგმულებულია; ყოველგან, ყოველ ნივთში არის სული; სახლის ავეჯეულობა, ზღვის ტალღები, უდაბნო, ჭაობი და ბაღი, პლანეტები და ხიწვი — ყველაფერი ინახავს ენტელექიის ფორმებს, ყველაფერში

არის სული, აზრი, იდეა, განცდა. ვაჟა-ფშაველა თავის პოემებსა და მოთხრობებში საუცხოვო ილიუსტრაციას იძლევა სამყაროს სულიერი ცხოვრებისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლიო სული იწვის ტრფიალებით:

ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლების.

სიყვარული არა მარტო ადამიანთა და ცოცხალ არსთა შორის, სიყვარული ბუნების მოვლენათა და ნივთთა შორისაც არსებობს,— ამბობს ჩვენი პოეტი და აქ ნიკოლოზ ბარათაშვილი მოგვაგონებს ინგლისელ მგოსანს შ ე ლ ლ ი ს, რომელსაც აქვს მშვენიერი ლექსი „სიყვარულის ფილოსოფია"; ამ ლექსში შეყვარებული შეყვარებულს ეგრე უსაბუთებს კოცნის ძალას და ბუნებრივობას: „შეხედე, მთები ცისკენ მაღლა იწევიან, ტალღები ნაპირებს ეხეთქებიან, ყვავილები, სათუთად თავდახრილნი, ერთმანეთს, ვით და-ძმა, ეალერსებიან. რისთვის ჩვენ ერთმანეთს არ უნდა ვეალერსებოდეთ, ჩემო მეგობარო?" ამ სიტყვებში გამოსახულია ულრმესი სინაზე ადამიანის სულისა, უნაზესი ფორმა სიყვარულის ორგანიული მოთხოვნილებისა. სიყვარული რელიგიაა ცხოვრებისა, სიყვარულში ყველა თავისებურად ბედნიერია; დღემდე ადამიანი იცნობდა ლიტერატურაში მხოლოდ ადამიანურ ფორმას სიყვარულისას, ნიკოლოზ ბარათაშვილი გვეუბნება, რომ არსებობს სიყვარული ბუნების მოვლენებშიაც; ბუნების მოვლენებიც ხშირად ისე ეტრფიან ერთმანეთს, როგორც რ ო მ ე ო და ჯულიტა, როგორც ავთანდილ და თინათინი; სიყვარული უნივერსალური თვისებაა ცხოვრებისა,—ამბობს ბარათაშვილი; სიყვარული ამოძრავებს ყოველგვარ ცხოვრებას და იქ, სადაც სიყვარული არ არის, ცხოვრებაც შეუძლებელია.

ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა" ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყვარულს ხსნის როგორც მარადიულ მოვლენას უკვდავებისას: პოეტი უარყოფს ხორციელ სიყვარულს:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა, ვერცა ხანი ვერ დააბერებს,
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა.

სილამაზეს პოეტი ეძახის ხორციელ ნიჭს და ამბობს: „ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნებისო". პოეტი არჩევს ორ ცნებას ერთმანეთისაგან — ცნებას „სილამაზე" ცნებისაგან „მშვენიერება". სილამაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის განმარტებით ხორციელი თვისებაა, მშვენიერება კი სულიერი; მშვენიერება უკვდავებასთან

არის დაკავშირებული. ნიკოლოზ ბარათაშვილი უახლოვდება საბერძნეთის ფილოსოფოსს პლატონს და ნეოპლატონისტს პლოტინს: პლატონის ფილოსოფიური მოძღვრებაც მშვენიერებას უკავშირებს უკვდავებისა და მარადობის იდეას.

ლექსი „რად ჰყვედრი კაცსა“ დამახასიათებელია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისათვის იმიტომ, რომ რომანტიზმის ფილოსოფია სულის მშვენიერებით და უკვდავების იდეით ამ ლექსში ორიგინალურად და მარტივად არის გამოთქმული: პოეტი აზროვნებს როგორც ევროპის დიდი რომანტიკოსები და სული მისი გატაცებულია ყოველდღიურ ცხოვრებისაგან განთავისუფლებული მშვენიერების იდეით.

სოციალური განცდა და მარტოობის ტრაგედია

„ვპოვე ტაძარი“, „სულო ბოროტო“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“.

ბუნება და სიყვარული შეადგენდენ ცხოვრების აზრს; მაგრამ პოეტი მალე დარწმუნდა, რომ გული, სიყვარულით შენამჭვალები „ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები“, მალე დარწმუნდა, რომ მარადიული სიყვარული მხოლოდ ოცნებაა.

სიყვარულისათვის საჭიროა ხორცი, ტანი, სხეული, რაც იხრწნება, იცრიცება, რაც შეუძლებელია იყოს მარადიული; ცხოვრების უდაბნოში პოეტს მხოლოდ სიყვარული ანუგეშებდა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მარადიული სიყვარული შეუძლებელია, რომ სულის გატაცება „ციურთ დასთან გალობის ზარით“ მოკლებულია რეალურ საფუძველს, შეხების საშუალებას, განმარტოვდა: „გულსა მოკლულსა კაცთ სიკვით და ბედის ბრუნვით“ აღარაფერი დარჩა ცხოვრებაში სანუგეშებელი, მაიმედებელი.

ამ დროის სულიერი განწყობილების გამომსახველია ლექსი „ვპოვე ტაძარი“, სადაც პოეტი ამბობს:

მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს,
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს.

მოისპო ქვეყნად ტაძრის ნაშთი და კვალი; პოეტს დარჩა ლამპრისაგან, რომელიც ენთო რწმენისა და იმედის ტაძარში, მხოლოდ ცეცხლი დამქრალი:

ვერლა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუსაფარი!

„ვპოვე ტაძარი“ სიმბოლიური ლექსია, რომელშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოსახავს ადამიანის სულის ისეთ მომენტს, როდესაც ცხოვრება, დაუსრულებელი და ფერადი უსაზღვრო სხვადასხვაობით, ადამიანს ეჩვენება უდაბნოდ; ამ დროს ამ უდაბნოში ბარათაშვილმა შეამჩნია ტაძარი, საღაც ენთო სანთელი — სიმბოლო რწმენისა და იდეალის, სიმბოლო ცხოვრების აზრის; მაგრამ საწუთრო დიდხანს არ ახარებს ადამიანს: ქვეყნად ყველაფერი წარმავალია; რაც დღეს არის, ის ხვალ აღარ იქნება; რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის; რწმენის ტაძარიც დაინგრა და პოეტის ცხოვრებას დაეკარგა აზრი; დარჩა ცხოვრება საზიზღარი, უაზრო, ცხოვრება ტანჯვისა და წვალების; ვერც ბუნების მშვენიერება, ვერც სიყვარულით გატაცება ვერ აკმაყოფილებს ბარათაშვილს.

მთელი ცხოვრება პოეტს ეჩვენება როგორც ბოროტება: საგნები და მოვლენები თავიანთ წახნაგებზე ჰკვეთენ ბოროტების იდეას; ტანჯვა და წვა ყოველ წუთს წინ ელობებიან ადამიანს; იმედები დაუსრულებლად იღუპებიან; ადამიანს მოსვენებას არ აძლევს უსამართლობა, რომელიც ბოროტი სულის სახით ხვდება არსებობის ყოველ წუთს; აღშფოთებული, სავსე მწარე გრძნობებით, პოეტი ეკითხება წუთისოფლიური ყოფის უკეთესმართ სიმბოლოს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად.
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა?
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ყოველი ადამიანი, რომელსაც ცხოვრებამ იმედები ჩაუქრო, გაიმეორებს ამ მწარე სიტყვებს. ბარათაშვილი ისე ლაპარაკობს, რომ დამწვარი გეგონებათ: ყოველი მისი სიტყვა ტანჯვისა და წვალების გაბგერებაა; ოხვრა არის შვება უბედურისაო. ამბობს იგი, და მართლაც, ბარათაშვილის სიტყვებში ოხრავს დიდი სული ქართული კულტურისა: ნაციონალური და ინდივიდუალური უბედურებანი ერთად შედიან ბარათაშვილის სულში და ერთად ათქმევინებენ მას, რომ ცხოვრება ჰკლავს „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებას“. ბარათაშვილს უკვირს: ერთ დროს ცხოვრება მას პირდებოდა თავისუფლებას, სიამეს უსახავდა, ჯოჯოხეთსაც სამოთხედ აქცევდა; მაგრამ შემდეგ მას დაეკარგა სულის მშვიდობა და „ღელვანი ვნებათანი ვერ აკმაყოფილებენ“ მას; წუთისოფელი ბარათაშვილის თვალწინ ამართულია როგორც ბოროტი სული, რომელმაც პოეტი გახადა ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სული მაშვრალი.

დაღლილი, დაქანცული შინაგანი ღელვით, ბარათაშვილი ჩამოდის ხშირად მტკვრის პირას, და, როგორც ჰანრი ჰაინე, ტალღებს ეკითხება ცხოვრების აზრს: ლექსი „ფიქრი მტკვრის პირას“ ისეთი ნაწარმოებია, რომელშიაც ქართული სული მსოფლიო სევდას ასახიერებს; სევდიანი პოეტი მტკვრის პირას ეძიებს ნაცნობს ადგილს განსასვენებლად; ლბილს მდელოზე თავის ნაზი სულით ზის და ტირის; არე-მარე მოწყენილია; ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა და მის ტალღებში ცის კამარა კრთის; ქართველი პოეტი, სავსე წარსულის მოგონებებით, საქართველოს თავგადასავალით, მრავალჯერ აოხრებული თბილისის ბედით, იდაყვდაყრდნობილ ყურს უგდებს ტალღათ ხმაურობას, და „თვალნი რბიან შორად, შორად ცის დასავალსა“. შორეულის გრძნობა — იდეალებისა და ილიუზიების ლივლივი იტაცებს პოეტის სულს და მტკვარს ყურს უგდებს იგი: მტკვარი მოწამეა მრავალ დროების, მაგრამ უტყვია; ვინ იცის, მტკვარი რას ბუტბუტებს? ვინ იცის, რას ამბობენ ტალღები? ბარათაშვილს ჯერა, რომ ტალღებსაც აქვთ სული და აზრი, მაგრამ ადამიანისთვის გაუგებარია; ჩვენ არ გვესმის ენა ბუნების. პოეტი უსაზღვროების არეზე გრძნობს თავს საწყლად, დაკარგულად; მას უნდა ვინმე უყვარდეს, მას უნდა ვინმე ეალერსებოდეს; ამ დროს ბარათაშვილი გრძნობს, რომ ინდივიდუალობა იკარგება, იძირება სამყაროის ნირვანაში, გრძნობს, რომ ინდივიდუალურ ყოფას ემუქრება კოსმიური უსაზღვროება: ინდივიდუალობას არა აქვს წუთისოფლად ნავთსაყუდელი, არა აქვს ადგილი დასასვენებელი, არა აქვს იმედისა და ნუგეშის ტაძარი; ამიტომ ცხოვრება ადამიანისა მარადობის თვალთახედვით ფუჭია და ამაოება:

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება.
მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

ბარათაშვილი სწუხს, რომ წუთისოფელი ფუჭია და ა მ ა ო ე ბ ა, სწუხს, რომ ცხოვრება წააგავს საწყაულს აღუვსებელს: სურვილი და კმაყოფილება ისეთ ურთერთობაში არიან, რომ ბედნიერებისა და უბედურობის საკითხი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ამ ურთერთობის საკითხია. რომაელი ფილოსოფოსი სენეკა ამბობდა: ღარიბი ის კი არ არის, ვისაც ცოტა აქვს, ღარიბი ის არის, ვისაც მეტი უნდაო; მთელი უბედურება ადამიანისა იმაში გამოისახება, რომ მას

არსებობის ყოველ წუთს მეტი უნდა, ვიდრე აქვს. სურვილი მიზეზია ტანჯვისა და ბუდდა ეგრე ამიტომ ებრძოდა სურვილებს. ბუდდას იდეალი იყო ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოსპობდა ადამიანში სურვილებს; ნირვანა ისეთი ადგილია, სადაც სურვილები არა აქვს ადამიანს. ბარათაშვილი ხედავს, რომ ადამიანის ტანჯვის მიზეზია სურვილები, მაგრამ მაინც არ არის მომხრე სურვილების სრული განადგურებისა, უარყოფისა; ბარათაშვილი ებრძვის ცხოვრებას არა ცხოვრების უარყოფისათვის, არამედ უკეთესი და ლამაზი ცხოვრების შექმნისათვის; ამ აზრს ბარათაშვილი იმეორებს „მერან“-შიაც: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“-ო.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

ბარათაშვილი ცხოვრების ღირებულებას იღებს, მაგრამ არა მეშჩანურს, არამედ გარდაქმნილს: ბარათაშვილი არ არის ბუდისტი, რომელიც უძრაობასა და ნირვანაში ხედავს იდეალის გამართლებას; ბარათაშვილი პოეტია აქტივობისა და ბრძოლის: კაცის ცხოვრება ბარათაშვილს წარმოუდგენია როგორც ბრძოლა და ღელვა, მოძრაობა; ბარათაშვილის ფილოსოფია სასოწარკვეთილებისა და ბრძოლის ფილოსოფიაა.

მხოლოდ ბარათაშვილი თავის გარშემო ხედავს ისეთ წრეს, რომელსაც არ ესმის მისი სიტყვები, არ ესმის ბრძოლისა და აქტივობის ქადაგება; ნაცნობთა და ნათესავთა შორისაც ვერ ხედავს ბარათაშვილი თანაგრძნობას, ამიტომ იგი ამ ქვეყნად სულით ობოლია.

მშვენიერ ლექსში „სული ობოლი“ ბარათაშვილი ახასიათებს სულით ობოლ ადამიანს: მეგობარს და ნათესავს მოკლებული ადამიანი ისევ მონახავს ახალ მეგობარს და ახალ ნათესავს; თუ ერთს ვერ შეიგუება კაცი, მეორეს მონახავს, თუ ერთი დაეკარგა, მეორე გამოუჩნდება: მაგრამ, თუ ადამიანს დაეკარგა რწმენა იმის, რომ ქვეყნად შეიძლება მეგობრობა, ნათესაობა, თუ სულს ადამიანისას არ ათბობს ღვთაებრივი გრძნობა ნაზი ნდობისა და რწმენის, ცხადია, ვერასოდეს ადამიანი ვერ ეღირსება ბედნიერებას და მის სულს დარჩება ამ ქვეყნად მხოლოდ ტანჯვა.

ბარათაშვილი ამ სასოწარკვეთილებას ადამიანის სულისას გამოსახავს ისეთი სინაზით, ისეთი გულწრფელობით, რომ თქვენ ყოველთვის თანაუგრძნობთ მას: მის სიტყვებში არის საოცარი დინამიკა განცდისა და წვალების; ყოველი გამოთქმა გამთბარია შინაგან. წუხილით, სულის შემოქმედებითი წვალებისა; ამიტომ ბარათაშვილის

ნაწერებში ვერსად ვერ წააწყდებით ლიტერატურულ ხელოსნობას, გაკეთებულ ადგილებს; ბარათაშვილი ბაირონთან ერთად უწინარეს ყოვლისა განცდის მგოსანია და ის, რასაც ეხლა ზვიადი და ამპარტავანი გამოთქმით ექსპრესიონიზმს ეძახიან, ბარათაშვილმა მოკვცა იშვიათი სიძლიერით. ექსპრესიონიზმი თავის არსებით განცდის სტილია და ამით იგი განსხვავდება იმპრესიონიზმისაგან—ჭვრეტის სტილისაგან. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ბარათაშვილი იყოს ჭვრეტისა და უსაქმობის მგოსანი. მის რომანტიულ-ინდივიდაულისტურ ღელვაში ბერავს ქარიშხალი უკმაყოფილებისა და ძიების, იმედისა და სასოწარკვეთილების.

ბარათაშვილმა ქართულ ლიტერატურაში პირველად დასვა საკითხი ცხოვრების ღირებულებისა და მიღების შესახებ; მანამდე, სანამ ბარათაშვილი დაიწყებდა წერას, ქართულ ლიტერატურაში იყვნენ სევდისა და მწუხარების გამომსახველები (იყვნენ პოეტები), რომელთაც აწუხებდა ცხოვრების საერთოდ მოუწესრიგებლობა, მაგრამ ეს წუხილი ფაქტიურად არ გაშორებია არასოდეს ტრფიალებისა და ღვინოს ატმოსფეროს; ის, რასაც ქართულ ლიტერატურაში ეპიკურეიზმსა და ეროვნულ-ისტორიულ რომანტიზმს ეძახიან, ის, რასაც ამბობენ ჩვენში ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, მხოლოდ სექსუალურ-ფიზიოლოგიური ღელვის აორთქლებაა. ბარათაშვილი პირველი მგოსანია ინტელექტუალისტი: ლექსებში „სულო ბოროტო“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“ მოცემულია ცხოვრების ფილოსოფია, ადამიანის სულის ზოგადი უკმაყოფილება წუთისოფლად.

ამ ლექსებში გამოსახულია ინდივიდუალობის სოციალური განცდა: „კაცთა სიავე“ და ამ სიავით გამოწვეული ტკივილები ათქმევინებენ ნიკოლოზ ბარათაშვილს მწარე და სევდიან სიტყვებს; ბარათაშვილი ბევრს ფიქრობდა; სული მისი ყოველ წუთს რაღაც წვაში იყო; თქვენ ვერ წარმოიდგენთ ბარათაშვილის ცხოვრებაში დასვენებას და მშვიდობიანობის მომენტს; ბარათაშვილში შეოთავს ლეოპარდისებური სასოწარკვეთილება და ამ სასოწარკვეთილებაში იმალება გამოუთქმელი, ორგანიული სიყვარული ცხოვრებისა: უარყოფასთან ბარათაშვილი სიყვარულსაც განიცდის. ბარათაშვილი, როგორც შემომქმედი, იწვის უარყოფისა და სიყვარულის წახნაგზე მთელი თავისი არსებით; ბარათაშვილის სულში ანთია დიდი ცეცხლი, რომელსაც ყოველი კეთილშობილი მოაზროვნე ატარებს თავის მეობაში.

1842 წ. ოქტომბრის 31 ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს თავის დას მაიკოს: „შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ, არ დამიჯერებ

მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც გონება მწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერების, წვეთნი საშინელის საწამლავისა. სად განისვენოს სულმა*) სად მოიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არ მქონია; ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა მოუსყიდელი მსაჯული. —მოიგონე ცოტახანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებ; ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელად-ღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი„.

რა ღრმა ცოდნაა ადამიანებისა და ცხოვრების? რა ღრმა განცდაა მარტოობისა და ჩვეულების სიტკბოების? რა დიდი სიმაღლეა საკაცობრიო სევდისა? ამ სტრიქონებს სიამოვნებით ხელს მოაწერდენ გოეთე და ბაირონი; ბარათაშვილი იშვიათი სილრმით და სიმწვავით გვაგრძნობინებს მარტოობის ტრაგედიას, ადამიანთა სიავეს, ცხოვრების საერთო უკეთურობას; ძალა-უნებურად გაგონდებათ პუშკინის მშვენიერი სიტყვები:

Кто жил и мыслил,
Тот не может не презирать людей.

ბარათაშვილი ამ წერილში სხვათა შორის იხსენიებს თავის ლექსს „სული ობოლი“ და იქიდან მოყავს შემდეგი სიტყვები:

ძნელი არის მარტოობა სულისა.
მას ელტვიან სიამენი სოფლისა;
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა.

„დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი უმაღლესი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან“, —სასოწარკვეთით და ირონიით ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი, და აქ იგი ისე დიდია, ისე ღრმა, ისე საინ-

*) კურსივი ჩვენია. კ. კაპანელი.

ტერესო საკაკობრიო, მსოფლიო გრძნობათა გამოსახვაში, როგორც ლერმონტოვი და ბაირონი. „დაიმარხე მშვენიერება სულისა“, — საშინელი სარკაზმით სავსე სიტყვებია: წუთისოფელს არ ესაჭიროება კეთილშობილება; წუთისოფელი ვერაგი, ფლიდი, მანკიერი და ცულლუტია; წუთისცოლად არ არსებობს ღირებულება ზედროული. ასეთ ქვეყანაში რაღა დარჩენია კეთილშობილ და თავმოყვარე ადამიანს? ბარათაშვილის წინაშე დადგა საკითხი: დარჩეს წუთისოფლად, თუ გაექცეს წუთისოფელს?

უსაზღვროების განცდა და ექსტაზი

„მერანი“

ბარათაშვილის ნაზ სულში მოძრაობს ქართულ მოდგმათა ორგანიული პოტენცია: არა მარტო პოემა „ბედი ქართლისა“, არამედ ყოველი ლექსი და ყოველი კერძო წერილი ბარათაშვილისა გამოსახავს ქართული ცხოვრების შინაგან ტევას, სისავსეს, ქართული კულტურის ღელვილ განცდას.

კონსტრუქცია ბარათაშვილის შემოქმედებისა უაღრესად ეროვნულ-ისტორიულია: ბარათაშვილის სული ლიტურგიაა საქართველოს ისტორიული ინდივიდუალობისა; ბარათაშვილის თქმაში ისმის ქართული ცხოვრების პულსის ცემა, მისი არიტმია და შესუსტება. საქართველოს ისტორია ეპოქათა ქარიშხალებით, ქართლის ბედით, ბოროტი სულებით, მტკვრის მრავალჯერ სისხლით შეღებილ ტალღებით, ქართული სულის ისტორიული ობლობით და მარტოობით, ქართული ნებისყოფის მარადიული გრძეობით, მთაწმინდით ბარათაშვილის პოეტურ-ფილოსოფიურ კონცეპციას შეადგენს.

პირადი ცხოვრების უკულმართობა გავლენას ახდენდა ბარათაშვილის სულიერ განწყობილებაზე, მაგრამ საბოლოო ფორმას ამ სულიერ განწყობილებისას იძლეოდა ქართული საზოგადოებრივობის ევოლიუცია, ქართული ცხოვრების თანდათანობითი ვითარება.

ხოლო ბარათაშვილმა უარყო სულის სიმშვიდე, რომელიც პოვეს ორბელიანებმა და ალ. ჭავჭავაძემ ჩინოვნიკობასა და მეფის საჩუქრებში; ამ მხრივ ბარათაშვილი ეროვნული თავმოყვარეობის და ორიგინალობის კეთილშობილი რაინდია: როდესაც სხვები დიდ სალონებში ფრეილინებთან არშიყობით და ლოთობით თვრებოდენ, ბარათაშვილი განაპირებულად, მარტო თავის სულის ხვეულებში ქართული კულტურის ბედზე ფიქრობდა და ქართველი მოდგმის გადაგვარებისადმი ზიზღით ივსებოდა.

ამავე დროს ქართული კულტურის შინაგანი წყობის შესუსტებაც აზოგადოებდა თავის დიდი ინტელექტით: კერძო წერილები ნი-

კოლოზ ბარათაშვილისა ქართული საზოგადოებრიობის სარკეა; განსაკუთრებით ის მწარე და სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები, რომელთაც ნიკოლოზ ბარათაშვილი სწერს თავის დას მაიკოს, მეტად ცუდათ ახასიათებს ქართველ საზოგადოებას.

მართალია, დროგამოშვებით იმ წრეში, რომელშიაც ტრიალებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, იყო ლაპარაკი სხვადასხვა სერიოზულ ლიტერატურულ-იდეოლოგიურ საკითხებზე, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის აზროვნების ჰორიზონტით სცილდებოდა თავის გარშემო მოწინავე ინტელექტუალურ ატმოსფეროსაც; მკვეთრი და სახიერი განცდა ყოველდღიური ცხოვრებისა ხანდახან ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებში ისეთ ფორმულას პოულობს, რომ პირდაპირ საოცარია: გიკვირთ — საიდან მოქონდა ინდროინდელ ქართველ მწერალს ასეთი სიღრმე აზროვნებისა? ერთ ალაგას პოეტი სწერს თავის დას მაიკოს: „თუ ფიქრობ, ისეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არ ქონდეს, ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო?“ — გეგონებათ, რომ ლაპარაკობს რომელიმე ლაროშფუკო ან პასკალი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე გამოიყურება ქართული ლიტერატურიდან, თითქოს მას დავალებული ჰქონდა ისტორიულად ქართული სულის საკაცობრიო გრძნობათა გამოსახვა, თითქო მის სინდისს აწვალებს სივიწროვე და სიპატარავე ქართული ცივილიზაციის ტევადობის; ნიკოლოზ ბარათაშვილს აწუხებს რაღაც ტიტანიური, ზე-კაცური სურვილი: იმ დროს, როდესაც სხვები თამაშობენ ნარდსა და ჭადრაკს, როდესაც სხვები მსუბუქ ოცნებათა მარაოებში ათრობდენ თავიანთ სულს, ნიკოლოზ ბარათაშვილი იძენძება ორგანიულად ტრაგედიული განცდებით. ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც ალფრედ დე-ვინი ეძიებს ცხოვრების ყოველ მომენტში კეთილშობილებას და როცა ვერ ხედავს იტანჯება; ბარათაშვილს შეეძლო ეთქვა ალფრედ დე-ვინისთან ერთად: j'aime la majésté des soufrances humaines.

ძიებით დაღლილი პოეტი გადის წუთისოფლიდან, როგორც „მწირი მიუსაფარი“ და ტანჯული სულის ქარიშხალისებურ ქროლვაში ასახიერებს შემოქმედებითი ექსტაზის უძლიერეს განცდას: „მერანი“ — უკანასკნელი და უმშვენიერესი თქმაა ნიკოლოზ ბარათაშვილისა; ქართული მეტყველების დინამიკა „მერან“-ში ბიბლიურ სიმახვილეს აღწევს: ქართულ ლიტერატურაში ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ადგილი, სადაც განცდა ეგრე მკვეთრად იყოს განსახიერებული, სადაც სიტყვათა წყობა იძლეოდეს ადამიანის სულის უმეშვეო ვერბალურ-ესთეტიურ ფიქსაციას ისე, როგორც „მერან“-შია მოცემული.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი.
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი!
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენი!
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით
ოავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,
მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა
და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა!
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს,
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის.
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხ-ლი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი,

თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი!
დაე მოვჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება?
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!
მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

„მერანი“ ტრაგედიული გრძნობის გამოსახულებაა: ამ ლექსში ცხოვრების უარყოფაც არის და მიღებაც; სული ბარათაშვილის სავსეა ორმაგი გრძნობებით: პოეტი მზად არის მოშორდეს მეგობრებს, მამულს, მშობლებს, სატრფოს ტკბილმოუბარსა; პოეტი მზად არის ყვნესა გულისა—ტრფობის ნაშთი მისცეს ზღვის ღელვას, გაატანოს ძერანის გიჟურ ლტოლვას; ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის შავად მღელვარე ფიქრს აძლევს ნიავს, როგორც შატობრიანის რენე ამოვარდნილ გრიგალის დროს ტყეში; პოეტი იმ ზომამდე ზიზღით შეჰყურებს ქვეყანას, რომ წინაპართა საფლავებს შორის დამარხვაზედაც უარს ამბობს:

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის
ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ხარით, ღრიალით
მიწას მამაყრის“-ო.

ბარათაშვილი აქ ლერმონტოვს გვაგონებს, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე ბუნებას ეუბნება ტიტანიური განცდების გამომსახველ სიტყვებს: „прах мой бездомный по ущелию без сожаления развей“. ბარათაშვილი გამოსახავს უიმედობას ადამიანის სულისას ისე ძლიერად, მკვეთრად, მწვავედ, სახიერად, როგორც ლერმონტოვი, ბაირონი, ლეოპარდი, ნიცშე; ბარათაშვილი, რო-

გორც ლერმონტოვი და ბაირონი გრძნობით ტონს ადუღებს, აერ-
თებს გონებასთან და თქმა მისი გამოდის რაღაც მჭრელი, მკვეთრი,
მწვავე; ბარათაშვილის „მერანი“ განცდის მუსიკალური ფორმაა სრუ-
ლებით განთავისუფლებული ფიზიოლოგიურ-ვეგეტატიურ სიმძიმისა-
გან: მატერია დაძლეულია განცდის სიმძლავრით, შინაგანი წვით,
სულის ძიებით და არა „ყურძნის წვენის გემებით“ ან ტოლუმბაშის
ჯამით დარდიმანდის ლხინში; „მერანის“ წაკითხვის დროს მთელი
თქვენი ტანით ირხევით, ღელავთ; ბარათაშვილი დიდია განსაკუთ-
რებით თავის მწვავე გრძნობებით და ტანჯვით შექმნილ სულის სი-
ნაზით; მის გარშემო ჩვენ ვხედავთ მოქეიფე საქართველოს, მუშტი-
კრივში ქართულ ქუდ-ჩაკეცილ ორთაჭალის „რაინდებს“; გრიგოლ
ორბელიანი საუკეთესო თამადაა მოქეიფე ქართველებისა და ი
დროს, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ცრემლებით იბანს ტანჯ-
ვით დაღარულ სახეს, მისი საყვარელი „ძია“ გრიგოლი დროს ატა-
რებს ორთაჭალის ბაღებში და ლოპიანას სიტყვებით ტრაბახობ
„ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარო“; ან ნავში ჯდება საღამოობ
და ძმა-ბიჭებთან მტკვარზე მართავს ღრეობას; ბარათაშვილი
მწარე ტანჯვასა და კონვულსიებში იძახის: „ვაი ჩვენო ქართ
ბედო!“ ამ ფსიქოლოგიური კონტრასტის შეგრძნობიდან დაებად
ნიკოლოზ ბარათაშვილს იდეა ქვეყნიდან გაქცევისა, ნათესაობისა
მეგობრობის დატოვებისა, სატრფოსა და სამშობლოს უარყოფის
აქედან წარმოიშვა ტრაგედიული გრძნობა მარტოობისა, რომელშ
ამოვლებულია „მერანი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები.

ამბობენ-- „მერანი“ მიბაძვაოო მიცკევიჩის „ფარისისა“*; ჩ
ვფიქრობთ, რომ მიბაძვაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში არ შეიძლ
თუ ბარათაშვილის „მერანი“ მიცკევიჩის „ფარისის“ მიბაძვაა, მა
გოეთეს „ფაუსტი“ მარლოს „ფაუსტ“-ის მიბაძვა ყოფილა: გოეთ
„ფაუსტი“ მარლოს ფაუსტს უფრო წაგავს შინაარსით, ვიდრე ბ
რათაშვილის „მერანი“ მიცკევიჩის „ფარისს“. რატომ არ ამბობ
შექსპირის ჰამლეტი მიბაძვაოო? მიბაძვაზე შეიძლება ლაპარაკი მ
ლოდ იქ, სადაც ორიგინალობას არა აქვს ადგილი; ბაირონის დ
ჟუანის ფაბულა ვინ იცის რაოდენ პოეტს აქვს თავისებურად ამ
ყველებული, მაგრამ მიბაძვაზე არ ლაპარაკობენ... „მერანი“ ისეთი
თეტიური სისავსით არის განსახიერებული, იმდენი გულწრფელი გ
ცდების შემცველია, რომ მის ორიგინალობას მტკიცება არ ესაჭ
როება, როგორც დღის სინათლეს არ ესაჭიროება დასაბუთება.

* იხ. კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართულ ლიტ. შესახებ.

„მერანი“ — სიმბოლიური ნაწარმოებია და მოგვაგონებს ედგარ პოს „ყორან“-ს; „მერანი“ — ექსპრესიონისტულადაა დაწერილი: იმ დროს, როდესაც ექსპრესიონიზმის ხსენება არ იყო ქვეყანაზე, ბარათაშვილმა მოგვცა ექსპრესიონისტული სტილის საუცხოო მაგალითი; ყველა თვისება ექსპრესიონიზმისა „მერან“-ში არის და უდიდეს თვისებას შეადგენს განცდის დომინანსი: ექსპრესიონიზმის მიზანია განცდის უმეშვეო გამოსახვა სიტყვათა და ფერთა წყობაში: ეს ნიკოლოზ ბარათაშვილს იდეალურად აქვს მიღწეული. ამ მხრივ ბარათაშვილი კიდევ ერთხელ მოგვაგონებს ბაირონს, რომლის ნაწერებში აუარებელი ექსპრესიონისტული ადგილებია, განსაკუთრებით — „მანფრედ“-ში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერან“-ში სამი მომქმედი ტიპია — მერანი, ყორანი და ავტორი. ყორანი იგივე ბოროტი სულია — სიმბოლო ცხოვრების უკეღმართობისა და საშინელების, რომელიც დაჩხავის წუთისოფლად ადამიანის ყოფას საზარელი ხმით; მერანი ადამიანის სულის და ინტელექტის შემოქმედებითი პოტენციაა; ამ შემთხვევაში „მერანი“ ავტორის alter ego-ა, მისი ორეულია, რომელიც ტოვებს არსებობის ეროვნულ - ისტორიულ საზღვარს და უსაზღვროებაში ეძიებს ცხოვრების აზრს.

„მერანი“ ტრაგედიული გრძნობის გამოთქმაა: ფრიდრიჰ ნიცშემ ევროპაში წამოაყენა პრობლემა ტრაგიზმისა და შემდეგ მთელს კულტურულ ქვეყანას მოედო ტრაგიზმისა და ზე-კაცის იდეა; თავისთავად ბუნებაში ტრაგედია არ არსებობს: ბუნება გმირსა და ბეღურას ერთნაირად უყურებს; გემი „ტიტანიკის“-ს დაღუპვას ატლანტიის ოკეანეში ბუნება ისე უყურებდა, თითქო არაფერი სამწუხარო ქვეყნად არ ხდებოდა; საერთოდ სამყაროში ლოგიკა და მორალი ადამიანს შეაქვს და გარეშე ადამიანისა, მისი სოციალ-ისტორიული საჭიროებისა, მორალური და ფილოსოფიურ - იდეიური კათეგორიები არ არსებობენ. სიკეთე და ბოროტება ისეთივე ნოვლენებია სამყაროში, როგორც ზამთარი და ზაფხული, სითბო და სიცივე.

ამიტომ ტრაგედია, ამ სიტყვის დღევანდელი ევროპიული გაგებით, სინამდვილეში არ არსებობს: სინამდვილე ამორალური და ალოგიურია; მხოლოდ ყოველ სოციალურ წყობაში ადამიანი ეჩვევა მდგომარეობას და ამ ჩვევის რეფლექსები შეადგენენ იდეოლოგიას: ამრიგად იდეოლოგია ლიტერატურით, ფილოსოფიით, მხატვრული სახეებით და მეტყველების კონსტრუქციით ყოველთვის ისტორიულია, ხოლო ისტორია შეიცავს სოციალურ ცვლილებათა სტრუქტურებს.

ტრაგედია, რომელიც გამოსახულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში საქართველოს სოციალ-ისტორიულ წყობაში ჩაისახა:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს
შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი
მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას
ამაყრის!
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა, დამეცემიან ციურნი
ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი
მყივარნი".

ცხადია, ამ სიტყვებში საქართველოს სოციალ-ისტორიული და ოჯახური წყობა ცუდათ არის დახასიათებული: ბარათაშვილს არ უნდა დაიმარხოს წინაპართა შორის თავის სამშობლოში, მას არ უნდა დაეცეს სატრფოს ცრემლი; იგი მზად არის შეხვდეს არსებობის საშინელებას პირისპირ; სატრფოსა და სამშობლოს მაგიერ იგი ელის, რომ „სვავნი მყივარნი" გააცილებენ მას წუთისოფლიდან უკანასკნელად და ქარიშხალი „ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიაყრის მიწას"; ძალიან ცუდი საშობლო უნდა ჰქონდეს ადამიანს და საზიზღარი „სატრფო" უნდა გყავდეს, რომ ასეთი გრძნობა ატარო გულში და ეგრე მწარედ უარყო წუთისოფელი.

ბუნება მაინც უფრო იტაცებს ბარათაშვილს; ბუნებაში იგი უფრო მეტ ღირებულებას ხედავს, ვიდრე ადამიანებში:

საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა-სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო.

პატრიოტიზმისა და ეგოცენტრიზმის მაგიერ ჩვენ გვაქვს აქ კოსმიური გრძნობა და პანთეისტური ეროტიკა ძლიერი ვერბალური კონსტრუქციით: ამ სიტყვებს ბარათაშვილს ათქმევინებს ის საზოგადოება, რომელშიაც იგი ტრიალებდა და რომლისგან მისმა დიდმა სულმა ვერ მიიღო ის, რასაც ეძიებდა; საზოგადოებაში რომ ყოფილიყო ისეთი პიროვნება, ისეთი ქალი, ან კაცი, რომელიც ბარათაშვილთან ერთად ღრმა პრობლემებზე იფიქრებდა, შეიძლება ბარათაშვილის ცხოვრება იმ საზოგადოებაში გაცილებით უფრო ადვილი ყოფილიყო. მაგრამ, რაკი ბარათაშვილი თავის გარშემო სულიერ ამყოლეობას ვერ ხედავდა, რაკი ყოველდღიურად გრძნობდა სული

ობლობას და ქვეყნად დადიოდა „მწირი, მიუსაფარი“, მისი დიდი ტემპერამენტი იხრჩობოდა შავად მღელვარ ფიქრებში და სული მისი სასოწარკვეთილების ჟამს ევედრებოდა სადავე მიშვებულ მერანს:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!

ბარათაშვილი უშიშარი რაინდია და მისი ყოველი სიტყვა არღვევს დროსა და პირობების ზღუდეებს: მკითხველი გრძნობს მერანის ქროლვაში ინდივიდუალობის ტრაგედიულ გარღვევას და შემოქმედებითი სულის გადაწოლას იმ უსაზღვროების კალთაში, რომელიც სუსტს აშინებს თავის გრანდიოზობით და ძლიერს იტაცებს ესთეტიურ-რელიგიოზურ გაშლილობით.

ბარათაშვილი გარბის წუთისოფლიდან უსაზღვროებაში არა იმიტომ, რომ ჩაიკლას სურვილები ამქვეყნიური, არამედ ინდივიდუალობა თავის სურვილებით გადაუკავშიროს მარადობასა და უსაზღვროებას; ბარათაშვილს სამყარო ეჩვენება, როგორც არენა მოქმედებისა, მოძრაობის და ბრძოლის. ბარათაშვილი გრძნობს უდიდეს ესთეტიურ სიამოვნებას მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი:

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არა აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

საქართველოს ისტორიის მოუსვენარი სული თითქო იძახის ამ სიტყვებში: ბარათაშვილი ქ ა რ თ უ ლ ი გ ა ნ ც დ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი ა და მისი „მერანი“ ქართული სულის ესთეტიური ლიტურგიაა, თქმული საქართველოს დაცემისა და წახდენის ჟამს ზეკაცური გაბგერებით და სიტყვათა მშვენიერი წყობით.

ბარათაშვილის ინდივიდუალიზმი უაღრესად სოციალური ხასიათისაა და მისი გაქცევა წუთისოფლიდან საზოგადოებრივი მიზეზებით იყო გამოწვეული; ამიტომ, როგორც კი მას მოაგონდება საზოგადოება, მაშინვე უბრუნდება მას თავის ქარიშხალისებურ სურვილებში:

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება!
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...

მოძმისათვის ზრუნვა სასოწარკვეთილების ჟამს ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილს და ამ ზრუნვაში ჩვენ ვხედავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის სოციალურ მორალს, რომელიც ანდერძად რჩება მომავალ თაობას და რომელსაც თავის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის იდეალად ისახავს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე.

„მერანი“ ზოგადად გამომსახველია უსაზღვროების შეგრძნობისა: ადამიანის სული, უკმაყოფილო ყოველდღიური ცხოვრებით, ოჯახური და სოციალური ღირებულებებით, შორდება წუთისოფელს იმ მიზნით, რომ შორეულ და უცნობ ქვეყანაში მონახოს ღირებულება მარადიული და უცვლელი: კეთილშობილი და ღრმა სიყვარული მარადობისადმი აქ ებრძვის მეშჩანური მყუდროების გრძნობას; სამშობლო და სატრფო, როგორც ღირებულებათა კათეგორიები, უარყოფილია: სიყვარული შორეულისადმი ამარცხებს ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ს, ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ს, მ ე შ ჩ ა ნ უ რ ს; ტრაგედიული გრძნობა არსებობის წარმავალობისა აღელვებს სულს და სული, გატაცებული მოძრაობის ექსტაზით, ერთვის პანთეისტურად უსაზღვროებას.

მუსიკა და წარსული

ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ნაწერებში ჩვენს ყურადღებას იწვევს განსაკუთრებით განცდა და შინაგანი ხილვა: არის ადგილები სადაც ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი განცდის შინაგანი ხილვის საშუალებით ღრმა ფსიქოლოგიურ და ემოციონალურ მოვლენებს არკვევს; ასეთ ადგილებში ჩვენი დიდი პოეტი მოგვაგონებს ევროპის დიდ მოაზროვნეებს; ხოლო ჩვენთვის ასეთი ადგილები განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ქართული სული საკუთარი გზით, ევროპისაგან დამოუკიდებლად, იძლევა იშვიათად სწორ ფორმულას აზროვნებისას და განცდისას: ლექსი „ჩონგური“ მთელს ფსიქოლოგიას ქართული მუსიკისას რამოდენიმე სიტყვაში გვისახავს. პოეტი ეუბნება ჩონგურს:

შენნი მოთქმანი, კაეშნის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ.

ამ სიტყვებში გამოსახულია დიდი და ღრმა აზრი მუსიკის ბუნების შესახებ ზოგადად და კერძოდ კი ქართული მუსიკის შესახებ; ჩონგური მეტად პრიმიტიული და უბრალო მუსიკალური ინსტრუმენტია; წყობა ამ ინსტრუმენტისა, ნაწილები მისი თითქო ისეთია, რომ არაფერს გარკვეულს და დიადს გრძნობისათვის არ უნდა მოველოდეთ; რამოდენიმე სიმი ერთმანეთთან შეთანხმებული და საკმარისად დაჭინთული თურმე „წარსულ დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ“; ჩვენ გვაქვს აქ ორი იდეა: სევდიანი ხმა ჩონგურისა და წარსულ დროთა მოგონებანი, გამოსახულნი ამ ხმაში. ქართული მუსიკის მთავარ თვისებას რომ სევდა შეადგენს — ეს საკმაოდ ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოს გარედაც; ჩვენი „ურმული“ ხომ მთელი სიმფონიაა სევდისა და მწუხარების; ჩვენი ხალხური მუსიკა

მთლიანად თავის ელეგიური გაბგერებით სევდისა და ტანჯვის მუსიკაა, ჩონგურის ხმა — „ოხვრანი და ამოსკვნანი“, „წარსულ დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ“.

მუსიკის ბუნება წარსულის განცდას გამოსახავს, — ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი, — და აქ იგი პირდაპირ გვაგონებს ინდოეთის მგოსანს კალიდასას, რომელიც ხშირად იმეორებდა: მე მუსიკა იმიტომ მიყვარს, რომ ჩემი წინაპრების ხმებს მისახავსო. ქართველი და ინდოელი მგოსნები მუსიკის ბუნების შეცნობაში ერთმანეთს უახლოვდებიან, ქართული სულისა და ლიტერატურისათვის ამას აქვს დიდი მნიშვნელობა: ჩვენს ლიტერატურაში არის გაბნეული არა ერთი და ორი იდეა მსოფლიო ხასიათისა და ღირებულების.

ჭი ჩონგურო, ნეტავი ოდეს,
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!
მაგრამ სად ვნახო, შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.

ჩონგურის ხმა პოეტში იწვევს სევდის იდეას: ვინ იცის რაოდენი სურათები ჩვენი სისხლიანი წარსულისა აეწყობოდენ პოეტის სივრცით წარმოსახვაში ჩონგურის ხმაზე, რაოდენი განცდები, იდეები და გამოუთქმელი გრძნობები აყვებოდენ პოეტს ოცნებათა არეში! სევდას იწვევს პოეტის სულში არა მარტო ჩონგურის ხმა, არამედ ფორტოპიანოს ხმაც: „ფორტოპიანოს მომღერალი“ საუკეთესო ეროტიულ ლექსთაგანია პოეტისა, რომელშიაც გრძნობით სავსე სიტყვებით მოთხრობილია, თუ როგორ „ხმა საკრავისა, ნელ ნარნარისა“ მშვენიერის ენასთან ერთად აუშლის პოეტს „გულისა ჭირებს“. მუსიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგრძნობით უაღრესად ისტორიულია: მუსიკა იძლევა წარსულის რემინისანსს* და სულის უნაზესი გრძნობები დაკავშირებულია ამ რემინისანსთან; სიული პრიუდომი ერთ ალაგას ამბობს:

On a dans l'âme une tendresse
Où pleurent tous les douleurs.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სულშიაც ამ სინაზეს აქვს ადგილი და ამიტომ პოეტში ჩვენ ვხედავთ ისეთ ძალას, რომელიც ჩვენ გვიზიდავს იშვიათი გულწრფელობით და განცდის სიღრმით:

* იხ. ამის შესახებ ჩვენი წიგნი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“, თაური: „რიტმის განცდა“.

არც ერთი ცარიელი პოზა ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმაში არ ჩანს; თქვენს წინაშე იწვის ადამიანი თავისი მდიდარი სულით და ტემპერამენტით სავსე სხეულით; თქვენ გრძნობთ, როგორ იფერფლება პოეტი განცდით:

შევიმრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
ჯულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

პოეტი ალბად მალე დარწმუნდა, რომ სატრფო მისი არ იყო ღირსი ასეთი დიდი მსხვერპლის და სასოწარკვეთილებით უარყო იგი თავის „მერანში". ცხადია, ქალი ვერ შეიგრძნობდა თავის მსუბუქი და ფარღალალა სულით დიდი პოეტის სულის სინაზეს: სიყვარული ~~ბუნებრივად დამთავრდა შეყვარების ტრაგედიის შეცნობით~~ და ამან შეიძლება ერთგვარად დააჩქარა პოეტის გაქცევა ქვეყნიდან.

რომანტიული ესთეტიზმი

ქართული ლიტერატურა განსაკუთრებით მხატვრულია: ქართული აზრი საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა და სახიერდებოდა მხატვრულ ფორმებში. ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური იდეები საშუალო საუკუნეების შემდეგ იშვიათად შეგხვდებათ ქართულ ლიტერატურაში.

საშუალო საუკუნეებში მხოლოდ ბერებს ემარჯვებოდა განყენებულად აზროვნება და მეტაფიზიკურ საკითხებზე მსჯელობა. რუსთაველი—ქართული მეტყველების დიდი ვირტუოზი,— პოეზიას უკავშირებს ფილოსოფიას და ამბობს: შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგიო; მაგრამ თვით რუსთაველის ნაწერებიდან ჩვენ არ დაგვრჩენია, გარდა „ვეფხის-ტყაოსნისა" არაფერი და არ ვიცით რას შვრებოდა ქართული ორიგინალური აზრი საერო გადახრით საშუალო საუკუნეებში.

მართალია გვაქვს ნემესიოსის წიგნის იოვანე პეტრიწის თარგმანი ქართულად, მაგრამ ეს მხოლოდ თარგმანია სხვისი აზრების და ქართული ინტელექტუალური კულტურისათვის დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს „ბუნებისათვის კაცისა". ქართული ლიტერატურა ისტორიულად, ვიმეორებთ, მეოცე საუკუნემდე არ იცნობს თეორიულ-ფილოსოფიურ წყობას.

ბარათაშვილი მთელს თავის შემოქმედებაში უწინარეს ყოვლისა პოეტია დიდი მხატვრული ინტუიციით, მაგრამ ბარათაშვილს აქვს ერთი დიდი თვისება, რომელიც სხვა პოეტებს საქართველოში არ აქვთ: ბარათაშვილმა ქართული მხატვრული ლიტერატურის შინაარსი

გააფართოვა და გააღრმავა; ლიტერატურა ბარათაშვილამდე არ იცნობდა ბედის პრობლემას და ტრაგედიულ განცდას; ბარათაშვილის შემოქმედების მოტივები ბარათაშვილამდე, როგორც ვთქვით, შეგხვდებათ, მაგრამ ბარათაშვილი ამ მოტივებს აძლევს ინტელექტუალურ გადახრას; ბარათაშვილი პოეტი—მოაზროვნეა; მისი შემოქმედება ქართული სოციალური ყოფის ფილოსოფიაა: „ბედი ქართლისა“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ეპოვე ტაძარი“, „მერანი“, „სუმბული და მწირი“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“ და სხვა ცალკე თაურებია იმ ისტორიულ-ფილოსოფიური პოემისა, რომელსაც ეწოდება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. ქართული კულტურის საკითხები ბარათაშვილმა გადაუკავშირა კაცობრიობის დიდ პრობლემებს; ბარათაშვილის კერძო წერილებიც იმას ამტკიცებენ, რომ ბარათაშვილის სული მოქცეული იყო კაცობრიობის დიდ პრობლემათა ორბიტაში.

ბარათაშვილი ფსიქოლოგიურად განიცდის მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიულ-იდეალისტურ ატმოსფეროს გავლენას:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი.

მთელი ფსიქოლოგია რომანტიული ესთეტიზმისა ამ სიტყვებში გამოისახება: ლურჯი ფერი—ცის ფერი, რომანტიკოსების საყვარელი ფერია—ფერი, რომელიც სიმბოლოა მარადობისა და სიშორის; შორეულისადმი სიყვარული ერთი დიდი თვისებათაგანია რომანტიული იდეალიზმის და ყოველთვის, როდესაც რომანტიკოსები სიყვარულისა და ქალის შესახებ ფიქრობდენ, ცის ფერ თვალებს ეძებდენ; ცის ფერი თვალები რომანტიკოსებისათვის სულის მარადიული ყოფის ფანჯრებია.

ბარათაშვილიც ამ შემთხვევაში სწორედ ისე ფიქრობს, როგორც ევროპიელი რომანტიკოსები:

თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით,
გამოჰკრთის სიამით.
ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,

რომ ეშხით დამდნარი
შეეერთო ლურჯსა ფერს.
მოვჰკვდები — ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

ჩვენთვის ეს ადგილი იძლევა განმარტებას იმისას, თუ რატომ აძლევს ბარათაშვილი „მერან"-ში უპირატესობას ბუნების სიყვარულს. ბუნება რომანტიულ-იდეალისტურ ტანისამოსშია ჩაცმული; ბარათაშვილს, როგორც დიდ იდეალისტს, უყვარს ბუნების რომანტიული გამოხედვა: სული პოეტის უსხეულოსა და ზემატერიულ ყოფას ეტრფის; ამ შემთხვევაში ბარათაშვილი მოგვაგონებს საბერძნეთის ფილოსოფოსს პლატონს და ფრანგ მწერალს შატობრიანს.

ლურჯი ფერი და ცის უფსკრული რომანტიკოსების სატრფიალო საგნებია; ადამიანი ხედავს ცხოვრების აზრს ცის სილრმეში; სინამდვილე ცვალებადი, ხრწნადი, წარმავალია; სინამდვილე მარადიულად სხვაობის მცველი, ეწინააღმდეგება წუთისოფლურ ჩვევას და ჩვევის სიტკბოებას.

ბარათაშვილის შორეულისადმი ტრფიალებაში რომანტიული იდეალიზმის ძირითადი თვისება ისახება.

თავი მესამე

რომანტიზმის წარმოშობა და მეტყველება

რომანტიზმის იდეოლოგია

არისტოტელისა და ბუალოს თეორიამ ევროპის ლიტერატურაში შემოიღო განსაკუთრებული ხერხი წერისა და ესთეტიური ასახვის: ეს ხერხი, მეტად თავისებური და გარკვეული ძირითად პრინციპებში, მიისაკუთრა საფრანგეთის არისტოკრატიამ და იმ მწერალთა წრემ, რომელიც გამოსახავდა ევროპის ფეოდალური ფსიქოლოგიის თავისებურობას.

ვინაიდან ევროპის ფეოდალურ-არისტოკრატიული ცხოვრება თავისებური სოციალური მორალით და სტილით ყველაზე უფრო ნათლად განსახიერდა საფრანგეთში, ლიტერატურაც, გამომსახველი ფეოდალური კულტურის ფსიქოლოგიის, მისი განცდებისა, იდეალებისა, გრძნობებისა და ილლიუზიების ბუნებრივად, რეფლექსოლოგიურად საფრანგეთში უნდა წარმოშობილიყო; და მართლაც ევროპის ისტორიაში, ფეოდალური კულტურის ცენტრალიზაციის პროცესში ლუი მეთოთხმეტე—დასავლეთის უდიდესი ფეოდალი თავის ვერსალით და არისტოკრატიული ანტურაჟით, მშვენიერი გამოსახულებაა იმ ლიტერატურულ-იდეოლოგიური მიმართულებისა, რომელსაც ეძახიან ცრუ-კლასიციზმს და რომლის ესთეტიური პრინციპი იყო სადევგზირო ხასიათისა: რაინდი და რაინდული პოზა თავის შეველიურით და პანტალონებით ისე ახასიათებდა ცრუ-კლასიკური ცხოვრების წყობას, როგორც Hôtel Rambouillet, ვოჟლა და მალჰერბი ვერბალურ-სემანტიური სემინარიებით და სტუდიებით. ხალხი იჯდა სალონებში და მუდამ ფიქრობდა: რომელი გამოთქმა და წერის სტილი უფრო დაშვენდება არისტოკრატებსო? ბუნებრივი და ფსიქოლოგიური სისწორე არავის აინტერესებდა, არავინ არ ზრუნავდა ჭეშმარიტ და რეალურ განცდების გამოსახვისათვის: ყოველი მეცნიერი და ლიტერატორი ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, რომ ესთეტიურ-ვერბალური ტექნიკა გამომსახველი ყოფილიყო მხოლოდ იმის, რასაც იკადრებდა აზნაური და არისტოკრატი; რასინი „ფედრა“-ში

ვერ ბედავს ტყუილი ათქმევინოს ქალბატონს და ქალბატონის მაგიერ ტყუილს ალაპარაკებს მოსამსახურეს; ვოჟლა ამტკიცებდა: არისტოკრატს არ ეკადრება რომ თქვას—j'ai mal au stomac, მან უნდა თქვას უსათუოდ: j'ai mal au coeur, რადგან გული უფრო კეთილშობილი ორგანოა, ვიდრე კუჭიო.

ასეთი იყო მორალურ-ესთეტიური სოფლგაგება იმ დროისა და ლიტერატურაც რეფლექსოლოგიურად ამ სოფლგაგების ფორმას იძლეოდა მთელი თავის ცრუ და ყალბი პათოსით. ამან გამოიწვია ერთგვარი რეაქცია ლიტერატურაში და ეს რეაქცია ფაქტიურად გადაიქცა ესთეტიურ რევოლიუციად, რომელმაც შექმნა რომანტიული მიმართულება; თუმცა რომანტიული მიმართულება დაიწყო საფრანგეთში შატობრიანის, ვიქტორ ჰიუგოს და ლამარტინის მეთაურობით, მაგრამ რომანტიზმის სამშობლოთ ლიტერატურის ისტორიაში მაინც გერმანია ითვლება: გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში—იენში, ვეიმარის მახლობლად, ძმებმა შლეგელებმა დააარსეს წრე, რომელმაც იარსება მხოლოდ 1798 წ.—1802 წლამდე, მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში თავის ჟურნალით Athenäum შექმნა ახალი მიმართულება. იენის რომანტიულ სკოლას შემდეგ მიემხრენ ტიკი, გარდენბერგ-ნოვალისი, გოეთე, შილლერი და სხვები...

[რომანტიზმი, როგორც ცნება, დღესაც არ არის გარკვეული ლიტერატურაში: მორფოლოგია ამ სიტყვის იწყება სიტყვებიდან—roman, romanesque, conte roman, ხოლო ცნება გამოსახული ამ სიტყვაში დღესაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა გაგებით იხმარება.

ბაირონის რომანტიზმი თავის ფსიქოლოგიური წყობით არ წააგავს შატობრიანის რომანტიზმს, ხოლო გოეთესა და შილლერის რომანტიზმი განსხვავდება იტალიელი პოეტის ჯაკომო ლეოპარდის რომანტიზმისაგან: რომანტიზმი ეხვევა ნაციონალური ფსიქოლოგიის გარსში და იმ სოციალ-ისტორიული სულით მოძრაობს, რომლის წიაღში წარმოიშვა.

თავისებურია რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაშიაც: ქართული რომანტიზმის თავისებურობას შეადგენს განსაკუთრებით ის, რომ მის შინაგან წყობაში ორი ელემენტია ერთმანეთში გათქვეფილი—ერთი წმინდა არისტოკრატიულ-კლასობრივი, რომელიც წააგავს იმმანენტურად ფრანგულ ცრუ-კლასიციზმს გრიგოლ ორბელიანის ვერბალური კონსტრუქციით („ლხინი"), მეორე—წმინდა რომანტიულ-ფილოსოფიური—ნიკოლოზ ბარათაშვილის განცდებით.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში რომანტიზმს თავის ნაციონალური ელფერი აქვს, რომანტიზმის იდეოლოგიას საერთოდ ახასიათებს:

1. წარსულისადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, 2. აწმყოსადმი კი ერთგვარი ზიზღი და ირონია.

რომანტიკოსებს უყვართ წარსული, მისი ნანგრევები და ამ ნანგრევებზე ფიქრი სევდიანი: რომანტიული მიმართულება ყოველთვის ჩნდება ლიტერატურაში, როდესაც ერთი წყობა სოციალური კულტურისა იშლება, ირღვევა და სული შეჩვეული ამ წყობას, შეყვარებული იმას, რაც წარმავალია და ხრწნადი, ვერ ეგუება ახალ ბიოსფეროს, ახალ ფსიქოლოგიურ ჰაერეთს. ნამდვილი რომანტიზმი ლიტერატურაში ყოველთვის ერთგვარი ტრაგედიული გრძნობებითაა სავსე: რაც ყოფილა აღარ არის, მაშასადამე, სულს შეჩვეულს ძველს სოციალ-ფსიქოლოგიურ წყობას, ეზიზღება ცხოვრების ახალი ფორმები. თავიანთი ცვლილებებით და სიურპრიზებით; ამ მხრივ ი ერ ე მ ი ა ს გოდება ძველი ისრაელეთის ნანგრევებზე ისეთივე გამოსახულებაა სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ცრემლები გოგჩის ტბის პირად ან ბ ა ი რ ო ნ ი ს მანფრედის მოთქმა მთვარიან ღამეში რომის კოლიზეის ნეინებზე.

სევდა, გერმანელების Weltschmerz დამახასიათებელი თვისებათაგანია რომანტიზმისა: „სული ჩემი მწუხარეა", — ამბობს ბ ა ი რ ო ნ ი, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ის თქმით: „ოხვრა არის შვება უბედურისა", j'aime la majesté des souffrances humaines, — მკაცრად აცხადებს ა ლ ფ რ ე დ დ ე - ვ ი ნ ი ი ს ბუნება პოემაში „La maison du Berger". რომანტიზმი ერთგვარი ფორმულაა სოფლგაგებისა და სოფლშეგრძნობის, — ფორმულა სევდისა და ტანჯვის გამომსახველი; რომანტიკოსებს უყვართ საშუალო საუკუნეები კოშკებით, მაღალი, გუმბათიანი ეკლესიებით, საზღვარ აცილებული, ტრანსცენდენტური რელიგიურ-მისტიური სიმბოლოებით, ექსტაზებით, რაინდობისა და ინდივიდუალიზმის კულტით; ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ სიმბოლო — იმეორებენ რომანტიკოსები გოეთეს სიტყვებს „ფაუსტიდან".

ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი არ არის შემოტანილი უცხოეთიდან: რომანტიზმი საქართველოში ორგანიულად წარმოიშვა ფარული საზოგადოების დაშლის შემდეგ: ქართული სული ამეტყველებს იმ ტკივილებს, რომელნიც განიცადა მან სოციალ-ისტორიული ცხოვრების დეფორმაციის პროცესში; ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე გრძნობის კულტით, გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი აგრესიული ინდივიდუალიზმით, ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი მარადიული ქალურობის იდეით, ქართული

სულის ტერიტორიულ-ისტორიულ ზღუდეებს ვერ სცილდებიან. ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“-ში და ვახტანგ ორბელიანის „სამშობლო ქვეყნის პასუხ“-ში არის რამოდენიმე ადგილი ზოგადი, კაცობრიული ხასიათისა, მაგრამ კოსმიური სევდა ქართული სულისა მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლექსებში იღებს გარკვეულ ლიტერატურულ სახეს: განცდა, რომლითაც დაწერილია „მერანი“ სიმბოლოა ქართული სულის ისტორიულ-პლანეტარული სასოწარკვეთილებისა და ეს სიმბოლო შოცემულია სიტყვათა რიტმიულ-დინამიურ წყობაში ისეთი ინტენსივობით, რომ ტანჯვისა და მწარე გრძნობათა წუთებში ქართველი თავის აჯანყებული ტემპერამენტის ორგანიულ გამოსახვას იგრძნობს „მერანი“-ს ინტონაციაში.

რომანტიკოსების შემოქმედებაში ყურადღებას იწვევს სევდის გრძნობა, ადამიანის პიროვნება და ბუნება თავის უსაზღვროებით. ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს ლამაზი რომანტიული განცდა ბუნებისა და სევდის გრძნობის: გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თავიანთ ლექსებში იძლევიან ბუნების მხატვრულ ასახვას რომანტიული იდეოლოგიის თარგით; ბუნების მოვლენებისა და სტიქიების ანთროპომორფიზაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში მოგვაგონებს ლამარტინისა და შატობრიანის პოეზიას ერთგვარი ქრისტიანული მისტიციზმით და პანთეიზმით: ნიკოლოზ ბარათაშვილი მთვარეს ადარებს სულს, ლოცვით დაქანცულს და ფიქრობს, რომ „უასაკოთაც და უსულთ შორის არს ენა რამ საიდუმლო“. შატობრიანის გმირი რენე—ფოთოლთ შრიალს ყურს უგდებს და როგორც ჩვენი ბარათაშვილი საიდუმლო ენას ბუნებისას ეცნობა; პოეტი Du Bellay ამბობს: „Lá, ô mon, âme au plus aut ciel guidée, tu y pourras reconnaitre l'idée de beauté qu'en ce mond j'adore“. განა ეს სიტყვები პირდაპირ არ მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საკაცობრიო გრძნობებისა და იდეალების, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში: „სულო ბოროტო“, „სული ობოლი“ „ფიქრი მტკვრის პირას“ საუცხოვო სურათებია ქართული სულის ტრაგედიული განცდებისა და იდეების; ალ. ფრედ დე-ვინიი თავის პოემებით „Eloa“, la maison du Berger“, ჰანრი ჰაინე თავის ლირიულ ლექსებში, ლეოპარდი, ლენაუ, ნოვალისი თავიანთ ფრაგმენტებში არკვევენ ყოფის სევდას და ტრაგედიას, წუთისოფლურ

ტანჯვასა და წვალებას; გ ო ე თ ე „ვერტერ“-ში დაუკმაყოფილებელი სურვილების ტრაგედიას აგვიწერს, ბ ა ი რ ო ნ ი თავის პოემებში ყოველგან ეხება ადამიანის უდანაშაულო ტანჯვას ამ ქვეყნად.

მსოფლიო ლიტერატურაში რომანტიზმს დიდი ადგილი უკავია იმ პრობლემებით, რომელნიც დასვეს სევდის და სასოწარკვეთილების პოეტებმა: ადამიანის უნუგეშო ხვედრი წუთისოფლად და სევდა, წარმავალობის გრძნობით გამოწვეული, შეადგენენ რომანტიზმის მთავარ თვისებებს.

ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს ამ იდეების გამოსახვა ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა, გ რ ი გ ო ლ და ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს ნაწერებში, ხოლო ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი თავის განცდებით უახლოვდება მსოფლიო სევდის დიდ იდეოლოგებს: ბ ა ი რ ო ნ ს, ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ს, ლ ე ო პ ა რ დ ს, ჰ ა ი ნ ე ს და შ ა ტ ო ბ რ ი ა ნ ს*.

სასოწარკვეთილება მთავარი თვისებაა ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს სულის: ნათესაობისა და სამშობლოს უარყოფა, სატრფოს თავიდან მოშორება და უსაზღვროებაში ცხოვრების აზრის ძიება, რომელიც გამოსახულია „მერან“-ში, ქართულ ლიტერატურის რომანტიულ ჰერიოდს აძლევს ბ ა ი რ ო ნ ი ს ტ ო ნ ს; ბ ა ი რ ო ნ ი უარყოფდა ყოველდღიურ-მეშჩანურ წყობას ცხოვრებისას და სასოწარკვეთით ეძლეოდა ბრძოლის ექსტაზს. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ს მშვენივრად აქვს გამოსახული სასოწარკვეთილების ფსიქოლოგია:

Пускай погибну я,
Как в море утлая ладья:
Я с небом, с молнией в бою
Хочу окончить жизнь свою.

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „მერანი“ მთელი ფილოსოფიაა სასოწარკვეთილების და ტრაგედიული გრძნობის: ბარათაშვილი ერთად ერთი პოეტია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც იძლევა ტრაგედიის განცდას პოეტურ სახეებში; ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს გამოსვლამდე ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარი საოჯახო ალბომის სახეს ატარებს; ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა გაშალა ქართული სულის ისტორიული მძლეობა და მწარე ტკივილები სოციალ-ისტორიული ხასიათისა მსოფლიო სევდის პოეზიად გადააქცია: ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი იწყებს სოციალ-ისტორიული და კუთხებრივი შეგრძნობებით, მაგრამ აღრმავებს ამ შეგრძნობებს თავის სულის შინაგან ხილვაში კაცობრიობის უნივერსალურ სევდამდე; ამ სევდის

* ამის შესახებ იხ. ჩვენი წიგნი: „Страдание и Творчество“, 1917 წ. გვ. 155.

შეგრძნობის შემდეგ ბარათაშვილთან ერთად განიცდით, რომ სამყაროც თავისებური კუთხეა იმ უსაზღვროებისა, რომელიც ერთ და იმავე დროს აშინებს და იმედებსაც უსახავს ადამიანს.

ბარათაშვილი თავის მეტყველების კონსტრუქციით და განცდებით ჩვენი დროის ფსიქოლოგიის პოეტია: ვერც ერთი ექსპრესიონისტი ჩვენ ვერ მოგვცემს დღევანდელ ევროპაში ისეთ ეკონომიას სიტყვებისას, როგორიც მოგვცა ბარათაშვილმა „მერანი"-ში; „მერანი" გენიოსური ფორმულაა განცდის პრიმატობისა პოეზიაში: კოლოსალური განცდა და სულ მცირე რიცხვი სიტყვებისა — აი „მერანი"! ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე აწყობს სიტყვებს, რომ ყოველ შემდეგ სიტყვას მოაქვს განცდის გაძლიერება და შარცვალთა ალიტერაციაში ისმის ორგანიული მღელვარება პროგრესიული ინტენსივობით. ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული კულტურის სულია თავის შემოქმედებით და პოეტური განსახეობით — სული მრავალ საუკუნეთა მწუხარებისა, ტანჯვისა და ტრაგედიული განცდების.

შოთა რუსთაველთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილი ანიჭებს ქართულ ლიტერატურას საკაცობრიო ღირსების ხარისხს და ღირებულებას; ბარათაშვილის შემოქმედებით ქართველი ერი შედის მსოფლიო ცივილიზაციის ბიოსფეროში თამამი და გაშლილი სახით.

ადამიანი და ბუნება რომანტიკოსების გაგებით

რომანტიზმი ადამიანისა და ბუნების ურთიერთობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს: რომანტიკოსები ეძებენ კავშირს სულიერს ბუნებისა და ადამიანის შორის; ცივილიზაცია თავის ცვლილებებით და შემთხვევებით არ უყვარს რომანტიკოსებს: ბუნება გაშლილი და ფერადი სხვადასხვაობით — couleur local რომანტიულ მიმართულებამ პირველად შემოიტანა ლიტერატურაში.

ცრუ-კლასიციზმი წინააღმდეგი იყო ბუნებისა და milieu-ს განსახიერების, როგორც სცენაზე, ისე წიგნებში; არა სხვადასხვაობა, არა ფერადობა ბუნებისა ზღვით, ოკეანით, მდინარეებით, ქარიშხალით, ღამის და ტყის საიდუმლოებით, არამედ სრულებით ცარიელი, ერთსახიანი არე და გმირი თავის რაინდულ-არისტოკრატიული გამოხედვით — აი, ცრუ-კლასიციზმის ფაქტიური მხარე.

რომანტიზმი უარყოფს ბუალოს პრინციპს ხელოვნებაში და შემოაქვს ის, რაც აკრძალული იყო ცრუ-კლასიციზმის მიერ couleur local: ადამიანი უკავშირდება ბუნებას: აქ რომანტიზმი რუსოს

ლიტერატურულ-ესთეტიურ მოძღვრებასთან ერთად ილაშქრებს არა მარტო ცრუ-კლასიციზმის, არამედ რაციონალიზმის წინააღმდეგაც: ბუნების სიყვარული და ბუნებრივობა ცხოვრებაში ჟან-ჟაკ რუსსოს დევიზია და რომანტიკოსები მარჯვედ სარგებლობენ რუსსოს იდეებით.

შატობრიანი თავის ნაწერებში — „Atala, Réné", le génie du Christianisme" ნამდვილი მიმდევარია რუსსოს სტილისა და მეტყველების—რუსსოს პანთეისტური ფილოსოფიის: ბუნება აკვანია ჩვენი ყოფის და ბედნიერების,—ამბობს შატობრიანი, გატაცებული ბუნების საიდუმლოებით და სიდიადით.

საქართველოში რომანტიზმი ბუნებას შეჰყურებს როგორც ტაძარს: „შემოღამება მთაწმინდაზე" და „ჩინარი" დიდი განცდაა ბუნების „სახიობისა".

მთაწმინდა, მტკვარი, სასაფლაო ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვარელი ადგილებია: პოეტი, როგორც ანტიური მოგვი, სავსე ფიქრებით, დადის და ეძიებს ცხოვრების აზრს; შუა-ღამის სიჩუმეში სასაფლაოზე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც დანიის პრინცი შაეს მანტიაში გახვეული, რწმუნდება რომ ქვეყნად ბევრი რამ არის გაუგებარი და საიდუმლო, ბევრი რამ არის ისეთი, რაც საზღვრავს ადამიანის პრეტენზიებს.

ალ. ჭავჭავაძე „გოგჩის ტბი"-ს პირას იგონებს წარსულ ყოფას, დიდებას და ფუფუნებას ცხოვრებისას—იგონებს დიდ სასახლეებს, სადაც დასეირნობდენ მეფეები თავიანთი ბანოვანებით და მსახურებით, სადაც იყო მოძრაობა და სილამაზე: ეხლა კი ყველაფერი მტვრად და არარაობად ქცეულა; ადამიანი და ისტორია ბუნების მარადიულ ყოფაში ეფემერული სახეებია. ბაირონიც ეგრე უყურებს ბუნებასა და ადამიანის ურთერთობას. ადამიანი თავის ისტორიით და წუთისოფლური კომბინაციებით საცოდავია ბუნების უსაზღვროებაში: „ათინა! დიდო მოხუცო, შენი გმირები აღარ არიან"...—ეუბნება ბაირონი საბერძნეთის სატახტო ქალაქს სასოწარკვეთილებით.

ბუნებაში ყველაფერი წარმავალია, მასთან ადამიანი და ისტორიაც; მარადიულია მხოლოდ ამაოება; დროებით ყოფაში ადამიანის სულს დარჩენია—სევდა.

იღუპებიან სახელმწიფოები და ერები, ისპობიან ჯიშები და სხეულები, იკარგებიან სახეები და ფორმები; უსაზღვროების არეში— მოვლენათა სტიქიურ-ირრაციონალურ როიაში ჩვენი ყოფა მთელი წუთისოფლური პერიპეტიებით, ოჯახურ-სოციალური ინტერესებით, ყოველდღიური სურვილებით—მოკლებულია მიზანსა და აზრს მარადიულს.

რომანტიზმი სევდისა და წარმავალობის ფილოსოფიაა, რომანტიზმი სასოწარკვეთილების ამეტყველებაა.

რომანტიზმი არ არის საგინებელი სიტყვა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. ყოველთვის, როდესაც ცხოვრების სტატიური წყობა ირღვევა, ამ სტატიურ წყობასთან დაკავშირებული სოფლშეგრძნობაც იწყებს რყევას და სულს ადამიანისას იმორჩილებს სევდა—სასოწარკვეთილება—წუხილი.

რომანტიზმი სოციალ-ისტორიული ტანჯვის რეფლექსოლოგიაა.

რომანტიკოსების მეტყველება

მეტყველება ისეთივე პროდუქტია სოციალ-ისტორიული შემოქმედების, როგორც აზრი: მეტყველების ფორმა იღებს ისეთ გამოსახულებას, როგორც შეეფერება ყოფას საზოგადოებრივს და ისტორიულ-კულტურულს.

მეტყველება ინტონაციით ერთგვარი წყობაა განცდისა, რომელსაც ჰქონდა თავისებური ევოლიუცია: მეტყველება აგებულია ორგანიულად ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიურ ბუნებაზე, ხოლო ბიოლოგიური წყობა თავის-თავად სახიერდება სოციალურ არეში, ცხოვრების პრაქტიკაში. ამიტომ არის, რომ მეტყველების ფორმათა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული თავისებურობანი, არამედ ეკონომიური და სოციალური მდგომარეობანი. ცნობილია, რომ მთის ხალხის არტიკულიაცია სულ სხვა სახისაა, ბარში მცხოვრებთა არტიკულიაცია კი სულ სხვა სახის. მთა მდიდარია ინტენსიური დიქციით, ღია მაჟორით; ბარი კი ფონეტიურად სიღრუეს ეძლევა და სიტყვათა წყობა ბარის მეტყველებაში უფრო წყლუტია, უფრო დენადია.

ასეთივე გავლენა აქვს მეტყველების ვითარებაზე სოციალ-ისტორიულ ყოფის ფორმას: ცნობილია, რომ მეტყველება ვაჭრისა არ წააგავს ანტიური კულტურის პროფესორის მეტყველებას. რუსეთში პროფ. ზელინსკის და რომელიმე მოსკოველ ყასაბის მეტყველებათა შორის დიდი განსხვავებაა: ყოფის საჭიროება პროფ. ზელინსკის ახმარებინებს ისეთ სიტყვებს, რომელნიც იშვიათად, ან სრულებით არ ესაჭიროება მოსკოველ ყასაბს. სამაგიეროდ სიტყვები, რომელთაც ხმარობს მოსკოველი ყასაბი, არ ესაჭიროებათ პროფესორებს ანტიური კულტურისას. აქაც, ისე, როგორც ყოველგან, ჩვენ ვამჩნევთ ცხოვრების კუთხებრივ, ორგანოტროპიულ პრინციპს შემოქმედებისას აზროვნებისა და მეტყველების სფეროში. ყოველ ყოფას აქვს თავის სული და თავის მეტყველება; მბრძანებელის გამო-

ოქმა ფსიქოლოგიურად და ფონეტიურად განსხვავდება მთხოვნელის გამოთქმისაგან: არსებობის საჭიროება ჰქმნის სიტყვათა წყობის თავისებურობას, ისე, როგორც ჰქმნის სულის და აზრის დროულ-სივრცეულ თავისებურობას; ჩვენ აქაც გავიმეორებთ ჩვენი თეორიის მთავარ პრინციპს: საჭიროება და ინტერესი იძლევიან არსებობის და კულტურის სახეებს.

ქართული კულტურის ევოლიუციაში მშვენივრადაა განსახიერებული ურთერთობა სოციალ-ისტორიულ ძალთა წნევისა და შემოქმედებისა: იმ ეპოქებში, სადაც ქართული სული გაშლილია ლაღად სოციალურ ყოფაში, სადაც ეროვნული განცდა შევიწროებული არ არის, ქართული მეტყველება რუსთაველისა და შავთელის შემოქმედებაში იღებს უმშვენიერეს წყობას და შინაგან თავისუფლებას*:

არას გვარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა,
წესი არის მამათაგან, მოჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

სიტყვათა წყობა თავისუფლად ვითარდება და არ წააგავს ჩვენი დროის ზოგიერთ მელექსეს ნაცოდვილარს; მაგრამ სიტყვათა წყობაში შინაგან თავისუფლებას იძლევა არა მარტო რუსთაველის პოეტური ვირტუოზობა, არამედ ეპოქის სოციალური სული, მდიდარი და ღრმა ისტორიული განცდა ცხოვრების მრავალმხრივობისა. ეს ემჩნევა საუცხოვოდ შავთელის პოეტიკასაც:

შენ გონიერო,
გულის ხმიერო,
თვით მეცნიერო,
მეფევ ძლიერო,
მიუწდომელო,
მიუთხრობელო,
კვლავ გოლიათო, გულლმობიერო! —

ამბობს ქართველი პოეტი საშუალო საუკუნეებში და ამ მდიდარ პოეტურ ტექნიკას ქართული მწერლობა ჩვენი დროისა სამწუხაროდ არ იცნობს; არც ქართველ რომანტიკოსებს ჰქონდათ მდიდარი პოეტური ტექნიკა: სოციალური სულის შევიწროებამ საშუალო საუკუნეებიდან ქართული მეტყველებისა და წყობილ-სიტყვაობის ჰარმონიული სილაღეც დააალქატა; ქართული სოციალური კულტურის სიღარიბე მეტყველების სიღარიბეს იძლევა; საოცრად მართლდება ჩვენი

*იხ. „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“ 1925 წ. (ორგანოტროპიზმი).

დებულება: სოციალურ კულტურის ღარიბი ფორმა ფსიქოლოგიურად გამოისახება ღარიბ პოეტურ ტექნიკაში, ხოლო ისტორიული განცდის სიმწვავე ამ ღარიბ პოეტურ ტექნიკაშიაც იჩენს თავს სევდით და რღვევის რეფლექსით; რაოდენად მწვავეა განცდა ცხოვრების საშინელებისა, იმდენად სულის ინტენსივობა ფარავს მეტყველების სისუსტესა და სოციალურ ყოფის უშინაარსობას: ამის დამამტკიცებელია ბარათაშვილის „მერანი" სიტყვათა დინამიური წყობით და შინაგანი ღელვის რიტმით.

საერთოდ ქართველი რომანტიკოსების პოეტური ფაქტურა გურამიშვილისა და ბესიკის მხატვრულ წყობასაც ვერ შეედრება; მართალია გურამიშვილიც და ბესიკიც საშუალო საუკუნეებიდან სესხულობდენ თავიანთ l'art poetique-ს, მაგრამ ერთგვარი სიახლეც პოეტური გამოთქმისა უსათუოდ შემოიტანეს და რაც შეიძლებოდა დიადი წარსულის ნანგრევებზე დეზასტრების დროს გაკეთებულიყო, ის გააკეთეს.

სამწუხაროდ ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ალ. ორბელიანი და ნაწილობრივად დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილიც ვერ იძლევიან ქართული მეტყველების მაინც და მაინც ორიგინალურ ფორმებს; თითქო ეს მწერლები განგებ იყურებიან მხოლოდ სულის თავისებურობაში, სულიერ ტანჯვაში: ოღონდ ღრმად გამოესახათ მღელვარება ადამიანის სულის, მისი ყოველდღიური წვალების, მწუხარების და რითმებს მაინც და მაინც არ ეძებდენ; ამ მხრივ რომანტიკოსებმა დაარღვიეს ქართული პოეზიის ისტორიული ჰარმონიის ტრაფარეტი და სამმარცვლოვან რითმების მაგიერ ერთმარცვლოვანი რითმაც კი შემოიღეს ხმარებაში. ალ. ჭავჭავაძეს, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებს ურითმო სტრიქონებიც აქვთ; თვით ნიკოლოზ ბარათაშვილსაც თავის 39 ნაწარმოებში 1184 სტრიქონიდან 24 ურითმოდ აქვს დატოვებული.

ქართულ მეტყველებისათვის დამახასიათებელია ის, რომ რითმა შეადგენს ქართული ლექსის თითქმის მთავარ ფაქტორს; ბერძნულსა და ლათინურ ლიტერატურაში რითმას მნიშვნელობა არ ჰქონდა ძველად. დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ხალხს დღესაც აქვთ ერთგვარი ბუნებრივი თავისუფლება ურითმო ლექსთა წერისა. საქართველოში შორეულ წარსულიდან ლექსის საუკეთესო სამკაულს შეადგენს რითმა: ქართული ხალხური ლექსები მუდამ შერითმულია და ურითმოდ არასოდეს არ გვხდება. შ ა ვ თ ე ლ ი ს, ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ი ს, რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს, ბ ე ს ი კ ი ს, გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ლექსები ყოველგან შერითმულია ორი-სამი მარცვალით. გრიგოლ ორბელიანის „სადღე-

გრძელოებში“ მრავალი ადგილია სუსტი, ერთმარცვლოვანი რითმით; ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად უმატებს და ხშირად აკლებს მარცვლებს გრამატიკული კანონების წინააღმდეგ: „უბიწოო სიყვარული“ (ლექსი „ქეთევან“, სტრიქონი 12)—უნდა იყოს „უბიწო სიყვარული“; „მტანჯ ჩემო“, („ბულბული ვარდზედ“)—უნდა იყოს „მტანჯავო ჩემო“. რომანტიკოსები უმარცვლოვანო „ჲ“-ს ამარცვლოვანებენ; მაგალითად, ლექსში „არ უკიჟინო სატრფოო“ არის სტრიქონი, სადაც წერია „მდელოოჲ“—მდელო, რადგან ლექსი რუსთაველური შაირითაა დაწერილი და მთელი ეს სიტყვა ამ საზომის მეორე მუხლს (—აა) შეადგენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერებში 350 ერთმარცვლოვანი რითმაა და როგორც ვთქვით 24 სტრიქონი კი სრულებით ურითმო; ერთმარცვლოვანი რითმა ქართულ წყობილსიტყვაობაში თითქმის უმნიშვნელოა მუსიკალობის თვალთახედვით.

ამრიგად რომანტიკოსების პოეტიკაში დარღვეულია ტრადიცია ქართულ წყობილსიტყვაობის მდიდარი ჰარმონიისა, რომელსაც ისტორიულად აჩვევდენ ქართველი ერის სმენას რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე, გურამიშვილი, ბესიკი: ქართული კულტურის სოციალ-ისტორიული სტრუქტურის დაშლასთან ერთგვარად ირღვევა მუსიკალურ-ფორმალური მდიდარი ჩვევა, შექმნილი ამ სტრუქტურის პერიოდში; სამაგიეროდ სიმძიმის ცენტრი გადატანილია გრძნობისა და განცდის არეში.

აქაც ნათლად ირკვევა ორგანოტროპიული ბუნება სულისა და მდგომარეობის ურთერთობისა: პოეზია ჩვევის ეროსია და ჰარმონია ფსიქოლოგიურად გამომდინარეობს შეგუების ექსტანსივობიდან. სოციალ-ისტორიული წყობის ხანგრძლივი გამტკიცება იძლევა მეტყველებისა და სულის მდიდარ წყობას, ხოლო როდესაც რომელიმე სოციალ-ისტორიული სტრუქტურა ირღვევა, სული ჰკარგავს ისტორიულად შეძენილ ვერბალურ-ესთეტიურ სიმდიდრეს, მეტყველებისა და აზრის თავისებურ ფორმებს.

აზრი და მისი თქმა ისტორიული პროცესის შედეგია: სული იკუმშება და იწევა ყოველთვის სოციალ-ისტორიულ წყობასთან შეფარდებით; თუ სოციალ-ისტორიული არე მდიდარია შინაარსით, აზრიც და მეტყველებაც ამ არეში იღებენ ესთეტიურ ავსილობის სახეს, აღწევენ ესთეტიურ სიმშვენიერეს. მაგრამ პროცესი ესთეტიური სისავსისა განსახეობაში მიმდინარეობს შიგნიდან: ყოველთვის, ისტორიულად სტილს, ფორმას, სიტყვებისა და ფერების მდიდარ წყობას წინ მიუძღვის ხანგრძლივი წვალება ორგა-

ნიულ-ბიოლოგიური ხასიათისა, რომლის პირველი შედეგია აზრისა და სულის გაფართოება, გაშლა, გაწევა; ხოლო ასეთი ხასიათის ბიოსოციალურ პულსაციის შემდეგ—ყოფა იკეთებს თავის ტანისამოსს, სული სახიერდება განსაკუთრებულ ფორმაში; ასე რომ კულტურისა და ხელოვნების სტილს, თქმისა და აზრის ფორმას იძლევიან ყოფის სოციალ-ისტორიული ჩვევანი; გარეგანობის ლამაზი სახე გენეტიური შედეგია შინაგანობის დიდი მძლეობისა და მღელვარების; თუ შინაგანობა ცარიელია, გარეგანობა ალქატია და ბეძღვერე; მეტყველების სილამაზეს იძლევა სულის ხანგრძლივი ტანჯვა ერთფეროვან სოციალურ წყობაში: რომანტიზმის მეტყველება თავიდან სუსტია და მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის უკანასკნელ წლების ნაწერებში იღებს ლამაზ ფორმას განცდის წნევის გავლენით ისტორიულად განმტკიცებულ სოციალურ არეში.

ცხოვრება შემოქმედებითი პროცესია და იდეა—პროდუქტი ამ შემოქმედებისა; „ინტელექტი, -ამბობს ფილოსოფოსი რილი,—არის ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი, პროდუქტი ორგანიზაციისა და არა მისი მიზეზი“ *. „ფსიქიური ცხოვრების ტურნირში,—ამბობს ვინდელბანდი,—იდეები მხოლოდ ნიღაბებია, რომელთა უკან იმალებიან ჭეშმარიტი მებრძოლები—გრძნობანი; რა არის ეს ინტერესი, ეს გრძნობანი, რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენ წარმოდგენათა მსვლელობას? მხოლოდ ფორმები და ხერხები ქვეცნობიერების ნების გამოსაჩენად“ **.

სული, აზრი, იდეა ისტორიაში ამარქაფებულ არიან სოციალურ ყოფასა და საჭიროებასთან: სოციალური ყოფისა და ინტერესის პრინციპი ჩვენ კათეგორიულად წამოვაყენეთ „სოციალური ესთეტიკის საფუძვლებში“ და ეს პრინციპი, შეფარდებული მარქსიზმის დებულებებს, დავუპირდაპირეთ ინტელექტუალიზმს, კანტის ფილოსოფიას; „იდეა,—აცხადებს მარქსი,—ყოველთვის მარცხდებოდა, თუ არ ეთანხმებოდა ინტერესს ***. სული იდეებით და ემოციებით წარმოიშვა ცხოვრების სასარგებლოდ და წარმოადგენს თავისთავად ძლიერ იარაღს ბრძოლისას: ყოველ მდგომარეობას თავის სული აქვს და ყოველ სულს მდგომარეობასთან შეფარდებული თვისება. რაც ქვეყნად არსებობს, ყველაფერი შეიქმნა საჭიროებისა და ინტერესებისათვის, ყველაფერი გამომდინარეობს აუცილებლობიდან და იძუ-

* Riehl. Der philosophische Kriticismus II, გვ. 204.

** Windelband, Präludien. 229.

*** Die Heilige Famil gesammelte Schriften von Marx und Engels. II 182.

ლებიდან: შეგრძნობანი შეხებისა, მხედველობისა, გემოვნებისა, სმენის—პირველად წარმოიშვენ იმისათვის, რომ ცხოველს ადვილად მოენახა საჭმელი ან დედალი*; ტანსა და სულს შერჩა მხოლოდ ის თვისება, რომელსაც მოითხოვდა ყოფის საჭიროება და მდგომარეობის ორგანოტროპიული ურთიერთობა: ცხოვრების პრაქტიკული ინტერესი იძლევა სულისა და გონების მიმართებას, აზრისა და სიტყვის შესაფერ ფორმას, მოხერხებისა და სტილის კონსტრუქციას; გარეშე საჭიროებისა და ინტერესის არ არსებობს არც ერთი ფორმა ცხოვრებისა, ხელოვნებისა და მეცნიერების**, არც ერთი ხალხის ლიტერატურა, არც ერთი ეპოქის სტილი და სული.

ქართული რომანტიზმის ბუნება მომდინარეობს ქართული სოციალ-ისტორიული ყოფის საშოდან და ბარათაშვილის ფრაზა „ოხვრა არის შვება უბედურისა“ მშვენიერი ფორმულაა იმ სოციალ-ისტორიული ტკივილების, რომელთაც განიცდიდა ქართული სული 1832 წ. დამარცხების შემდეგ და რომელთა გავლენით ხშირად იტყოდა ხოლმე იგივე ბარათაშვილი სასოწარკვეთილებით სავსე სიტყვებს—„ვაი ჩვენო ქართლის ბედო“!

რომანტიზმის მეტყველება და მასში განსახიერებული იდეოლოგია სევდით, მწუხარებით, უსაზღვროებისა და მარადობის ტრფიალებით ისტორიულ-ეპოქალური საჭიროების ორგანოტროპიული პროდუქტია: რომანტიზმის მთელი ფსიქოლოგია რეფლექსია ქართული სოციალური ყოფისა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და სხვა სახის თქმა, სხვა წყობის აზრი და განცდა იმ დროისათვის საქართველოში ისე გაუგებარი იქნებოდა, როგორც გულწრფელი მხიარულება სიცოცხლე მოწყურებულ მომაკვდავის სახეზე.

ცივილიზაციის დიდ ლაბირინტში რომანტიზმის ქართულ თქმასაც თავისი ადგილი უკავია და მის წარმოშობასაც თავისი სოციალ-ისტორიული მიზეზები აქვს. რომანტიზმის მეტყველება ისეთი სოციალური სულის მეტყველებაა, რომელიც იძულებით შორდება სოციალური ცხოვრების პრაქტიკას და ამიტომ, გრძნობს რა ამ დაშორების აუცილებლობას, შფოთავს, ღელავს, იტანჯება; რომანტიზმი თავისი იდეოლოგიით და ფორმით მშვენიერი ფსიქოლოგიური დოკუმენტია, მაჩვენებელი სოციალური განცდების იმ მომენტების, როდესაც ადამიანი თავის ყოველდღიურ მდგომარეობაში სცილდება წარმოებისა და რეალური ცხოვრების პრაქტიკას, როდესაც სული არ მიყვება შემოქმედებით ევოლიუციის ფერისცვალებას, იმიტომ

* Alfred Fouillée. La psychologie des idées-Forces. 1893.

** კ ა პ ა ნ ე ლ ი: „სოციალ. ესთეტიკის საფუძვლები“ (ორგანოტროპიზმი).

რომ დაძენძილია ტრადიციისა და ჩვეულების ტკბილი შეგრძნობებით, ლამაზი წარსულის სიყვარულით, მისი მოგონებით.

იდეათა მატერიალიზაცია და ტრაგედიული გრძნობა

კულტურის ევოლიუციაში არსებობს ერთგვარი შეფარდება ისტორიული განცდის ინტენსივობისა და იდეოლოგიის ფორმათა შორის: იდეოლოგია მაშინ მიიღებს გარკვეულ, სახიერ ფორმას, როდესაც სოციალური წყობის ხანგრძლივი განცდა მტკიცდება მასსის ფსიქოლოგიაში; დიდი ლიტერატურული ნაწარმოები ისტორიულად ნაყოფია მოდგმათა სოციალ-გენეტიური განცდისა. რუსთაველის სულს ქართული კულტურა რამოდენიმე საუკუნე ასადგურებდა და გიოოგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე მხოლოდ გზას ამზადებდენ რუსთაველის მოსვლისათვის; სოკიალ-ეკონომიური და ინდუსტრიული ცხოვრების ხანგრძლივი გაშლა და ვითარება, განსაზღვრულ პირობებში ამდიდრებს სოციალური სულის შეწყობით რეფლექსებს და საზოგადოებრივი ცხოვრების აწყობასთან შეფარდებით ეწყობა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა ფორმა, აზროვნებისა და მეტყველების სხვადასხვა სახე.

აზრისა და ლიტერატურის კულტურას ისტორიაში ყოველთვის წინ მიუძღვის გარკვეული ფორმის ორგანიზაცია სოციალური კულტურისა და რაც უფრო ხანგრძლივი და მტკიცეა ასეთი ორგანიზაცია, მით უფრო მდიდარი და შინაარსიანია იდეოლოგია ეპოქისა—სული ისტორიისა, აყოვლადებული მატერიალიზაციის პროცესში.

კულტურის ისტორია ფაქტიურად იდეათა მატერიალიზაციის ისტორიაა: სული ორგანიულად გამომდინარეობს მატერიის იონოდინამიურ საშოდან და თავის არსებობის გასანაღდებლად ისევ მატერიალიზაციას საჭიროებს; სულიერი კულტურა კაცობრიობისა მთლიანად მატერიალიზაციის პროცესია: იდეას არსებობა არ შეუძლია ქვეყნად, თუ ვერ მონახა თავისი მატერია; იდეა უმატერიოთ ქაოსია და ბურუსი; მხოლოდ მატერიას აქვს წყობა და იდეის წყობაც ბოლოს და ბოლოს უმატერიოდ შეუძლებელია. ყოველგვარი იდეა ხახიერდება ან სიტყვათა საშუალებით, ფერებით და საღებავებით, ან ბგერებით, ხაზებით და ნაკვთებით; რა არის ლიტერატურა, თუ არა იდეათა მატერიალიზაცია ასოებისა, საღებავისა, ქაღალდისა და სხვა მასალათა საშუალებით? რა არის მხატვრობა, თუ არა იდეათა მატერიალიზაცია საღებავისა და ფერების შემწეობით? რა არის მუსიკა, თუ არა გრძნობათა მატერია-

ლ ი ზ ა ც ი ა ბგერებით და ტალღათა ვიბრაციით? განა ხუროთმოძღვრება და მოქანდაკეობა ესთეტიურ წარმოსახვათა მატერიული ფორმები არ არიან?

რომანტიზმი უკიდურესი მელანქოლიური ფორმაა სუბიექტივიზმისა და იდეალიზმისა; რომანტიზმი ილტვის ნივთიერებიდან სულისაკენ, მაგრამ თვით ეს ლტოლვა იმდენად გასაგებია და მისაწვდომი, რაოდენად განსახიერებულია ლიტერატურისა და ხუროთმოძღვრების მატერიულ ფორმებში, ტაძრების გუმბათებსა და სევდიან მეტყველებაში.

ცივილიზაციის შემოქმედებით პროცესის განრიგება შეიძლება ფორმულაში: მ ა ტ ე რ ი ა — ს უ ლ ი — მ ა ტ ე რ ი ა. ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში მატერია გადააქვს იმას, რაც მატერიის იონო-დინამიურ ნაწილს შეადგენს, რასაც ჩვენ ვეძახით სულს და რის წარმოშობა შედეგია გენეტიური წვალების ბიოლოგიურად დაგროვილი ენგრამებისა.

ლიტერატურული სახეები და განცდანი ილეკებიან სოციალურ განცდათა ხვეულებში: რაოდენად ხშირად მეორდებიან სოციალური განცდანი, იმდენად ძლიერია ეპოქის მოთხოვნილება ამ განცდათა გამოსახვისა ლიტერატურაში იდეებისა და ტიპების სახით; ჰამლეტები, ფაუსტები, ბლაჭიაშვილები, ოძელაშვილები, დონჟუანები მოაზული სოციალური სულებია, წარმოშობილნი ეპოქათა საჭიროებით და ინტერესებით, ეკონომიურ-ინდუსტრიულ წყობათა და სხვაობათა სისტემატიური წნევით; გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოები“ თავის ღრეობით და აგრესიული ინდივიდუალიზმით, ვახტანგ ორბელიანის „იმედი“ თავის სინაზით და ქალის კულტის სიმბოლიური განსახიერობით, ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ და „მეჩანი“ თავიანთი ტკივილებით და ექსტაზით ქართული სულის სოციალური განცდების კოროლარიებია, აწყობილნი საქართველოს კულტურის თავისებურ პირობებში და ამიტომ მომქმედნი ამ პირობებზე თავისებურად.

ცივილიზაცია მატერიალიზაციის პროცესია, ხოლო უდიდესი ორგანიზატორი ამ პროცესის იდეაა; იდეა ფორმას იღებს მატერიის საშუალებით, მაგრამ მატერიის მიმართებას იდეა იძლევა.

მატერიალისტური მოძღვრება, — ამბობს მარქსი — იმაზე, რომ ადამიანები მდგომარეობისა და აღზრდის პროდუქტები არიან და მაშასადამე ადამიანთა ცვლილებანი მდგომარეობის ცვლილებათა შედეგია, ი ვ ი წ ყ ე ბ ს, რ ო მ გ ა რ ე შ ე პ ი რ ო ბ ე ბ ი ი ც ვ ლ ე ბ ი ა ნ

ადამიანების დახმარებით*. რევოლიუციონური მარქსიზმი ვერ უარყოფს იდეოლოგიის მნიშვნელობას და მის შემოქმედებით ხასიათს; იდეათა მატერიალიზაცია ფაქტიურად შემოქმედებაა სოციალურ არეში — ადამიანის და მდგომარეობის ურთერთობაში ,ორგანოტროპიულ ფორმაში; ცხოვრება გვეძლევა ბიოლოგიური მასალის სახით, ხოლო მასალის ესა თუ ის ფორმა მუშავდება სოციალურ არეში — ადამიანთა ურთერთობაში მდგომარეობასთან. ურთერთობა ხანგრძლივი, სისტემატიური ჰქმნის აზროვნებისა და ლიტერატურის სისტემას: რა სახისაა, ორგანოტროპიული ურთერთობა ადამიანისა და ბიოსფეროს შორის, იმ სახისაა ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, საზოგადოთ იდეოლოგია.

ამრიგად ცივილიზაციის პროცესი თავისთავად არა ინტელექტუალისტურია, არამედ შემოქმედებითი, ვოლიუნტარისტული: ლიტერატურა თავის ტიპებით და სახეებით, იდეათა და გრძნობათა ტურნირებით სოციალური სულის მატერიალიზაციაა, მოცემული მხატვრული მეტყველების ფორმებში, გამომსახველი ტემპერამენტებისა და ხასიათების სხვადასხვაობისა. მიმართება და სტილი ლიტერატურისა მომდინარეობენ უმეშვეოდ სოციალურ სურვილებიდან, საზოგადოებრივ-ისტორიულ ხვეულებიდან, ბიოსფერიულ არეებიდან.

როდესაც ისტორია რომელიმე ეპოქაში ჩამოაყალიბებს სოციალური ყოფის რეფლექსებს, სოციალური სული ივსება ამ რეფლექსებით და განცდებით ისე, რომ ვერ ეტევა თავის ბიოსფეროში და ილტვის სურვილთა სიმძლავრით, განცდათა აორთქლებით, შინაგანი წვის დინამიკით უსაზღვროებისაკენ; ასეთი მომენტებია საქართველოში შოთა რუსთაველისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში: ქართული სული გრძნობს სისავსეს და ილტვის ბიოსფერიული წყობის მიღმა, რომ გაარღვიოს ზღუდეები დროულ-სივრცეული ყოფისა: ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეიგრძნო მთელი თავის არსებით თავის დროის სოციალური განცდები, თავის ეპოქის ყოფა, თავის გარემოს შინაარსი და როდესაც დაინახა, რომ ქვეყანა ცბიერება და საწამლავია, არ იცის რა ქნას — „სად განისვენოს სულმა“?.. ბარათაშვილი საქართველოში ვერ ხედავს სულიერ მეგობარს, მაგრამ მსოფლიოში მეგობრები მას ჰყავს: ბაირონი, ლერმონტოვი, ლეოპარდი, შოპენჰაუერი ბარათაშვილთან ერთად განიცდიან ცხოვრების უკუღმართობას, არსებობის უსამართლობას, ჩაგვრისა და წვალების აუცილებლობას. ბარათაშვილი ერთად ერთი ქართველია შოთა რუსთაველის შემდეგ, რომელმაც შესძლო ქართული სულის

* იხ. კ. მარქსი. მე-3 თეზისი ფეიერბახის შესახებ. კურსივი ჩვენია. კ. კაპანელი.

გაწევა მსოფლიო განცდამდე: წუხილი და სევდა ბარათაშვილამდე საქართველოში ღვინის კულტით თავდებოდა; ბარათაშვილმა ქართული ცხოვრების თავისებურ უბედურებაში დაინახა კაცობრიობის საყოველთაო უბედურების ერთ ფორმათაგანი და ამით ქართული სულის სოციალური განცდა დაამსგავსა კაცობრიობის სოციალური ყოფის ზოგად ტკივილებს.

„თუ ფიქრობ ასეთს რას ფიქრობ, — წერს ნ. ბარათაშვილი თავის დას მაიკოს, — რომ ბოლო არ ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომელიც მადლიერი იყოს ამ წუთისოფლისა. — დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათ სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს ისინი შეურჩენელნი არიან“.

ამ სტრიქონებში ლაპარაკობს სული შოპენჰაუერის და ლეოპარდის, სული ბაირონის და ლერმონტოვის: ყველაფერს ბოლო აქვს; ვერაფერს ადამიანი ისეთს ვერ მიიღებს, რომ არ დაკარგოს; ქვეყნად არ არის კაცი, რომ მადლიერი იყოს წუთისოფლის; ამიტომ დაიმარხე მშვენიერება სულისა და სხვის ბედნიერებას შეხედე გულგრილად ვინაიდან, ვინც დღეს ბედნიერია, ხვალ უბედური იქნება. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ სტრიქონებში იძლევა ცხოვრების ულრმეს ფილოსოფიას ადამიანისა. აქ აზრი ისე სადათ არის გამოთქმული, ისე გულწრფელად და განცდით არის დაწერილი, რომ, სანამ ადამიანობა არსებობს ქვეყნად, სანამ სული ადამიანისა არ ჩაძირულა კაფე-რესტორანულ და ფიზიოლოგიურ ღრეობაში, მანამ ნიკოლოზ ბარათაშვილი კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნეებთან ერთად იქნება დამცველი ადამიანისა...

„ყველაფერი, რაც ადამიანს ჩაგრავს, ჩემში მოწინააღმდეგეს დაინახავსო“, — ამბობდა ბაირონი და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც შეეძლო გაემეორებია ეს მშვენიერი სიტყვები.

ბარათაშვილნა ორგანიულად განიცადა ჩაგვრა; დაჩაგრული იყო პირად ცხოვრებაში: ვერც სამხედრო სამსახურში შევიდა, ვერც უნივერსიტეტში წავიდა; დაჩაგრული იყო როგორც მამულიშვილი: სამშობლო მისი, უფლებაწართმეული, ეკონომიურად დაქვეითებული, საზოგადოებრივად გამოფიტული, უპატრონო, „მიუსაფარი“, საუკუნეთა განმავლობაში დაღლილი, მასში იწვევდა მწარე გრძნობებს ცხოვრების საერთო უსამართლობისა და ტანჯვისას; ნუგეშს არ იძლეოდა გარემო და სული, სევდით სავსე, ეძიებდა განთავისუფლების ზას; რაც უფრო ძლიერი იყო სულიერი მარტოობა, მით უფრო

ძლიერი იყო მოთხოვნილება კავშირის გაწყვეტისა სინამდვილესთან; ბარათაშვილს უნდოდა მტკიცე, ურყევი და ლამაზი პირობები ცხოვრებისა, ხოლო გარემო იძლეოდა მერყეობისა და საზიზღრობის სურათს; ბარათაშვილმა არ მოისურვა თავის ტანჯულის სულისა და სევდის ღვინოსა და ქეიფში გაცვლა, როგორც ამას ჩადიოდენ დროგამოშვებით ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი: ბარათაშვილიდან იწყება ინტელექტუალური პერიოდი ქართული კულტურისა; თვალთახედვა პირველი რომანტიკოსების გამოსახავდა ეროვნულ-ისტორიულ ეგოცენტრიზმს; თვალთახედვა ბარათაშვილის კოსმიურია და გამოსახავს ადამიანის სულის სევდას უსაზღვროებაში sub specie aeternitatis.

ბარათაშვილს ტანჯავს წარმავალობის გრძნობა: „თუ ფიქრობ, ისეთს რას ფიქრობ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ისეთს, რას მიიღებ რომ არ დაკარგო“? ბარათაშვილის ფილოსოფია პესიმიზმისა და ამაოების ფილოსოფიაა: პესიმიზმი საერთოდ ცხოვრების ღირებულების უარყოფაა, მაგრამ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ვინც პესიმისტია, მან უნდა საჩქაროდ აიღოს ბაწარი და თავი ჩამოიხრჩოს*. შოპენჰაუერი დიდი პესიმისტი იყო, მაგრამ ცხოვრება ისე უყვარდა, რომ თავისი კოვზი და ჭიქა დაქონდა ჯიბით—ეშინოდა, სხვისი კოვზი და ჭიქა არ იქნება კარგად გარეცხილი და რამეს რომ დავლევ, ბაქტერიები ჩამყვება, მოვიწამლებიო; რაც უნდა დიდი პესიმისტი იყოს ადამიანი, რაც უნდა მან უარყოს ცხოვრება აზრით, ლოგიკით, იგი ბოლოს და ბოლოს მაინც ცხოვრების სიყვარულით საზრდოობს; რა არის უკიდურესი სასოწარკვეთილება, თუ არა ერთგვარი ფორმა ემედისა? ყოველი ცოცხალი არსი ბრმა შემნახველია ცხოვრების ბიოლოგიური ინტერესებისა და პესიმიზმი არის მხოლოდ ლიტერატურული ფორმულა მწარე გრძნობათა გამომსახველი; პესიმიზმი სევდისა და ამაოების ესთეტიური ფორმულაა; რაც უნდა უბედური იყოს ადამიანი, უდიდესი უბედურება კიდევ წინ არის—არყოფნა; ამიტომ არსებობის ყოველი წუთი თავის უსამართლობით, ტკივილებით, ხორცისა და სულის შეურაცყოფით ჩვენ უნდა მივიღოთ, რათა შეძლება გვქონდეს დაუცადოთ წარმავალი ყოფის მორიგ სიამოვნებას ამ უთავბოლო წუთისოფელში. ამიტომ ბარათაშვილმა უარყო ცხოვრება, როგორც ფაქტიური უწესრიგობა და უსამართლობა ცხოვრების გარდაქმნისა და გაწმენ-

* ამაში ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულ ვ. კოტეტიშვილს, რომელმაც უარყო პესიმისტური ხასიათი ნ. ბარათაშვილის პოეზიისა თავის „ლიტერატურ ისტორიაში“.

დისათვის და არა საბოლოო უარყოფისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ ვინც სასოწარკვეთილებით უარყო სატრფო გულისა, სამშობლო, წინაპართა საფლავებ შორის დამარხვა, მან იმედით სავსე სიტყვებიც დგვიტოვა—სიტყვები ბრძოლისა და აქტივობის:

ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.

ბარათაშვილის პოეზია ტ რ ა გ ე დ ი ულ ი გრძნობის პოეზიაა და იმდენადაა პესიმისტური, რაოდენად ტრაგიზმი, როგორც ცნება, შეიცავს პესიმიზმს: ტრაგედია არა მარტო საშინელებაა,—იგი აქტივობისა და ბრძოლის ცხადყოფაცაა.

ტრაგედიული გრძნობა ევროპაში მშვენივრად განასახიერა ფრიდრიჰ ნიცშემ: ფილოსოფოსმა დაინახა, რომ ცხოვრება საშინელია და უწესრიგო; ცხოვრება წააგავს სამხეცეს, რომლის დერეფნებში რაც უფრო შორს მიდიხართ, მით უფრო ძლიერი შიში გიპყრობთ; ქვეყანა მიკრობებისა და შემთხვევებისა, ქვეყანა ულინიდისო და უპრინციპო გლეჯისა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი თვალთახედვით არ არის მისაღები; და ამიტომ არის, რომ კაცობრიობა ტიტანიურად ებრძვის ბუნებისა და ცხოვრების უწესრიგობას: პრომეთე და ჰამლეტი ბუნებას და ძალმომრეობას უპირდაპირებენ ადამიანის მორალს და პრინციპს; ამ დაპირდაპირებაშია მთელი ტრაგედია არსებობისა და მთელი სილამაზე და აზრი ცივილიზაციისა. ბიოლოგიური თვალთახედვით ტრაგედია არ არსებობს და ადამიანს უსაზღვროებაში ისეთი პატარა ადგილი უკავია, რომ მხოლოდ სევდასა და შიშს იწვევენ მასში უსაზღვროების შეგრძნობანი. ბუნებას სრულებით არ ესმის არც ადამიანის ლოგიკა და არც ადამიანის ფიზიკური და ქიმიური კანონები: ეს კანონები მხოლოდ ჩვენ წუთისოფლურ ჩვევათა კოორდინატებია და ვისაც მათი უცვლელობა სჯერა, იგი ისე ცდება, როგორც ბავში, რომელმაც ბარძაყთა შორის შემოიგდო რა უბრალო ჯოხი, ფიქრობს რომ მიაჭენებს ტაიჭს ვრცელ მინდორზე.

კაცობრიობა თავის მეცნიერებით და ლაბორატორიებით ისე უძლურია უსაზღვროების არეზე, როგორც ჩეხოვის გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელიც სიკვდილის ჟამს თავს ინუგეშებს სიტყვებით—Волга впадает в Каспийское море-ო, როგორ წააგავს კაცობრიობა ჩეხოვის საცოდავ გმირს! და რა მშვენიერია ბარათაშვილის სიტყვები, მიმართული მერანისადმი:

„გასწი, გაფრინდი, გადამატარე ბედის სამძღვარი“...

თავი მეოთხე

სოციალური პროგლემები

ილია ჭავჭავაძე

გადატეხის პერიოდი

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კაცობრიობის სული კიდევ ეწყობოდა მეთვრამეტე საუკუნემდე დამუშავებულ ფსიქოლოგიურ ჩარჩოებში; ულტრაინდივიდუალიზმი თავის ფეოდალურ-არისტოკრატიული პათოსით კიდევ იყო დირიჟორად კულტურისა და სტილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძველებურად ლიტერატურაში აღმერთებდენ მართმსახურებას აბსოლიუტიზმისა და მეფისათვის, სარწმუნოებისათვის თავის დადებას, ბრძოლას რაინდული პატივმოყვარეობისთვის; ფსიქოლოგია ინდივიდუალური მძლეობისა და დიდებისა, მეფის ერთგულებისა და კერძო საკუთრების დაცვისა, ქვეშევრდომობისა და ბატონ-მორჩილების, ფარისევლური თაყვანისცემისა და არისტოკრატიული პრესიოზობის — შეადგენდა ესთეტიური კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის სულს.

კაცობრიობა თავის კულტურულ-ცივილიზაციური მიღწევებით და იდეებით შეკუმშული, შევიწროებული იყო ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი მორალით და ტრადიციით.

რომანტიზმმა ორგანიულად შეიგრძნო არარაობა და უსუსურობა ასეთი ინდივიდუალიზმისა: მან წესი აუგო ინდივიდუალიზმის პრეტენზიებსა და აბსოლიუტებს წუთისოფლად: ტირილი, ცრემლები, ოხვრა, სევდა, ამაოების იდეა — აი რა განასახიერა რომანტიზმმა ლიტერატურაში; დაცვეთილია ისტორიული ნორმები და ღირებულებანი, მოშლილია ცივილიზაციის აპარატი, დაცარიელდა ისტორია, — ამბობს რომანტიზმი.

დაცარიელებულ ადგილს იკავებს ისტორიის ახალი გმირი — მასსა, ხალხი, სოციალური მოძრაობა; საფრანგეთის რევოლიუციას პირველი საკაცობრიო დემონსტრაციაა ისტორიის ახალი გმირებისა, მასსის სურვილებისა და იდეალების.

საფრანგეთის რევოლიუცია მასსის ნებისყოფის ამოძრავებაა და იმ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური არისტოკრატიის სოციალური მარჭვლები მასსის შეგნებამ ვერ გასწყვიტა, შეიქმნა არალეგალური კულტი მასსის პატივისცემისა და მასსისადმი ტრფიალებისა.

ამრიგად მესამოცე წლების სოციალური ყოფის იდეალი ხალხის სამსახურის კულტით, ხალხის გაღმერთებით გენეტიურად და დ ი ა ლ ე ქ ტ ი უ რ ა დ გამომდინარეობს წინა წლების სოციალური კულტურის წყობიდან და ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვებით — „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ იძლევა მთელს ფორმულას იმ ეპოქისას, როდესაც ისტორიულად ინდივიდუალიზმის ფსიქოლოგია ადგილს უთმობს კოლექტივიზმის ფსიქოლოგიას, როდესაც მწერალი, საზოგადო მოღვაწე ორგანოტროპიულად იძულებულია თქვას ის, რაც ისტორიას აქვს სათქმელი და გასაკეთებელი.

სწორედ ამიტომ არის, რომ ილია ჭავჭავაძის მთელს მოღვაწეობას აქვს რაღაც საგანგებოდ გარკვეული და პროგრამული ხასიათი: თითქო ქართული კულტურის ისტორია ელოდა ჭავჭავაძეს, თითქო „ქართლის ბედმა“ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს პირდაპირ შეუკვეთა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა: კლასობრივი დანაწილების ტრაგედია მიწათმოქმედების ქვეყნისა სხვა სახის იდეოლოგიას ვერ მოგვცემდა...

და ილია ჭავჭავაძემ ტიტანიურად შეასრულა თავისი ისტორიული მოვალეობა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში ამთავრებს ისტორიული ინდივიდუალიზმის ეპოქას: ქართული კულტურის ორგანიზაცია, აწყობილი საუკუნეთა განმავლობაში და გამოსახული ფეოდალური არისტოკრატიის ფორმაში, თანდათანობით იშლება, როგორც შიგნით, ისე გარედ.

ერეკლე მეორე გრძნობდა, რომ საქართველოს არსებობა არ შეეძლო იმ სოციალ-ეკონომიური ურთერთობის გარეშე, რომელშიაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მოექცა კაცობრიობა; ყოველი ერი ევროპაში ჩათრეულ იყო ქალაქურ ცხოვრებაში; ფეოდალური კულტურის შინაური წარმოება თავის სტილით და სოფლური ესთეტიკით იღუპებოდა თანდათანობით; ყოფა, ოდესღაც სავსე გულის დამებით, აშუღებისა და ტრუბადურების პოეზიით, ყოფა, შემოხღუდული მაღალი კოშკებით და კუთხებრივი სურვილებით, ჭკარგავდა საფუძვლებს სინამდვილეში და ცხადია ისტორიული სული, ამ ყოფის დირიჟორობით გაწვრთნილი, ამ ყოფას შეჩვეული, კოშმარული

განცდებით და ცრემლებით აცილებს წუთისოფლიდან ამ ყოფის უკანასკნელ ფორმებს.

ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიული სული ნაციონალურ საზღვრებს სცილდება და არსებობის წარმავლობას გრძნობს ზოგადად: სხვადასხვა კუთხიდან განათლებული ერები სხვადასხვა სახით და მეტყველებით გამოსახავენ ერთ და იგივე იდეას, ერთ და იგივე გრძნობას; ეს არის კოსმიური ამაოების გრძნობა და მსოფლიო სევდა: იტალიაში — ლეოპარდი, ინგლისში — ბაირონი, საფრანგეთში — ალფრედ დი-ვინიი და ლამარტინი, რუსეთში — ლერმონტოვი, საქართველოში ბარათაშვილი გამოსახავენ კაცობრიობის სევდას — სევდას არსებობის წარმავალობისას.

ისტორიული ინდივიდუალობანი თავიანთი სტილებით და ფორმებით ირღვევიან და იცრიცებიან; საუკუნეთა შემოქმედებანი და ზრახვანი დავიწყებას ეძლევიან; რჩება მხოლოდ ნანგრევები, კოშკებისა და ტაძრების ბალიუსტრადები ინდივიდუალისტური სურვილებით აღბეჭდილნი, ხავსით და მტვერით მოკულნი. ინდივიდუალობა გრძნობს ამ ქვეყნად, რომ ყოველგვარ ინდივიდუალურ დიდებიდან რჩება მხოლოდ მტვერი და ხავსი: ინდივიდუალურ ყოფაში აღარაფერია მარადიული; არსებობის ქარიშხალი ანიავებს სამყაროს უსაზღვროებაში ინდივიდუალურ ყოფათა ნაჭუჭებს. ადამიანს დარჩენია მხოლოდ სევდა და ცრემლები ნუგეშად.

ეგრე მსჯელობდა რომანტიული ინდივიდუალიზმი თავის ნახევრად დანგრეულ სასახლეებსა და კოშკებში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ესე იგი იმ დროს, როდესაც საზოგადოების ქვედა ფენებში დიდი ტანჯვა და წუხილი იყო არსებობის ყოველდღიური საჭიროებისათვის, სოციალ-კლასობრივი ინტერესებისათვის; გაბატონებული კლასი ტიროდა თავის ყოფის წარმავალობას; დაჩაგრული იბრძოდა ტიტანიურად უფლებისათვის. ზევით — ფეოდალური არისტოკრატია ტირილსა და ცრემლებში იყო იმიტომ, რომ დიდება მისი ყოველდღიურ და დროულ არსებობას ვეღარ სცილდებოდა, ქვევით — მასსა, ხალხი, ყოველდღიური არსებობისა და დროულ საჭიროებისათვის თავს იკლავდა: ფრანც მოორებისა და არსენა ოძელაშვილების თაოსნობით ებრძოდა ეკონომიურ უთანასწორობას, ძალმომრეობას, უსამართლობას. მასსაში თანდათანობით იზრდებოდა მოთხოვნილება ადამიანური ცხოვრებისა; წოდებრივი პრივილეგიები ბორკავდენ ისტორიულ-სოციალური მოძრაობის საშუალებას და ერთ დროს მებრძოლი, ცხოვრებისათვის საჭირო ფეოდალური არისტოკრატია თანდათანობით დონ-კიხოტებად, ობლომოვებად და თათქა-

რიძეებად იქცეოდა. საქართველოში თათქარიძეები, არჩილები და დათიკოები ადგილს უთმობდენ გაბოსა და გიორგის, კაკოსა და ზაქროს; ისტორია იცვლის მომქმედ პირებს; ცხოვრება თხოულობს ახალ ძალებს.

ასეთი იყო ჩვენი ეროვნულ-ისტორიული და საერთაშორისო კულტურული ჰაერეთი იმ დროს, როდესაც ხალხოსნური მოძრაობა ფართო ხასიათს იღებდა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ფეოდალური სასახლეებიდან ხალხისკენ გარბოდა კეთილშობილი სურვილებით, დიდი ლიბერალურ-დემოკრატიული ზრახვებით.

სწორედ ამ დროს ილია ჭავჭავაძე ბრუნდება ჩრდილოეთიდან საქართველოში, სავსე ენერგიით და ახალი განცდებით.

ილია ჭავჭავაძის თვალწინ იშლება საქართველო, შებოჭილი ნახევრად ფეოდალური წესწყობილების პირობებით; ხოლო რეალურად ფეოდალური წესწყობილება უკვე ველარ არის აქტიური ძალა; კლასი, რომელიც წინ მიუძღოდა ქართულ კულტურას საუკუნეთა განმავლობაში, დაქვეითებულა და მხოლოდ ჭამაზე ფიქრობს.

ილია ჭავჭავაძე ეძიებს საქართველოში იმ რეალურ ძალას, რომელსაც შეუძლია კულტურის რეორგანიზაცია და ქართული სულის ახალი ცხოვრების პირობებში გაშლა. რას წარმოადგენდა მაშინდელი რეალური საქართველო: ერთი მხრით იყო ისტორიულად, ეკონომიურად და ფსიქოლოგიურად დაქვეითებული ფეოდალური არისტოკრატია, რომელსაც წარსულში ჰქონდა გაკეთებული თავისი ისტორიული საქმე, მაგრამ აწმყოსა და მომავალში არ ჰქონდა არავითარი პერსპექტივები კულტურული მუშაობისა; მეორე მხრით იყო გლეხობა ღარიბი, მოკლებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებას; ისტორია კი საფრანგეთის დიდი რევოლიუციით პრაქტიკაში ატარებდა ჟან-ჟაკ რუსსოს დიდ ცნებას ადამიანისა და მოქალაქის უფლების შესახებ. ილია ჭავჭავაძემ დაკვირვებით შეიმუშავა იდეალი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა: საქართველო მთლიანი და მტკიცე—საქართველო ზეკლასიური, სადაც ერთგან „ძოვდეს იქნება ცხვარი და მგელი“—აი რა უნდოდა ილია ჭავჭავაძეს; მთლიანი საქართველოს იდეის განხორციელებისათვის საჭირო იყო ფეოდალური არისტოკრატიისა და გლეხობის შეკავშირება სოციალ ოჯახური და პატრიოტული ტრადიციის ჰარმონიული ურთერთობით.

ილია ჭავჭავაძემ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ფეოდალურ არისტოკრატიის მაგიერ საქართველოში შემოდიოდა ახალი კლასი, რომელსაც მოქონდა ყველაფერი, რაც მაშინასა და კაპიტალს მოაქვს; იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძე სერიოზულად ფიქრობდა კესოსა და გიორგის შეუღლებას და მათ შორის ჩატეხილი ხიდის გამთელე-

ბას, ბახვა ფულავა და სოლომონ მეჯღანუაშვილი იძენდენ თავადეების სასახლეებსა და ეზოებს; ასე რომ, რეალურად, ისტორიულ ძალთა განწყობილების მიხედვით ილია ჭავჭავაძე აკეთებდა შეუძლებელ საქმეს და ამას ილია ჭავჭავაძეს უსაყვედურებდენ გარკვევით ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია: ილია ჭავჭავაძის ეროვნული მთლიანობის იდეას მესამე დასი ფილიპე მახარაძისა და ნოე ჟორდანიას მეთაურობით უპირდაპირებდა ისტორიული კანონის აუცილებლობას და მუშათა კლასის შემოქმედებით პერსპექტივას, რომელიც მარქსიზმის თვალთახედვით პირდაპირ გამომდინარეობდა კაპიტალისტურ წარმოებიდან და რომელსაც ილია ჭავჭავაძე არ აქცევდა ყურადღებას.

ილია ჭავჭავაძე კარგად ამჩნევდა, რომ ქართველ მუშას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ცხოვრების წინსვლისათვის, მაგრამ რომ ისტორია რადიკალურად ცვლიდა წარმოების პროცესს და ცვლილებასთან ერთად შესაძლებელი იყო ქართველი მუშისა და გლეხის, როგორც ფსიქოლოგიის, ისე მდგომარეობის გამოცვლა, ამაზე ილია არ ფიქრობდა. ილია ჭავჭავაძის თვალწინ იდგა რეალურად მიწათმოქმედებისა და სოფლური მეურნეობის საქართველო თავის კუსტარული წარმოებით და მარტივი ესთეტიური ფორმით; მაშინების გრაგანი, ქარხანათა ღვედების თქრიალი, ასფალტის სუნი და ვიტრინების ბორიალება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით წარმოსახვაში საქართველოს არ უკავშირდებოდენ; სოციალური ევოლიუცია მიწათმოქმედებისა და სოფლური მეურნეობის ქვეყნის ფაქტიურად გადადიოდა მეჯღანუაშვილებისა და კარაპეტების ხელში, ილია ჭავჭავაძე კი იდეოლოგიურად ტრიალებდა გლეხისა და ფეოდალის ურთერთობის გარშემო.

საქართველოს ცივილიზაციური მიმდინარეობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში შემდეგ შენაკადებიდან იწყება: ერთი არის ისტორიული მემკვიდრეობის ფორმა გლეხისა და ფეოდალის ურთერთობის, რომელსაც გვისახავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება; მეორე შეიცავს, საშუალო საუკუნეებიდან დაწყებული, ქართულ სულს, რომელიც გაიხიზნა ისტორიულად მთაში, რომელმაც ინდუსტრიის თემურ წესწყობილებასთან ერთად შეინახა ძველი ქართული მეტყველების მდიდარი ფორმები, ქართული ტრადიციის თავისებურობანი და რომელიც განსახიერდა ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში; მესამე ნაკადს ქართული კულტურისას ამ დროს შეადგენს ქართული ბურჟუაზიის ვაჭრული ფსიქოლოგია და სურვილი, რომელთაც მესამე დასმა დაუპირდაპირა სო-

ციალური ინტერესები მუშათა კლასისა და საერთოდ კულტურის რეორგანიზაციის საჭიროებისა.

ჩვენ გენეტიურად განვიხილავთ ფეოდალისა და გლეხის ურთერთობას, შემდეგ ისტორიულად მთაში გახიზნულ ქართულ სულს; ხოლო ბოლოს კაპიტალიზმისა და მუშის ურთერთობას თავის ესთეტიურ-ლიტერატურული შედეგებით; სხვა დარგს ქართული ხელოვნებისას—მუსიკას, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, მოქანდაკეობას მე-XIX საუკუნეში ჩვენ განვიხილავთ მეორე წიგნის ბოლოს; საშუალო საუკუნეების ხელოვნებას საშუალო საუკუნეების საერო ლიტერატურასთან ერთად—მესამე წიგნში.

ამრიგად ქართველი საზოგადოებისა და ინტელიგენციის წინაშე მთლიანი სურათი გაიშლება ქართული სულის ესთეტიური ევოლიუციისა სოციალური ინტერესებისა და საჭიროების გენეტიური მიმდევრობით.

გადავიდეთ ილია ჭავჭავაძის პრობლემაზე გლეხისა და ფეოდალის ურთერთობის შესახებ.

ეროვნული სული და შრომის პრინციპი

მხატვრული ლიტერატურა იცნობს ისტორიულად ორგვარი ტიპის მწერალს: ერთი არის მწერალი ვნების ამყოლი, გრძნობის სიჭარბით, რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი პრაქტიციზმით, ეპიზოდებისა და შემთხვევების მოყვარული, ხან მიწისა, ხან ცისა, მწერალი ვ ა გ ა ბ ო ნ დ ი, როგორიც იყო ჩვენში ეროვნული ლირიკის დიდი ტრუბადური — აკაკი წერეთელი; მეორე ტიპია ისეთი, რომელიც მთელი არსებით იტანჯება მანამ, სანამდე ვერ შეიმუშავებს გარკვეულ გეგმას მოქმედებისას, გარკვეულ იდეალს საზოგადოებრივი და ესთეტიურ-ფილოსოფიური ხასიათისას, სანამ გონებაში გადაიტანს თავის რომანტიულ განცდებს და ზრახვებს; ასეთია ილია ჭავჭავაძე: მისი ლიტერატურული შემოქმედების შინაარსი წინასწარ გარკვეულია მისთვის და ეს იდეური გარკვეულობა დიდი ხნის ძიებისა და ტანჯვის ნაყოფია. პოეტი ითვალისწინებს რეალურ პირობებს ცხოვრებისას, ისტორიულსა და სოციალურ სფეროს თავის მდგომარეობისას, აკვირდება გარემოს და თავის მოღვაწეობას წმინდა მეცნიერული, აკადემიური სისწორით აშენებს სინამდვილის მოთხოვნილებებზე, ისტორიისა და საზოგადოებრივობის ფაქტიურ მყარობაზე.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დამთავრდა ინდივიდუალისტური პერიოდი ქართული კულტურისა და ამასთან ერთად დროებით ისტორიული პერსპექტივის წინაშე გაჰქრა ფაქტიური სა-

ქართველო: ერთი კლასი გავიდა ისტორიიდან თავისი იდეალებია
და პრეტენზიებით, მეორეს ჯერ კიდევ არა აქვს აწყობილი თავისი
მოღვაწეობისათვის საზოგადოებრივი არე, რეალური ცხოვრების პი-
რობები და ამის გამო ფაქტიური საქართველო თითქო აღარ არსე-
ბობს, თითქო მას მიძინებია დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ და ილია
ჭავჭავაძე აღვიძებს:

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..

სავსე მთვარის ნათელი საქართველოს მიწა-წყალს ანათებს;
მთების თეთრი ზოლი შორეულ ალანდებაში უსაზღვრო სივრცეს ერ-
თვის; ხმა არ ისმის არსაიდან, მხოლოდ ტანჯვით ამოძახილი მძიმედ
კვნესის სიჩუმეში; უდარდელი ბუნება მთების ჩრდილით ეალერსება
საქართველოს ძილს, მიძინებული სამშობლო სურს პოეტს გააღვიძოს.

ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ილია ჭავჭავაძე წერს ამას აპრილის 4-ს, 1859 წ.: საქართველო,
რუსეთი და მთელი ქვეყანა ბატონ-ყმობის უღელ ქვეშ გმინავს; ადა-
მიანისა და მოქალაქის ცნება ჯერ კიდევ არ არსებობს საზოგადო-
ებრივად; საქართველო თავად-აზნაურობის სათარეშო მოედახია და
ქართველი ერი არ ჩანს; ილია ჭავჭავაძე ეძებს საქართველოს, ქარ-
თველ მოქალაქეს, გრძნობისა და საზოგადოებრივი იდეალების ამ-
ყოლს; აგვისტოს 6-ს, 1860 წელს ილია ჭავჭავაძე გამოსახავს ამ მწარე
ფიქრებს:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იბრძვის ჩემს გულში,
და არა ვჩივი,—მიხარიან, რომ ეგრედ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო.

პოეტში გენეტიურად ვითარდება ფიქრი საქართველოს შესახებ: ღამე თენდება და დღე ღამდება ამ ფიქრში; გრძნობა გრძნობას ემატება, ფიქრები გროვდებიან და პოეტი ამით კმაყოფილია; მას სამშობლო ისე უყვარს, რომ ფიქრი მაზე ცხოვრების საგანია; მაგრამ პოეტს ის აწუხებს, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ამდენ ხალხში არ არის ადამიანი, რომელსაც შეეძლოს სულიერი მეგობრობა, რომლისთვის შეიძლებოდეს ფიქრის განდობა.

მარტოობა აწუხებს ილია ჭავჭავაძეს—მარტოობა ისეთი, როგორიც აწუხებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. საქართველო და ქართველი ერი—აი რაზე ფიქრობს განუწყვეტლივ პოეტი, მაგრამ ამ ფიქრში იგი მარტოა: გარშემო ვერ ხედავს ადამიანს, რომელიც ეგრე ზრუნავდეს საქართველოსათვის.

მიუხედავათ თავის მარტოობისა, ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავს ქართული კულტურის სულს და თავის მოღვაწეობის იდეალად ისახავს ქართველი ხალხის ტკივილებისა და ტანჯვის გაზიარებას, ხალხის სახეზე ცრემლების მოწმენდას:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღეროთ
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
  მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!

ილია ჭავჭავაძე აქ უკავშირებს პირდაპირ თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას ქართველი ხალხის ინტერესებს, ქართველი ხალხის რეალურ ისტორიულ-სოციალურ ცხოვრებას; მე ერი მზრდისო, ამბობს პოეტი; შემოქმედების ცეცხლი გულში ღვივის იმიტომ, რომ ვემსახურო ერსო. ილია ჭავჭავაძეს უნდა, რომ ქართველი ერის მოძმედ იყოს „ჭმუნვასა და სიხარულში". მას უნდა, რომ ერის წყლული იყოს მისი წყლული, ერის ტანჯვა მისი ტანჯვა; მისი იდეალია ერის „ბედით და უბედობით დაედაგოს მტკიცე გული".

ილია ჭავჭავაძე მზად არის თავის პოეტური ნიჭი გადააქციოს სოციალური ცხოვრების იარაღად და თავის ტკბილი სიმღერებით მოწმინდოს ერს ტანჯვის ცრემლი; ამით ილია ჭავჭავაძე გარკვევით აძლევს ლიტერატურას გამოყენებით ხასიათს და უარყოფს წმინდა ხელოვნებას.

ქართული კულტურის ეროვნული სულის აღდგენა უნდა ილია ჭავჭავაძეს და თავის „მგზავრის წერილებშიაც" იგი ამის შესახებ მოხევეებს ალაპარაკებს; ეროვნული მეობისა და ინდივიდუალობის დაცვა, ეროვნული სულის კვლავყოფა ახალ სოციალ-ისტორიულ პირობებში—აი, ილია ჭავჭავაძის იდეალი, აი მიზანი მისი მოღვაწეობისა.

რა გზით მიიმართება ილია ჭავჭავაძე იმ მიზნის მისაღწევად? საითკენ იხედება მისი გონება? რა საშუალებებით უნდა მას იდეალის განხორციელება და რას ხედავს იგი საქართველოს სინამდვილეში?!— ამის პასუხს ჩვენ ვხედავთ სოციალურ პოემაში: „აჩრდილი", რომელიც დაწერილია 1859 წ.

ცხადია 1859, 1860, 61 ის წლებია, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის დიდი გონებით ტრიალებს ეროვნული სულის გარშემო: საქართველოს წარსული და აწმყო, ქართული კულტურის ისტორიული სული, მისი ბედი აინტერესებს ილია ჭავჭავაძეს.

„აჩრდილი"—პოემაა სოციალური შინაარსით და სიმბოლიური სტილით დაწერილი; პოემის სათავეში ეპიგრაფად მოთავსებულია რუსთაველის სიტყვები:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ეპიგრაფიდანაც სჩანს, რომ პოემის იდეა რაღაც ცვლილებას გამოსახავს—ცვლილებას და სხვაობის საჭიროებას.

ერთხელ, დილით, ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიიპყრო მყინვარმა: პოეტი შეჰყურებდა უზარმაზარ მთას, რომელიც: „ქვესკნელ ძალთაგან ცის გასარღვევად აღმოზიდულა, მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად თითქო განგებით შეყენებულა“. მშვიდი და წყნარი იყო დილა მზიანი; ცა უღრუბლო და მზიარული გადმოაფენდა მადლს ქვეყანას; მაგრამ პოეტის უნდო გონება დილის სილამაზემ ვერ მოხიბლა:

ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს
ბევრჯელ სხვა დროსაც გასთენებია,
მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
მადლი ცისა არ მიჰკარებია.

ბოლოს დილის სიტკბოებამ პოეტზე იმოქმედა: გაფანტა იქვთა ღრუბელი პოეტის სულში და „ყოვლად მხსნელმა სასოებამ“ პოეტი ანუგეშა; სული აივსო ღვთიური სიხარულით,—ოცნებებით და ოცნებაში გართულ პოეტს მყინვარზე მოეჩვენა არაჩვეულებრივი სახე, თეთრ და გამჭვირვალე ღრუბლებში გახვეული:

და მომევლინა მე კაცი დიდი
მყინვარზედ მდგომი, მოხუცებული;
ვითა ქვეყანა ისც იყო მშვიდი,
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა;
მის გარეშემო შვენოდენ მთანი
და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყეფდა.

პოეტი ეკითხება მოხუცს:

ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი?
რად დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?

პასუხად პოეტს მოესმა:

მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული,
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამეგანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული...
მეცა ვტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო, შენის ტანჯვითა,

შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარვტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება...
ეხლა აღგვილა ყველა ესე ვითარცა მტვერი...

მოხუცი, რომელიც მყინვარის მწვერვალიდან ელაპარაკება ილია ჭავჭავაძეს არის სიმბოლო ქართული კულტურისა, მისი ისტორიული სულისა: მთელი ის ტანჯვა-წამება, რომელიც ქართველ ხალხს გამოუვლია ისტორიულად, მთელი ის უბედურება, რომელსაც ადგილი ქონია საქართველოს მიწა-წყალზე, მოხუცში ამბობს თავის ბრძნულ სიტყვას, რომელიც დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძის თაობისათვის.

მოხუცის სახე უსათუოდ ატარებს რომანტიულ ელფერს, მაგრამ სიტყვები, რომელთაც მოხუცი ამბობს კათეგორიულად და დინჯად, უარყოფაა იმ იდეოლოგიისა, რომლისათვის იბრძოდა გრიგოლ ორბელიანი და მისი დროის თაობა.

მოხუცი ეუბნება საქართველოს:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულისწვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენ აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის
ჰღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა.

საქართველოს საქმე მაშინ გამოსწორდება, როდესაც ქართველი ხალხი ჭკუით განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას; ცრემლი იჭვისა და ტანჯვის საქართველოს არ შველის: რომანტიკოსები ეძიებდენ გმირს. გრიგოლ ორბელიანს ქართული ცხოვრების სიმშვენიერე წარმოდგენილი აქვს გმირობით და ინდივიდუალობის დიდი პათოსით; ილია ჭავჭავაძეც ეძიებს გმირს, რომელიც იხსნის საქართველოს, მაგრამ პოეტი სასოწარკვეთილებით კითხულობს:

. . . . ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვტირი?

გმირის მოედანი დაცარიელებულია, გმირი აღარ არის: ქართველობა გადასდგომია მამულიშვილობას; ქართველობაში აღარ არის

ის დიდი სული, რომელიც ოდესღაც ჰქმნიდა დავით აღმაშენებლის ნებისყოფას და შოთა რუსთაველის მეტყველებას.

დიდი ისტორიული საქართველო, ამაყი წარსულით და მდიდარი სახეებით „ვერანად ქმნილა“, „ჯაგით აღვსილა“. თუ ვინმე საქართველოში დარჩენილა, ისიც შურით, მტრობით და უნდობლობით უყურებს იმას, ვისთანაც იგი გადაკავშირებულია ყოველდღიური ინტერესებით:

აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაულვიძნიათ,
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენა ჰსურთ,
თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან.

ეს საუცხოვო დახასიათებაა ქართული პარტიკულიარიზმის: ამ სიტყვებში გამოთქმულია ქართველი ერის ნაციონალური ფსიქოლოგია და ამ ფსიქოლოგიის ის უარყოფითი თვისება, რომელსაც არჩილ მეფე ეძახოდა „უჩემოთ ვინ იმღერეთობას“, რომელიც ქართველ ხალხის საზოგადო ცხოვრებას რყვნის გადაჭარბებული ინდივიდუალიზმით და პერსონალიზმით.

ქართველი ქართველს არ ინდობს, ქართველი ქართველს ყოველთვის ოპოზიციაში უდგას საზოგადო საქმის გაკეთების დროს და ამიტომ ქართველები გარეგნულად თითქო ერთად-ერთი საქმისთვის იღწვიან, მაგრამ „თვით ამხობენ მას, რის აღდგენა ჰსურთ, თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან“.

აი, ქართული კულტურის და ეროვნული სულის ერთი დიდი უარყოფითი თვისება. მეორე უარყოფითი თვისება, რომელსაც ახასიათებს მოხუცი არის ქართველი საზოგადოების კლასებად დანაწილება და საერთოდ საქართველოს სოციალ-ეკონომიური ტრაგედია:

აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.

ილია ჭავჭავაძე საქართველოში ხედავს ორ საქართველოს — საქართველოს მებატონეებისას და საქართველოს მშრომელს; „აჩრდილ“-ში მოცემულია ერთგვარი მანიფესტი იმ ლიტერატურულ მოღვაწეობისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე შემდეგ ანდომებს მთელს

თავის დროს და ენერგიას; ერთი მხრით ილია ჭავჭავაძე ახასიათებს ისტორიულ საქართველოს, მის დედა ქალაქს — მცხეთას დაცემულს, სამიკიტნო დაბად ქცეულს; მეორე მხრით იგი უყურებს საქართველოს საზოგადო ცხოვრებას კლასებად დანაწილებულს, ეკონომიურად უთანასწოროს; ერთი მხრით საქართველო, რომელსაც წარსულიდან შერჩენია მხოლოდ სახელი; მეორე მხრით—საქართველო, რომლის ბედი უნდა გადაწყდეს კლასთა ბრძოლით, ბატონისა და ყმის ურთერთობით. ბატონ-ყმობა თავის ტრადიციული გადანაშთებით შეადგენს საქართველოს უბედურებას: ბატონი მონაში ვერ ხედავს კაცის სახეს, ადამიანს; მებატონე დედას ძუძუდან ჰგლეჯს შვილს და ვინ იცის სად ჰყიდის? თუ ბუნებამ გლეხის ქალს მისცა სილამაზე და მშვენიერება, ბატონი წაართმევს ამ ქალს გლეხს, ნამუსს მოუკლავს, შეუბრალებლად, „ყვავილს გახდის ფეხქვეშ სათრევლად“, „უმანკო პირზე ქალს გარყვნა დაასმს საზარელ დაღს“; რაც გლეხს უყვარდა, რისთვის იგი შრომობდა დიდხანს, მას იგი ნახავს დაცემულს, ნამუს წართმეულს, შეგინებულს. ქალი თავის პატრონს შეძულდება, დედამამას იგი გველის წიწილად მოეჩვენება.

აგრე ირყვნება ილია ჭავჭავაძის აზრით საქართველო—პატიოსანი და მშრომელი საქართველო; აგრე ინგრევა ქართული ოჯახი და იკარგება ღირებულება სიყვარულისა. აქ ჩვენ ვხედავთ პროგრამას, მოკლე კონსპექტს იმისას, რაზედაც შემდეგ ილია ჭავჭავაძე ლამაზად და სახიერად წერს „კაკო ყაჩაღ“-ში, „გლახის ნაამბობ“-ში, „ოთარაანთ ქვრივ“-ში. კლასთა ურთერთობით გამოწვეულია უბედურება ოჯახისა და საზოგადოების; კლასთა ურთერთობა სპობს საშუალებას ლამაზი და პატიოსანი ცხოვრებისა, საქმიანი და მდიდარი არსებობისა.

„დღე და ღამ უწყვეტი შრომა, დარში, ავდარში ცის ქვეშ დგომა, ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა, თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა მარტო ბატონის თვალსა ახარებს“. მძიმე უღელი შრომისა მუშას აწევს კისერზე და მუშა შრომის ნაყოფით ვერ სარგებლობს.

საერთოდ შრომის პატივისცემას ვერ ხედავს ილია ჭავჭავაძე; შრომაზეა ცხოვრებაში ყველაფერი დამყარებული და შრომას ჩვენ ვხედავთ ტყვეობაში:

შრომა აწ ქვეყნად ტყვე დაპყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი

ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგა ხსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი,
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.

ქართულ ლიტერატურაში ჩვენ არ გვეგულება უკეთესი დიდება შრომისა და რევოლიუციის; საქართველოში ჯერ ვერც ერთ მწერალს ვერ გამოუთქვამს ეგრე ინტენსიურად და ძლიერად რევოლიუციის აუცილებლობა:

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას!

ილია ჭავჭავაძე არამც თუ იღებს რევოლიუციას, იგი ქადაგებს რევოლიუციის აუცილებლობას კულტურის რეორგანიზაციისთვის; ილია ჭავჭავაძე ელის იმ დროს, როდესაც მოისპობა ქვეყნად ძარცვა და რბევა, როდესაც „ცხვარი და მგელი ერთგან სძოვდეს“ იქნება.

პოეტი ამბობს:

მა'შინ, მაშვრალო! შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასცემ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

რა არის ეს თუ არა სოციალისტური წესწყობილება! საკვირველია, რომ ამ სიტყვების შემდეგ ილია ჭავჭავაძეს აბრალებენ რეაქციონერობას; რა კაციც არ უნდა ყოფილიყო ილია კერძო ცხოვრებაში, ლიტერატურისათვის იგი წარმოადგენს უდიდეს და უძლიერეს ღირებულებას სწორედ როგორც რევოლიუციონერი. პოემა „აჩრდილი“ დაწერილია 1859 წელს, მაშასადამე იმ დროს, როდესაც არამც თუ შრომისა და რევოლიუციის შესახებ იყო ლაპარაკი ლიტერატურაში, არაშედ გლეხთა განთავისუფლებაზედაც კაცი არ ფიქრობდა. რუსეთში გლეხები გაანთავისუფლეს 1861 წ. და ისიც მხოლოდ ზოგიერთ გუბერნიაში, საქართველოში კი 1864 წ., მაშასადამე „აჩრდილი“-ს დაწერის ხუთი წლის შემდეგ. იმ დროს, როდესაც საქართველოში გასავალი ჰქონდა მხოლოდ ჩინს, აღმატებას, არისტოკრატობას;

იმ დროს, როდესაც ქართველ საზოგადოებაში ტრიალებდა იდეა ბატონ-მორჩილებისა და არისტოკრატიული „ირეპროშაბელიზმის“. ილია ჭავჭავაძე ტიტანიური გამბედაობით ღაღადებს შრომისა და რევოლიუციის სიდიადეზე, კლასთა უთანასწორობაზე, ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ. ქართული სული, რომელსაც ბატონობდა ფეოდალური არისტოკრატია, ილია ჭავჭავაძემ გადახარა თავის განცდებით, ზრახვებით და იდეალებით შრომისა და რევოლიუციისაკენ; ქართული სული, რომელიც ცხოვრების აზრს ეძიებდა უსაქმობაში, რომანტიულ ცქერასა და გმირის კულტში, ილია ჭავჭავაძემ ქართველ გლეხობას გადააბარა—ბლაჭიაშვილებს, გაბროსა და გიორგის გადასცა.

ქართველი მუშა, ქართველი მშრომელი, რომელიც ტვირთქვეშ მოკაკულა, რომელსაც ოფლის წურწურით შუბლი ირეცხება, რომლის სულში ისმის დაღლილი ქშენა, რომელიც გახვეულია ტომრის ნაგლეჯებში და ყოველდღიურად ეძიებს ლუკმა პურს—აი, ვინ გახადა ილია ჭავჭავაძემ ქართული ლიტერატურის გმირად და ქართული კულტურის ორგანიზატორად.

ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურაში შრომის, სამართლიანობისა და რევოლიუციის პირველი დიდი მოძღვარია.

„აჩრდილი“-ს იდეოლოგიური მნიშვნელობა

პოემა „აჩრდილი“ პირველი სოციალური პოემაა ამ სიტყვათა სწორი და ფართო გაგებით: მთავარი გმირი მოხუცი და ქართველი ხალხი — მასსა, კლასებად დანაწილებული, ქართული სოციალ-ისტორიული განცდის მთლიან სურათს იძლევიან; მოხუცი განსახიერებაა ქართული კულტურის სულისა, მისი დიდი წარსულისა, მაგრამ იდეალი მისი შეიცავს ახალი ყოფისა და ეპოქის ინტერესებს. მოხუცის იდეალი აგრესიული ინდივიდუალიზმი კი არ არის, არამედ სოციალური, საზოგადოებრივი, კოლექტიური ცხოვრება. მოხუცი იძლევა მოქმედების პროგრამას და გარკვეულ დარიგებას:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას;
და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული,
ჭკვით არ განსვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული . . .
. . . მწარე ცრემლს დაღვრის . .

მოხუცი ავალებს ქართველს ჭკუით განსჭვრიტოს საზოგადო ცხოვრების დენა; რას ნიშნავს ეს? — ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველმა თავი უნდა დაანებოს ცრემლებს, ყარაჩოღობას, დიპლიპიტოს, ლოთობას, სასოწარკვეთილებით გამოწვეულს. გრიგოლ ორბელიანის ჯარი ომის შემდგომ ერევნის სიახლოვეს მართავს ქეიფს და პოეტი აღტაცებით შეყურებს ამ ღრეობას: ქართული კულტურის აზრსა და ღირებულებას გრიგოლ ორბელიანი ხედავს დიდი მეფეების გმირულ სახეებში: ფარნაოზი პირველი წიგნით ხელში, მირიანი ჯვარით კერპებთან ბრძოლაში, გორგასლანი თავის მუზარადით, დავით აღმაშენებელი წერაქვით, როგორც ინჟენერი ქართული კულტურისა, თამარ მეფე ქართული სულისა და ტანის ესთეტიური განსახიერება, ქეთევანი ნაზად აღზრდილი და მამულისათვის დატანჯული, სვედამწარებული და გონებაამაღლებული ვახტანგი, წარბშეჭმუხვნილი, ხმალხელ მოწვდენით პატარა კახი — დიდება ივერიისა, დგანან გრიგოლ ორბელიანის წინაშე ქართული ნაციონალური სულის ელვარებით და გრიგოლ ორბელიანი ბედნიერია, რომ მის გონების წარმოსახვას ასეთი დიადი სახეები ამშვენებენ. აქ მთელი კათეხიზაციაა ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური იდეალისა, მისი აგრესიული ინდივიდუალიზმისა.

ქართველი ხალხი, მასსა, აქ მხოლოდ მასალაა ამ აგრესიული ინდივიდუალიზმისა; ვინც დაიხოცა—დაიხოცა ბრძოლის ველზე, ვინც დარჩა—ღრეობაშია ქართული ფეოდალური ცხოვრების ყაიდაზე: სვამენ და იგონებენ მათ ვინც „მამულის ასამაღლებლად“ „დასდვეს სიცოცხლე“.

ომისა და ქეიფის ესთეტიურ-ყარაჩოღული იდეალი გამოსახავს მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული „ოფიციალურ“ სულის ინტერესებს, ქართველი თავად-აზნაურობის სოციალ-კულტურულ განცდებს; ქართული სული, გაწვრთნილი ომებში, ქართული სული, ბრძოლის ჭირსა და ვარამში ამოგანგლული, ფეოდალური არისტოკრატიის ჰეგემონიის დროს იჩენს ისეთ რეფლექსებს — ისეთ ორგანო-ფსიქიურ ჩვევას, რომელსაც უყვარს რაინდული ინდივიდუალიზმი მის ესთეტიურ-ვერბალურ თავისებურობით, აძაყი გამოხედვით, მხედრული მორალით; ყოველ ეპოქას აქვს თავისი სული და ინტერესი; ქართულ ფეოდალურ კულტურასაც თავის საკუთარი — კლასობრივ-კუთხებრივი სული აქვს, აწყობილი დროისა და სივრცის მიხედვით, დაძენძილი ეპოქის კულტურულ ჩვევათა კომპლექსებით: გრიგოლ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური იდეალი ინდივიდუალიზმია. ილია ჭავჭავაძე კი უარყოფს ინდივიდუალისტურ კულტუ-

რას; ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაარღვია თავისი ძლიერი განცდებით ქართული სულის ეგოცენტრიზმი და პერსონალიზმი: აზიურ-ყარაჩოღული ღრეობიდან ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართული სული მარჯვედ გადახარა ევროპიულ და ზოგად-კაცობრიულ ფსიქოლოგიურ სფეროში; ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართულ ლიტერატურაში თავის საკუთარ განცდებიდან შემოიტანა ერთგვარი მსოფლიო ხასიათის თავისებურობა, რომელსაც ევროპაში იძლეოდენ ლამარტინი, ბაირონი, შატობრიანი, ლეოპარდი; ბაირონი დიდი მეგობარი იყო ყველა დაჩაგრულისა და ამისათვის საბერძნეთშიაც წავიდა საომრად: ბერძნების დაჩაგვრისათვის თავის ქვეყანას ელაპარაკება მრისხანე სიტყვებს — „ბრიტანეთო, შენ შეარცხვენ კაცობრიობას"-ო; მასსის სიყვარული ეტყობა ისეთ დიდ ინდივიდუალისტს, როგორც ფაუსტი იყო, რომელიც თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებში შეუდგა ალტრუისტულ იდეალების განხორციელებას. ასეთი იყო საერთო ფსიქოლოგიური ატმოსფერო, როდესაც ილია ჭავჭავაძემ დაიწყო მოღვაწეობა და თუ ამას დავუმატებთ საფრანგეთის რევოლიუციის გავლენას, რუსული ნაროდნიკული მოძრაობის გაცნობას, მაშინ, ცხადი გახდება, რატომ ეგრე კათეგორიულად აყენებს ილია ჭავჭავაძე კოლექტივიზმისა და მასსის პრობლემას თავის „აჩრდილ"-ში.

1872 წ. ილია ჭავჭავაძე წერს დავით ერისთავს წერილს, რომელშიაც გარკვევით მოჩანს ახალი ცხოვრების შეხედულება და ეს შეხედულება პირდაპირ განსხვავდება გრიგოლ ორბელიანის შეხედულებისაგან: „ამ აჩრდილმა ტყავი გამაძრო,—ამბობს ილია ჭავჭავაძე,— ისტორიულს ნაწილზე... შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვერ წავდგი. რა ვქნა? ვამბობ: ამ აჩრდილს თავი დავანებო მეთქი... ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა; ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია, და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს". საუცხოო განმარტებაა იმ ახალი იდეოლოგიისა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს შემოაქვს ლიტერატურაში და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ევოლიუციის დახასიათებისათვის: მეფეები და ომები ილია ჭავჭავაძეს არ იზიდავს და ამით იგი რადიკალურად განსხვავდება ძველი თაობისაგან, რომლის წარმომადგენელია გრიგოლ ორბელიანი. აქედან იწყება ქართული იდეოლოგიის გადატეხის პერიოდი მეცხრამეტე საუკუნეში! მეფეებისა და ომებიდან—ინდივიდუალიზმის კულტიდან—ხალხისაკენ, მასსისაკენ! ილია ჭავჭავაძე კონკრეტულად და მკაფიოდ გამოსახავს კოლექტივიზმის იდეას და ეს სავსებით საკ-

მარისია, რომ მას ქაროული იდეოლოგიის ევოლიუციაში დაეთმოს საპატიო ადგილი. პოემა „აჩრდილი“-ს უძველესი ხელნაწერი, გათეთრებული თვით ავტორის მიერ, დასრულებულია 1859 წლის იანვრის 29-ს და შედარება პირველ ვარიანტისა სხვა შემდეგ რედაქციებთან გვიჩვენებს, რომ ცვლილება ავტორს იდეოლოგიაში არ შეუტანია; ბოლო რედაქცია პოემისა დასრულებულა 1872 წ., მაგრამ ამ რედაქციითაც გატარებულია ის შინაარსი და პრინციპიული წყობა იდეებისა, რომელიც 1858—1859 წ.წ. მიუცია ჭავჭავაძეს თავის ნაწარმოებისათვის.

აქედან ცხადია რა კარგად ყოფილა გარკვეული ილია ჭავჭავაძე იმ იდეოლოგიაში, რომელიც მან შრომის პრინციპით, კოლექტივიზმისა და ხალხოსნობის იდეით შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. იმ დროის თვით რუსეთის ლიტერატურაში არა გვაქვს ჩვენ ისეთი გარკვეული რევოლიუციონურ-დემოკრატიული და სოციალისტური იდეები, როგორიც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილ“-შია მოცემული; მართალია ქართულ ლიტერატურაში შოთა რუსთაველის ტრადიციიდან ნაანდერძევი გვაქვს იდეა თანასწორობისა და კაცთმოყვარეობის; ალ. ჭავჭავაძეც თავისებური კეთილშობილებით გამოეხმაურა ამ იდეას, გრიგოლ ორბელიანიც არ დარჩენილა მუნჯად, მაგრამ ჩვენი ლიტერატურის მორალურ სიდიადეს და სოციალურ ღირებულებას ყოველთვის ამშვენებდეს იქნება ილია ჭავჭავაძის სიტყვები, თქმულნი იმ დროს, როდესაც ბატონ-ყმობაც არ იყო გადავარდნილი და ქართული ცხოვრების სინამდვილეში მეფობდა ფეოდალური არისტოკრატიის თვითნებობა ჩინებით, ეპოლეტებით, ჟგუტიკებით, ჩინოვნიკური ფარისევლობით და ბატონ-მორჩილების მორალით; ქართულ ლიტერატურას შეუძლია თამამად იამაყოს ილია ჭავჭავაძის სიტყვებით:

ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.

ყველასთვის იქნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
ალლო აიღო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღე-და-დღე მის წყობა ირღვევა,
და ამ ზეიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.
მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.

აი, ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტი ღაღადება თავისუფლებისა, თანასწორობისა, ადამიანობისა, განახლებისა, შრომის პატივისცემისა, რევოლიუციისა და სოციალიზმის: „სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი და არც იმონებ“,— კაცობრიობის იდეალია ასეთი სოციალური წესწყობილება: არც შენ ხარ მონა და არც სხვისგან მოითხოვ მონობას; რაოდენი ბრძოლა და ტანჯვა ესაჭიროება ისტორიას ამ მშვენიერი იდეის განხორციელებისათვის! რაოდენი ცრემლი, შიში, მტრობა და სისხლია დანთხეული ასეთი ხასიათის სოციალური ურთერთობისთვის და რა დიდი პოეზიით სახავს ილია ჭავჭავაძე ამ აზრს: არც ერთი მშრალი ადგილი და არც ერთი რიტორიული თქმა პოემაში არ არის. ილია ჭავჭავაძე ორგანიულად განიცდის ქვეყნის განახლების აუცილებლობასა და საჭიროებას; ამიტომ არის, რომ მისი სიტყვები ეგრე გამთბარია გრძნობებით და განცდებით; პოლიტიკა და პუბლიცისტიკა საერთოდ მშრალი დარგებია კულტურისა და დიდი პოეტები ხშირად მარცხდებოდენ, როდესაც პოეტურ მოღვაწეობას პირდაპირ უკავშირებდენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებას; ილია ჭავჭავაძე კი მთელს თავის მხატვრულ შემოქმედებაში მხოლოდ სოციალურ საკითხებს არკვევს: ოჯახი, სქესის ინტერესები, სულის ესთეტიურ-რომანტიული განცდები ილია ჭავჭავაძეს ყოველთვის გადაკავშირებული აქვს კლასთა ურთერთობასთან, სოციალ-პოლიტიკურ საკითხებთან; ლიტერატურა და საერთოდ ხელოვნება ილია ჭავჭავაძი-

სთვის მხოლოდ იარაღია სოციალური ყოფის სისტემატიზაციისათვის; ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ანტიპოდია ფლობერის, რომელიც სოციალური ცხოვრების ინტერესებს ზომავდა ესთეტიურ-სუბიექტიურ შეჭვრეტით.

ილია ჭავჭავაძეს მოეჩვენა დილით ადრე „კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული: ვითა ქვეყანა—ისიც იყო მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული“. ქვევით თერგი ტალღებს მიაქანებდა და ვით შმაგი ლომი „დაჭრილი, ცხარე რბოდა, ბღაოდა, მიღრიალებდა“. ილია ჭავჭავაძე ამ სურათს დიდხანს არ დაუფიქრებია: არც იმ საიდუმლოებაზე, რომელსაც მოხუცებულის მოვლენა წარმოადგენდა მყინვარზე, არც ბუნების სიდიადეზე პოეტი ხანგრძლივად ამ შემთხვევაში არ დაფიქრებულა; იგი პირდაპირ მიმართავს არაგვს და ელაპარაკება მიყვარხარო, რადგან წმინდა სისხლი ქართველებისა შენს კიდეებზე გადასხმულიაო. პოეტი იგონებს წარსულ დროთა დიდებას ქართლისას, იგონებს, თუ როგორ დუღდა სიცოცხლე ერთ დროს იქ, სადაც არაგვი თვის „ძლიერსა წყალს ურევს მღვრიეს და მდოვრსა მტკვარს“.

გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ-წინ დაღუპულ ჩემს ძველსა მამულს, —
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს...

— ელაპარაკება პოეტი არაგვს: ვით ქურუმი და ხალხის წინამძღოლი დგას ილია ჭავჭავაძე გულ-ხელთ დაკრეფით არაგვის პირას, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იდგა მტკვრის პირას, მწუხარე და სევდიანი: ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა იყო სევდა ფილოსოფოსისა, რომელიც შეპყრობილია კოსმიური წარმავალობის შიშით; ილია ჭავჭავაძე იტანჯება საქართველოს სიყვარულით და ამ სიყვარულით გამოწვეულ დაუკმაყოფილებელ სურვილებით:

არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამ
ა რ მ ი ი ზ ი დ ა მ ო ხ უ ც ი ს თ ვ ა ლ ი;
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა.

საქართველოს იდეა მოსვენებას არ აძლევს პოეტს, მაგრამ ეს იდეა არ შეიცავს გრიგოლ ორბელიანისებურ წუხილს დ უნაყოფო ცრემლებს:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენი უნდა ვშვათ ჩვენ მყოობადი, —

იტყვის პოეტი და ეძიებს სამოქმედო ასპარეზს, მაგრამ ერთი, მთლიანი საქართველო არ არსებობს და ერთი ნაწილი ქართველი ერისა მეორეს ძუძუდან "შვილსა გლეჯს, მონობისა და გარყვნის დაღს ასვამს მის სხეულს; ყვავილს ფეხქვეშ სათრევად ხდის და რაც ქვეყნად გიყვარდა მთელი შენი სულით, ხედავ მას „დაცემულს, ნამუსწართმეულს და შეგინებულს"; აქ ილია ჭავჭავაძე თითქო კონსპექტს ადგენს „გლახის ნაამბობისა" და „ოთარაანთ ქვრივის". ამრიგად „აჩრდილი" მხატვრული დეკლარაციაა ილია ჭავჭავაძის მომავალი მოღვაწეობისა; დღეიდან ილია ჭავჭავაძისთვის არსებობს ორი საქართველო: საქართველო მებატონეებისა და ბღაჭიაშვილების; მათ გაერთიანებას და შეთანხმებას ფიქრობს ილია ჭავჭავაძე; პოეტის იდეალია არა კლასობრივი, არამედ ეროვნული მთლიანობის გამომსახველი საქართველო; მართალია—უნდა იყოს შრომის ჰეგემონია, მაგრამ არც ერთი კლასი დაჩაგრული არ უნდა იყოს შრომის ქვეყანაში, — ამბობს ილია ჭავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანი ეტრფის საქართველოს ინდივიდუალისტურ კულტურას — მეფეებისა და ომის საქართველოს — ფეოდალური არისტოკრატიის ქვეყანას; ილია ჭავჭავაძე კათეგორიულად უარყოფს ფეოდალური არისტოკრატიის ჰეგემონიას, მის მორალსა და ესთეტიკას მთლიანი და ზე-კლასიური საქართველოსათვის; გრიგოლ ორბელიანის იდეალის ესთეტიურ განსახეობას წარმოადგენს მეფე-ფეოდალი თავის რაინდობით; ილია ჭავჭავაძის ესთეტიურ განსახეობას წარმოადგენს ქართველი ხალხი თავის კულტურულ ცივილიზაციური მიღწევებით

კლასთა ურთერთობა და ყაჩაღური განაპირება

„კაკო ბღაჭიაშვილი"

მთვარის შუქზე მთების ჩრდილი ალაზნის ველზე წამოიხარა; მთვარე ღრუბლებში დადის ამაყად, მედიდურად; ყინვითა და თოვლით დახურული მწვერვალები თითქო მუსაიფობენ მთვარის სხივებთან; ვარსკვლავებიც ქვეყანას სხივებს ესვრიან და ზედ დახარიან; მნათობთა ალერსით ველს დასძინებია, მხოლოდ მთის სათუთი ნიავი ნაზად აშრიალებს ფოთლებს; ყველას სძინავს: თითქო დაღლილია მიწაც და ცაც; მხოლოდ ერთგან მოჭრიალებს ურემი მძიმედ და მეურმე ნაღვლიანად დაღუღუნებს მწუხრულ სიმღერას.

ვრცელი და უსაზღვრო სამყარო გაშლილია და ადამიანის ყოფა წუთისოფლად მოსჩანს როგორც საცოდავი რამ; ვინ იცის რომელ კუთხეში და სად რა გაჭირვებაა? ვინ იცის ამ მშვენიერ მთვა-

რიან ღამეში ვის რა აწუხებს? წუთისოფელი დაუსრულებელია თავის სხვადასხვაობაში.

უცბად ტყიდან ცხენით გამოვარდება ვიღაც უცნობი და მეურმეს აჩქარებით ეკითხება გზას კუდიგორისაკენ; მეურმე გაკვირვებულია იმით, რომ უცნობი კითხულობს გზას იმ მიმართულებით, საითკენ ცხოვრობს ცნობილი ყაჩაღი კაკო ბღაჭიაშვილი.

მაგრამ, უცნობს ეტყობა, რომ სწორედ კაკო ბღაჭიაშვილის სახვა უნდა და ნაჩვენები გზით მიიმართება თავის ცხენზე. მეურმე გულნატკენი იმით, რომ მას არ შეუძლია ეგრე მარჯვედ ტყეში გაჭრა, შურით სავსე, ხარებს შოლტს გაუტყლაშუნებს და გაყვება ნელად თავის ურემს.

უცნობი ტყეში გაეცნობა ყაჩაღ კაკო ბღაჭიაშვილს, უამბობს თავის თავგადასავალს; ბოლოს ისინი დამეგობრდებიან და ერთად იწყებენ ცხოვრებას ტყეში; უცნობი ეუბნება კაკო ყაჩაღს:

მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა;
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლკარიდან გამაგდეს შორა.

შემდეგ განაგრძობს თხრობას, თუ რა სულიერი ტანჯვა გამოიარა პირველად, სანამ შეეჩვეოდა თავის ხვედრს და მდგომარეობას; სხვები ლხინობდენ, მას რული ცრემლისა თვალზე არ შრებოდა; ამხანაგები მის გულჩვილობას დასცინოდენ: მასაც რცხვენოდა თავის ცრემლების, გაექცევოდა თავის ამხანაგებს, მიუჯდებოდა ერთ ბუჩქის ძირას და იქ მარტოკა ტიროდა.

მაგრამ თანდათანობით შეეჩვია ახალ მდგომარეობას, უკვე აღარ ტიროდა: ტკბილად და უდარდელად მიდიოდენ დღეები; ძროხას უვლიდენ ერთგულად და ღამე რიგ-რიგობით დარაჯობდენ; საღამოს ძროხებს დაითვლიდენ, ტყის პირას ცეცხლს გააჩაღებდენ, გარშემო მოუსხდებოდენ და თავიანთი სიცილით, ხუმრობით, მღერით „ხეზედ მძინარ ფრინველს აფრთხობდენ“.

გათენებისას აიშლებოდენ, გარეკავდენ ძროხებს მინდვრად, თვითონ სიმღერით და თამაშით მიირბენდენ წყაროსთან; პირს დაიბანდენ, გაგრილდებოდენ; შემდეგ მართავდენ თამაშობას: ხან ქვას ისროდენ, ხან ბურთს მაღლა; შემდეგ ალაზანში ჩამორეკავდენ ძროხებს.

დროგამოშვებით დაიწყებდენ ზღაპარს და ყველაზე უფრო უყვარდათ არსენა ოძელაშვილის ამბავი:

ეგრედ გონება ხალისიანი,
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;

მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

ეტყობა არსენობა ერთგვარი იდეალი ყოფილა იმ დროის საზოგადოებისათვის: დაჩაგრულ სულს შველა და თავისუფლება ენატრება; არსენა ოძელაშვილი სიმბოლოა თავისუფლებისა და სამართლიანობის; ქართველი ხალხი ოძელაშვილის პიროვნებაში იძლევა თავის სოციალ-ეკონომიური იდეალის განსხეულებას და ბატონ-ყმობის პირობებში ასეთი ტიპი, როგორიც ოძელაშვილია, სანატრელია ყველასათვის.

უცნობი, რომელიც თავის თავს ზაქროს არქმევს, განაგრძობს ამბავს: როდესაც მამა მისი მოხუცდა ისე, რომ ოჯახისთვის მოვლა არ შეუძლია, თხოვს ბატონს შვილის უკან დაბრუნებას; მაგრამ „მხეცი რამ იყო ბატონი, ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი, იმას კაცებრი გული არ ჰქონდა“ და ამიტომ მოხუცი მამა არ შეიბრალა: მამას შვილი არ მისცა; როდესაც მოხუცი, დასნეულებული მამა, არ მოშორდა ბატონს და დაუწყო მას დაჟინებით თხოვა, ბატონმა ცემა დაუწყო.

ეს ვერ მოითმინა შვილმა, გადმოიღო თოფი და მოჰკლა ბატონი; ამის შემდეგ მას საზოგადოებაში არ ეცხოვრებოდა და გადის იგი საზოგადოებიდან ტყეში ყაჩაღად, რადგან მეტი გზა არ ჰქონდა.

ილია ჭავჭავაძე „კაკო ყაჩაღ“-ში ახასიათებს ქართველ საზოგადოებას კლასებად დაჯგუფებულს: ერთი მხრით მებატონეები, რომელთაც არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ და რომელნიც ეპატრონებიან ქვეყნის მთელს ქონებას, მეორე მხრით ყოველგვარ უფლებას მოკლებული ბლაჭიაშვილები, რომელთაც არა აქვთ არავითარი საშუალება საზოგადოებაში იცხოვრონ. ამრიგად ჩვენს თვალთ წინ იშლება ქართველი ხალხის სოციალური ტრაგედია: მშრომელი და პატიოსანი ნაწილი საქართველოისა გადის საზოგადოებიდან და მიდის ტყეში არა იმიტომ, რომ ყაჩაღობა უნდა, არამედ იმიტომ, რომ თავადაზნაურობა ბარბაროსულად ექცევა მას; საზოგადოებაში დარჩენა შეუძლებელია, ვინაიდან ის თავად-აზნაურობა, რომელიც საქართველოს ბატონ-პატრონია ვერ უძღვება ხალხს, ჩაგრავს მას.

„კაკო ყაჩაღი“ დაწერილია მშვენიერი ენით: მოქმედების სურათი იხსნება საღამოჟამს, მეურმე მწუხრული სიმღერით სოფლის სიჩუმეში მთვარის შუქზე ღუღუნებს მწარედ სიმღერას. და ამ სიმღერის ინტონაციაში თითქო ისახება ეფეძერული და უნუგეშო ხვედრი ადამიანისა წუთისოფლად, განსაკუთრებით იმ ადამიანისა, რომელიც დაჩაგრულია ეკონომიურად და სოციალურად, რომელიც შებოჭილია ბატონ-ყმური ურთერთობით.

პოემაში არის საუცხოვო სურათები: მწყემსების თამაში და ზღაპრები ცეცხლის პირას ღამ-ღამობით გვაგონებს ტურგენევის მოთხრობებს და ბავშებს იგივე ბატონ-ყმურ პირობებში.

თავის თავად შინაარსი ამ პოემისა მშრალია მეტად, მაგრამ ილია ჭავჭავაძეს ისე ვირტუოზულად აქვს გამოთქმული, რომ თქვენ დიდი სიამოვნებით კითხულობთ პოემას: განსაკუთრებით ლამაზია საღამოს აწერა და მწყემსი ბავშების დახასიათება თავისებური იდილიით. ზაქრო და კაკო ძლიერი ნებისყოფის გამომსახველი ტიპებია: ესენი ერთგვარად მოგვაგონებენ შილლერის ყაჩაღებს; მათ აქვთ იმდენი გამბედაობა, რომ გავიდენ საზოგადოებიდან, შეებრძოლონ ბატონ-ყმობას ერთგვარი განაპირებით; რაც შეეხება მეურმეს, იგი საწყალი ადამიანია: სურვილი საზოგადოებიდან გასვლისა მასაც აქვს, იგიც უკმაყოფილოა ბატონ-ყმობით, მაგრამ ნებისყოფა მას არ ყოფნის, რომ ტყეში წავიდეს კაკოსა და ზაქროსთან ერთად.

საერთოდ ბატონ-ყმობა არის მიზეზი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების დაშლისა და ეროვნული მთლიანობის დაცრეცისა: ილია ჭავჭავაძის აზრით უნდა მოისპოს ეკონომიური უთანასწორობა, რომელიც ამაგრებს ბატონ-ყმობის სოციალურ პირობებს და ამასთანავე მოისპობა ყველა ცუდი შედეგი ბატონ-ყმური წესწყობილებისა: ოჯახის დაშლა, საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევა, პიროვნების დაჩაგვრა და ამით ეროვნული კულტურის უარყოფა.

პოემა „კაკო ბღაჟიაშვილი“ ან „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ თითქმის გაგრძელებაა „აჩრდილისა“. „აჩრდილი“ იძლევა ქართული კულტურის საერთო ტრაგედიას და მის მიზეზებს; „კაკო ბღაჟიაშვილი“ კონკრეტული მითითებაა ფაქტებზე; აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეს „კაკო ბღაჟიაშვილი“ პირვანდულად დაწერილი აქვს სათაურით „ქიზიყელის მოთხრობა“. ეტყობა ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა ქართველი ერის სოციალური ტრაგედია გარკვევით, ტერიტორიულ-ეტნოგრაფიული თავისებურობით, ერთგვარი კუთხებრივ-პროვინციული იდილიებით, ბუნებისა და სოციალური ყოფის კონტრასტით.

საქართველოს გადაეფარა ღამე, ვით ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი და ალაზნის ველზე მთების ჩრდილი წამოიხარა; უზრუნველი და უშფოთველი ბუნება მთებით, მთვარის სხივებით, ფოთლების შრიალით, ნიავის მოლხენით, ძილით, დასვენებით დაპირდაპირებული აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოს სოციალურ ტრაგედიასთან, კლასთა უთანხმოებასთან. „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დიდი იდეოლოგიური გაბრძოლებაა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, გა-

მოსახული მშვენიერ ფორმაში: მშრალი საკითხი კლასთა ბრძოლისა და ბატონ-ყმობის —უმაღლესი პოეზიის და მშვენიერი ქართული მეტყველების საგნად გახდა.

ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია

„კაცია ადამიანი?!“, „ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ?“

იყო დრო, როდესაც ფეოდალური არისტოკრატია იცავდა ხმლით ხელში ქართველ ხალხს: ქართველი თავად-აზნაურობა ესაჭიროებოდა ქართულ კულტურას იმ დროს, როდესაც ქართული კულტურა განიცდიდა ისტორიულ კრიზისებს; საჭირო იყო სამხედრო ორგანიზაცია, სოციალური წყობა, საჭირო იყო ერთგვარი დირიჟორი, წინამძღოლი კულტურის და ამ დირიჟორის როლს საუკუნეთა განმავლობაში ასრულებდა თავად-აზნაურობა. ქართველი თავადები და აზნაურები თავიანთი ჯარებით იცავდენ საქართველოს მიწა-წყალს, ქართველ ოჯახს, ქართულ ცივილიზაციას, ლიტერატურას. მართალია ხშირად ერთმანეთს ებრძოდენ, ერთმანეთს ამცირებდენ და ამით გარეშე მტრები სარგებლობდენ, მაგრამ მაინც სხვა სახის ორგანიზაცია იმ დროს შეუძლებელი იყო და ისტორიული პირობები მოითხოვდენ ინდივიდუალისტურ-ფეოდალურ წყობას, სახელმწიფო ორგანიზატორს.

როგორც სხვაგან საქართველოშიც ფეოდალურმა არისტოკრატიამ შემოიტანა კულტურის თავისებური სტილი და ფორმა, თავისებური წყობა და მიმართება. ფეოდალური არისტოკრატია მუშაობდა ისტორიულ შესაძლებლობის ფარგლებში; ხოლო, როდესაც ისტორიული პირობები შეიცვალა, როდესაც საქართველო შეუერთდა რუსეთს და ამასთანავე ეკონომიურად დაეცა თავად-აზნაურობა, მისი ისტორიული და კულტურული ღირებულებაც შეიცვალა.

ბუნებრივი მოვლენაა: როდესაც ცხოვრებისთვის საჭირო არ არის რომელიმე სოციალური კათეგორია, მაშინ ხდება მისი ორგანიული ფუნქციების გადაგვარება.

„კაცია ადამიანი“?! დიდი სატირაა წოდებრივი დეგენერაციის: ილია ჭავჭავაძე არ ზოგავს თავად-აზნაურობას; შეუბრალებლად აგვიწერს ერთ და იმავე დროს სასაცილო და სამწუხარო სინამდვილეს. ილია ჭავჭავაძე პირველი იყო საქართველოში, რომელმაც გაარღვია ეროვნული ტრაბახისა და ფარისევლობის ტრადიცია; „კაცია ადამიანი-ს“?! ეპიგრაფად მან აიღო ხალხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირის უკანაო“. მართალია იმ დროისთვის ასეთი გაბედული თქმა მეტად ძნელი იყო, მაგრამ ილია ჭავჭავაძემ გადალახა მეშჩანურ-პატრიოტული მორიდების ჩვეულება

„კაცია-ადამიანი“?! იწყება თავადი ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აწერით: „წარმოიდგინეთ შუა კახეთს პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა—ორსართულიანი სახლი ქვითკირისა; აი ის სართულები რაფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა თამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნე იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო ღობით გავლილი: ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზე წამოღებული და წამოხრილი თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო...

ეზო ამ ციხე-დარბაზისა სიგრძე-სიგანეზედ კარგა ფართოდ იყო გაზიდული; იმას ერტყა გარშემო ძველი ტურუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეულიყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად რომ გაეკეთებინა. ეტყობა რომ ქართველია... შიგ თვითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო პატრონამდი ისე მიგეწიათ, რომ არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბორების სურნელება თან არ აგეყოლებიათ“.

ასეთი იყო გარედან თავადი ლუარსაბ თათქარიძის ეზო; შიგნით სახლში აგურის იატაკი ადგილ-ადგილ ამოცვივნულიყო; თვალების ძალიან გაფაციცება უნდოდა, რომ ადამიანს ფეხი არ ჩავარდნოდა; ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგივრად გაქონილი ქაღალდი იყო გაკრული. თვით თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი ერთმანეთის პირდაპირ; ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედ, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ფეხის გადადგმაზედ აბოლდებოდა ხოლმე; ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა ამოჭვარტლული შიგნიდან და გარედან დაღრეჯილი ბუხარი. აქ-იქ ოთახში ეყარა სამკაულები: ტალახიანი თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაეში მოხარშული მყრალი ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვადასხვანი...

ლუარსაბ თათქარიძე მეძლებული კაცი იყო: მას ყავდა ოცი ქომლი კაცი, ცხვარი ბლომად, ასამდი ცხენი, ჰქონდა ორი მოხრდილი ვენახი, ორმოცდაათი დღის სახნავ-სათესი. ლუარსაბ თათქარიძე იყო ტანად ერთი ჩასუქებული, ძველი ქართველი, მრგვალი,

როგორც ნასუქი კარგი კურატი; თავი მეტად მსხვილი ქონდა, წითელი თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაშა ლოყები; ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი დასისხლიანებულ თვალები, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო; განიერი ღიპი; ქონით გატენილი ბალნიანი ხელები; დამორილი ფეხები—ყველაფერი ეს ახასიათებდა თავად ლუარსაბ თათქარიძეს როგორც ფიზიოლოგიურ მასსას, მოკლებულს გონებას, ინტელექტს, განცდას, სულს. სწავლა ლუარსაბ თათქარიძეს არ ჰქონდა, არც სხვის განათლებას სცემდა იგი პატივს: სწავლამ ჭლექი იცისო, ამბობდა. შკოლა და მეცნიერება თათქარიძეს ეზიზღებოდა.

ლუარსაბ თათქარიძე დროს ატარებდა ნებივრობაში, ხანდახან სადილობამდე ტახტიდან არ წამოდგებოდა; როცა ლოგინში ყოფნა მოძულდებოდა, გულგადაღეღილი ერთის ქშენითა და ვაი-ვაგლახით ტახტზე გადმოგორდებოდა და მთელი დღე ეგდო; სტუმარი თათქარიძეს ეჯავრებოდა არა სიძუნწისა გამო, არამედ ადგომა ეზარებოდა, ტანთ ჩაცმა კიდევ უფრო ძნელი იყო მისთვის, ვიდრე ადგომა; საერთოდ თათქარიძეს მოძრაობა არ უყვარდა; მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა თათქარიძე, რომ პერანგისა და მის ამხანაგის მეტს არაფერს მიიკარებდა ტანზე.

ლუარსაბ თათქარიძის ცოლი დარეჯანი გარეგნობით კი წაგავდა ქმარს: ცოლიც ისე ჩაგოდრებული იყო, როგორც ქმარი, მაგრამ მოძრაობა გაცილებით მეტი შეეძლო მას, ვიდრე ქმარს; ლუარსაბის ცოლი მთელი დღე დაფუსფუსებდა და მოსამსახურეებს მოსვენებას არ აძლევდა: ერთს მუჯლუგუნს წაჰკრავდა, მეორეს თავში ჩაუტყაპუნებდა, მესამეს გაუწყრებოდა—ყველას უმიზეზოდ; რატომ ეგრე იქცეოდა თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ყოველ დღე ეგრე ერთ და იგივეს ჩადიოდა.

ცოლ-ქმარს საქმე არაფერი ჰქონდათ და დროგამოშვებით ბუზებს ითვლიდენ ჭერზე, ან-და არჩევდენ საკითხს,—ბოზბაში სჯობს საჭმელად თუ ჩიხირთმა?

...„ლუარსაბმა წამოიძახა:—დარეჯან, თუ ჭკუიანი დედა-კაცი ხარ, გამოიცანი: აი იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

— აბა სადა?

— აი, ჭერის ფიცარზედ.

თურმე ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ეს ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა?

— რამდენია?—სთქვა დარეჯანმა:—მაიცა ჯერ დავთვალო?!"

ეგრე ცოლ-ქმარი ითვლიდენ ბუზებს, მაგრამ ხშირად ორმოცდაათამდეც ვერ ითვლიდენ ხეირიანად: მათი ინტელექტი და სული,

მათი გონება და განცდა ჩაფლული იყო ფიზიოლოგიურ-მცენარეულ გრძნობაში; ადამიანი მაღალი ზნეობით, დიდი სულით. აღარ იყო, აღარ ჩანდა: თათქარიძე მხოლოდ ჭამაზე ფიქრობდა და იშვიათად ინძრეოდა ადგილიდან; თუ წამოდგებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბიჭების „დაწიოკება" მოუნდებოდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. ბიჭების „დაწიოკება" შეადგენდა მისთვის ერთგვარ მოთხოვნილებას და ამაში ქმარი წააგავდა თავის ცოლს, რომელიც დილიდან დაწყებული, მოსამსახურეებს ეჩხუბებოდა.

ხანდახან თათქარიძე დაიბარებდა თავის დათოს და ეკითხებოდა:

— „მეზვრემ მწვანილი მოიტანა?

— მოიტანა.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლავს.

— კიტრი?

— კიტრიც გახლავს".

ლუარსაბს ეს საუბარი ისე იამებოდა, რომ ახლო ამ დროს ტახტი რომ ყოფილიყო, რამდენიმეჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა; ლუარსაბს სხვა ინტერესი ცხოვრებაში არ ქონდა, გარდა ჭამისა: ცხოვრების უდიდესი და უკანასკნელი აზრი ლუარსაბისათვის იყო კუჭის მოთხოვნილება, სხვა სულიერი და ინტელექტუალური ინტერესები ლუარსაბს არ ქონდა.

ლუარსაბ თათქარიძის ნათესავები არ იყვნენ ლუარსაბთან კარგს განწყობილებაში: თვით ძმა მისი დავითი მას მტრობდა; დავითმა თავის ძმას ლუარსაბს უღალატა, როდესაც დაინახა ასი მანეთი რომ მისაღები ჰქონდა; ეს იყო ლუარსაბ თათქარიძის ქორწილის დროს; ჯვარისაწერად მოიყვანეს არა ის ქალი, რომელიც მაჭანკლებს აჩვენეს პირველად, ლუარსაბსაც ქალი ეკლესიაში არ მოეწონა; დავითმა ისარგებლა ამ შემთხვევით, ქალის პატრონს ასი მანეთი გადაახდევინა ქრთამი: მე კი გავჩუმდები ას მანეთად და თქვენ, როგორც გინდათ ისე დაიყოლიეთ ლუარსაბიო, — ამბობდა დავითი.

ოჯახური ცხოვრებაც თათქარიძეებისა მეტად ცუდაც მიმდინარეობდა: შვილი მათ არ ყავდათ და დარეჯანი სულ მკითხავებში დადიოდა საშვილო წამლისათვის; ამასთანავე ცოლქმარი მეტად ცრუმორწმუნენი იყვნენ; ბოლოს ლუარსაბს მოუვიდა ზედმეტ ჭამისაგან კუჭის ანთება.

მთელი ცხოვრება თათქარიძის ოჯახისა საზიზღარია თავიდან ბოლომდე: გრძნობთ, რომ თათქარიძეები ადამიანები არ არიან; მათ არა აქვთ არც ერთი ადამიანური თვისება: ოდესღაც დიდი

თავადები, ეხლა ცხოვრებაში ზედმეტები არიან: თათქარიძის ეზო, სახლი, ავეჯეულობა, თვით თათქარიძე და ცოლი მისი ჭამისა და გაძღომის „ესთეტიკით“ ნამდვილი დეგენერატები არიან: მათ არა აქვთ არავითარი სასიცოცხლო ფუნქცია, არავითარი აზრი და მიზანი ცხოვრებაში. ლუარსაბ თათქარიძე ისეთივე ტიპია, როგორც ობლომოვი, მხოლოდ ობლომოვი უფრო გულკეთილია როგორც ადამიანი. ობლომოვის ხასიათში თქვენ დროგამოშვებით აღმოაჩენთ ადამიანურ თვისებებს; ლუარსაბ თათქარიძეში კი ვერ ნახავთ ვერც ერთ კეთილშობილ ადამიანურ მომენტს და ამით ავტორი სასოწარკვეთილებით გვეკითხება: „კაცია ადამიანიო“?! განა ყველა კაცი ადამიანიაო? აქ ცნება „ადამიანი“ გაცილებით უფრო ღრმა და შინაარსიანია მორალურად, ვიდრე კაცი. ილია ჭავჭავაძე ამბობს: ყველა კაცი ადამიანი არ არისო.

ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ ადამიანობას კაცს უკარგავს ცუდი პირობები ცხოვრებაში; აქ პოეტი სდგას სოციოლოგიურ ნიადაგზე და ადამიანის ფსიქოლოგიას, მის ძირითად თვისებებს ხსნის ობიექტიური პირობებით: ეტყობა ილია ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მარადიული, პირობებისაგან დამოუკიდებელი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრება.

ამ მხრივ „კაცია ადამიანი“?! არამც თუ დიდი სატირაა ქართული ცხოვრებისა და წოდებრივი დეგენერაციის, ეს ერთგვარი კლასობრივი მდგომარეობის რეფლექსოლოგიაც არის: „კაცია ადამიან“-ში ჩვენ ვხედავთ საუცხოვო მასალებს კლასის ისტორიული დეგენერაციის დასახასიათებლად, სოციალური ფსიქოლოგიისათვის; ისტორიულ და სოციალურ ძლიერებასთან ერთად გამქრალა სული და ინტელექტი ადამიანში. ჩანს სული და ინტელექტი რეფლექსებია სოციალ-ისტორიული ყოფისა. თუ რაოდენად სერიოზულად უყურებდა ილია ჭავჭავაძე თავის ნაწარმოებს — „კაცია ადამიანს?!“ მემდეგ სიტყვებიდან ჩანს:

„მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს...

„ნუ იფიქრებ რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე

ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გეტყვევი,— სარკე მოვიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე? რა ვუყოთ თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო ისე დაგეხმარე. თუ მაინცდამაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავლონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი, რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულხელდაკრეებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა — ეგ ღმერთმა იცის»!

ილია ჭავჭავაძეს მართლა შეუძლია თქვას: მე მ ი ყ ი ვ ლ ი ა ო. ისე ძლიერად და ტიტანიურად არავის უბრძოლია ქართულ ლიტერატურაში ეროვნული იდეისათვის, ისე ძლიერად და ტიტანიურად არავინ დგას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ილია ჭავჭავაძე: კოლოსალურ ნებისყოფას ილია ჭავჭავაძე აერთებს დიდ დაკვირვებასთან; ძნელი სათქმელია სად იწყება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში მხატვრული განცდა და სად თავდება სოციოლოგია; ილია ჭავჭავაძე მიყვება სოციალ-ისტორიულ ტენდენციას და ისტორიასთან ერთად უარყოფს თავად-აზნაურობას თავის დეფექტებით და დეგენერატიული თვისებებით.

მეორე სატირა ილია ჭავჭავაძის: „ბედნიერი ერი“, რომელიც ილებს საერთოდ ქართველობას, ფაქტიურად ისევ თავად-აზნაურობისკენ არის მიმართული. „ბედნიერი ერი“ ილიუსტრაციაა ქართული სულის გადაშენებისა, მისი არ გამტანი და ცბიერი ხასიათისა, მისი სიცრუისა, ფლიდობისა, მისი უდიერობისა და მოთმენისა; ქართველობა ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს „მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით მორთული,—უწყინარი, უჩივარი, ქედდრეკილი, მადლიერი, უშფოთველი; ქვემძრომელა, ყოვლად მთმენი, ვით ჯორცხენი; ქართველობა—ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი, თვალაბმული, თავაკრული, ყველა ყრუი, ყველა ცრუი,—მცირე, დიდი— ყველა ფლიდი, ცულღუტი და მანკიერი, მტვერ-წაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არგამტანი და ცბიერი“. მთელი ეს მძიმე არტილერია ილია ჭავჭავაძის მეტყველებისა მიმართულია იმ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც ეწეოდა ჩინოვნიკურ ცხოვრებას, რომელსაც ფლიდობით, ცულღუტობით, უდარდელად, უშფოთველად გაქონდა თავის ყოფა ყოველ-

დღიური, რომელიც კმაყოფილი იყო სამსახურით, ჩინებით, ორდენებით, საღონებით და დემუზელებით.

ასეთივე უარყოფით სოციალურ ფსიქოლოგიას გამოსახავს მესამე სატირა „რა ვაკეთეთ, რას შვრებოდით“, სადაც ქართული საზოგადოებრივობის ევოლიუცია მონარქიული რუსეთის ხელში დახასიათებულია დიდი ირონიით, სადაც პოეტი სასოწარკვეთილებით და გოგოლის იუმორით აღნიშნავს ეროვნული სულის და ნებისყოფის დეგენერაციას—ღალატს, ბედოვლათობას,—„ყმების ტვინის წოვას“, „на плечо“-ბას, „პოჟალუსტას“-ს, უსაქმოდ ხეტიალს...

ილია ჭავჭავაძე ქართული კულტურის შინაგან ხვეულებში იყურება, როგორც დიდი რეალისტი და დიდი იუმორისტი: რასაც იგი ხედავს საქართველოში, არ მალავს, იგი წინააღმდეგია ეროვნული კულტურის „ადვოკატური გამოსარჩლების“; ამიტომ ავრცელებდენ ჭორს, თითქო ილია ჭავჭავაძეს საქართველო ეზიზღებოდა, თითქო მას ქართველი ერი არ უყვარდა, თითქო იგი საქართველოს წარსულს პატივს არ სცემდა.

სწორედ ასეთ მეჭორე ხალხის წინააღმდეგ სწერდა ილია ჭავჭავაძე 1860 წელს:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს,—ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“,
პრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს—
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია.

ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოებში ჩვენ ვხედავთ საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულს, ქართული კულტურისადმი უსაზღვრო პატივისცემას. ილია ჭავჭავაძე ნამდვილი დოსტაქარი იყო ეროვნული და სოციალ-ისტორიული ტკივილების; მისი კეთილშობილი და მუდამ მოუსვენარი სული ყოველ წუთს საქართველოზე ფიქრობდა და როდესაც მის თვალთწინ რომელიმე სოციალური დეფექტი წამოიჭრებოდა, იგი გულახდილად ღელავდა და წამალს ეძიებდა საწინააღმდეგოს. ქართველი ერი და საზოგადოება, ქართული კულტურის რენესანსი—აი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების points d'émergence.

ოჯახი და ეროვნული მთლიანობის იდეა

„გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“

ფეოდალური არისტოკრატიის უარყოფა ისტორიულად ავალებდა ილია ჭავჭავაძეს ქართული კულტურის ახალი წინამძღოლის გამონახვას; ილია ჭავჭავაძე ნათლად ხედავდა საითკენ იხრებოდა ქართული კულტურა: ისტორიას უყვარს ცვლილება და ყოველ ეპოქას ისტორიისას

აქვს თავის საკუთარი კულტურულ-ცივილიზაციური წყობა, თავის საკუთარი მორალი და პრინციპი.

ილია ჭავჭავაძე ამჩნევდა, რომ თავად-აზნაურობა ფიზიკურად და ინტელექტუალურადაც უძლური იყო ძველებურად დაპატრონებოდა საქართველოს, გაძღოლოდა მას; შეუძლებელი იყო თათქარიძეებს აეშენებიათ საქართველო, იმ თათქარიძეებს, რომელთა ცხოვრების პრობლემას შეადგენდა ბუზების თვლა ჭერზე და ბიჭების „დაწიოკება“, რომელნიც მხოლოდ ფიზიოლოგიურად არსებობდენ, რომელთა კარ-მიდამო გავერანებულ ადგილს წარმოადგენდა.

ქართველ საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია ხედავდა ორ სხვადასხვა კათეგორიის ხალხს: ერთი მხრით იყვნენ თათქარიძეები და დათიკოები, მეორე მხრით პატიოსნებით და სიკეთით სავსე გლეხობა, მშრომელი, დაუღალავი და ჯანსაღი გლეხობა. ილია ჭავჭავაძის სიმპატია იმთავითვე გლეხობისკენ იხრებოდა და ქართულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძეს რიგ-რიგობით შემოყავდა ტიპები ქართველ გლეხობიდან.

ყოველი საზოგადოების უჯრედს წარმოადგენს ოჯახი; ისტორიულად ოჯახი ერთად-ერთი ფირმაა სოციალური ყოფის ელემენტარული ორგანიზაციისა; საზოგადოებას კერძო საკუთრების პირობებში არსებობა ოჯახის გარეთ არ შეუძლია; სანამ არსებობს კერძო საკუთრება, იარსებებს ოჯახი; კერძო საკუთრების უკანასკნელ ფორმასთან ერთად მოისპობა ოჯახიც; მაგრამ, სანამ კერძო საკუთრებას თავის მორალით და სოციალური ურთერთობით საფუძველი აქვს ცხოვრებაში, ოჯახიც ერთად ერთი წყაროა საზოგადოების და სახელმწიფოს არსებობის; ოჯახის კარგი ორგანიზაცია ეროვნული კულტურის საფუძველია.

ილია ჭავჭავაძემ ადრე შეამჩნია, რომ ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია ისტორიულად ანგრევდა საქართველოში ოჯახს; თავად-აზნაურობა არამც თუ თვითონ იხრწნებოდა, არამედ გლეხის ოჯახსაც სისტემატიურად ღუპავდა თავისი კლასობრივი მორალით და უნიადაგო მსოფლმხედველობით.

„გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ შეადგენენ ერთ მთლიან ტრაგედიას გლეხის ოჯახისას: გაბო და გიორგი ერთმანეთის დამატებაა; ორივე უბედურია იმიტომ, რომ უხდებათ ცხოვრება ბატონ-ყმობის პირობებში, ორივეს ხელს უშლის მიზანის მიღწევაში თავადობა; ორივე მსხვერპლია უკულმართი სოციალური მდგომარეობის.

გაბოს უყვარს თამრო დიდი და რომანტიული სიყვარულით; თავად დათიკოს კი თამრო უნდა მხოლოდ თავის ჟინის დასაკმაყო-

ფილებლად; დათიკო მორალურად გაცვეთილი ადამიანია, მას სიყვარული და გატაცება არ შეუძლია, ქალი მას უნდა მხოლოდ დროს გასატარებლად, ან როგორც თვითონ ამბობს — „საპროშტავად". დათიკო იმ ზომამდე თავაწყვეტილი და მოურიდებელია, რომ ეკლესიის ეზოში თამროს მამას პეტრეს ეუბნება: „შენი ქალიშვილი კარგი საპროშტავიავო".

ცხადია ღრმა, გულწრფელი და რომანტიული სიყვარულით გატაცებული გაბო ვერ ითმენს დათიკოს ჰუსუსობას; რომ თავიდან მოიშოროს დათიკომ ხელისშემშლელი პირობები, აწყობს საქმეს ისე, რომ გაბოს და პეტრეს იჭერენ და ციმბირში აგზავნიან კარგა ხანს ციხეში ჯდომის შემდეგ; დათიკო და გაბო ერთად იზრდებოდენ პატარაობიდანვე, დათიკოს აგონდება ახალგაზრდობა, ბავშობა, გაბოსთან გატარებული დრო და მასში იღვიძებს ერთგვარი თანაგრძნობა გაბოსადმი: მას აწუხებს სინიდისი და რომ დაიკმაყოფილოს თავის სინიდისის მოთხოვნილება, დაეწევა დაჭერილებს გზაზე, როდესაც ისინი მიყავთ ციმბირში და გაბოს ჩუმად მიაწოდებს ქლიბს ბორკილის გასაქლიბავად; გაბო გაქლიბავს ბორკილს და გამოიქცევა.

გზიდან დაბრუნებული გაბო ერთ საღამოს ერთ-ერთ სამიკიტნოში თბილისში შემთხვევით შეხვდება თამროს; გაბო მზად არის გადაეხვიოს საყვარელ ქალს, მაგრამ თამრო განზე იწევა და უპასუხებს: „მე შენი თამრო აღარ ვარ, მე ეხლა ავლაბრის უნამუსო ვარო". გაბო მიხვდება — რაშია საქმე; დაბრუნდება სოფლად და კლავს დათიკოს თამროს გათახსირებისათვის.

მთელი ამ ტრაგედიის მიზეზია თავადი დათიკო: დათიკომ დაშალა სიყვარულით სავსე ურთერთობა გაბოსა და თამროს შორის; დათიკომ დაღუპა პეტრეს ოჯახი და გაბოს ბედნიერება. თავადი დათიკო ტიპია გარყვნილი და უზნეო ადამიანისა, ტიპია საზოგადოებაში მავნე პირისა; „გლახის ნაამბობ"-ში ილია ჭავჭავაძემ გააფართოვა ის საკითხი, რომელსაც შეეხო პირველად „აჩრდილ"-ში: გლეხის ქალის წართმევა და ჟინის დაკმაყოფილება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საშუალო საუკუნეებში; დასავლეთ ევროპაში კანონიც არსებობდა ამის შესახებ: ყოველი გლეხი ვალდებული იყო თავის საცოლო პირველ ღამეს მიეყვანა თავადისთვის; ამ ვალდებულებას ეძახოდენ „პირველი ღამის უფლება"-ს; მართალია, საქართველოში ეს დაკანონებული არ იყო, მაგრამ არა ოფიციალურად ქართველი თავად-აზნაურობა არ ჩამოუვარდებოდა თავის ევროპიელ „მოძმეებს" და დათიკოები თავიანთ მიზნებს აღწევდენ სისტემატიურად.

ამით, რა თქმა უნდა, ფუჭდებოდა ქართული კულტურის საქმე: ოჯახი იხრწნებოდა და ოჯახთან ერთად საზოგადოებაც; პატიოსან და მშრომელ ელემენტს საქართველოში არ ეცხოვრებოდა: მას ან მამას უკლავდენ ან საცოლოს ართმევდენ, ან თვითონ მას შეურაცყოფას მიაყენებდენ; ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია სრულებით ბღაჭიაშვილების ყაჩაღურად გაქცევა და ქართული საზოგადოებრივობის დაშლა.

ორი ნაწილი ქართველი ერისა—გლეხობა და თავადობა ერთმანეთს დევნის და ამით ქართული კულტურა იღუპება; ამით საქართველოს ესპობა საშუალება განვითარებისა, ფიზიკური და სულიერი ზრდისა; მიზეზი ყოველგვარი უბედურებისა საქართველოში არის თავად-აზნაურობა; თავად-აზნაურობა ქართველ ერს ჩაგრავს იმით, რომ ავიწროებს გლეხობას; ამიტომ ქართველი ერის ინტერესები მოითხოვენ საქართველოს მესვეური გახდეს ქართველი გლეხი და თავად-აზნაურობა შეუთანხმდეს გლეხობას; ერთი სიტყვით საჭიროა გლეხობისა და თავად-აზნაურობის შერიგება, შეთანხმება.

„ოთარაანთ ქვრივი“ ერთგვარი ცდაა ამ შერიგებისა და შეთანხმების იდეოლოგიის ჩამოსაყალიბებლად; „ოთარაანთ ქვრივი“ ისეთი მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ქართული კულტურის სოციალური პრობლემების საბოლოოთ გამორკვევა: გლეხობის და თავად-აზნაურობის ინტერესების კონსოლიდაცია.

თავადი არჩილი სინანულის ცრემლებით ბოდიშს იხდის ქართველი გლეხის წინაშე და უსაყვედურებს თავის დას კესოს გიორგისადმი უყურადღებობას. არჩილი აღიარებს თავად-აზნაურობის ისტორიულ ცოდვებს გულახდილად; გიორგის დაღუპვას არჩილი აბრალებს თავის თავს და თავის დას კესოს:—თავადი რომ ყოფილიყო გიორგი, სიყვარულსაც მიხვდებოდი მისას და ძალიანაც დააკვირდებოდიო; მაგრამ რაკი გლეხი იყო, ყურადღება არ მიაქციე და მშვენიერი ადამიანი დავკარგეთო.

„ოთარაანთ ქვრივ-“ში მთავარი გმირი გიორგია; ოთარაანთ ქვრივი შეძლებული გლეხის ქალია; მას მშვენიერი სახლ-კარი აქვს, საუცხოოდ მოწყობილი ოჯახი; ოთარაანთ ქვრივს გაჭირვება არა აქვს; ერთად ერთი შვილი მისი გიორგი ლამაზი და მშრომელი ახალგაზრდაა; სოფელში ოთარაანთ ქვრივის ოჯახი პირველ ოჯახად ითვლება, გიორგისაც პატივს სცემენ ტოლ-ამხანაგებში.

ერთ მშვენიერ საღამოს გიორგი დგება მოჯამაგირედ თავადი არჩილის ოჯახში არა იმიტომ რომ გაჭირვება რამ ჰქონდეს ან ფული აკლდეს, არამედ იმიტომ რომ მას უყვარს არჩილის და კესო: სიყვარულის

გაცხადებას ვერ ბედავს და რომ მოჯამაგირედ იქნება, საშუალება ექნება ყოველდღე კესო ნახოს. თავად არჩილს ძალიან უკვირს პირველად მასთან გიორგის მოჯამაგირედ დადგომა და ამავე დროს ეშინია ოთარაანთ ქვრივის. ოთარაანთ ქვრივი დათანხმდება გიორგის მოჯამაგირეობაზე და გიორგი დგება მოჯამაგირედ არჩილის ოჯახში. კესო მას აბარებს თავის ბაღს მოსავლელად; გიორგი ბაღს უვლის იშვიათი გულმოდგინეობით და სიყვარულით: ყოველ ბუჩქს თავზე ევლება და კესოს სიყვარულს ჩასჩურჩულებს; ყოველ ბილიკს სწმენდს და ასუფთავებს მუდამ; ერთ დღეს კესო იხმობს გიორგის და ტახტზე ლამაზად გაწოლილი, ქალალდზე უჩვენებს მას ბაღის გეგმას; გიორგი გეგმას არ აკვირდება, იგი გატაცებულია კესოს ტანით და როდესაც კესო თხოვს გიორგის ახლო მიიწიოს მისკენ, რომ კარგად დახედოს გეგმას, გიორგი ვერ ინძრევა ადგილიდან: მას თავბრუ ესხმის გულის შეპყრობისაგან. კესო სიყვარულს და გატაცებას გიორგისას არ აკვირდება და ამაში იგი დამნაშავეა; გიორგი იდეალური ტიპია ქართველი გლეხის: მისი პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, ტანსაღობა, მისი ზნეობრივი სისპეტაკე, გულწრფელობა და სამართლიანი საქციელი ამხანაგებში ყველასათვის თვალსაჩინოა: გიორგი სოფელში ყველას უყვარს და არჩილიც მას კარგი თვალით უყურებს; არჩილი მართალია, როდესაც კესოს ეუბნება: თავადი რომ ყოფილიყო გიორგი, უსათუოდ შეიყვარებდიო; შეიძლება კესო, როგორც თავადის ქალი, მართლა გამოფიტული და უსულო იყოს, როგორც ამბობს კიტა აბაშიძე *, მაგრამ ეს „გამოფიტული და უსულო“ ქალი სექსუალურ აღგზნებას მაინც იგრძნობდა, რომ რაღაც შეხედულება მას ხელს არ უშლიდეს; არჩილი კესოს საქციელს იმით ხსნის, რომ თავად-აზნაურობისა და გლეხობის შორის არ არის კავშირი ფსიქოლოგიური, არ არის ურთერთობა და მეგობრობა: არჩილის სიტყვით თავადისა და გლეხის შორის ისტორიულად ხიდია ჩატეხილი და საჭიროა ეს ჩატეხილი ხიდის გამთელება.

ჩატეხილი ხიდის გამთელება—თავად-აზნაურობისა და გლეხობის შორის მეგობრული ურთერთობის დამყარება, კლასთა ბრძოლის კომპრომისებით და სიყვარულით დამთავრება ეროვნული მთლიანობის შექმნას ნიშნავს; ილია ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ კლასთა ბრძოლის პროცესი შესაძლებელია კლასთა ინტერესების კონსოლიდაციაში ჩამოყალიბდეს ისტორიულად: ერი თავის ტრადიციებით, საუკუნეთა ფსიქოლოგიურ ღირებულებათა გადანაშთებით ისეთი დიდი

* კიტა აბაშიძე: „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ“.

და ძლიერი ძალაა, რომელიც დაიმორჩილებს მოწინააღმდეგე კლასთა ინტერესებს, ერი უფრო მაღალი კათეგორიაა ისტორიულად, ვიდრე კლასთა ბრძოლა; ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის სოციოლოგიური კონცეპცია და ამისათვის იგი იბრძოდა მთელ თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში: თავის პოეტური და მხატვრული ნიჭი მან მთლიანად მოანდომა ამ კონცეპციის განსახიერებასა და ჩამოყალიბებას.

„ოთარაანთ ქვრივი“ ეროვნულ-ისტორიული იდეალების გამომსახველია; ოთარაანთ ქვრივი და შვილი მისი გიორგი გლეხური საქართველოს ტიპიური წარმომადგენლებია: კაკო ბლაჭიაშვილი, ზაქრო, გაბრ, ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, პეტრე შეადგენენ ერთს წრეს, ერთ ოჯახს თავისებური სოციალური მორალით და ფსიქოლოგიით; ეს ხალხი საღი სულისა და ფხიზელის გონების ხალხია; ნეგისყოფა მათი ძლიერია, მოქმედება ენერგიული, სიტყვა მკვეთრი, ხასიათი საქმიანი, მოძრაკი, სული პატიოსანი, — აქ განსახიერებულია ახალი საქართველო — საქართველო გლეხების, პატიოსანი, მშრომელი მასსის, საქართველო აქტიური მოქმედების, ბრძოლის, მოუსვენარი, დაუღალავი ისტორიული პოტენციის. აქ არ არის წარსულის გოდება, ცრემლები, კონვულსიები, რომანტიული გულაჩუყება:

მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა ვივსცეთ მომავალი ხალხს...

ეს მომავალია გიორგის და ბლაჭიაშვილის საქართველო; აქ უარყოფილია გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოლობა, ვახტანგ ორბელიანის ქალური სინაზის იდეალი; აქ ბრძოლის და მოქმედების საქართველოა, პატიოსნებისა და გულწრფელობის საქართველო; მკითხველს ახსოვს ალბად როგორ დაახასიათა ილია ჭავჭავაძემ ფეოდალური არისტოკრატიის დეგენერაცია: ცრუ, მატყუარა, ფლიდი, ცბიერი, ქვემძრომი, ზანტი, ვერაგი, მანკიერი — აი როგორია ილია ჭავჭავაძის ქართველი თავადი; ამას ილია ჭავჭავაძემ დაუპირდაპირა პატიოსნების და გულწრფელობის განსახიერება -- ქართველი გლეხი — გიორგი. გლეხი გიორგი ყოველთვის მართალს ამბობს, არავის არ ატყუებს. არამც თუ დაჩაგრულ ადამიანებს, დაჩაგრულ პირუტყვებსაც იცავს; გიორგისთვის ქვეყანა შრომისა და სიყვარულის მოედანია: „ცოდო არ არის ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი“... ეუბნება გიორგი „არხეინად მწოლარე“ მეჯინიბეს და თვითონ მიდის ცხენის მოსავლელად; აქ მთელი ფსიქოლოგიაა ბუნებრივი კეთილშობილებისა, გულიდან და ძარღვე-

ბიდან მომდინარე პატიოსნებისა. ეს არ არის წარჩინებისა და დამსახურებისათვის გაკეთებული „რეფერანსი“, როგორც კიტა აბაშიძე ფიქრობს: ~~ეს~~ აპოლოგიაა ქართული ისტორიული პატიოსნების, რომელიც არ ჰქონებია ფეოდალური არისტოკრატიის საქართველოს და რომელსაც ასახიერებს ისტორიულად დაჩაგრული ქართველი გლეხი — ქართული ცივილიზაციის მომავალი დირიჟორი. ილია ჭავჭავაძე ძლიერია, როგორც პოეტი და მხატვარი განსაკუთრებით იქ, სადაც სოციოლოგიური საკითხებია გამოსარკვევი; წყობილსიტყვაობაში — ლექსებში ილია ჭავჭავაძის ლირიკა სუსტია, მაგრამ პოემებსა და მოთხრობებში — იქ, სადაც სოციოლოგიურ-ფილოსოფიური პრობლემებია გასარკვევი, ილია ჭავჭავაძეს აქვს მსოფლიო ღირებულების მხატვრული ადგილები.

ასეთი ადგილია „ოთარაანთ ქვრივში“: „ეძახის“!. სოციალური ტანჯვის ტრაგედია გადატანილია ბუნებისა და სამყაროს გულცივ არეში: „ზამთრის თოვლი სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ, უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა“; გლეხკაცობის სახლების ჭუჭყიანი თავსახურავები მოჭრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო; კაკლის ხეები შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა... „თოვლი რომ გადიღო ბევრ ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა, აცივდა, აყინდა“. „ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ღობეების ნაპირებს, ჩარდახების თონეების გარშემო... ღამე არ იყო ბნელი; ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ღრუბლებიდამ თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო. სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილით, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებივრებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟივილ-კივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს ყინვადაკრულს არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა, და თითო-ოროლა ადგილას მეტისმეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ჰბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქეს კუნძს ცალ გვერდზედ ციცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალ-მოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტახნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან ცეცხლის შორიახლო ძაღლი იწვა. რჯვალად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თვითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი — უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეყო და ეძინა. ძაღლის გვერდით ცოტა მოშორებით ვილაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლაპირასვე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა.

— ვინ მეძახის, ვინ!.. იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდამ კი ხმა და ჩამიჩუმი არ იყო: წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მკწევა, რად?

იტრიალა ღონეძიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

— მივაღწევ კი?.. — ჰკითხა თავის თავს: ფეხას გადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გახდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად!..

შეჰკივლა ეხლა კი ხმამაღლა ვილაცას კვნესითა და ვაებით და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლაპირას მწოლარე ბებერ დედაკაცს: ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა; პირველში ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და, რაკი დაინახა პატრონია და სხვა არავინ, წინანდებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ ისე გულიანად ეძინა“.

ზამთრის სურათი, სიცივე, წუთისოფლის უზრუნველობა, ადამიანის მარტოობა ტანჯვაში, უსამართლობა ქვეყნის ძალთა წყობის, ამ უსამართლობით გამოწვეული და საბოლოოდ უნაყოფო ბრძოლა ინდივიდუალობისა კოსმიურ ირაციონალობასთან, მოყვარული ძაღლის მეგობრობა, სასიკვდილოდ მოქანცული ოთარაანთ ქვრივის სახე ყოფის არარაობისა, ამაოებისა და სასოწარკვეთილების გრძნობებს გვრიან ადამიანს. ოთარაანთ ქვრივს ესმის თითქო კიდევ ვილაც ეძახის და უპასუხებს მოვდივარო; ავადმყოფმა „ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო ქოშებში ფეხი და ულონობამ სძლია: ფეხი წინ ვერ წასდგა. დაჰბარბაცდა, ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა, — არ წავიქცეო“. ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფი ისევ წამოდგა და გავიდა სახლიდან, ბებერ დედაკაცს ისევ ეძინა და არაფერი გაუგია; მხოლოდ ძაღლი გამოეკიდა თავის პატრონს, „თოვლ-

ზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დასუნა და აუჩქარებელის ძუნძულით აედევნა კვალსა“.

„გათენდა შობა დღე. ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ: ბედნიერი დღეა და გაჭხსნილდა, იქნება გავყიდოთო. ძალიანა ციოდა. ცხვრები მოგოგავდენ თოვლიან გზაზედ და მოაქანებდნენ თავისებურად დუმებსა. მემცხვარეებს ისე სციოდათ რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყოთ, კომბლები კი იღლიაში ეჩარათ წინგამოშვერილები.

გზა სოფლის სასაფლაოს ბოლოზედ მოდიოდა და აქედამ უხვევდა სოფლის ორღობისაკენ. მოვიდნენ ამ გზაზედ თუ არა, სასაფლაოდან ერთი ღმუილი შემოესმათ.

— ეს რა ჰღმუის? — იკითხა ერთმა.

— კაცო, აფთარი არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავს. გავაფრთხოთ, მადლია, — სთქვა მეორემ და წელიდამ დამბაჩა გაიძრო და დაჰსცალა.

ღმუილი პატარა ხანს შესწყდა დამბაჩის ხმაზედ, მაგრამ ისევ მალე მოისმა. ეხლა კი ღმუილს წკავწკავიც მოემატა.

— აბა ერთი ვნახო...—სთქვა ერთმა მათგანმა და გასწია სასაფლაოსაკენ.

შორიახლო მიუვიდა ხმას და დაინახა რომ ძაღლი წამოსკუპებული იჯდა ვიღაცას საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარიყო და წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფლისაკენ პირმიქცეული საცოდავად ჰღმუოდა.

გაუკვირდა მემცხვარეს. მივიდა ახლო და ელდა ეცა. ძაღლის ზურგთ უკან მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქედ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია — მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო“.

ეს ადგილი შედევრია ქართული პროზის და მსოფლიო ლიტერატურის; ქართული სტილი პლასტიურად ერთვის სინამდვილის შეცნობას, არსებობის ტრაგედიას, ტანჯვისა და წვალების უსამართლობას, სიკვდილის ჰეგემონიას; ბებერი დედა-კაცი — სიმბოლოა წუთისოფლური გულცივობის, ინდიფერენტიზმის; თუშები ცხვრებით ჩვენი პრიმიტიული ყოფისა და ინდუსტრიის სურათია; ძაღლი სასაფლაოზე სოფლისაკენ პირმიბრუნებული ღმუის, თითქო ცხოვრების ფაზრობის და მარადიული სევდის იდეას გამოსახავს. მთელი სურათი

უდიდესი და ულრმესი სიყვარულის მაჩვენებელია: სიყვარულმა შეაერთა სასაფლაოზე ოთარაანთ ქვრივი და მისი დიდი ხნის მიჯნური — მეწისქვილე: დედა დააკვდა შვილის საფლავს, ხოლო უნუგეშოდ შეყვარებული მეწისქვილე აკვდება ოთარაანთ ქვრივს; ძაღლსაც უყვარს თავის პატრონი და ღმუის სოფლისაკენ პირმიბრუნებული, თითქო ადამიანებს და ქვეყანას თხოვს შველას, დახმარებას.

ტანჯვა და სიყვარული სასაფლაოზე, ცივი, სუსხიანი ზამთარი, ჭუჭყიანი თუშები ცხვრებით, უზრუნველი გამოხედვა სოფლისა და სამყაროის მყუდროების — სულში იწვევენ არსებობის ტრაგედიულ შეგრძნობას.

„ოთარაანთ ქვრივი" ყველაზე უფრო დამუშავებული ნაწარმოებია ილიას პროზაში: თითოეული წინადადება გამოქანდაკებულია, ჩამოსხმულია ისე, რომ არც ერთი სიტყვის არც ჩამატება შეიძლება და არც გამოკლება; თითოეულ გამოთქმაში დიდი მოფიქრებისა და ლოგიურ-სტილისტიური მუშაობის ნიშანი არის; მოთხრობის თაურები გამოკვეთილია ისეთ სიტყვებში, რომელთაც აქვთ დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა: მთელი მოთხრობა ბრინჯაოს ქანდაკებას გავს; სახიერი და მონოლიტურია ფორმისა და შინაარსის შედუღებაში. მოთხრობის მთავარი აზრი გამომდინარეობს კლასობრივი ანტაგონიზმიდან, მაგრამ თავდება ადამიანის ცხოვრების ზოგადი ტრაგედიის შეგრძნობით: ქვეყნად ადამიანი ყოველგან უბედურია, მაგრამ უბედურების მიზეზი ყველგან თავისებურია; ილია ჭავჭავაძე არ არის დიდი ოპტიმისტი; მან იცის, რომ ცხოვრება არც ისე ტკბილია, როგორც გულუბრყვილო მეოცნებენი ფიქრობენ; თითოეული წუთი ცხოვრებისა ტანჯვისა და წვალების წუთია; ბრძოლა თავდება დამარცხებით და არსებობის ტრაგედიით. საქართველოში ადამიანის ტრაგედიას ხელს უწყობს ცუდი სოციალური სტრუქტურა: არჩილი გაჟღენთილია სინანულის გრძნობით; მასში თითქო მთელი თავად-აზნაურობის სინიდისი ლაპარაკობს დიდ შეცდომათა და შეცოდებათა შემდეგ; არჩილის სოციალური ფილოსოფია ტოლსტოიზმის ფილოსოფიაა: გაბატონებული კლასი გრძნობს, რომ დამნაშავეა და ეძიებს გამოსავალს იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ისტორიამ ჩააყენა და რომელიც ღუპავს არა მარტო მას, არამედ მთელს ერს, მის სოციალ-ისტორიულ ევოლიუციას, მის მომავალს. არჩილის სიტყვები აღსარებაა ფეოდალური არისტოკრატიის ისტორიული სინიდისისა, — და თუ თათქარიძე და დათიკო გაუსწორებელი, სოციალურად უვარგისი დეგენერატები არიან, სამაგიეროდ არჩილი უსათუოდ დადებითი ტიპია, თუ მოქმედებით არა, თავისი სოციალური იდეებით მაინც;

არჩილმა კესოს აგრძნობინა დიდი დანაშაული, რომელიც კესომ ჩაიდინა და რომელსაც კესო ვერ გრძნობდა.

. ეგრე მოხერხებულად ათქმევინა ილია ჭავჭავაძემ ფეოდალურ არისტოკრატიას თავის ცოდვები და მიზეზები იმ დიდი უბედურებისა, რომელიც სპობდა ქართული კულტურის შესაძლებლობას, რომელიც აუბედურებდა კეთილშობილ და პატიოსან ქართველებს, როგორიც იყვნენ გიორგი და ოთარაანთ ქვრივი; ხოლო ტრაგედია გიორგისა და ოთარაანთ ქვრივის გადაიტანა ბუნების ფართე არეში და ქართველ გლეხთა უპატრონო საფლავებზე აატირა ძაღლი. საცოდავია ყოფა ადამიანისა წუთისოფლის უსახლოროებაში და ძაღლის სევდიანი ღმუილი სასაფლაოზე სიმბოლოა უნუგეშობისა და ტრაგედიული მარტოობის ქვეყნად.

ილია ჭავჭავაძე კლასთა ბრძოლას იღებს როგორც ეკონომიურ ფაქტორს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ იგი შედარებით ეროვნული სულის ძალასთან სუსტია; ეროვნული ცხოვრების ვითარება სოციალ-ეკონომიურ ფორმებში ისტორიულად ცვალებადია, ხოლო კათეგორია ეროვნული სულისა მარადიულად გარდაუვალია თავის იდეალებით: კლასთა ბრძოლა კლასების შეთანხმებით დათავდება, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე.

ამ ნიადაგზე მას ჰქონდა ხშირი შეტაკება მესამე დასელებთან: მესამე დასელები ქადაგებდენ ეროვნული ზღუდეების გარღვევას კლასთა ბრძოლით და კაპიტალიზაციის პროცესით; ილია ჭავჭავაძეს უნდოდა კლასთა ბრძოლის შეჩერება ეროვნული იდეით. შრომის პრინციპს და რევოლიუციის იდეალებს ილია ჭავჭავაძე ქადაგებს დიდი ექსტაზით. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ პოემა „აჩრდილი“ შ რ ო მ ი ს ა და რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს პოემაა: საქართველოს კულტურის რენესანსი — ქართული ცხოვრების გადახალისება და გამშვენიერება შეიძლება შრომით და რევოლიუციით: აქ ილია ჭავჭავაძე და მესამე დასელები ერთად დგანან ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, მაგრამ აქედან სცილდებიან ერთმანეთს: ისტორიული მოძრაობის პ რ ი ნ ც ი პ ა დ მესამე დასელები იღებენ კლასთა ბრძოლას, ილია ჭავჭავაძე კი ეროვნულ იდეას.

ერი და კლასთა ბრძოლა — აი ორი პრინციპი მეცხრამეტე საუკუნის „საზოგადოებრივი მოძრაობისა“; ე რ ი იყო პრინციპი ილია ჭავჭავაძის: კლასთა ბრძოლა პრინციპია მესამე დასელების. ერთი მხრით იბრძოდა ქართული კულტურის ისტორიული idée force; მეორე მხრით მარქსიზმი შრომისა და რევოლიუციის მეტაფიზიკით. ორივე მიმართულება გრძნობდა საქართველოს კულტურის რეორ-

განიზაციის საჭიროებას და ორივე მიმართულება იბრძოდა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, მხოლოდ სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ტაქტიკით.

ასკეტიზმი და ქართული კულტურა

„განდეგილი“.

ქრისტიანობა ქვეყნად დაეპატრონა წარმართულ ყოფის მემკვიდრეობას. სიყვარული არსებობისადმი, რომელიც ახასიათებდა წარმართულ ყოფას, ქრისტიანობამ შეცვალა სიყვარულით მარადობისადმი. ქრისტიანობა უდიდესი ისტორიული ფორმულაა მარადობის ტრფიალებისა; უზრუნველი და უშფოთველი ყოფა ყოველდღიურად, შეყვარება შორეულისა და ზედროულის, შრომის უარყოფა და წვრილმანობის დევნა ახასიათებს ქრისტიანობას. ქრისტიანობა შეებრძოლა ამ ქვეყნიურ წყობას; შეებრძოლა მატერიას, სხეულს წუთისოფლისას და უარყო ყველაფერი ნივთიერი, სხეულებრივი, როგორც ხრწნადი, წარმავალი მოვლენა.

ყოველგვარ ღირებულებას ნივთიერ კულტურისას და ქვეყნისას ქრისტიანობამ შეხედა ზიზღით. ოჯახი, ქალი, სილამაზე ტანისა, კვება და თითქმის ყველა ორგანიულ-ფიზიოლოგიური მოთხოვნილება ქრისტიანობამ სასაცილოდ აიღო; ქრისტიანობამ მოინდომა სულისა და იდეის განთავისუფლება ნივთებისაგან, პირობებისა და მდგომარეობისაგან; ქრისტიანობამ დაბადა შური და მტრობა სულისა და მატერიის შორის; იდეა მარადობისა და ამაოების გამეფდა ქვეყნად და დიდი მონასტრების ეზოებიდან სული მხოლოდ ვარსკვლავებსა და სივრცეში იყურებოდა, თითქო ვერ ამჩნევდა ამქვეყნიურ დიდებასა და სილამაზეს, ღირებულებასა და აზრს.

ქრისტიანობა ყოველ ხალხის კულტურაში ერთნაირი მეთოდით შედიოდა და ყოველგან ერთნაირ შედეგებს აღწევდა: სადაც დიდი ნივთიერი კულტურა იყო, იქ ქრისტიანობას დიდი ბრძოლა ჭირდებოდა ამ კულტურის დასანგრევად; ასე იყო რომში: კულტურა ისტორიულად შექმნილი რომის სახელმწიფოში იყო უაღრესად მიწიერი და ანტიქრისტიანული კულტურა და ქრისტიანობას ყველაზე მეტი ენერგია რომში დაეხარჯა თავის იდეოლოგიისა და კულტურის დასაწყობად.

საქართველოც ფსიქოლოგიურად ანტი-ქრისტიანული ქვეყანაა: ქართველი ისტორიულად, ტუმპერამენტით, განცდით დღესაც წარმართია; ქართველში სულის მეტაფიზიკურ ლტოლვას იჭერს პანტეიზმი; ამიტომ ფსიქოლოგიურად ქრისტიანობა საქართველოს არასო-

დეს არ მიუღია და ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ ქართული ისტორიული სულის ღრმა მიწდომაა: „განდეგილი“ ქართული კულტურის საშუალო საუკუნეების პერიოდიდან იყურება, როგორც იდეა შემოქმედებისა, ხოლო როგორც ლიტერატურული ნაწარმოები იგი ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი წლების კალამს.

მთელ რიგ ლირიულ ლექსებში, „აჩრდილ“-სა და „კაკო ყაჩაღ“-ში „კაცია-ადამიან“-ში?! „გლახის ნაამბობ“-სა და „ოთარაანთ ქვრივ“-ში ილია ჭავჭავაძემ მხატვრული მეტყველებით, პოეტური სახეებით მოგვცა ქართული საზოგადოებრივობის ვითარება მეცხრამეტე საუკუნეში.

გარდა „განდეგილისა“ ყველა ნაწარმოებში ილია ჭავჭავაძე ეხება ქართული კულტურის მხოლოდ და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პერიოდს და ისიც მეორე ნახევრისას. გარკვეული სოციალ-ისტორიული მიზანი ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს: მას უნდოდა ისტორიული სულის ასახვა, —ასახვა სწორი, რეალისტური, მიუდგომელი.

„განდეგილი“ იხილავს ქართული ეროვნულ-ისტორიული სულის საშუალო საუკუნეების პერიოდს და ამ მხრივ, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, იგი უსათუოდ ისტორიული ხასიათისაა: ილია ჭავჭავაძე „განდეგილით“ იძლევა ქართული კულტურის სრულ ისტორიოსოფიას, ქართული ეროვნულ-ისტორიული განცდის სრულ ანალიზს. მეცხრამეტე საუკუნე მან განიხილა ოჯახის და საზოგადოებრივობის ტრაგედიით, ეხლა შეუდგა იმ ტრაგედიის განხილვას, რომელსაც განიცდიდა ქართული კულტურა საშუალო საუკუნეებში. პოემა „განდეგილი“ შეიცავს ერთი მხრით ქართული კულტურის საშუალო საუკუნოებრივ წყობას და ამ წყობის პრობლემას, მეორე მხრით — ზოგად, საკაცობრიო იდეას ბრძოლისა სულისა და მატერიის შორის.

როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, ისე საშუალო საუკუნეებში ქართული საზოგადოებრივობა ორად გაყოფილია: ერთი ნაწილი გლეხობისა და ფეოდალების სახით რჩება საზოგადოებაში, ასე თუ ისე ეწევა ამ ქვეყნიურ შრომას, ასრულებს წუთისოფლურ მოვალეობას; მეორე ნაწილი გადის მთებში, აშენებს მონასტრებს, აკეთებს ქვაბულ ადგილებს და იქ წირვასა და ლოცვაში ატარებს მთელს თავის ცხოვრებას. ქრისტიანობას ბერები და მონაზნები გაყავს საზოგადოებიდან და იქ:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი ყინულად ქმნილნი
მზისგან არ ოდეს არა ჰდნებიან,

სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,—
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს,
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე
და ზედ კარია გამოკვეთილი
ვით კლდის ნაპირზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა,—
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

ამ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს მეუდაბნოე შეჰკედლებია: განდეგილა ბერი ქვეყნიდან და საიქიოსთვის ეს საქაო დაუთმია; მოშორებია წუთისოფელს, როგორც სადგურს ბოროტისასა, „სადაც ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ, ვით მპარავი და მტაცებელი“. განდეგილი სულ მარტოდ-მარტო ცხოვრობს და რა დღეს ის გამოქვაბულში შემოვიდა, სული მისი მას შემდეგ წუთისოფლური ზრახვებით არ შეწუხებულა. დღე და ღამ ბერი „ლოცვით, გოდებით, გვემით“ აწვალებს ხორცს სულისთვის; ამ რიგად სული მისი თანდათანობით ითვისებს რელიგიურ-მისტიურ ექსტაზებს და ხორციელი გულისთქმა თანდათანობით ჰქრება.

ბერი არ იყო მაინც და მაინც ხნიერი, მაგრამ სულის სიმაღლე, როგორც წმინდანს, სახეზე დასჩნეოდა: ეტყობოდა მას, რომ „სული მისი სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა“:

სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი სიწმინდის მადლით
დამშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს, შარავანდედი
გადაჰფენოდა!

ილია ჭავჭავაძე იძლევა ისტორიული წ მ ი ნ დ ა ნ ი ს ტიპს, ბნელს სენაკში მდგარს, ცხოვრების სიხარულს დაშორებულს, ქვეყნიდან განაპირებულს,—და ეს განდეგილი

ერთხელ, საღამოს ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა,
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ც სა ლაჟვარდი ვით ნაკვერჩხალი
წითლად და ყვითლად მხისგან ჭღუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვენილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ.
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

საშინელი ქარიშხალის დროს განდეგილს ესმის ადამიანის ხმა: „მომეცი ბინა, მიხსენ, ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩაიქცეს და ზედ დაეცეს დედა-მიწასა“? განდეგილი ვერ გაერკვია: მას ბოროტი სული ეგონა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ იყო ადამიანი, ჩაუშვა ჯაჭვი და ამოიყვანა იგი, შეიყვანა ბნელ სენაკში, დაანთო ცეცხლი და ცეცხლის სინათლეზე თვალთწინ წარმოუდგა მას მშვენიერი ქალი, სავსე სიცოცხლით და ემხით; განდეგილს ჯერ არ უნდოდა ყურადღების მიქცევა, თვალს არიდებდა, განზე იყურებოდა, მაგრამ თანდათან თვალი შეემსჭვალა ქალის სახეს; მორიდება უნდოდა, მაგრამ გული ეურჩებოდა და რაღაც სიტკბოებას გამოუთქმელს გრძნობდა; ბერი ფიქრობდა: „თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?“

ბერმა ფეხი ქალისკენ წარსდგა; ქალს ეძინა, ძილში ჩაყოლილ ფიქრს ტუჩები გაეღო ღიმილით და სახე ისე ლამაზად მოჩანდა, რომ „ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...“ ბერი დიდხანს ებრძოდა თავის თავს: სული გულს იწვევდა სალოცავად, გული კი სხვას ამბობდა; ბოლოს ბერმა, რომ დაემშვიდებია გული შეხედა ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ ღვთისმშობლის ნაცვლად თვალთწინ დაუდგა იგივე ქალი.

სწორედ ამ წუთს ბერი დამარცხდა: რელიგიური ლტოლვა წალეკა წარმართულმა ვნებამ, მატერიამ გაიმარჯვა სულთან ბრძოლაში: ღვთისმშობლის ხატი ლამაზ ქალად გადაიქცა. ბერს უნდოდა პირჯვარი დაეწერა, მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა, ლოცვის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ებმებოდა, და სხეულის ხვეულებში ისმოდა ირონიული თქმა: „აბა სძლიეო“!

ბერი გაშტერებული გარეთ გამოვარდა: თმა აბურძგვნილმა დაიწყო კანკალი კლდეებში, ზღუდის პირს დადგა და მთის წვერს გადახედა თრთოლვით, თითქო იქიდან მოელოდა უკანასკნელ ხსნას; თენდებოდა, მაგრამ მზე არ ამოდიოდა; ბერი ისევ სენაკში შევარდა და დაეცა; ხორცმა ვეღარ გაუძლო ამდენ ბრძოლას; სულს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად მოეჩვენა ღვთისმშობელი სასოებით და მადლით, მაგრამ ამ დროს სული კი სხეულს სამუდამოდ შორდებოდა.

ბრძოლა სხეულისა და სულის შორის დათავდა; ცხოვრების სიმბოლო—ლამაზი ქალი ქარიშხალის დროს ევლინება განდეგილს და განდეგილი მთელი თავის სხეულით გრძნობს სხვაობასა და ცვლილებას: ასკეტში იღვიძებს სექსიური ნდომა ისეთი სიძლიერით, რომ ღვთაება ადგილს უთმობს ლამაზი ქალის სახეს, ინსტინქტი იმარჯვებს ინტელექტზე; მატერია, ტანი, ორგანიულ - ეროტიულ სურვილით ანელებს მისტიურ რელიგიურ ლტოლვას სულისას.

პოემა „განდეგილი“ ისტორიულ-ფილოსოფიური პოემაა; იგი ასკეტიზმის პრობლემას არკვევს და უარყოფს ასკეტობას; ილია ჭავჭავაძე ცხოვრებას უყურებს როგორც ფლობერი: ცხოვრების პროცესი დაუსრულებელი ნდომაა. სულს არ შეუძლია ბრძოლა მატერიასთან, სული თვითონ პროდუქტია მატერიული ღელვისა და წვალების, მატერიული მოძრაობისა და შეჰოქმედების. მატერია მოგზაურობს უსაზღვროებაში სქესის საშუალებით და ყოველი არსი ქვეყნად დამოკიდებულია სქესის პოტენციისაგან; რაც უნდა ძლიერი იყოს სული სხეულში, სხეულს მაინც სქესი ამოძრავებს.

მეორე მხრით მატერიას აქვს ისტორიული წყობა სოციალური სტილით; სული ბრძოლაში ამ წყობასთანაც მარცხდება: საშუალო საუკუნეებში ქრისტიანობამ დაარღვია მთლიანობა ქართული სოციალ-ისტორიული ვითარებისა; ნაწილი ქართველობისა გადიოდა საქართველოდან და გამოქვაბულებში ლოცულობდა, სახარებასა და ბიბლიას კითხულობდა, ან თარგმნიდა წიგნებს.

ილია ჭავჭავაძის აზრით გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ნაწილი ქართველი ერისა დარჩენილიყო საქართველოში ოჯახური ცხოვრების მოსაწყობად: ბერებს რომ განდეგილობის მაგიერ ოჯა-

ხური ცხოვრება მოეწყო, შესაძლებელია დღეს ქართველი ერი რიცხვით უფრო მეტი ყოფილიყო და ამასთანავე ქართული კულტურის ვითარება სხვა სახის ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში წუთისოფლად დარჩენა, ოჯახის მოწყობა, ბოსტნებისა და ბაღების მოშენება, საქონელის მოვლა, ფრინველების ყოლა—ერთი სიტყვით საყოფაცხოვრებო ინტერესების განხორციელება საქართველოს, ქართველ ერს უფრო მეტს მისცემს, ვიდრე განდეგილობა, მთებსა და გამოქვაბულებში ყოფნა. მართალია, ბერებმა საშუალო საუკუნეებში ბევრი კულტურული საქმე გააკეთეს: დროის გემოვნების მიხედვით ქართულ კულტურის განვითარებას ხელს უწყობდენ თუნდაც იმ დროს, როდესაც საქართველოში კულტურული მუშაობა არ შეიძლებოდა; მტრები ხელს გვიშლიდენ და ჩვენი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ განდეგილობაში ემუშავათ, მაგრამ ვინ იცის, რომ განდეგილობა ქრისტიანობას მოდაში არ შემოეღო და თვით ქრისტიანობა არ ყოფილიყო, შეიძლება სხვადასხვა ერი იმ პოტენციით და სიჩქარით წასულიყო განვითარების გზაზე, როგორც ოდესღაც ვითარდებოდა ძველი საბერძნეთი.

ქრისტიანობამ დაღუპა კაცობრიობა: მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის ენერგია მხოლოდ საიქიოს ზრუნვისათვის იხარჯებოდა; საქაოზე კაცი არ ფიქრობდა; მილიონობით ევროპასა და აღმოსავლეთში ბერები მთქნარებასა და ლოცვაში ატარებდენ დროს, ირტყამდენ როზგებს ისევ საიქიოსთვის; ამის მაგიერ ეს ბერები ვინმეს რომ წაეყვანა ჭაობებისა და ჭანჭრობების ამრსაშროებად, ეხლა კაცობრიობა მალიარიისაგან თავისუფალი იქნებოდა.

„განდეგილ“-ში ილია ჭავჭავაძე ქრისტიანობას ბრალს სდებს ცხოვრებიდან განაპირებისათვის: ილია ჭავჭავაძის აზრით წუთისოფლიდან გაქცევა შეუძლებელია; ადამიანმა უნდა მიიღოს ეს ქვეყანა მთლიანად—თავის ტკივილებით და სიტკბოებით, სიმახინჯით და სილამაზით.

„განდეგილი“ უარყოფაა ისტორიული ინდივიდუალიზმისა, მისი რელიგიისა და სოფლმხედველობისა, მისი ინტერესებისა და მიზეზების. „განდეგილი“ სოციალური კულტურის აპოლოგიაა.

პოემა „განდეგილი“ ცხადყოფს ქართული კულტურის მსოფლიო მნიშვნელობას, ქართული სულის დიდ შინაგან ტევასა და განცდას: ილია ჭავჭავაძემ ამ პოემით ქართული ლიტერატურის შინაარსი გაალრმავა და გააფართოვა, ქართველი ერი ინტელექტუალურად, ფსიქოლოგიურად დაუახლოვა იმ ერებს, რომელნიც მიუძღვიან წინ ცივილიზაციას; დიდ პრობლემას სულისა და მატერიის ურთერთობისას

ქართველი მწერალიც შეეხო და მეტად ორიგინალურ ფორმაში გამოსახა თავის აზრი.

ამ პოემის მიხედვით ქართველ ხალხს შეუძლია ილაპარაკოს თავის ორიგინალობაზე, თავის ინტელექტზე, ისტორიულ კულტურაზე: ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილთან და ვაჟა-ფშაველასთან ერთად ამაღლებს ქართულ სულს, ქართულ შემოქმედებას; ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ფილოსოფიურ ლექსებში, ილია ჭავჭავაძე თავის „განდეგილ"-ში, ვაჟა-ფშაველა სიმბოლიურ მოთხრობებსა და პოემებში გამოსახავენ ქართული სულის მსოფლიო ფიქრებსა და ზრახვებს: ირღვევა ჩვენი ისტორიული პროვინციალობის ზღუდე და შევდივართ მსოფლიო ცივილიზაციაში თამამად ჩვენი ორიგინალური განცდებით და იდეებით.

პოემა „განდეგილი" და მისი დიდი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმ აზრს, რომ ხელოვნებაში შინაარსი უფრო საჭიროა, ვიდრე ფორმა: ფორმას ღირებულება აქვს მხოლოდ იქ, სადაც არის შინაარსი; სადაც შინაარსი არ არის, იქ ფორმას ღირებულება ეკარგება; ფორმა მიყვება ისტორიულ სტრუქტურას, მხოლოდ აზრი რჩება მარადიულად, როგორც სტატიური სახე ისტორიული რეფლექსის, სოციალური განცდის.

ის, რაც ჩვენ დღეს გვაინტერესებს დანტესა და გოეთეს ნაწერებში, არის აზრი და არა ფორმა: სიტყვათა წყობა ერთი საუკუნისა მეორე საუკუნისთვის ხშირად გაუგებარია, მაგრამ აზრის გაგება ყოველთვის შეიძლება და თვითონ ფორმის ისტორიული ღირებულება მხოლოდ აზრის ანალიზით შეიცნობა; რა სახისაც არ უნდა იყოს ქართული კულტურის შინაგანი მდგომარეობა, ის, ვისაც აინტერესებს ქართული ლიტერატურა, ყოველთვის ღრმა პატივისცემით და ინტერესით წაიკითხავს შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ნაწარმოებებს.

აზრი საუკუნეებს ელაპარაკება!

ილია ჭავჭავაძის ლირიკა

„ბაზალეთის ტბა", „სანთელი", „გაზაფხული", „მწუხარება" და სხვა...

ლირიკა უახლოესი ფორმაა ადამიანის სულიერი მღელვარებისა: ძველ საბერძნეთში ჰქონდათ მუსიკალური ინსტრუმენტი — ლ ი რ ა, რომელზედაც უკრავდენ სიმღერის დროს; სიმღერა და ლირის ხმა ერთმანეთს ერთვოდა; სინთეტიურად ეწყობოდა ტკბილი მუსიკა, გამომსახველი პირად გრძნობათა და განცდათა. აქედან წარმოიშვა სიტყვა „ლირიკა", რომელიც ნიშნავს ლიტერატურულ

ნაწარმოებს, გამომსახველს ინტიმურ და პირად გრძნობათა; ლირიკა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, განსაკუთრებით ეხება სულის ინდივიდუალურ წვალებას, ღელვას, ადამიანის ემოციონალურ მხარეს; მართალია მსოფლიო ლიტერატურაში არის ფორმები ფილოსოფიური ლირიკისა (ლამარტინი, შელლი, გიუიო, ფეტი, ბარათაშვილი), მაგრამ ფილოსოფიური ლირიკის სიძლიერეც ბოლოს და ბოლოს იმაში გამოისახება, თუ რაოდენად ძლიერად არხევს იგი ინდივიდუალური სულის ემოციონალურ სამყაროს; საერთოდ შემოქმედების ორგანიზაციაში ემოციებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ყოველი ადამიანი, პოლიტიკური მოღვაწე იქნება ის, თუ პოეტი—ფილოსოფოსი, იმდენად არის დ ი დ ი, რაოდენად სიდიადე მისი გ ა მ თ ბ ა რ ი ა შინაგანი ემოციონალური ღელვით, სულის წვალებით. სიდიადე ყოველთვის ტანჯვის ნაყოფია და ვინც ხშირად არ დატანჯულა შემოქმედებისათვის, ის ხ ე ლ ო ს ა ნ ი ა და არა ხელოვანი; ყოველ შემომქმედს შემოქმედების სურვილი ეღვიძება ლ ი რ ი უ ლ ფ ო რ მ ა შ ი: იქ, სადაც პირვანდულად ეწყობა ორგანიზაცია იდეათა და სახეთა, მუდამ სევდა და წუხილია; უდიდესი შემომქმედი ულრმეს სევდას განიცდის ყოველთვის და ვისაც შუა-ღამისას სამყაროს უსაზღვროება სევდის არედ არ უხილავს, სული მისი ვერასოდეს ვერ ა ფერს დიდს ვერ გააკეთებს; ასეთი ადამიანი ვერც ლამაზ სიყვარულს შესძლებს და ვერც ლამაზ სიკვდილს; ლირიული გრძნობა უდიდესი თვისებაა ადამიანობისა და კეთილშობილების; ლირიკა უპირველესი ფორმაა ადამიანის სულის მოძრაობისა. ლირიკა ყველაზე უფრო ადრე გაჩნდა, როგორც ლიტერატურული ფორმა; ეპოსი და დრამა ლირიკიდან გამომდინარეობენ: არც ერთი ადამიანის პირადი გრძნობა არ არის განაპირებული სოციალური ცხოვრებიდან; არც ერთი ფორმა სულისა ქვეყნად არ არსებობს ისეთი, რომელშიაც არ იყოს განსახიერებული საზოგადოებრივი ყოფის რომელიმე თვისება; ინდივიდუალური სული ხასიათით, ემოციებით, გონებით ითარგება სოციალურ არეში და რაც სულს აწვალებს, აღელვებს, ახარებს, ყველაფერი სოციალური ყოფიდან მომდინარეობს; ინდივიდუალური სული სოციალური ემოციების დაჯგუფებაა ორგანოტროპიულ ბიოსფეროში: ცალკეული, შემოზღუდული ფორმა სულისა ქვეყნად ვერ იარსებებს, რადგან ფაქტიურად სული სულიერ მოვლენათა ერთმანეთთან შედუღების ნაყოფია და სულიერი მოვლენები ისპობიან, თუ სოციალურ არეს ვერ ეწყობიან.

ინდივიდუალური სული სოციალური ემოციების გენეტიური ფორმაა და ლირიკა ამ ფორმის ერთი სახეთაგანი: ლირიკა ბუნებრი-

ვად სულიერი განწყობილების პოეზიაა და მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მუსიკალურია, ხოლო მუსიკალობა თავის თავად მარტო ფორმის დამუშავების საქმეა; ლირიკა ყოველთვის ცარიელია, თუ ის მხოლოდ მუსიკალურია; ლირიკა მუსიკით კი არ უნდა იწყებოდეს, არამედ მ უ ს ი კ ა ლ ი რ ი კ ი დ ა ნ უ ნ დ ა გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ე ს; ამიტომ ფსიქოლოგიურად ყალბია ვერლენის ფრაზა--de la musique avant toute chose... და მართალია ლერმონტოვი, როდესაც ამბობს: „есть звуки; значение темно иль ничтожно,—но им без волнения внимать невозможно". ლირიკის ძალას იძლევა არა ბგერათა წყობა, არა ლიტერატურული ხელოსნობა, არა მუსიკალობის ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი ქმნადობა, არამედ შემოქმედებითი სულის სევდა და ამ სევდით გამოწვეული ღელვა; ლირიკას ფსიქოლოგიურად აქვს ერთგვარი რელიგიური მნიშვნელობა და ამიტომაც იყო, რომ ძველად ლირიას არ კითხულობდენ, როგორც დღეს, არამედ მღეროდენ; აღმოსავლეთურ ქვეყნებში — სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში ლირიულ ნაწარმოებს დღესაც მღერიან მხოლოდ. ლირიკა ყოველი ხალხის ცხოვრებაში ერთგვარი ლოცვა იყო და ლექსი, რომელსაც დღეს სკოლასა და საზოგადოებაში კითხულობენ როგორც ძველ კალენდარს, წინად იკითხებოდა თავისებური ლირიულ-რელიგიური და პანთეისტური ინტონაციით; ლექსის წაკითხვის პროცესსში სულიერი და საგნობრივი სამყარო ედულებოდენ ერთმანეთს; ლექსი თავის ბუნებით ლოცვაა ტანჯვით შობილ სულიერი სინაზისა,--ლოცვა, რომლითაც ადამიანი ექსტაზის წუთებში მიმართავს სამყაროს, ცხოვრებას, ოცნებაში გარდაქმნილ და ფიზიოლოგიური მყარობისაგან დაწმენდილ ქალს; ჭეშმარიტი ლირიკა ტანჯული სულის მუსიკაა, აწყობილი ინდივიდუალიზაციაში გატარებული სოციალური ემოციებით; რა არის ბესიკის ეროტიული ლირიკა, თუ არა გრძელი ლოცვა უნუგეშოდ დატანჯული და შეყვარებული სულისა? რა არის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა, თუ არა ტანჯვით აცრემლებული სულის ვედრება, მიმართული მთაწმინდისა და მტკვრის უდაბური მიდამოებიდან ვარსკვლავებისა და ქარიშხალისადმი სამყაროს უსაზღვროდ გაშლილ ფართობზე? ლირიკაში ყოველთვის არის. ერთგვარი გაწევა სოციალური ემოციებისა კოსმიურ-ეროტიულ უსაზღვროებამდე და მომავალი კაცობრიობის რელიგია იქნება კოსმიური სევდით გამოწვეული ლირიკა: რა არის ბაირონის, ლერმონტოვის, შელლის, ლეოპარდის, ლეკონტ-დე-ლილის, ალფრედ დე-ვინიის და სხვათა ლირიული ლექსები, თუ არა მშვენიერი ლიტურგია კულტურულ-ცივილიზაციური თქრიალით და განგაშით დაღლილი სულისა?..

ქართულ ლიტერატურაში ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ ილია ჭავჭავაძის ლირიკა ძალზე სუსტია: მართალია ილია ჭავჭავაძე დაკვირვებით და ერთგვარი ლიტერატურული კულტურით წერს ლირიულ ლექსებს, მაგრამ მას აკლია ის სევდა კოსმიურ-ეროტიული ხასიათისა, რომლის შესახებ ვლაპარაკობდით; ილია ჭავჭავაძე სოციოლოგია და რაც მან ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა განსაკუთრებით ეხება სოციოლოგიურ საკითხებს: „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „დედა და შვილი“, „კაცია-ადამიანი?!“ „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“ სოციოლოგიაა, განსახიერებული მხატვრულ მეტყველებაში და ამ სოციოლოგიაში არის იშვიათი პოეტური გულწრფელობა და სილამაზე; სოციალური საკითხების გარკვევაში პოეტი და სოციოლოგი თანასწორად შეადგენენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით ბუნებას; ხოლო ლირიკაში არ არის ის დიდი პოეზია, რომელიც სოციოლოგიურ მოთხრობებშია. იშვიათად წააწყდებით ილია ჭავჭავაძის ლირიულ ლექსებში ისეთ სტრიქონებს, რომელთაც არ ჰქონდეს პროზის ხასიათი, მშრალი, ვიწრო პროგრამულ-ტენდენციური; ტენდენციას სოციალური სული იძლევა და უტენდენციო ნაწარმოები არ არსებობს, მაგრამ ცუდია, როდესაც ტენდენცია არ არის გამთბარი პოეტურ-ლირიული შეგრძნობის ეროსით; აიღეთ ერავალჯერ ნაქები პატრიოტული ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც პოეტი მოგვითხრობს ერთგვარ ლეგენდას: ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანი ასვენია, ირგვლივ წალკოტი ჰყვავის თურმე; წალკოტი მუდამ მწვანეა და არას დროს არ სჭკნება, ქვეყნის დროთა ტრიალს არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი;
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

ეს ადგილი ძალიან ცუდი ქართულითაა დაწერილი და ძალიან მშრალიცაა. რას ნიშნავს ფრაზა „მზიან ჩრდილებში“? როგორ უნდა წარმოვისახოთ გონებაში ეს ცნება? „მზიანი ჩრდილები“ დეკადენტური გამოთქმაა და როგორათაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, უაზროა; „ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“,—ეს აზრი არ არის გამოთქმული კარგი და სწორი ქართული ენით; ან რა პოეზია უნდა იყოს სიტყვებში:

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,

მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან.

ილია ჭავჭავაძის ღვაწლს ჩვენ ვაფასებთ ქართულ ლიტერატურასა და კულტურაში, მაგრამ გამოთქმები „ერთნი სირინოზნი“, „იგინი გრძნეულნი“ ისე ბლაგვია ფონეტიურად, რომ კაცი მართლა იფიქრებს: ამის დამწერს მუსიკალობის შეგრძნობა არა აქვსო. ილია ჭავჭავაძე დიდი მცოდნეა ქართული ენის, მისი ბუნების, მისი ფსიქოლოგიის და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მისგან მეტს, ვიდრე სხვა პოეტისაგან; ლექსში „ელეგია“ ილია ჭავჭავაძე წერს:

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...

„ვიდექ მარტოკა“—მოქმედება უკვე წარსულშია, ნამყო დროა; „ეალერსება“—აწმყოს გამოსახავს; მართალია, ფსიქოლოგიური მანძილი არსებობს, მაგრამ ქართულად ასე თქმა მაინც შეუძლებელია: „ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება“. მშვენიერია ლექსი „გაზაფხული“:

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ტყე ფოთლებით დაბურული, მერცხალის ჭყივილი, ბაღში ვაზის ბიოლოგიური ცრემლები, აყვავებული მდელო, სავსე ლხენით და ესთეტიური გაშლილობით პოეტში იწვევენ სურვილს სამშობლოს აყვავებისას; ბუნებიდან ილია ჭავჭავაძე გადმოდის ისტორიაში, ქართველი ხალხის ცხოვრებაში, სოციალურ ტკივილებში და ოხვრით ამბობს:

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ეროვნულ-პატრიოტული გრძნობა ლამაზ ფორმაშია გამოსახული და საქართველოს მიწა-წყალი სიცოცხლის და სილამაზის არედ არის წარმოსახული; პოეტის სურვილია საქართველოს სოციალ-ისტორიული განახლებაც მოხდეს. სამწუხაროდ ამ მშვენიერ ლექსშიაც არის ადგილი, რომელიც არ არის მაგალითი კარგი და სწორი ქართული ენისა: „ჭყივის“, „სტირის“; უსათუოდ უნდა იყოს ერთგვაროობა; ან „ჭყივის“, ტირის—„ს“ არ უნდა; ან და „სჭყივის“, „სტირის“—„ს“-ს

დამატებით; შეიძლება ილია ჭავჭავაძეს არ უნდოდა „სჭყივის“ იმიტომ, რომ ერთად სამი თანხმოვანი იკრიბებოდა, მაგრამ პოეტი სხვაგან არ იცავს ფონეტიურ პრინციპს მართლწერისას.

სამწუხაროდ ქართულ ლიტერატურაში დღემდე არ გვაქვს ერთგვარი განჯკიცებული და ფსიქოლოგიურად სწორი მართწერა; ჩვენს მწერლებს არა აქვთ საშუალება ისარგებლონ რომელიმე წრის დამუშავებული და კულტურული მეტყველებით; არ არსებობს საზოგადოებრივი კულტურა მეტყველებისა და აზრის; არ არსებობს დაწესებულება, რომელსაც ჰქონდეს გარკვეული, დაწმენდილი, ესთეტიურად დალაგებული თქმა და აზროვნება; ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ინსტიტუტი, არც ერთი აკადემია, სადაც გამოჩენილ მწერლებსა და მეცნიერებს საშუალება ჰქონდეს დროგამოშვებით შეყრისა და ქართული მეტყველებისა და აზროვნების კულტურისათვის ზრუნვისა, გამოთქმათა და სიტყვათა შერჩევისა, დაკანონებისა. ჩვენი ენისა და ლიტერატურის ვითარება სტიქიური და ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი ა; ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი დიდი კლასიკების ნაწერებში; იგივე ილია ჭავჭავაძეს აქვს ლექსი „იანიჩარი“, რომელიც იწყება ამ სიტყვებით:

აგერ რაზმიდამ ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,
შორსა გაჰფანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ჟღერამა...
მიჰქრის, მიფრინავს, მიჭექავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი.

„მიჰქრის, მიფრინავს, მიჭექავს“... სიტყვა „მიჭექავს“ აქ ცუდად არის ნახმარი; აზრი გამოდის, თითქო მ ი ჭ ე ქ ა ვ ს (მე); სინამდვილეში უნდა იყოს „მიჰქრის, მიფრინავს, მ ი ს ჭ ე ქ ა ვ ს“. უკანასკნელ შემთხვევაში სულ სხვა აზრი გამოდის. გამოდის ის, რაც უნდა მწერალს; აქ შეცდომას იწვევს ის, რომ მწერალი ფსიქოლოგიურად არ აკვირდება თქმასა და ცნების მიმართებას; დიდ მწერალს ესაჭიროება დიდი ფსიქოლოგიური კულტურა და ენის არა მარტო მექანიკური ცოდნა, არამედ სემანტიური ორგანიზაციის ხასიათის შესწავლა, ინტუიტიური ხილვა, ენის ბუნების ლირიულ-მუსიკალური შეგრძნობა; ილია ჭავჭავაძე თავის შეძოქმედებით, სულის წყობით არ არის ლირიკოსი და ამიტომ მისი თქმაც მოკლებულია ლირიული მეტყველების ესთეტიურ სილამაზესა და გრამატიკულ-სტილისტიურ სისწორეს; ლექსში „ნანა“ არის სტრიქონი ასეთი: „მეტი დიდი რამ არი“; უნდა იყოს „მეტად დიდი რამ არი“. ვიმეორებთ ასეთი ხასიათის შეცდომებანი ქართული ენის წინაშე ილია ჭავჭავაძის მხოლოდ ლირიკაში შეგხვდებათ, მოთხრობებსა და პოემებში ქართული მეტყველება თავის სისწორით, სილამაზით და რიტმიული წყობით შეუდა-

რებელია; სამწუხაროდ პოემაში „დიმიტრი თავდადებული“ არის ერთი ადგილი, სადაც ქართული მეტყველების ორთოგრაფიული წესი ირღვევა, თუმცა ფსიქოლოგიური ინ ტ ე რ პ ო ლ ი ა ც ი ი ს წესით დროს გადატანა-გადმოტანა შეიძლება:

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წ ა ვ ა დ ა ი ნ ახ უ ლ ე ბ დ ა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.
ვის რაც გულში დარდი ჰქონდა —
წ ა ვ ა — ი მ ა ს შ ე ს ჩ ი ვ ლ ე ბ დ ა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.

ფრაზები „წავა და ინახულებდა“, „წავა იმას შესჩივლებდა“ აწყობილია ფსიქოლოგიური ინტერპოლიაციის წესით: აწმყოს გამომსახველი მოქმედება „წავა“ ძიწყობილია ნამყო დროს; მართალია ილია ჭავჭავაძე აქ ეყრდნობა ხ ა ლ ხ უ რ ი ქართულის თავისებურობას და მის ორთოგრაფიას; მაგრამ აკადემიზმისა და ენის კულტურის თვალთახედვით მიუღებელია ითქვას „წავა და ინახულებდა“, „წავა—იმას შესჩივლებდა“. ლიტერატურა ისეთი ფორმაა შემოქმედებისა, რომელსაც სათუთი და იშვიათად ს უ ბ ტ ი ლ უ რ ი ხასიათი აქვს; ჩვენ განგებ შევჩერდით ილია ჭავჭავაძის მეტყველების ფორმაზე: თუ ასეთი ორთოგრაფიული და სტილისტიური ცოდვები აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის ტიტანს, რა იქნება სხვა მწერალთა ნაწერებში?

ილია ჭავჭავაძეს აქვს ფონეტიურ-მუსიკალური თვალთახედვით დაუშვებელი შეცდომები: ლექსში „უცხოეთში“ არის სიტყვა „ჰჩუმობს“, უნდა იყოს ს ჩ უ მ ო ბ ს; „კითხვა-პასუხში“ ნათქვამია „ჰძღება“ უნდა იყოს უსათუოდ—სძღება: ჩ-ს ა და ძ-ს წინ ფონეტიური პრინციპი მოითხოვს ს ხმარებას; „პოეტ“-ში ილია ჭავჭავაძე ამბობს „ვით ფრინველმა გარეგანმა“ და სხვა... რას ნიშნავს ქართულად გ ა რ ე-გ ა ნ ი ფ რ ი ნ ვ ე ლ ი?— არსებობს გ ა რ ე უ ლ ი ფრინველი, და არა გარეგანი და შინაგანი... მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ბევრს ფიქრობს ქართული ენისა და წყობილსიტყვაობის შესახებ,

მიუხედავად იმისა, რომ იგი წინააღმდეგია თქმის პროვინციალური ფორმებისა, მაინც ხშირად არღვევს ქართული მეტყველების სილამაზეს, ქართული გამოთქმის ესთეტიურ ბუნებას. მართალია არც ვაჟა-ფშაველას და არც ნიკოლოზ ბარათაშვილს არა აქვთ იდეალური სილამაზის ენა, მაგრამ სამაგიეროთ მათ აქვთ ფონეტიურ-მუსიკალური შეგრძნობის თავისებურობა--მიხვედრა, რომელიც ორგანიულად გამომდინარეობს მათი შემოქმედებით ტემპერამენტიდან. ილია ჭავჭავაძეც დიდი განცდისა და ტემპერამენტის ადამიანია, მაგრამ განცდა მასში ვერ მიდის რიტმიული პულსაციისა და მუსიკალობის შეგრძნობამდე: ილია ჭავჭავაძე ორგანიულად ვერ გრძნობს თქმისა და რიტმის მუსიკალურ დენას, შემოქმედებით გრძნობათა ატალღების პულსაციას, რომელშიაც იწმინდება მეტყველება და იბადება მუსიკის ეროსი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერან"-ში გრძნობათა ატალღების პულსაცია სწმენდს მეტყველებას და იწვევს ორგანიულად მუსიკალურ თრთოლვას, ნერვიულ-უჯრედიულ რხევას; მეტყველების დეფექტს აქ ვერც კი შეამჩნევთ; ილია ჭავჭავაძის ლირიკაში ასეთი ადგილები არ არის.

მიუხედავად ასეთი ხასიათის მაგალითებისა ილია ჭავჭავაძის ლირიკაში შეგხვდებათ ისეთი ადგილებიც, სადაც თქვენ გრძნობთ ცხოვრების ზოგად თვისებებს, პოეტურ-ელეგიურ შეგრძნობის სილამაზეს:

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ
ზვირთო წუთისოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?

პოეტი ეკითხება მოწყენილ სიცოცხლის მდინარეს: საითკენ მიდის ცხოვრების გზა ადამიანისა? რას არხევს წუთისოფლის ზვირთი მცირე ნავს ადამიანის ყოფისას? პოეტს ეშინია იმის, რომ მდინარე შევა დიდს ზღვაში და ზღვა ჩაყლაპავს მის ყოფას; „მარდად წყალი წაშლის ურგებ კვალს", აღარ იქნება ყოფა ადამიანისა, დაიკარგება ინდივიდუალობა; ილია ჭავჭავაძე ევედრება სიცოცხლის მდინარეს, სავსე შიშით და წარმავლობის სევდით:

ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირეს ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

ლექსში „სანთელი“ სიმბოლიურად გამოსახულია ცხოვრება ადამიანისა: პატარა ოთახში ანთია სანთელი, რომელიც ოთახს აშუქებს; სანთელი თანდათანობით იწვის, „შანდლისა თავზე ძლივ-ძლივღა ბჟუტავს“, „ხან ჩაქრება, ხან შანდლიდამ ამოიხედავს“... სანთელი თითქო ებრძვის სიკვდილს, მაგრამ „სუსტი ნათელი“ ბოლოს და ბოლოს „შანდლის ჯურღმულში თავსა ანარცხებს“. კედლებზე ძლივს სცემს შუქი:

აგერ ოთახსაც ჩრდილმან გადაჰკრა,
კედლებზე ძლივს სცემს ბნელადა შუქი,
აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა...
რა დამრჩა მისგან—მწვარი პატრუქი.
ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი—მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭაღა გამხმარი მტვერი.

სანთელი სიმბოლოა ადამიანის ცხოვრებისა, მისი წუთისოფლური წვისა; ძლიერი კაცი წუთი-სოფლად იწვის, იტანჯება და ბოლოს ჰქრება: „მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება ერთი მუჭაღა გამხმარი მტვერი“. შილლერიც ეგრე ლაპარაკობს ერთ ადგილას თავის გმირის შესახებ: „დიდებულმა ტალბოტმა, რომელმაც სამყარო თავის სახელით აავსო, დაგვიტოვა მხოლოდ ერთი მუჭაღა მტვერი მოხეტიალე“. ასეთია ბედი ადამიანისა ამ ქვეყნად და ქართველი პოეტიც სხვებთან ერთად ტირის ადამიანის უნუგეშო ყოფას. „სანთელი“ შინაარსით და ფორმითაც კარგი ლექსია: იდეა ამ ლექსისა გამოსახავს კაცობრიობის ზოგად ტკივილებს და სევდას; აქ არის რაღაც დიადი, ბარათაშვილისებური, არის მძიმე და მწვავე განცდა ტანჯვისა და ცხოვრების წარმავლობის.

მაგრამ იდეა ამ დიდი განცდისა მაინცა ვერ არის გაშლილი ისე ფართედ, მძლავრად, ღრმად, როგორც აქვთ ასეთ შემთხვევებში ბარათაშვილს, ბაირონს, შილლერს, ლერმონტოვს; აი ლექსიც „მწუხარება“ დიდი განცდით არის დაწერილი და ღრმა ტკივილები ადამიანის სულისა ჩაქსოვილია ყოველ სტრიქონში: ცის უდარდელობა და სევდა ადამიანისა დაპირდაპირებულია ერთმანეთთან მწვავედ და თქვენ გრძნობთ, რომ პოეტი მართლა განიცდის ამ სიმწვავეს, გრძნობთ, რომ ავტორი იტანჯება, იწვის, თითქო „ნავთი მდუღარე გადესხა“ მას; მაგრამ გრძნობთ იმასაც, რომ ავტორს არ შეუძლია უფრო ფართედ გაშლა განცდებისა:

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.
სული მიგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა ზედ-გადესხა ნავთი მდუღარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე.
ესე უწყალოდ განწირული და დაშთომილი
ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა!

ასეთი ღრმა გრძნობებიდან გარათაშვილი, ან ბაირონი შედევრებს იძლევა: გაიხსენეთ სევდიანი გარათაშვილი მტკვრის პირას, რა ლამაზად და რა საუცხოოდ გვისახავს ცხოვრების უაზრობას, ადამიანის სურვილების მარადიულ უკმაყოფილებას, ბოლოს მოქმედების და ნებისყოფის ამოძრავებას, ბრძოლის საჭიროებას; გაიხსენეთ ლერმონტოვის ლექსი „и скучно, и грустно, и некому руку подать“; რა სინაზეა სულისა და რა დიდი ატალღება პოეტური განცდისა! მთელი სიმფონიაა სასოწარკვეთილების და ტანჯვის, სურვილთა უნაყოფო დენისა და წელთა სვლის; ბოლოს ადამიანის სულში უშედეგოთ იძირებიან სიხარული და წვალება... „И радость, и муки, и все там ничтожно“. ილია ჭავჭავაძე ვერ იძლევა თავის ლირიკაში ასეთ შთაბეჭდილებას: თითქო იგი მეტად მძიმეა ლირიკისათვის. თითქო სული მისი სხვა სახის ინტერესითაა დაძენძილი და ინდივიდუალურად შეკუმშულ გრძნობათათვის არა სცალიან; ილია ჭავჭავაძე დიდი სოციოლოგია და სუსტი ლირიკოსი: სოციალური ტრაგედია ქართველი ერის ისე შეზრდილა ილია ჭავჭავაძის სულთან, კლასობრივი ანტაგონიზმი ისე ჩაქსოვილა ამ სულის ხვეულებში, რომ კოსმიურ გრძნობებს ლირიკისა თითქო ახრჩობს, ავიწროებს, კუმშავს რაღაც მეტად პროგრამული და პუბლიცისტური იდეალი, რაღაც მძიმე, მეტად მძიმე ტემპერამენტი სოციოლოგისა, რომელიც დიდი პოეტია, როდესაც ეხება კონკრეტულ სოციოლოგიურ საკითხებს—ოჯახს, საზოგადოებას, ხოლო, როდესაც ეხება ინდივიდუალური სულის წვალებას, მის სათუთ, ლირიულ-კოსმიურ განცდას, ცალკეულს, საზოგადოებიდან განაპირებულს, სუსტია. გაიხსენეთ „ოთარაანთ ქვრივი“-ს ბოლო: რა დიდი ლირიკაა სასაფლაოზე გაშლილი: ძაღლის ღმუილი შობის დილას გლოვობს სიცოცხლის არარაობას, ადამიანის

წუთისოფლურ ტანჯვას, მეწისქვილისა და ოთარაანთ ქვრივის უშედეგოდ დაკარგულ სიყვარულს; აქ ლირიკა გამომდინარეობს სოციალური ეპოსიდან და ილია ჭავჭავაძეც ძლიერია შეუდარებლად; ხოლო ლირიკა, სოციალური ეპოსიდან განაპირებული, ილია ჭავჭავაძეს არ ეხერხება; ილია ჭავჭავაძე მხატვარია გ ა რ კ ვ ე ულ ი სოციალური განცდების და სული მისი თითქო გარბის ლირიულ-კოსმიური რომანტიზმიდან სოციალურ ეპოსში, სადაც იგი დგას როგორც უძლეველი ტიტანი, მებრძოლი თავის ერისათვის, მისი ისტორიული რენესანსისათვის, მისი ლამაზი, კარგად დაწყობილი ცხოვრებისათვის.

თავრი ძესუთ

ქართული სული მთაში

ვაჟა-ფშაველა

ორგანოტროპიზმის მეთოდი და ქართული სულის ექსისტორიული განხრა

ცხოვრება ჩვევათა კომპლექსია; ადამიანი, როგორც ცხოველი, ამყოლია; „ფაუსტ“-ში სული ამბობს: მოქმედებათა ქარიშხალში, არსებობის ტალღებში მე ამოვდივარ და ჩავდივარო; სამყაროში არსებობისათვის ბრძოლა აჩვევს ცხოველსა და ადამიანს მდგომარეობას, — და ამ ჩვევას ისეთი დიდი ძალა აქვს, რომ ცოცხალი ორგანიზმი თანდათანობით ემსგავსება თავის ფორმით და შინაარსით იმ ყოფას, რომელშიაც ის არის იძულებული დარჩეს; რეალური ცხოვრება იძულებითი ხასიათის მოვლენაა და ყველგან ცოცხალი არსი ისეთია სულით, ტანით, ხასიათით, როგორიც იყო მისი წარმოშობის მიზეზები; გოეთე „ცხოველთა მეტამორფოზებში“ ახასიათებს იმას, რასაც ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს და რაც შეიცავს ფაქტიურად შემოქმედებით ურთერთობას არსისა და მდგომარეობის შორის: „ყველგან ცხოვრების ხერხი იცვლება წყობასთან შეფარდებით, ხოლო წყობა იცვლება ცხოვრების ხერხთან შეთანხმებით; მარადიული წესი მართავს ბუნების ძალებს, რომელნიც ემორჩილებიან რა გავლენას, მუდმივად იცვლებიან. So zeiget sish fest die geordnete Bildung, Welche zum Wechsel sich neigt durch äusserlich wirkendes Wesen; ასეთია შემოქმედებითი ევოლიუციის პროცესი, გამოსახული ადამიანისა და ბუნების ურთერთობაში: ცხოვრების მოვლენათა შორის ხდება დაუსრულებელი პროცესი ურთერთობისა და ამ პროცესში მიზეზი და შედეგი მუდმივად ერთმანეთს უცვლიან ადგილებს; ბუნების ძალთა წყობა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმას იწვევს, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, თავისებურ წარმოებით და მეურნეობით ბუნების ძალთა წყობას, თავის საჭიროებისა და ინ-

ტერესისათვის ხმაროს. „Среда создает человека, человек изменяет среду себе на потребу; измененная среда создает измененного человека, измененный человек создает еще раз измененную среду себе на потребу и т. д.", — ამბობს ერთი რუსი მეცნიერი და ეს აზრი ეკუთვნის არა მარტო მას, არამედ მთელს ფსიქო-ნევროლოგიურ აკადემიას, სადაც იგი მუშაობს და რომლის კოლექტიური მეცნიერული შრომის შედეგია ზემოდ მოყვანილი სიტყვები*. საყურადღებოა, რომ ეს წიგნი გამოვიდა ლენინგრადში 1925 წ. სექტემბრის შუა რიცხვებში, ხოლო ჩვენი წიგნი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები" (ორგანოტროპიზმი) 1925 წ. მაისის პირველ რიცხვებში უკვე დაბეჭდილი იყო და აქედან ცხადია რაოდენად დამოუკიდებლად ჩვენ მივედით სწორედ იმ დასკვნამდე, რომელიც შემუშავებულა გასულ წლის მიწურულში ლენინგრადის აკადემიის ინსტიტუტში (Институт мозга); ჩვენ ვსწერდით „სოციალური ესთეტიკის საფუძვლებ"-ში სიტყვა-სიტყვით შემდეგს:

„ჩვენი ტანის სპეციალური ორგანოები თავიანთი სპეციფიური თვისებებით, ჩვენი ხელებისა და ფეხების ავტომატიური მოძრაობანი ამეტყველებისა და ბგერითი განწვალების პანტომიმიური პირობებით მხოლოდ რთული კოორდინატებია შეფარდებითი რეფლექსებისა. ტანი რეფლექსების კომპლექსია; ინდივიდუალობა და მისი ყოფა-ქცევის ფორმები წინასწარ განსაზღვრულია მოდგმათა ფილოგენეტიური ორგანოტროპიზმით. ქვეყნად არ არსებობს ისეთი ტანი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იყოს სხვა ტანებისაგან; ყოველი არსი იმყოფება არსთა შორის და იმდენად, რაოდენად ისაზღვრება ერთეული მრავლობით, ერთეულში იქმნება ორგანიული წყობა შეფარდებით მრავლობასთან: მდგომარეობისა და არსის შორის არსებობს მუდმივი ურთერთობა შემოქმედებითი ხასიათისა: მდგომარეობა მოქმედებს არსზე, არსი მოქმედებს მდგომარეობაზე. შემოქმედებით ურთერთობას მდგომარეობისა და არსის შორის, რომელიც სამყაროის ყოველ კუთხეში თავისებურია, ჩვენ ვეძახით ორგანოტროპიზმს**.

ჩვენ ვამბობთ ბიოლოგიისა, სოციოლოგიისა და სპეციალურ მეცნიერებათა მიღწევებთან შეთახმებით, რომ შემოქმედებითი ევო-

*„Рефлексологический подход". Институт мозга Психо-Неврологической Академии. 1926 г. გვ. 14.

**კ. კაპანელი „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები" ორგანოტროპიზმი. გვ. 20.

ლიუციის პროცესი არსისა და მდგომარეობის შორის ურთერთობის პროცესია; რაოდენი ურთერთობაა კუთხებრივი და ბიოსფერიული ხასიათისა სამყაროში — ან როგორც ჩვენ ვამბობთ — რაოდენი სოციალური არეა, იმდენი თავისებური სული და აზრია ქვეყნად; არავითარი კონსტანტი, უცვლელი ნორმები გონებისა და სულის არ არსებობენ ქვეყნად: შემოქმედებითი ევოლიუციის პროცესი ვოლიუნტარისტულია და არა ინტელექტუალისტური, ხოლო თვით ნება-საფუძველი ვოლიუნტარიზმისა სოციალურ არესთან შეწყობილი რეფლექსების კორელიატიური დაჯგუფებაა; სული არ არის „საგანი", „სუბსტანცია", სული პროდუქტია მატერიისა და მდგომარეობის შემოქმედებით ურთერთობის, — და გვევლინება ყოველგან იმ თავისებურ ფორმაში, რომელიც გამოსახავს ბუნებისა და წარმოების შეფარდებას; ყოველი ფორმა აზრისა და სულის სოციალურ საჭიროებათა შედეგია და როგორც კი სინამდვილეში მოვლენათა ფაქტიური წყობანი იშლებიან, მაშინათვე აზრისა და სულის თვისებანი იცვლებიან და შემდეგ თანდათანობით ქრებიან სამარადჟამოდ. იდეა სახიერდება გონებაში მაშინ, როდესაც იგი კორელიატიურია სოციალურ საჭიროებასთან, ან როგორც მარქსი ამბობს, პრაქტიკასთან.

ლიტერატურა როგორც ავტონომიური ფაქტი, ერთგვარი კომპლექსია საზოგადოებრივი ემოციებისა და განცდების — კომპლექსი, შემოქმედებითი ინდივიდუალიზაციის პროცესში გატარებული და იმდენად თავისებური ესთეტიური სახეობით, რაოდენად თავისებურია პროცესი ინდივიდუალიზაციისა: ლიტერატურული იდეა ხალხური თქმისაგან იმით განირჩევა, რომ ინდივიდუალური ტემპერამენტით და განცდით არის დაწყობილი ის, რაც იდეაში გენეტიურად შთამოიღვარა სოციალურ სფეროდან.

ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებს აქვს თავის სტრუქტურა, საკუთარი იმმანენტური წყობა, რომელიც შეიცავს სამ ელემენტს — შინაარსს, ფორმას და ფონეტიურ თავისებურობას თქმისა. შინაარსი არის მთავარი იდეა, განსახიერებული თანდათანობით ლიტერატურულ ნაწარმოებში; თვით განსახიერების პროცესი ჰქმნის ფორმას; ასე რომ, ფორმა ყოველთვის არის შედეგი შინაარსისა; შინაარსი იმმანენტურად შეიცავს ფორმას, როგორც ორგანიზაციულ დასაწყისს; შინაარსის ვითარება ფაქტიურად ფორმის ორგანიზაციაა: როდესაც ჩვენ ვარჩევდით გრიგოლ ორბელიანისა, ალ. ჭავჭავაძისა, ვახტანგ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ნაწერებს, ვხედავდით, რომ ლიტერატურული ნაწარმოების

შინაარსი ი მ მ ა ნ ე ნ ტ უ რ ა დ შეიცავდა ფორმის ერთგვარი თავისებურობის აუცილებლობას; ხოლო თვით შინაარსი გენეტიურად მომდინარეობდა სოციალურ განცდათა კომპლექსებიდან; მოიგონეთ გრიგოლ ორბელიანის „ლ ხ ი ნ ი“, ან „იარალის“, წაიკითხეთ დაკვირვებით, აისახეთ წარმოდგენაში მთავარი იდეა ნაწარმოებისა და თქვენ მაშინვე დარწმუნდებით, რომ ის სოციალური განცდები, რომელთა კომპლექსებს სისტემატიურად შლის გრიგოლ ორბელიანი თავის შემოქმედებით წარმოსახვაში, სხვა ფორმას ვერ მიიღებდა; სხვა ფორმა ფსიქოლოგიურად შეუფარდებელი და გაუგებარი იქნებოდა, თანაც სასაცილო დარჩებოდა ესთეტიურად.

ფონეტიური თავისებურობა თქმისა ფაქტიურად წარმოადგენს ფორმის ორგანიზაციის ბგერით სახეს: ყოველგვარ გამოთქმას აქვს თავისებური ტონი და არტიკულიაცია; გრიგოლ ორბელიანის სტილი ისეთი ტონისა და არტიკულიაციის არის, რომელიც იძლევა არისტოკრატიულ და ცრუკლასიკურ ფსიქოლოგიის ტემბრს, გამახვილებას, ზვიადობას. სულ სხვა არის ტონი და არტიკულიაცია ნიკოლოზ ბარათაშვილის; აიღეთ თუ გნებავთ „მერანი“: გრიგოლ ორბელიანის თქმაში ფონეტიურად ისმის გალაღების და მედიდურობის პათოსი, ისმის სულიერი სიამაყის გაბგერება; ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმაში ბერავს უკმაყოფილო სულის შინაგან ღელვათა ქარიშხალი.

ამრიგად ლიტერატურული ნაწარმოები შინაარსით, ფორმით, თქმის ფონეტიური თავისებურობით მომდინარეობს სოციალურ განცდათა კომპლექსებიდან და წარმოადგენს სოციალური ფსიქოლოგიის ორგანიზაციულ ფორმას. ლიტერატურული ნაწარმოები შინაარსით სოციალ-იმმანენტურია: თითოეული განცდა, თითოეული იდეა, თითოეული ემოცია შინაარსში განსახიერებული ახასიათებს უწინარეს ყოვლისა სოციალურ არეს—ბიოსფეროს და შემდეგ ავტორის ტემპერამენტს, ო რ გ ა ნ ო ტ რ ო პ ი უ ლ ა დ შექმნილს სოციალურ არეში და ამიტომ შინაგან წყობაში მასთან შეფარდებულს; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის ანალიზი ორგანიულად, უმეშვეოდ საჭიროებს შეკავშირებას სოციალურ არესთან, მის ფსიქოლოგიასთან, მის სტრუქტურასთან; ამ შეკავშირებაში შეიცნობა თავისთავად ლიტერატურული ნაწარმოების ფორმალ-იმმანენტური მხარე და ის ფონეტიური თავისებურობა თქმისა, რომელიც მომდინარეობს შინაარსთან ერთად სოციალურ ყოფიდან, სოციალურ კომპლექსებიდან.

ამიტომ ორგანოტროპიული სოციოლოგიის თვალთახედვით ჩვენ პირდაპირ ვიღებთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, როგორც ავტონომიურ-იდეოლოგიურ ფაქტს, და როგორც მისი შინაარსი, ისე ფორმა

და თქმის თავისებურობა გვაიძულებს დავსვათ საკითხი: რატომ ესა და ეს ნაწარმოები ასეთია და არა სხვა სახის? აქ ბუნებრივად ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურის ანალიზი იწვევს კითხვას: რა მიზეზით, საიდან? ამრიგად ლიტერატურული და თუ გნებავთ მთელი იდეოლოგიური შემოქმედების მეთოდიური შესწავლა იღებს გენეტიურ ხასიათს; სტრუქტურული კრიტიკა უბრალო აღწერითი ხასიათისაა და ამიტომ არა მეცნიერული; გენეტიური ანალიზი გასაგებად ხდის თვით სტრუქტურის ფაქტს და ამიტომ ჩვენ ვამბობდით და კათეგორიულად ვიმეორებთ კანტისა და კანტიანელების სტრუქტურული მეთოდოლოგია არ არის მეცნიერული: არსებულის შეცნობა შეიძლება მხოლოდ მისი მიზეზების გამორკვევის შემდეგ; ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც ავტონომიურ-იდეოლოგიური ფაქტი, განსაზღვრულია წარმომშობი ფაქტორებით; წარმომშობი ფაქტორები მიზეზებია ლიტერატურული ნაწარმოების არსებობის, მის ვერბალურ-სტრუქტურული განსახიერების, მისი სემანტიური ბუნების.

ბოლოს და ბოლოს ლიტერატურული კრიტიკის ორგანოტროპიული, სოციალ-გენეტიური მეთოდი არის კაუზალური ხასიათის მეთოდი; მაგრამ, ჩვენი გაგებით, შემოქმედებითი პროცესის ევოლიუცია იმდენად შეიცავს კაუზალობას, რაოდენად იდეოლოგია, არა მარტო პასიური შედეგია ცხოვრების სფერიულ წყობის, არამედ ერთგვარი ორგანიზატორიცაა ძველი ელემენტებიდან ახალი ფორმის, ახალი სულის. სოციალური არე ჰქმნის ლიტერატურულ იდეას, ხოლო ლიტერატურული იდეა იმდენად არსებობს რეალურად, ფაქტიურად, რაოდენად ახდენს ერთგვარ რევოლიუციას საზოგადოებრივ სულისას: არსებობა ფაქტიურად ნიშნავს მოქმედებას და რაც არ მოქმედებს, იგი არ არსებობს. ხშირად ლიტერატურული იდეა უფრო მეტს აკეთებს სოციალურ არეში, ვიდრე დარაზმული ლეგიონი; მხატვრული ნაწარმოების ღირებულება განიზომება იმ გავლენით, რომელსაც იგი ახდენს გარემოზე, საზოგადოებაზე, კაცობრიობაზე; რაც უფრო დიდია არე გავლენის, მით უფრო მაღალი ესთეტიური ღირებულებისაა ლიტერატურული ნაწარმოები, თუ კი ნორმალურია ურთერთობა იდეოლოგიისა და მდგომარეობის შორის, თუ კი ინდუსტრიის ევოლიუცია განსაკუთრებულ მიწა-წყალზე სისტემატიურად იწვევს კულტურის ცენტრალიზაციას.

წინააღმდეგ შემთხვევაში იდეოლოგია და მისი უმშვენიერესი ფორმა — მხატვრული ლიტერატურა ეტნოგრაფიულ ხასიათს იღებს, როგორც, მაგალითად, საქართველოში: ქართული ლიტერატურის

მრავალ მშვენიერ ნიმუშებს წმინდა ეტნოგრაფიული ხასიათი აქვთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული კულტურის ცენტრალიზაცია საშუალო საუკუნეების შემდეგ ან სუსტი იყო, ან სულ არ ყოფილა. ამის შედეგია ის, რომ ქართული ნაციონალური ტემპერამენტი, ქართული ნაციონალური ტიპი არ არსებობს; არც მთლიანი კლასობრივი სახეობა არსებობს და ამაშია მთელი ჩვენი ეროვნული ტრაგედია: საქართველოს რომ ძლიერი გაბატონებული კლასები ყოლოდა, როგორც საშუალო, ისე ახალ საუკუნეებში, ქართველი ერის ისტორიული ევოლიუციაც სხვანაირი იქნებოდა და ქართული ლიტერატურაც თავის ტიპებით არ იქნებოდა მომწყვდეული ეტნოგრაფიულ ზღუდეებში; ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი კლასი ფსიქოლოგიურად გააერთიანებდა საქართველოს პროვინციებს, ქართველ ტომებს ტემპერამენტებით, ემოციებით, გრძნობებით, მოქმედებით დააძსგავსებდა ერთმანეთს და ქართული სულის პერიფერიულად გაბნეულ მდიდარ ოვისებებს ნაციონალურ ტიპებსა და სახეებში ჩამოადუღებდა ისტორიულად.

მაშინ, რა თქმა უნდა, დავით კლდიაშვილისა და ილია ჭავჭავაძის გმირთა შორის არ იქნებოდა ის სხვადასხვაობა, რომელსაც ჩვენ მათ ვამჩნევთ; ლუარსაბ თათქარიძე მართალია ქართველი თავადია, მაგრამ არასოდეს იმერელი, ან გურული თავადი თათქარიძისთანა საზიზღარი არ იქნებოდა. სოლომონ მორბელაძე თავის მოჩაქჩაქე ჯორით ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ იმერეთში; აღმოსავლეთ საქართველოს აზნაური არასოდეს სოლომონ მორბელაძის მსგავსი არ იქნებოდა ტემპერამენტით, ხასიათით.

ამრიგად სოციალ-გენეტიური კრიტიკის თვალთახედვით ქართული სულის იდეოლოგიურ-ესთეტიური გაშლა ტრაგედიულად შეიწროებულია და დაკუთხულია ეტნოგრაფიულად; ტიტანიური მძლეობა ქართული სულისა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს ს ი ს უ ს ტ ი ს გ ა მ ო პროვინციებად დაიცრიცა და ქართული შემოქმედების ტიტანები ქართველი ერის ისტორიულმა უკუღმართობამ დააპატარავა, დააჩიავა... ობიექტიურმა მდგომარეობამ შეკუმშა ქართული შემოქმედებითი სულის პოტენცია და სანამ საქართველოს ინდუსტრიის კაპიტალიზაცია მაშინისა და ვაჭრობის შედეგებით შემოიჭრებოდა ქართულ ლიტერატურაში გარკვეული იდეებით და ტიპებით, ჩვენ ვხედავთ ილია ჭავჭავაძის შემდეგ — ერთი მხრით მთაში გახიზნულ სულს (ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი), ხოლო მეორე მხრით ფეოდალური კულტურის ისტორიულ-სოციალური გადაშთების პოეზიას ე რ ო ვ ნ უ ლ ი ლირიკისა (აკაკი წერეთელი) და სოციალური ეპოსის (დავით კლდიაშვილი) სახით.

გავყვეთ სოციალ-გენეტიური ანალიზით ქართული სულის ორგანოტროპიულ ევოლიუციას და სანამ გავარკვევდეთ კაპიტალიზმისა და მაშინური კულტურის ესთეტიურ კონცეპციებს, შევიხედოთ მთიელთა თავისებურ სამყაროში, სადაც ქართული სული მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ექსისტორიულად ინახავდა ძვირფას მარგალიტებს ქართველი ხალხის თქმისა და სიბრძნისას, მთაში გახიზნული ცხოვრების ლამაზ ფორმებს, სოციალურ განცდებს და ემოციებს.

რაოდენად სუსტი და ეპიზოდიური იყო ქართული კულტურის ცენტრალიზაციის და ისტორიზაციის პროცესი, იმდენად ძლიერი იყო ქართველი ხალხის მასსიური, პრაქტიკულ-კუთხებრივი, ეტნოგრაფიული სოფლშეგრძნობა: მდიდარი ფორმა ქართული ხალხური პოეზიისა, ლეგენდებისა და თქმულებების უტყუარი საბუთია ქართული ეროვნული სულის სიბრძნისა და ნიჭის, ღრმა განცდებისა და ცხოვრების სიმბოლიზაციის; ქართველ ხალხს აქვს სატრფიალო და საყოფა-ცხოვრებო ხასიათის პოეზია შეუდარებელი სილამაზისა: ჩვენს ხალხურ მეტყველებაში გაბნეულია ღრმა აზრები სიყვარულისა, სიცოცხლისა, ადამიანის წუთისოფლური ხვედრისა, სიღარიბისა, სოციალური ყოფის ტრაგედიისა, ბიოლოგიური ელემენტების ხეტიალისა, სულის არსებობისა და არსებობისათვის ბრძოლის შესახებ. ხალხური თქმულება „მოდი ნახე ვენახი; რამ შეჭამა ვენახი“?.. მთელი ფილოსოფიაა ბიოლოგიისა და არსებობისათვის შეუბრალებელი ბრძოლისა, სწორი და ღწური დღევანდელი მეცნიერული თვალთახედვით; მაგრამ, თუ თქვენ გინდათ შეიგნოთ რა სიღრმემდე მიდის ქართველი ხალხის სიბრძნე, მისი მორალი და ფილოსოფია; მოისმინეთ ქართული თქმულება ადამიანის ბედისა, სულის ხეტიალისა და ცხოვრების ფორმათა შემოქმედებითი მიმოქცევის შესახებ:

„ცხოვრობდა ერთი კაცი. ას წელიწადზე მეტი ჯანსაღად გაატარა და შემდეგ გარდაიცვალა. მისი სხეული მიწად იქცა. ამ ადგილს კრამიტის საჭრელი ქარხანა გამართეს და კრამიტის ჭრას მიჰყვეს ხელი. ერთი კრამიტი ამ კაცის მიწადქცეულ სხეულიდან ვაკეთდა. შემდეგ ეს კრამიტი ერთ სახლს დაჰხურეს.

ორასმა წელმა განვლო. კრამიტი სახურავიდან გადმოვარდა და ისევ მიწად იქცა. ახლა სხვა კაცმა ამ კრამიტის მიწისაგან ერთი ქოთანი გააკეთა. ქოთანში ასი წლის განმავლობაში სხვადასხვა საჭმელს ხარშავდენ: შემდეგ—გატყდა; აიღეს და გადააგდეს. ისევ მიწად იქცა.

ახლა მეაგურე მოვიდა იმ ადგილს, ამ მიწიდან აგური გააკეთა. ერთი კაცი სახლს აშენებდა; ეს აგურიც წაიღო სხვათა შორის და სახლის ერთ კუთხეში დაატანა.

სახლის პატრონი გარდაიცვალა და ორი ვაჟი დარჩა. ვაჟებმა საცხოვრებელის გაყოფას ხელი მიჰყვეს, ყველაფერი გაიყვეს; სახლი დარჩათ გაუყოფელი, ერთმა სთქვა: — სახლი ჩემი უნდა იყოსო! მეორემ სთქვა: — არა, ჩემი უნდა იყოსო!

საქმე გამწვავდა, ძმები წაიჩხუბნენ და ერთმანეთს ჰკლავდენ. ამ დროს სახლის ერთი კუთხიდან ხმა მოესმათ: — არ მოჰკლათ ერთმანეთი! რად ფინდათ ეს სახლი? რაზე ხოცავთ ძმები ერთმანეთს?

ძმები შიშის კანკალმა აიტანა და ჩხუბს თავი დაანებეს.

— შენ ვინა ხარო? — ჰკითხეს ძმებმა ამ უცნაურ მამხილებელს.

— „შეც თქვენისთანა კაცი ვიყავი და ახლა აგური ვარ. თქვენც ჩემისთანა ბედი მოგელითო“, — უპასუხა აგურმა და, რაც თავს გადაჰხდოდა, ყოველივე უამბო ძმებს.

ძმებმა ჩხუბზე ხელი აიღეს და ერთმანეთს შეურიგდენ“.

ეს ხალხური ლეგენდა ათასჯერ უფრო მეტს ლაპარაკობს ქართველი ხალხის ნიჭისა და შემოქმედების უნარის შესახებ, ვიდრე ცუდი ქართულით დაბეჭდილი „გველის პერანგი“ და „სანავარდო“.

აი, შთელი ბიოლოგიური ფილოსოფია ცხოვრების მარადიული მოზრუნების იდეით, წარმავლობის სევდით, სიყვარულით, დროული ბედნიერების ფრაარაობით, სულის მსოფლიოში ხეტიალით; ეს პანფსიქიზმი და ბიოფსიქიზმია, გამოსახული მხატვრულ ფორმაში: ქართველი ხალხი ამ თქმულებაში კოლექტიურად იძლევა ქართული სულის სიბრძნეს, სიღრმეს, ორიგინალობას; დღევანდელი ბიოლოგიური ფილოსოფია სავსებით მიიღებს ამ თქმულებაში გამოსახულ მთავარ აზრს, უფრო მიიღებს, ვიდრე კოჰენის მეთოდოლოგიას და კანტის ფილოსოფიას; ბიოლოგიური ფილოსოფია უარყოფს იმ უფსკრულს, რომელსაც ჰქმნის ინტელექტუალიზმი თავის უნივერსალიებით: სული ბიოლოგიურ ფილოსოფიას გამოყავს გენეტიურად სამყაროს ქვედა ფენებიდან; ბიოლოგია იღებს როგორც ფაქტს ელემენტების ხეტიალს და სული სამყაროისა ამ ხეტიალში შექმნილი დინამიური ფორმაა; სადათ და მშვენიერად აქვს გამოსახული ეს ქართველ ხალხს თავის თქმულებაში; ასეთი სიმბოლიურ-ფილოსოფიური ხასიათის თქმულებანი აუარებელია ქართულ პროვინციებში და ვაჟა-ფშაველა თავის დიდი სიმბოლიური ნიჭით, გენიოსური ინტუიციით საქართველოს პროვინციებში გაბნეული სიბრძნის წარმომადგენელია.

ქართული სული საუკუნეთა განმავლობაში შევიწროებული იყო საქართველოს ცენტრებში და თანდათანობით იხიზნებოდა საქართველოს გარეთ-მთაში: როდესაც საქართველოში შემოდიოდენ მტრები და აოხრებდენ ქართულ ქალაქებს, ქალაქებიდან მცხოვრებნი გარ-

ბოდენ პერიფერიებში -სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, რაჭა-ლეჩხუმში და ამიტომ არის, რომ ზემოხსენებულ პერიფერიებში, მიუხედავად პრიმიტიული ცხოვრებისა, შეხვდებით დიდ სულიერ და გონებრივ კულტურას, წმინდა მასსიურს, ხალხურს. აუარებელი თქმულებები, ლეგენდები, ქარაგმები, წყობილმეტყველება, რომელიც შეგხვდებათ ჩვენს განაპირა კუთხეებში, მოწმობს იმას, რომ ოდესღაც ეს დიდი სულიერი კულტურა იყო ი დ ე ო ლ ო გ ი ა ა ქ ტ ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ უ რ ი წ ყ ო ბ ი ს, რომელიც შეიცავდა ქართული ცხოვრების სინამდვილეს; მაგრამ დროთა ვითარებაში დამოკიდებულება ცენტრისა და პერიფერიებს შორის შეწყდა; ცენტრი განიცდიდა ისტორიისა და კულტურის ყველა ცვლილებას, ხოლო ამ ცვლილებას კავშირი არ ჰქონდა პროვინციებთან; პროვინციები ცხოვრობდენ თავისებური პრიმიტიული ინდუსტრიით, პრიმიტიული სოციალური წყობით და სწორედ ეს სოციალ-კულტურული ჩამორჩენა, რომელიც ახასიათებს მთას, ინახავდა მარქაფად ქართული მორალისა, აზრისა და მეტყველების მდიდარ ფორმებს საქართველოს ცენტრებიდან მოშორებით; საქართველოს ცენტრებში ისტორიას სისტემატიურად შემოქონდა სიახლე: იმართებოდა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის; თერგდალეულები ებრძოდენ მამებს, თერგდალეულებს ებრძოდენ დასელები და ამრიგად ხდებოდა ევოლიუცია ქართული საზოგადოებრივობისა და იდეოლოგიის თბილისისა და ქუთაისის არე-მარეში; განაპირა მხარეები ამ იდეოლოგიის გავლენას არ განიცდიდნენ ისე ინტენსიურად, როგორც ცენტრი, და ამიტომ საქართველოს ტრადიცია პერიფერიებში უფრო ინახებოდა ვიდრე ცენტრებში: სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში დღესაც ტრიალებს საშუალო საუკუნეების და კიდევ უფრო შორეული ცხოვრების სოციალური სული: მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების, რომელნიც საქართველოს ცენტრებში დღეს არ იხმარება და რომელთაც ხმარობდენ ძველ საქართველოში, იხმარება სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში; მთელი რიგი ჩვეულებათა და საზოგადოებრივ-მორალურ შეხედულებათა, რომელთაც ჩვენ დღეს არ ვიცნობთ და რომელთაც ძველი საქართველო იცნობდა—ამშვენებს ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეთა ტრადიციულ თავისებურობას. ერთი სიტყვით ქართული სული ტრადიციული მორალით და ფილოსოფიით გაიხიზნა მთაში და საკმარისია დღევანდელმა მწერალმა ყურადღება მიაქციოს მთიელთა ცხოვრებას, მათ ჩვეულებებს, ადათებს, მეტყველებისა და გააზრების ფორმებს, რომ აღმოაჩინოს ქართული კულტურისათვის დიდი ღირებულებანი; ამიტომ არის, რომ დღევანდელ ლიტერატურაში ჩვენ ყველაზე უფრო

მოგვწონს ის ნაწარმოები, რომელიც იძლევა ეტნოგრაფიულ-კუთხეგრივ ფსიქოლოგიას საქართველოისას; ახალი სოციალური ცხოვრების განცდები ჯერ კიდევ არ არის შეზრდილი ჩვენს სულთან და წარსულის ფსიქოლოგიური გამონაჟური ჩვენ არ გვაქვს დავიწყებული; ორგანიზაცია ქართული ნაციონალური კულტურისა სამ წყებად მიმდინარეობს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში: ერთი წყება ინახავს ძველ საქართველოს, მეორე—სოციალ-ისტორიული ევოლიუციის გენეტიურ მემკვიდრეობას, მესამე—კლასობრივ-ეკონომიური ინტერესის მიხედვით იბრძვის ეროვნული კულტურის სრული რეორგანიზაციისათვის. მთაში გახიზნული ქართული სული სახიერდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში; ეროვნული ცხოვრების სოციალ-გენეტიურ მემკვიდრეობას იცავს ილია ჭავჭავაძე; ეროვნული კულტურის სრული რეორგანიზაციისათვის იბრძვის მესამე დასი: ეგნატე ნინოშვილის, ფილიპე მახარაძისა და ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ამრიგად ქართული კულტურის იდეოლოგია ყალიბდება სამ სხვადასხვა პრინციპიულ-ესთეტიურ სახეობაში; ყოველი იდეოლოგიური სახეობა გამოდის თავისი გარკვეული სოფლშეგრძნობით და ინტერესებით; ილია ჭავჭავაძე მთელს თავის ენერგიას და პოეტურ ნიჭს ანდომებს ეროვნულ მთლიანობის იდეას; მესამე დასი იბრძვის მუშათა ორგანიზაციებისა და სოციალისტური კულტურისათვის; ხოლო ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი და ალ. ყაზბეგი გვისახავენ ქართული სულის თემურ-პატრიარქალურ მორალს და ფილოსოფიას.

ქართველი ხალხის მითოლოგია მთელი კოსმოლოგიაა, მდიდარი თავისი თქმულებებით და პოეზიით, სავსე სიბრძნით; საქართველოს მთას აქვს საკუთარი მეტერეოლოგიურ-ასტრონომიული და რელიგიურ-ფილოსოფიური სოფლგაგება ისეთი საინტერესო, ისეთი დიადი თავის შინაარსით და ფორმით, რომ ფიქრს იწვევს—თითქო ქართველ ტომებს ოდესღაც, პრეისტორიულად უცხოვრიათ თავისებური ფსტორიული, სოციალ-კულტურული და მორალურ-ფილოსოფიური ცხოვრებით.

პროფ. მარმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ვეფხის-ტყაოსანის ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს მეგრელები დღესაც ხმარობენ; ეს საყურადღებო ფაქტია, მაგრამ ბევრჯერ უფრო საყურადღებოა მეგრული ენის ვერბალური სიმდიდრე იშვიათი ფსიქოლოგიური სიღრმით და ისეთი ნიუანსების აღნიშვნით, რომელთა გარკვეულ ცნებაში გადატანა დიდ მეცნიერსაც გაუჭირდება; ეს ფილოლოგიური ფაქტი გულისხმობს შორეული წარსულის დიდ სოციალურ კულტუ-

რას — ინდუსტრიისა, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის გაშლას.

ქართულ პროვინციიდან ქართულ ლიტერატურაში უნდა შემოვიდეს მთელი რიგი თქმათა და სიტყვათა, რომელთაც აქვთ დიდი ფსიქოლოგიური და კულტურულ-ესთეტიური მნიშვნელობა; ზოგიერთი ქართველი მწერალი თავისი მჭლე და დეკადენტურად ახრიოკებული სულით უნაყოფოდ წვალობს და ვერც ერთ ორიგინალურ თქმას ვერ იძლევა. საქართველოს განაპირა კუთხეებს კი აუარებელი თქმები, სიტყვები და განააზრები აქვთ, რომელთა შემოღება ქართულ ლიტერატურაში საზარალო არ იქნებოდა.

აკაკი წერეთელმა ვაჟა-ფშაველას უსაყვედურა ენა არ გივარგაო და დღესაც ზოგიერთი იმეორებს აკაკი წერეთლის სიტყვებს; მეტსაც ამბობენ: ვაჟა-ფშაველა უკულტურო კაცი იყოვო; ვაჟა-ფშაველას შესწავლა უნდა და მაშინ აღმოჩნდება, რომ მას ორგვარი ენა აქვს: ერთი არის ვაჟა-ფშაველას ენა ლექსებში, მეორეა—პროზაში; ვაჟას წყობილმეტყველებაში დაცულია მთის ბგერათა თავისებურობა, მთის არტიკულიაცია და მეტყველების ფიზიოლოგია: ვაჟა-ფშაველა რომ ლექსებში „ე"-ს მაგიერათ „ა"-ს ხმარობს (მაგალითად „შასვი" „შესვის" მაგიერ) ზოგიერთებს ეს უკულტურობის მაჩვენებელ მოვლენად მიაჩნიათ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვაჟა-ფშაველას წყობილმეტყველება მაგალითი იყოს იდეალური ქართულის; ჩვენ ვამბობთ, რომ ვაჟას წყობილმეტყველებას აქვს დიდი ფონეტიურ-ვერბალური ღირებულება წმინდა ლინგვისტიური და თუ გნებავთ ესთეტიურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვითაც: ვაჟას წყობილმეტყველება თავისი თანხმოვანთა დაჯგუფებით, ლირიული დენით, მხედრულ-რაინდული გაბგერებით, ღია ხმოვანთა პრიმატით წარმოადგენს მთის განცდების და ფსიქოლოგიის მდიდარ ფორმას; ვაჟა-ფშაველას „სიმღერები" და ეტნოგრაფიული ლექსები ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა ა იმ ემოციებისა და გრძნობების, იმ იდეებისა და განცდების, რომელთაც ჰქმნიან მთის ბუნება, ჰაერი, გეოგრაფიულ-გეოლოგიური ანტურაჟი და მემკვიდრეობით მიღებული ესთეტიურ-ორგანიული ჩვევანი კუთხებრივი ყოფისა. ასეთია ღირებულება ლინგვისტიური და ფსიქოლოგიურ-ესთეტიური იმ ბგერათა თავისებურობისა, რომელსაც ვაჟა-ფშაველა იძლევა წყობილმეტყველებაში; ხოლო ვაჟას პროზა, დაწერილი მშვენიერი ქართული ენით, სავსე სიმბოლოებით, არ საჭიროებს განმარტებას განსაკუთრებულს: მას უნდა შესწავლა და დაფასება იმ სიყვარულით, რომლის ღირსია ყოველი დიდი და მშვენიერი მოვლენა ამ ქვეყნად.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დამახასიათებელია ჩვენი ეროვნული სულის დიფერენციაციისა და კუთხებრივი ფორმისა: ჯერ-ჯერობით ჩვენს ლიტერატურაში არ არსებობს ტიპიური ეროვნულ-ისტორიული სახე, ტიპიური ნაციონალური მთლიანობის გამომსახველი თვისება; ჩვენი კულტურის პროცესში მიმდინარეობენ ეტნოგრაფიული თავისებურობანი მეტად მდიდარი და შინაარსიანი, მაგრამ ამ თავისებურობათა შემაერთებელი და ეროვნული ინდივიდუალობის შემცველი სოფლშეგრძნობა არა გვაქვს; საჭიროა ნაციონალური ინდუსტრიისა და მეურნეობის ცენტრალიზაცია და მაშინ კუთხებრიობის შეგრძნობას დაძლევს, დაიმორჩილებს სოფლშეგრძნობა ინტერნაციონალური და კოსმიური; ხოლო წინამორბედი ამ სოციალურად, კოსმიურად გამარჯვებული სოფლშეგრძნობისა არის ცალკეული ინტუიცია ლიტერატურისა და მწერლებისა: დიდი ლიტერატურული ნაწარმოები ერთი მხრით მთლიანად შეიცავს თავის წარმომშობი ცხოვრების თვისებებს, ხოლო მეორე მხრით — ამ ცხოვრების საწინააღმდეგო ბრძოლას; ყოველგვარ ლიტერატურულ-ესთეტიურ განცდაში არის ერთგვარი ნდომა პირობებთან შებრძოლებისა და მეშჩანური სტაბილიზმის უარყოფისა; ამ ნდომაში არის რაღაც ბუნტარული, რაღაც „დემონიური“, უჩვეულო, მიუღებელი და უცნაური უმრავლესობისათვის, მაგრამ დიადი და ლამაზი კულტურის ბოლო მიზნებისათვის; აიღეთ ჩვეულებრივი რომანი, მოთხრობა, პოემა, ფილოსოფიური სისტემა, — ყველგან თქვენ დაინახავთ არსებულის ფორმულას და ფორმულაში ამავე დროს ყოველთვის არის ერთგვარი შემოქმედებითი ჯანყი, ერთგვარი ბუნტი ადამიანობისა და ბუნებრივობის განმტკიცებისათვის, მდგომარეობისა და პირობების დაძლევისათვის. ცხოვრება აწყობს იდეოლოგიას, ხოლო იდეოლოგია იბრძვის ახალი წყობისათვის; აქ არის ორგანოტროპიზმის სული და საფუძველი — შემოქმედებისა და ცივილიზაციის აზარმაცი.

ვაჟა-ფშაველას ფსიქიკა აწყობილია სოციალ-გენეტიურად კუთხებრიობის ვიწრო არეში, მაგრამ არღვევს მთელი თავის შინაარსით კუთხებრივობას და დიალექტიურად იძლევა კოსმიურ სოფლშეგრძნობას, ზოგად-კაცობრიულისა და ადამიანურის იდეას.

პანთეიზმი და ანთროპომორფიზმი

საქართველო ფსიქოლოგიურად წარმართობის ქვეყანაა და იდეა ქრისტეს მოძღვრებისა საქართველოში არ გაშორებია არასდროს ბუნებრივობას, სხეულს, მატერიას — ხორცისა და ვნების სფეროს; ქართულ ქრისტიანობას თითქმის არ ახსოვს მწვალებლობა:

რაციონალიზმი და მშრალი გონების პრიმატი საქართველომ არ იცის; ილია ჭავჭავაძის განდეგილი გრძნობის ერთი გაალებით სპობს მრავალ წელთა რაციონალისტურ-რელიგიურ ვარჯიშს სულისას. დასავლეთ ევროპაში რაციონალიზმს მართლა შეეძლო ეთქვა — Cogito, ergo sum; საქართველოში ამას იგი ვერ იტყვის: საკმარისია თქვენ გადაათვალიეროთ მუზეუმში ქართველი ბერების ხელთნაწერები ჩიტებისა, ფოთლებისა და სხვადასხვა სურათის ნახატებით, რომ დარწმუნდეთ—რაოდენად გულით და გრძნობით ცხოვრობდა ქართველი რაციონალიზმისა და რელიგიის ჰეგემონიის დროსაც; გრძნობის კულტი მარტო ლირწებრივობის და ღრეობის კულტი არ არის; რუსსოს ფილოსოფია გულისა და გრძნობის კულტით შორს არის იმ კულტისაგან, რომელსაც ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი თავიანთი დაგვიანებული და პატარა მემკვიდრეებით ქადაგებენ საქართველოში; ვაჟა-ფშაველა თავის ესთეტიური კონცეპციით და მხატვრული შეგრძნობით ახლო არის ჟან ჟაკ-რუსსოსთან; პრიმატი გრძნობისა და ნების, ადამიანობისა და სიყვარულის კულტი, ბუნების ძალთა სილამაზე და სიდიადე, ბუნებასთან ადამიანის დაახლოვების ტენდენცია, ესთეტიური სოფლშეგრძნობის ბიოლოგიისა და კოსმოლოგიის არეში გადატანა, პანთეიზმი და ანთროპომორფიზაცია—აი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თვისებანი, რომელნიც გვაგონებენ ევროპის დიდ მწერლებს, განსაკუთრებით რუსსოს და გოეთეს; რუსსომ დაათრო დასავლეთი ევროპა თავისი „სანტიმანები"-თ, წერისა და აზროვნების თავისებურობით, უჩვეულო ლიტერატურულ-ესთეტიური ლისანსებით, ცოცხალი ბუნებისა, ჰაერისა და მზის ქება-დიდებით. ვოლტერი ირონიით სწერდა რუსსოს: წავიკითხე თქვენი წიგნი და ისე ახლო ვიგრძენი თავი ცხოველებთან, რომ სურვილი მაქვს ოთხ ფეხზე ვიაროვო; რუსსომ პირველად გაბედა ლიტერატურაში გალაშქრება სქოლასტიკისა, რაციონალიზმისა, ყალბი და ტრაბახა რაციონალიზმის წინააღმდეგ; ვინ იცის, რაოდენი უნიჭო დოცენტები და პროფესორები, რომელთა სახელები ისტორიას არ ესაჭიროება, ზიზღით და დორბლით იხსენიებდა რუსსოს, მისი გრძნობისა და გულის ფილოსოფიას.

ცივილიზაციისა და ლიტერატურის ისტორიაში საერთოდ აღსანიშნავია ორგვარი ტიპი: ერთი არის ტიპი შემოქმედი, ნოვატორი, განცდისა და პოეზიის პრიმატით; მეორეა—ტიპი კომენტატორის, ინტერპრეტატორის, სხვისი ინტელექტუალური და იდეოლოგიური ბარგის „ნოსილშჩიკი"; მეორე ტიპი ხშირად ებრძვის პირველს ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ თავის დანიშნულებას ამართლებს პი-

ველის მოწყალეობით: მოღვაწეთა პირველ ტიპს შეადგენენ ყველა დიდი წინასწარმეტყველი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ყველა დიდი მოაზროვნე განცდისა და პოეზიის პრიმატით: მოღვაწეთა მეორე ტიპს შეადგენენ ცივილიზაციის ანტრეპრენიორები, დოცენტები პროფესორები-კომენტატორები, კუპლეტისტები და ჟონგლიორები.

ცივილიზაციას ჰქმნიან ბოლოსდაბოლოს მხოლოდ ისეთები, რომელთა სული შეყვარებულია მარადობას, რომელნიც ორგანიულად განიცდიან უსაზღვროებისა და წარმავლობის სევდას, რომელთაც ცხოვრება შეუძლიათ მხოლოდ ექსტაზისა და რომანტიკის სფეროში, მხოლოდ Sub specie aeternitatis, მხოლოდ ყოვლობის სიყვარულითა და პანთეიზმით.

ვაჟა-ფშაველასთვის ცოტაა სიტყვა „მწერალი“: ვაჟა-ფშაველა მოგვია ქართული სულის, რომელიც ისტორიულად გაიხიზნა მთაში გიორგი მთაწმინდელისა და რუსთაველის ინტელექტუალური ახდერძით; ვაჟა-ფშაველა დიდი მოძღვარია ქართული ეროვნული სიბრძნისა, რომელსაც არავისაგან არაფერი უსესხებია და რომელიც გამეცნიერდა თავის ტანჯვით, წუთი-სოფლურ ტყვეობაში გველის ხორცის ჭამით. ვაჟა-ფშაველამ დაგვანახა, რომ საქართველოს მივარდნილსა და განაპირებულ კუთხეებში ადგილი აქვს კაცობრიობის მაღალი და კეთილშობილი ზრახვების ინტენსიურ განცდას; ვაჟა-ფშაველამ დაგვანახა, რომ ქართული სული მთაში განიცდის ჰამლეტისა და ფაუსტის ტრაგედიას, რუსსოს და პიერ გიუნტის იდეებს, ლაფონტენის ზოომორფიულ იუმორს და შელლის პანთეისტურ სევდას; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მხატვრული განსახიერებაა ცნობიერების ანთროპომორფიზმისა და კაცობრიობის პანთეისტური ფილოსოფიის: ადამიანის სული თავის ლოგიკით და მორალით ვაჟა-ფშაველას შეაქვს ბუნებაში და ბუნებას ამოძრავებს, ამოქმედებს ადამიანისებურ ყოფაში, ადამიანისებურ განცდებში, ადამიანისებურ მეტყველებასა და გააზრებაში. ლიტერატურის ისტორიაში ასეთი ძლიერი ანთროპომორფიზმი არ ყოფილა; ბიბლიის შემდეგ კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი ინტენსიური სიმბოლიზაცია ბუნების მოვლენებისა და ასეთი ფსიქოლოგიური სიახლოვე ბუნებასთან. ვაჟა-ფშაველა ქვეყანას უყურებს როგორც ასულდგმულებულ და ცოცხალ ფენომენს; უსულო, არა ორგანიული ბუნება ვაჟა-ფშაველასთვის არ არსებობს: სამყარო ცოცხალია ყველა ფორმაში, მხოლოდ სიცოცხლე სხვადასხვაობს გარეგნულად; არსობრივი, თვითმომწყობი, იმმანენტური მხარე ყოვლობისა შეადგენს სულს და განცდას; უსულო და უსასაკო არაფერი არ არის ქვეყნად; არამც თუ მცენარეებსა და

ცხოველებს, კლდეებსაც და მთებსაც სული აქვთ და მათი სული შეიცავს ისეთივე განცდებს, ოცნებებს, ფიქრებს, ზრახვებს, ისეთივე გრძნობისა და სიხარულის შეგრძნობებს, როგორც ადამიანის სული. სამყაროს არსობრიობას, მის ლოგიკასა და მორალს, მის წყობასა და მიზეზებს საფუძვლად უდევს ადამიანობა; მცენარეები და მინერალები განიცდიან, იტანჯებიან, მხიარულობენ, ფიქრობენ, ზეიმობენ, როგორც ადამიანები; კლდეები და მთები, ხევები და ჭალები, ფერდობები და ბორცვები ატარებენ მსოფლიო სულიერობის თვისებებს; ფოთლებიც და ხიწვებიც, ჭაობებიც და მდინარეებიც მსოფლიო სულის მატარებელნი არიან: საგანთა ხმაურობა მსოფლიო სულის ენაა; ბარათაშვილს სწამდა, რომ „არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის"; დიდი რუსთაველის თქმით საგნები „რა ატირდის, ატირდიან, იმღერთ ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან". ქართული ლიტერატურა ასეთი პანსოფიური იდეებით უახლოვდება არისტოტელის ენტელექიის დიდ საკითხს: სამყარო არისტოტელის აზრით ასულდგმულებულია მთლიანად; მინერალებიდან დაწყებული ადამიანამდე მსოფლიო სული გადის ოთხ საფეხურს; პირველი—არის მინერალების საფეხური, მსოფლიო სული აქ ისვენებს და საგნები არ ინძრევიან; ქვა არის იქ, სადაც გუშინ იყო და ხვალაც იქ იქნება, სადაც დღეს არის, თუ გარეშე ძალამ არ გაიტანა სხვაგან. მინერალური სამყარო უძრაობაშია და ეს უძრაობა მატერიულ-სტატიურ ფორმაში იძლევა მსოფლიო სულის დასვენების მომენტს; რომელიმე დიდი გეოლოგიურ-კოსმიური კატასტროფის დროს ეს ფორმა ყოვლობისა შეიძლება გარდაიქმნას.

მეორე საფეხურს შეადგენს მცენარეული სამყარო—ხეებისა და ბალახების სამეფო; აქ მსოფლიო სული გრძნობს, მაგრამ ავტონომიური მოძრაობის პოტენცია მას კიდევ არ აქვს: მასში არის მხოლოდ ზანტი და გრძნეული ზმორება, რომელსაც არ ყოფნის დინამიკა შინაგანობის მატერიულ-იონურ რყევათა მოძრაობისათვის, ცხოველური სამყარო უკვე მოძრაობს ავტონომიურად და მსოფლიო სული ამ მოძრაობაში იღებს აქტიურ ფორმას; ცხოველური სამყარო ორგანიული მემკვიდრეა მცენარეული სამყაროისა ისე, როგორც ადამიანური სამყარო ორგანიული მემკვიდრეა ცხოველური სამყაროისა; მცენარეს აქვს გრძნობის პრიმატი, ცხოველს ნების, ადამიანს გონების (Logos); ხოლო მინერალებში სული მიძინებულია და თვისებებს არ იჩენს. ამრიგად უსაზღვროებაში სული მოძრაობს და მარადიულად იცვლის ფორმებს; სხვადასხვა ჯიში და გვარი საგნებისა სხვადასხვა ნაირად ატარებენ მსოფლიო სულს: მხეცი ღმუილით, მდი-

ნარე ტალღათა ჩხრიალით, ქვა რახუნით, ადამიანი აზრით—მსოფლიო სულის მატერიალიზაციაა. სამყარო უძრავი და უცვლელი რამ კი არ არის; სამყარო გრძნობითი და შემოქმედებითი პროცესია; მსოფლიო სული მოძრაობს, ღელავს, განიცდის; ცხოვრება შემოქმედებითი ღელვაა; Flut et reflux ორი სადგურია იმ დიდი მოგზაურობისა, რომელსაც აწარმოებს მსოფლიო სული საგნებსა და ბუნების მოვლენებში; ჰაერი, მთა, ბარი, ჭაობი, მდინარე, ხავსი კლდეზე—მსოფლიო სულით სუნთქავენ; ვაჟა-ფშაველა ერთად-ერთი და შეუდარებელი გამომსახველია ამ კოსმიურ-პანთეისტური გრძნობების ლიტერატურაში; „უსულო“ და „უსასაკო“ ბუნება ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ლაპარაკობს და განიცდის ისე, როგორც ადამიანი: ზღვა და ხმელეთი, მთა და ბარი, ვარსკვლავები და მთვარე, ავდარი, ჟინჟღი, კლდეები და ფერდობები. ხევები და მინდვრები ადამიანისებურად მოქმედებენ და ადამიანისებურად იქცევიან; ყური დაუგდეთ აბა რას ამბობს ხრიოკი კლდის მცენარე, უბრალო, მარტივი ქუჩი, რომლისთვის არავის მიუქცევია ყურადღება არასოდეს, რომელიც სამყაროს დაუსრულებლობაში პატარა, უმწეო და უსუსური რამ არის, რომელსაც თითქო არაფერი გაეგება, არაფერი ესმის:

„ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის, სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს, განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და იღბალი, შენი წარსული და მომავალიო!

— კლდეო! განა რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

— მე ვარ, ნუ გეშინია, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც კი ვარსებობდე; ისინი თვალ-დაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო. როდესაც ფიქრობენ, უსაზღვროა მათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბად დარდი რამ აწუხებს, სხვაფრივ შეუდრეკელი და გულ-მაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის. მეცა ვსტირი მაშინ. დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომელიც მუდამ თვალ-წინ უწყვია; ბევრიც რომ

უნდოდეს, თვალს ვერსაიდან მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ყრია ერთი-ერთმანეთზედ. კლდის ძუძუთგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდან როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავის მშობელს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა, მაგრამ არ შეუძლიანთ. მეც იმათ დავცქერი თავზე და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ, იმათთვის ეს მეტის-მეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გაღმა მთის ფერდიდან რომ გამომცქერიან. ტკბილათ დუდუნებენ. ტკბილათ იმღერიან ნაზის, დაბალის ხმით; ისინიც, როგორც მე, ბედკრული შეტრფიან პირი-მზეს. ლამაზო პირი-მზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალ-გულ-დამშეული შევსცქერივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას. ისე მიყვარს და ის კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერის, იმას ეტრფის. პირი-მზე მზის მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე თვალს და პირს მას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყენს სატრფოს განშორებას. პირი-მზეს ტირილი მეც ამატირებს. გუმინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელ ყეფას, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს ი დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველები გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდან ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდან მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები, მერე მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლს. იკურთხოს წვიმის გამჩენი! ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირი-მზე. თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა შენიო“!

მთის პატარა ბალახი თავის ყოფა-ცხოვრებაზე ლაპარაკობს: ამბობს, რომ განგებას ქვეყანაზე გაუწესებია, რომ მისთვის დედ-მამად კლდე მიუცია; „განგება“ გამოსახავს აუცილებლობას, რომელიც

ყოველ მოვლენას სამყაროში თავის ადგილს აძლევს, რომელიც აწესრიგებს საყოფა-ცხოვრებო ადგილებს; ქუჩსაც რგებია ვრცელ სამყაროში ერთი პატარა ადგილი, ისიც სადღაც კლდეზე; განა ცოტაა ასეთი დაჩაგრული და უბადრუკი არსნი ქვეყნად? ვინ იცის ცხოვრების უსაზღვროებაში შემოქმედებით ევოლიუციას რაოდენი უსამართლობა ჩაუდენია, რაოდენისთვის დიდი სიხარული, მზე და გამარჯვება მიუნიჭებია, რაოდენი დაულუპავს და დაუჩაგრავს. შემოქმედებითი ევოლიუციის ბრალია, რომ არწივი ლაღად ფრენს სივრცეში, ჭია კი დახოხავს საზიზღრად და საცოდავად ტალახში. ჩქარად მორბენალ მდინარეებში დანავარდობენ კალმახები, მდორე ჭაობში კი ჭია-ბუჭყები და ბაყაყები ცხოვრობენ. მაგრამ ყველგან არის შეგუება, მდგომარეობის ათვისება, მიღება ცხოვრების რეალური პირობების, რადგან სხვა საშვალება არ არის. შემოქმედებითი ევოლიუციის სტიქიურ-ირაციონალურ დენას შინაგანი აუცილებლობით ეგრე გაუწესებია; ვის რა ყოფა ერგო, იმას უნდა შეეგუოს, იქ უნდა იყოს, იქ არის მისი სამშობლო; და აი საწყალ ქუჩსაც რგებია ქვეყნად თავისი ადგილი სადღაც მთაზე; გარშემო არტყია „მაგრად დაჭედილი ლოდები; ვინ იცის სადამდი აქვთ გადგმული ძირი“, ზოგი იმათგან ყურსაც არ უგდებს ქუჩს, თითქო არც კი არსებობდეს: ისინი თვალთდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს; ქუჩს არ ეტყვიან ათასჯერაც რომ ჰკითხოს რას ეძებენ ან რა დაუკარგავთ ქვევით უფსკრულში. ქუჩი ვერ არკვევს ამ ლოდების ფიქრებს; ხანდახან კლდე ოხრავს, ალბად დარდი რამ აწუხებს, თუმცა შეუდრეკელია და გულმაგარი; როდესაც ზვავი დააწვება კლდეს, კლდე მძიმედ ამოიოხრებს, ხანდახან კიდეც სტირის; როდესაც ქუჩი თავის დედის ცრემლებს ხედავს, თვითონაც სტირის; კლდე სტირის თავის დახოცილ შვილებს, რომელნიც თვალთ წინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს თვალს ვერ მოაცილებს კლდე თავის დახოცილ შვილებს. ვინ არიან კლდის შვილები? — ესენი ის ლოდებია, დაბლა რომ ყრია ერთერთმანეთზედ, კლდის ძუძუდან მონაგლეჯი; ლოდები თითქო ცრემლიანი თვალებით ეკედრებიან კლდეს: აგვიყვანე მაღლაო. პატარა ქუჩის ხვედრი ქვეყნად, ლოდებისა და კლდის მშობლიური გრძნობები, კლდის ტირილი, გაჭირვება ზვავის დროს—მშვენიერი სახეებია ბუნების ანთროპომორფიზაციის, — და ამ მშვენიერ სახეს მოსდევს ქუჩის ეროტიკა, რომელიც ეტრფის იმ ყვავილებს, გალმა მთის ფერდიდან რომ იცქირებიან, ტკბილად რომ მღერიან; ქუჩს ყველა მოსწონს, მაგრამ განსაკუთრებით უყვარს პირი-მზე; საუბედუროდ პირი-მზე არავითარ ყურადღებას არ აქცევს შეყვარულ ქუჩს; პირი-

მზე მზეს უყურებს, მას მზე მოსწონს; როცა მზე ჩავა, პირი მზე დაიქვითინებს, იწყენს სატრფოს დაშორებას, შეწუხდება; პირი-მზეს ტირილი ქუჩსაც აატირებს იმიტომ, რომ ქუჩს პირი-მზე უყვარს: აქ ისეთივე სოციალიზაციაა გრძნობათა, როგორც მეწისქვილისა და ოთარაანთ ქვრივის შორის: შეყვარებულის წუხილი შეყვარებულსაც აწუხებს.

ქუჩი კიდევ უფრო შეწუხდება, როცა დააკვირდება თავის ყოველდღიურ ყოფას: პირი-მზე წმინდა, უცოდველია, ქუჩი კი ყოველთვის დასვრილია სისხლით; ბებერი არწივი, რომელიც ბუდობს ძის გვერდით, ყოველდღე დადის სანადიროდ, მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ქუჩის ზემოდან ერთს ლოდზე და სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის მას და ქუჩიც ისვრება ამ სისხლით; ქუჩს ტანზე ახმება ეს სისხლი, მაგრამ ბუნება შვილის ქუჩს: მოდის წვიმა და ბანს მის ტანს.

აქ მთელი ბრძოლაა არსებობისათვის: ბებერი არწივი სიმბოლოა ტიტანიური ბრძოლის; სისხლი, რომლითაც ისვრება ყოველდღიურად ქუჩი, ინთხევა მთელს სამყაროში და ქუჩი მოჭმეა უსინდისო და შეუბრალებელი ბრძოლის ადამიანთა შორის. დაბლა, შორს, ქუჩის წინ რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზედ მოხდა ამბავი, რომელსაც უყურებდა ქუჩი: „ორპირად, ორის მხრიდგან გამოჩნდა ხალხთა გროვა, ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზედ ისხდნენ ტურფად, მოხდენით და ერთმანეთისაკენ მიდიოდნენ სისწრაფით. სიშორის გამო არ მესმოდა რას ამბობდნენ. დაერივნენ ერთმანეთს. იარაღის ბრჭყვიალს თვალს ვერ უსწორებდი, მწვავდა. ერთმანეთს ცხენებიდან ჰყრიდნენ, მახვილსა სცემდნენ“. ბოლოს ამ სურათს ნისლი გადაეფარა და როდესაც ნისლი გადაიწმინდა, ქუჩმა ნახა მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზედ უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი სატირალი სურათი იყო და ქუჩმა იტირა კიდეც.

ქართველი მკითხველი სიამაყის გრძნობით აივსება, როდესაც მოიგონებს, რომ ეს ღრმა ფილოსოფია ცხოვრების პირველად ქართულად დაიწერა: ვაჟა-ფშაველა იძლევა პირდაპირ ეპიურ სურათს ომისას, რომელსაც ხედავს ქუჩი; ხოლო ნისლის შემდეგ ქუჩი ამჩნევს, რომ ადამიანები „უსულოდ“ ყრიან, როგორც ლოდები.

ვიქტორ ჰიუგო ამბობს: მთები წააგავენ გმირებს, რომელთაც სძინავთ; ვაჟა-ფშაველა მკვდრებს ლოდებს ადარებს; შედარება საინტერესოა წმინდა მეცნიერულ-გეოლოგიური თვალთახედვით: ლოდებიც ერთ დროს ცოცხალი არსებანი იყვნენ. ვინ იცის რაოდენი მილიარდი ცოცხალი არსი შედის თითოეულ ლოდში? მთები ხომ გეო-

ლოგიურად დაღუპულ სხეულებიდან წარმოიშვენ; იქ, სადაც ეხლა უზარმაზარი და ამაყი მთა დგას, უთვალავ წელთა განმავლობაში იღუპებოდნენ და ლპებოდნენ სიცოცხლისაგან დაცლილი ორგანიზმები, თანდათანობით ერთვოდენ გეოლოგიურ ფენებში წინაპრებს და ჟამთა სვლაში იქმნებოდა მთა; ქვეყანა სასაფლაოა და რაც ეხლა ხარობს დედა-მიწაზე, რაც ხმაურობს და ამაყობს, რაც იბრძვის თავხედურად და გამარჯვებულის ამპარტავანი პოზით დადის, მას თავის დროზე ბოლო მოეღება; ყველაფერი ჰქრება, რაც არსებობს; ყველაფერს ბოლო აქვს; დრო გლეჯს ყოფას, როგორც ბებერი არწივი როჭოს; არარაობის ხახაში იძირება ყველაფერი და წუთი არსებობის წარმავალია; ამიტომ სიყვარულის ნაზი გრძნობა იპყრობს პატარა ქუჩს და ბუნების უსაზღვრო არეზე, სავსე სიცოცხლის წყურვილით, წარმართული გრძნობის ორგანიული სიმთვრალით, ქუჩი ლოცულობს: „მზეო, დამხედე, წვიმავ დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამოთხრი, ნუ ამომაგდებ პირი-მზევ, ტურფავ, ლამაზო! შენი სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! საწყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ, შემიბრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული. არწივო, მედიდურო მფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველ სულდგმულთა სისხლს აქცევ; ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათ კვნესას; რადგან იმათი კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა. დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი“!

ქუჩი ლაპარაკობს როგორც ადამიანი, რომელსაც აუარებელი, მწვავე გრძნობები აწუხებენ; ქუჩი ეეედრება მზეს, ქუჩი ეტრფის პირი-მზეს; ქუჩი წინააღმდეგია არწივმა სისხლი დაანთხიოს და იმსხვერპლოს ვინმე: ქუჩს ყველა უყვარს ქვეყნად და არავის დაჩაგვრის სურვილი არა აქვს; მისთვის ქვეყანა ალერსისა და სიყვარულის მოედანია; ბრძოლას, შეტაკებას, სისხლის ღვრას, ღალატს, უწესო და უსინიდისო ცხოვრებას ქუჩი უარყოფს; ქუჩი მსჯელობს როგორც იდეალურად პატიოსანი ადამიანი, მაგრამ ამ მსჯელობაში მეშჩანიზმი არ არის: აქ რაღაც გამოუთქმელი და ძლიერი სევდაა იმ არსისა, რომელიც დაჩაგრულია და რომელსაც სიყვარული და სიცოცხლე უნდა; აქ არის ფაქტიურად მსჯელობა ადამიანისა და პრინციპები ადამიანის მორალისა: ვაჟა-ფშაველას ბუნებაში შეაქვს ადამიანის სული, რადგან იცის, რომ ადამიანობის მიღმა არ არსებობს აზრი და ფორმა ყოფისა, არ არსებობს „ფიზიკური“, რეალური

წესი, არ არსებობს სამართლიანობა, პატიოსნება და ჭეშმარიტება; ადამიანია შემცველი ცხოვრების აზრის და წესრიგის; მხოლოდ ადამიანშია ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის ფორმულა ყოვლობისა; ვაჟა-ფშაველა აქ ძალიან ახლო არის მორის მეტერლინკთან, რომლის აზრით იდეა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ადამიანს მოაქვს ქვეყნად*; ბუნება ჩვენს სურვილებს კი არ უწევს ანგარიშს: პირიქით, ჩვენ ვეგუებით ბუნებას და ვაწყობთ ჩვენს სულსა და ხასიათს ისე, როგორც მოსწონს ბუნების მოვლენათა კუთხებრივ წყობას—ადგილობრივ ყოფას.

ადამიანი უახლოვდება რა ბუნებას, ღრმავდება სულით, ფართოვდება გრძნობით, ივსება სურვილებით: ადამიანი ბუნების სიახლოვეს როცა არის, უფრო კეთილშობილია, უფრო გულკეთილია, უფრო ადამიანია; ბუნების წიაღში ადამიანის სული იწმინდება: მას შორდება წუთისოფლის ჭუჭყი, ჩვეულებათა ბორკილები, ხავსი წარსულის; ადამიანი ბუნებაში ყოველთვის წარმართია და ამიტომ იყო, რომ ფაუსტს მეფისტოფელი ძაღლის სახით წამოყვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაუსტმა მიატოვა წიგნები, ალქიმიის ლაბორატორია და გაისეირნა მინდვრად.

ბუნებასთან დაახლოება უდიდეს სიბრძნეს ნიშნავს და ამიტომაა, რომ ვაჟა-ფშაველა და მისი მინდია ეგრე ღრმად და დიდი ინტუიციით ითვისებენ ბუნების საიდუმლოებას; აი რა მშვენივრად ალაპარაკებს ვაჟა-ფშაველა გადაჭრილი მუხის გამხმარ ფესვებს, რა საუცხოვო გრძნობებია ამ ფესვების სიტყვებში, რა კარგადაა ჩაქსოვილი ადამიანის ფსიქოლოგია, მისი ფიქრები მცენარის ფიქრებში:

„ნუ გეშინიან, არა ვართ გველები. ამ მაღალ მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავნებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნული ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, სანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერთი მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთ დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელყელაობდა, ჩვენც ამით მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულ-შეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

* მეტერლინკი Le double jardin, p. 33. Temple p. 4—5.

— თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგი — ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედა-მიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წევით მუხლ-მოდრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენი საყვარელი შვილისთვის. მისი გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთ, ერთმანეთს ამ სიტყვებით ვამხნევებდით. დაისვენე დედამიწავ, დაისვენე. ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვყავს, ჩვენცა ვხმებით, ხმელსა და მკვდარს საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალ-ცრემლიანი, ადგა ცულდით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენი შვილის კვნესა. ცულდს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენ სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავპირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერს, ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“, — კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომ და არაფერიო. იგი ვერა ჰხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამიწაც აატირა: „საწყლებო“ — ბუზღუნებდა ისიც, რისთვის, ვისთვის იწვალეთ, ან მე ვისთვის ვწვალობ; ვინ არის მადლობის მთქმელიო“!...

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავ დროს წინ წამოწვდილს, შოროიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს!.. უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასათვის ის ზრუნავს, ყველა იმის ხურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გაზომზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!“

მუხის ფესვები, ისე როგორც ადამიანები თავიანთ უნუგეშო ყოფას ტირიან და ამ ტირილში ისმის დიდი ხმა ადამიანის სიბრძნისა, მისი შიშისა და მდგომარეობის ქვეყნად: „ნუ გეშინიანთ, არა ვართ გველები. ამ მაღალ მთაზე გველს რა უნდა?“ — ეუბნებიან მუხის ფესვები ადამიანებს. მუხის ფესვებს სახე დაჭმუჭვნილი აქვთ, მაგრამ იყო დრო, როდესაც მათ სილამაზე და სიცოცხლე არ აკლდათ; მუხის ფესვები ქვეყნად მოღვაწეობდენ, ძუძუს აწოვებდენ უხარმაზარ მუხას; მათი შრომით და ოფლით, მათი ენერგიით მუხა ყელყელაობდა. მუხა მოჭრეს ადამიანებმა; როდესაც ცულდს სცემდენ და ჭრიდენ მუხას, მუხა ტიროდა, ყვიროდა, მაგრამ ადამიანები მუხის ყვირილს „რაკუნს“ ეძახოდენ; ვერ გაუგიათ ადამიანებს, რომ რასაც ისინი „რაკუნს“ ეძახიან, ტკი-

ვილისაგან გამოწვეული ხმაურობაა, ორგანიული განცდის ნაყოფია; მუხის ფესვები ისე ტკბილად ბაასობენ, თავიანთ ყოფას ისე კარგად ახასიათებენ, იმდენი ფსიქოლოგიური და სიმბოლიური სიმართლეა ამ დახასიათებაში, რომ თქვენს წინაშე ბუნება იშლება როგორც ვრცელი არე ადამიანური განცდებისა, ტკივილთა, სიყვარულისა, ჭეშმარიტებისა და სიმართლის.

ლიტერატურაში ყოველთვის პრანჭია შეყვარებულები მოქმედებენ: ერთმანეთს ატყუებენ, ერთმანეთს უახლოვდებიან და ისევ შორდებიან; აქამდე ლიტერატურა იყო მხოლოდ ადამიანების მოქმედებათა გამოსახვა; ეხლა ლიტერატურაში შემოდიან უბრალო და გამხმარი მუხის ფესვები: ისინიც მოგვითხრობენ თავიანთ სევდასა და გაჭირვებაზე, ისინიც განიცდიან უსამართლობას და დევნას; მართალია, რუსსო, ბერნარდენ სენ-პიერი, როსტანი, რაბინდრანათ თაგორი ლამაზად და ცოცხლად წერენ ბუნების შესახებ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ეტყობა ისეთი უმეშვეო და ღრმა ცოდნა ბუნების მოვლენებისა, ისეთი სიყვარული, ისეთი სიახლოვე, როგორც ვაჟა-ფშაველას. მსოფლიო ლიტერატურაში ჯერ ასე ლამაზ ფორმაში, ასე დიად სიმბოლოებში ბუნება არ გამოსახულა.

მე არ მეგულება მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი დიდი ღირებულების პოემები, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას „ბუნების მგოსნები“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ხმელი წიფელი“, „ია“, „ბუნების წიაღზე“, „მთანი მაღალნი“, „მთის წყარო“ და სხვა. ამ პოემებში მოძრაობს და სუნთქავს მთელი ბუნება თავისი დაუსრულებელი სხვადასხვაობით: აქ არ არის არც მაშინების გრაგანი, არც რკინა და ფოლადი, არც ღვედების თქრიალი, არც ასფალტი, არც კოსმეტიკა და პომადაწასმული კოპწია დემუაზელები; აქ არც რევერანსებია, არც მეშჩანური ბოდიში და ფარისევლური ღიმილი, არც გარყვნა და სიცრუე ცივილიზაციისა; თქვენ ხართ ბუნების წიაღში: თქვენ გარშემო ავტომობილებისა და რონდების მაგიერ გაშლილია ბუნების გულმკერდი—მინერალებისა, ფრინველებისა და ცხოველების სამყარო—მთანი მაღალნი, მუხის ფესვები, მთის წყარო, ხმელი წიფელი, კლდე და მდინარე, ქუჩი და არწივი, ჩხიკვი, ყვავი, შაშვი, სვავი, შველი. თქვენ მეტად ახლო გრძნობთ თავს ბუნებასთან: თქვენი სული და გრძნობანი გადატანილია ბუნების წიაღში; თქვენი შეგნებით და მორალური შეხედულებით დამშვენებულია ბუნება, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანთა შეხედულებით, არც ენა აქვს და არც გონება. წაიკითხავთ თუ არა ვაჟა-ფშაველას, თქვენ გჯერათ, რომ ადამიანისა და ბუნების შორის არსე-

ბობს მჭიდრო კავშირი, გვჯერათ, რომ ბუნებას აქვს სული, აზრი, განცდა, სიხარული, ტკივილები; ერთი სიტყვით გვჯერათ, რომ ბუნება ნათესავია ადამიანის, რომ ადამიანი თავის ტანისა და სულის თვისებებით ბუნების წიაღიდან წარმოიშვა.

თუმცა ვაჟა-ფშაველას ბიოლოგიის სახელმძღვანელო არ დაუწერია, არც სადოცენტო დისერტაცია დაუცავს, მაგრამ ისეთივე დიდი ბიოლოგია, როგორც დარვინი: ვაჟა-ფშაველამ ბევრი რამ ისეთი იცის, რაც დიდმა ბიოლოგებმა არ იციან; ვაჟა-ფშაველამ ბიოლოგია და ბიოლოგიური ფსიქოლოგია გადაიტანა მხატვრულ ლიტერატურაში და რასაც დიდი ბიოლოგები აკადემიური სტილით და მძიმე ტერმინებით ამბობენ, იმას ვაჟა-ფშაველა ესთეტიურ სახეებში იძლევა. „ბუნების მგოსნები“-ს გმირი „შაშვი ამ ჟამად თავის თავს გამარჯვებულად სთვლიდა. აღფრთოვანებული იყო: ღმერთს, ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას,—ყველაფერს მადლობას სწირავდა. მას აღარავინ სძულდა. ჩხიკვი, შაშვის მოსისხლე მტერიც კი, მოკეთედ ეჩვენებოდა“. გეგონებათ: ლიობოკი წერსო: აღფრთოვანება იწვევს სიყვარულის ექსტაზში გულკეთილობას, საერთო, უნივერსალურ, კოსმიურ სიყვარულის გრძნობას; ამ დროს სიძულვილი და ზიზღი სულმა არ იცის; შეყვარებული სული ყოველთვის გულკეთილია და მტერსაც კი სიყვარულით უყურებს; შაშვიც ეგრე არის: იგი შეხარის ტყეს, მთებს, დედა-მიწას და ექსტაზის წუთებში ივიწყებს ბოროტებას, შურს, მტრობას, გაუტანლობას; ამაზე ლაპარაკობს ინგლისელი მორალისტი ლიობოკი, როდესაც ამტკიცებს სიყვარულის მორალურ მნიშვნელობას და მის გამწმენდ ხასიათს; ამაზე ლაპარაკობს პუშკინიც, როდესაც ტატიანას ათქმევინებს ევგენი ონეგინის მიმართ: Ты говорил со мной в тиши, когда я бедным помогала или молитвой услаждала тоску волнуемой души. ვინც შეყვარებულია, მას ხშირად ქვეყნისათვის სიკეთე უნდა; სადაც სიყვარული და ექსტაზი არ არის, იქ სული შურსა და მტრობას ეჩვევა; ვაჟა-ფშაველა დიდი ფსიქოლოგია და მან ეს ამბავი იცის ისე კარგად, რომ შაშვის განცდაში იძლევა სიმბოლოს ადამიანის განცდისას.

მოვუსმინოთ ვაჟა-ფშაველას: ერთ საღამოს „აივანზე ისხდენ მოხუცი მღვდელი ეროდიონი და მისი ერთად-ერთი შვილი, სემენარიელი ვანო, ჩაის შეექცეოდენენ. ამ დროს ტყეში იწყებს სიმღერას შაშვი და ცოტა ხნის შემდეგ ბულბული: თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას,—ამბობს ვაჟა-ფშაველა გვყავს საკუთარი რუსთაველები, შექსპირები, ჰომეროსები, უტყვ ბუნებასაც—ტყეს, ფრინველებს, ცხოველებს ჰყავს თავიანთი შექსპირი და რუსთაველი, რომელთა ტკბილი

გალობანი „გამოსცემენ სახიობასა“ ბუნების სულისას და რომელთათვის ბუნების წიაღში დროგამოშვებით შეიძლება იმართება იუბილეები ისე, როგორც ჩვენი არტისტებისა და მწერლებისათვის. ვაჟა-ფშაველას იუბილეის აღსანიშნავად გამოყავს სხვადასხვა ფრინველი და ისე ახასიათებს მათ ცალ-ცალკეულად, რომ, ვფიქრობ, უკეთესად ვერც ერთი ბიოლოგი ვერ დაახასიათებდა: ვაჟა-ფშაველა იძლევა თითოეული ფრინველის ტანისა და სულის თავისებურობას რეალისტურ ხაზებში, ხოლო რეალიზმი სავსეა სიმბოლიური გამოთქმებით, რომელნიც ბოლოს და ბოლოს ბუნებასთან ერთად, ადამიანებსაც გულისხმობენ; აი ფრინველები შეკრებილან და გაუმართავთ ბულბულის იუბილე, დეპუტატები მოდიან და ულოცავენ.

„შენ, ეი, ჩიტუნიავ! მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი, მოგილოცო შენი დღესასწაული. ამით თავს ნუ მოიწონებ, ნუ გაბრიყვდები. კვლავ ასიამოვნე ფრინველნი შენის გალობით. მეც გამიგონია შენი გალობა, მაგრამ უნდა გითხრა, ისე არ მომწონს, როგორც უმრავლესობას, რადგან შენი გალობა ერთობ ნაზია, ლაჩრული: არ გამოისმის მასში ჭექა ვაჟკაცური. შენ თავადაც, როგორც სუსტი აგებულობისა, გალეული, ულონო ხარ და მასთან ლაჩარი. ეგ არა ჰშვენის არავის. მამაცობა და გაბედულება არის უპირველესი ღირსება ყველასათვის. შენ, ვგონებ, რომ ღობემძვრალასაც კი ვერ გაუმკლავდები: ეგ ვერაფერი ბიჭობაა. გაგიმარჯოს და ეს ჩემ მიერ აღნიშნული ღირსებაც მოგანიჭოს ღმერთმა!“ გაისმა „ვაშას“ ძახილი.

ბულბული მიუგებს პასუხად: „დიდებულო მეფევ! მე არ გახლავარ მეომარი და სისხლის მღვრელი. რაში გამომადგება, ეგ რომ შეიძინო? მაშინ, რაც ღირსება მაქვს, დავკარგავ და აღარც ვიქნები ბულბული. მოსისხლე სული და გული ვეღარ გამოსცემს იმ ხმებს, რისთვისაც მემადლიერებიან ყველანი. თუნდა ესეც არ იყოს, ჩემი გულადობა ვისთვის რა საშიში უნდა იყოს? ბალახის რაიმე მარცვლის შეჭმის დროს თუ არ ვიფთხვე, ნისკარტი მომტყდება, და თუ მაგრად, კარგად არ ჩავავლე რაიმე ტოტს ფეხები, მაშინათვე მომეგრიხება: ლამის არის ისინიც დამემტვრეს. ბუნებამ ჩემთვის გაიმეტა მხოლოდ ხმა და გალობის უნარი; დანარჩენს ტყუილად შეეპოტინები: არაფერი გამოვა. თქვენი დიდებულების ჭკუა-გონება ამას ძალიან კარგად მიჰხვდება. თქვენ რაც ისურვეთ ჩემთვის, დიაღაც კარგია, მაგრამ“... ბულბული გაჩუმდა და თავი დაბლა დაჰკიდა... ფრინველთ, რასაკვირველია, „ვაშას“ ძახილით დაადასტურეს ბულბულის სიტყვა. ხოლო არწივმა ბღვერით გადაუნათა თვალები. ამავე თვალებით თითქო ისიც ეთანხმებოდა ბულბულს, თუმცა მისდამი სიბრა-

ლულიც-კი გამოიხატა. არწივი გაბობღდა გვერდზე; ამით გზა გაუხსნა ფრინველებს ბულბულს რიგ-რიგათ წარსდგომოდნენ და გამოეცხადებინათ მისთვის თანაგრძნობა.

არწივის შემდეგ გადმოაფლაშუნებს სვავი; სხვებს როდი აცლის: ცდილობს, უნდა კარგი რამ წარმოსთქვას, ახრანტალებს ყელში, და ბოლოს, როგორც იყო, გამოაგნო სიტყვები. ხოლო თვალი უფრო არწივზე აქვს, ვიდრე ბულბულზე: ცდილობს თავის ლაპარაკით მოეწონოს ფრინველთა მეფეს, რადგან იმის ნარჩომით ბევრჯელ გამაძღარა და იმედი აქვს, შემდეგშიაც არ მოაკლებს მეფე მოწყალებას. სვავს ბულბულის პიროვნება მაგდენად არ ეპრიანება. სვავი იბღინძება, ოავი მოსწონს ტანადობით, ახოვნობით. თავის-თავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის, რაიც ფრინველთა „უგუნურებას“ ღირსეულად ვერ დაუფასებია. თვალებს თავ-მომწონედ აბღვრიალებს და ჩიჩახვს ისიებს. ფრინველები სიცილით იხოცებიან, ზოგი ესწრაფვის დაუყვიროს: დაიკარგე მანდედანო, მაგრამ სხვები აჩერებენ — მოითმინეთ, ვნახოთ, რას იტყვისო. სვავი ცდილობს ლაპარაკში არწივს მიჰბაძოს, კილო არწივისა მიიღოს: „შენ, ჩიტუნიავ, მომილოცნია! (რას ულოცავს, ის ავიწყდება, ალბად არ იცის). ძალიან პატარა ყოფილხარ და სახელი კი დიდი გაქვს. არ ვიცი, ღმერთმანი, ასე რად ხდება? შენი გალობა ბევრჯელ მესმის და კმაყოფილიცა ვარ, მხოლოდ ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ლეშის მადას მიკარგავს, ცოტა ეს არ მომწონს (ფრინველებში სიცილია)“.

აქ თითოეული სტრიქონი ახასიათებს იმ თავისებურობას სულისას, რომელიც მოაქვს გენეტიურად ჯიშს, მემკვიდრეობას: ამაყ არწივს არ მოსწონს ბულბულის ხმა, რადგან ეს ხმა რაღაც ნაზსა და ლაჩრულ გრძნობებს იწვევს; ამ ხმაში არ არის ვაჟკაცური ჭექა, შამაცობა და გაბედულება; არწივის დაფასება ფსიქოლოგიურად გამომდინარეობს არწივის ორგანიულ-ბიოლოგიურ აგებულებიდან; სულ სხვა არის სვავი: მას ბულბულის სიმღერა იმიტომ არ მოსწონს, რომ ლეშის მადა ეკარგება მის მოსმენის დროს; სვავი თვალებს თავმომწონედ აბღვრიალებს, იბღინძება, ჩიჩაყვს ისიებს, ცდილობს არწივს დაემსგავსოს, რაღაცას ამბობს და თვითონაც არ იცის-რას ამბობს; ფრინველებში სიცილს იწვევს; აქ მთელი ზოოფსიქოლოგიაა მოცემული მხატვრულ სახეებში; აქ ლაპარაკობს ბიოლოგი-ესთეტი დიდი ინტუიციით და ვირტუოზულ გამოთქმებით, დიდი შემოქმედებითი ნიჭით; ვერც ედმონდ როსტანი, ვერც რუსსო ეგრე სახიერად ვერ იტყვიან — რას აკეთებს და რასაც გრძნობს ბუნება - დიდი და საიდუმლოების შემცველი წიგნი მარადობისა.

ვაჟა-ფშაველა ჭეშმარიტ მეტია ვიდრე პოეტი-მხატვარი, იგი ბუნების ფილოსოფოსია; დააკვირდით რა მშვენიერებით აგვიწერს იგი ძლიერის სულგრძელობას და ამ სულგრძელობის ესთეტიურ სიდიადეს, მეორე მხრით ბუნებრივად სუსტის სინაზეს და სიყვარულს:

„ახოვანნო ფრინველნო, ვაჟკაცნო ხმლიანნო! დაიწიეთ უკან. უკან; ცოტა შორს დადექით, ნება მივცეთ სუსტ, უძლურ ფრინველთ მიესალმნენ თავიანთ თანამოძმეს!“—ბრძანა არწივმა.

მისი ნება იმ წუთსვე ასრულდა.

ან-კი ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია?

გადმოფრინდა ქედანი, მივიდა ბულბულთან ახლო, ჰკოცნიდა, ეხვევოდა, ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა, თვალთაგან ღაპა-ღუპით ცრემლი ჩამოსდიოდა:

„იცოცხლე, გენაცვალე, თავს შემოგევლე, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო ლამაზო, ჩვენო დიდებავ! ვითომ ჩვენცა ვართ ქვეყანაზე! ჩვენც ფრინველები გვქვიან, ჩვენც ვითომ ვგალობთ! განა ღირსი ვარ სიცოცხლისა? ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ერთად-ერთი სიმღერა ვისწავლე, ისიც შენი ზედგავლენით“.

ახლა მოვისმინოთ — როგორ მოგითხრობს ვაჟა-ფშაველა მასხარა ჩხიკვის ხასიათს და ფრინველთა კონცერტის სილამაზეს ტყეში.

„ბატონებო და ქალბატონებო!—იძახოდა ჩხიკვი, — სმენა იყოს და გაგონება: ჩვენ ყველანი, მართალია, ბულბულს ვაქებთ, მაგრამ გარდა ბულბულისა აქ სხვა მგალობლებიც გახლავან! კარგათ აახილეთ თვალები და კარგათ დააცქერდით. ჰხედავთ? აი დიდებული ყვავი და აგერ სახელოვანი ძერა, რომელთა გალობა მე ძალიან მომწონს, თუმცა ჯერ მათი მღერა კრიტიკულად არ დაფასებულა და ერთი დრო იქნება, რომ ბულბული დაგავიწყდეთ და ყველას ყვავისა და ძერის სახელი ეკეროს ენაზე. ძერის გალობა, მაგალითად: თქვენ ეხუმრებით ცაში როგორ ტრიალებს და თანაც წვრილის ხმით „წიო, წიოს“ იძახის. ყვავს ხომ დილა-საღამო, ზამთარ-ზაფხული არაფრად გააჩნია, ზის—ჩხავის, დაფრინავს — ჩხავის. უნდა მაგათაც გაუმართოთ იუბილეი, მხოლოდ ახლა ერთსა, გთხოვთ, ბატონებო, ყველას: შემოკრბით ერთად,—მღერა ავად თუ კარგად ყველასაც შეგვიძლიან,—შევკრათ ხორო და ერთი სიმღერა შევაწიოთ ჩვენ ძვირფას მგოსანს, ხოლო პირველს ყვავი და ძერა იტყვიან, მე და კოდალა მოძახილს გეტყვით და დანარჩენები ბანს. ვნახოთ, რა გამოვა“.

ფრინველნი სიცილით იხოცებოდენ. შემოკრბენ ერთად ყველანი და დააგუგუნეს ერთ-ხმათ დიდებული სიმღერა. ისეთი ჟრიამული ასტყდა, რომ ტყე ზანზარებდა. არწივმა და მისმა ამალამაც

იმღერა ჰიმნი. დიდებული სანახავი იყო ამ დროს ფრინველთა კრებაზ.

ნაზი ბულბული, ამაყი არწივი, მყრალი სვავი, სწრაფი შევარდენი, მასხარა ჩხიკვი — აი ვაჟა-ფშაველას გმირები; თქვენ წინ გაშლილია ბუნება და ფრინველთა სამეფო; თითოეულ ფრინველს ვაჟა-ფშაველა ისე კარგად იცნობს, როგორც დიდი ბუნებისმეტყველი; თითოეული ფრინველის თვისებაში ყოველთვის აღმოაჩენთ რაღაც ადამიანურს, ქვეყნიურს, პლანეტარულს, თქვენ ფსიქოლოგიურად უახლოვდებით ბუნებას.

აიღეთ მოთხრობა „ჩხიკვთა ქორწილი“: სინამდვილეში არც ესაა მოთხრობა; ესეც დიდი პოემაა და ამ პოემის მთავარი გმირი მასსაა, მაგრამ არა ადამიანთა, არამედ ფრინველთა; ტყეში გამართულია ქორწილი; ფრინველები სვამენ და ღრეობენ, თითოეული ფრინველი თავისებურად იქცევა, თავისებურად მასხრობს, ლაპარაკობს, თავისებურად განიცდის; სიხარული და მოძრაობა, ექსტაზი, მილოცვები, სხვადასხვაობა სულისა და აზრის, რომელიც მომდინარეობს ორგანოტროპიულად ჯიშის თავისებურობიდან, მეგობრობისა და ნათესაობის გრძნობა, ხასიათის სინაზე და გულჩვილობა, ტყისა, მიწისა და ბალახის შეგრძნობა — აი რას იძლევა ვაჟა-ფშაველა; თითქოს თქვენ სუნთქავთ თქვენი ფილტვების სიღრმეებით ტყისა და გაშლილი ბუნების ჰაერს; თქვენ გრძნობთ, რომ ქვეყანა დიდია, ქვეყნად აუარებელი განცდა და გრძნობებია, ქვეყანას აქვს სული. „ჩხიკვთა ქორწილი“ ბუნების ძალთა ესთეტიური დემონსტრაციაა: ყოვლობის ეროსი თვრება ორგანიული ყოფის ბედნიერებით და თითოეული არსი იღებს მონაწილეობას საერთო ზეიმში, რომელიც მოწყობილია დაუსრულებელი და ფერადი ბუნების პატარა კუთხეში და რომლიდან სული ექსტაზის წუთებში ილტვის უსაზღვროებისაკენ.

პანთეიზმი და ბიოფსიქიზმი

ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ყოველგან მოძრაობს სული, ენტელექია, ძალა რაღაც გამოუთქმელი, ძლიერი, ცვალებადი, მაგრამ მარადიული და მოხეტიალე ბუნების მოვლენებში; მინერალებისა და მცენარეების სამყარო მგრძნობიერია და სულიერი ისე, როგორც ადამიანებისა და ცხოველების; ბუნება ცოცხალია: იგი ადამიანივით გრძნობს, ადამიანივით ფიქრობს; აღელვებული არაგვი „მთა-კლდეს გასტირის; „ხევებში **ჩადგა** გრილები; ისმის ყვირილი წყლებისა“; „კლდის თავზე დასძინებია არწივს“; „სდუმან, არას ამბობენ ჩხიკვები“; „ჯიხვები დადიან კლდეზე რქების ლესითა“; „ახველდებიან ხევები ვით ავადმყოფნი ჭლექითა“; „ფიქრობს ხმელი

წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე; გულში თითქო ღრმად ჩასჭედია მწუხარება"; „ტურფად გალობენ ჩიტები; პირს ბანენ ბუნების მგოსნებს ციური მარგალიტები"; „ბალახი ჰკოცნის ბალახსა, დილის ნიავი ყველათა, როგორც რომ დედა მშობელი, თავს დასტრიალებს მცველადა; ფერად-ფერადი ყვავილნი თითქოს გაშლილან". მთის ძირში სძინავს შავ ნისლსა, სჩანს უზარ-მაზარ გველადა", „მთები ღრმა ფიქრებით შებურვილან". „ხევში ბობოქრობს მდინარე მყვირალი, გაღორებული"... ეს პანთეისტური სოფლგაგებაა რადიკალური ანთროპომორფიზმის ფორმაში: ჩვენ განგებ ხაზი გავუსვით ზმნებს, რომელთაც ხმარობს ვაჟა-ფშაველა და რომელნიც გადატანილია ადამიანის სამყაროდან ბუნებაში; საკვირველია, რომ ბუნების ასეთ გაადამიანებაში არსად სჩანს ნასახი მისტიციზმისა; აქ არის გაშიშვლებული წარმართული, პაგანისტური სოფლშეგრძნობა; აქ მისტიკა არ არის; სული პირდაპირ იჭრება საგნობრივობაში, არსთა სტიქიურ-ირაციონალურ მოძრაობაში და თქვენ განიცდით ბუნებას როგორც ელლინი, როგორც შეყვარებული თავის სულის ხილვას; ვაჟა-ფშაველას არ ეტყობა, რომ იგი ქრისტიანია და მორწმუნე: პირიქით — სული მისი პანთეიზმისა და პაგანიზმის სადგურია: დედამიწა, ბუნების ხორცი, მატერია გრძნეული და მღელვარე, ტანი, სხეული, ამოძრავებული ენტელექიით — მსოფლიო სულით — აი ვაჟა-ფშაველას ქვეყანა. ბიოფსიქიზმი ვაჟა-ფშაველას ესთეტიურ-ფილოსოფიური მოძღვრებაა.

ვაჟა-ფშაველა ლაპარაკობს როგორც დიდი მოძღვარი ბუნების კულტისა და თითოეულ მის თქმაში არის შეუდარებელი ორიგინალობა: „დღემ დაიხურა პირ-ბადე, მთებმა დახუჭეს თვალები"; „ოცნება ტანჯულის ქვეყნის ქვითინებს მთისა წვერზედა". რომელი ოსკარ უაილდი ან ნიცშე შეედრება ვაჟა-ფშაველას გამოთქმის სიმბოლიზაციაში; ვაჟა-ფშაველა სიმბოლიზმის მისანია და მარჯვედ ჭრის სახეებს, როგორც დიდი ვირტუოზი განცდისა და მეტყველების; რა შორს არის ვაჟა-ფშაველა იმ უნაყოფო დეკადენტურ-დილეტანტურ წვალებიდან, რომლითაც შემოდიან დღეს ლიტერატურაში თავაწყვეტილი ბრიგანდები და რომელიც ხელოსნობაა და არა ხელოვნება; ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი სული ლაღად და თავისუფლად მომდინარეობს, როგორც მთის დიდი და ანკარა წყარო; პოეტი პირდაპირ აქანდაკებს ქართულ გამოთქმათა ფორმებს; უმარტივესი ფორმა ცხოვრებისა, უბრალო სურათი ყოველდღიური წუთისოფლური ყოფისა ვაჟა-ფშაველას პოეტურ წარმოსახვაში შექსპირისებური მეტყველებით სახიერდება:

ჭია-კოკოლას ანთებენ
ზედა ხტებიან ბალღები,
ეზოში ჭუჭულებითურთ
მწვანეს კორტნიან ბატები...
მზის ყუდროს მისჩერებიან
დედა-ბუდიან კატები;
კრუხი მიუძღვის წიწილებს,
ხმას იბოხებენ მამლები...

კუნთებიანი, ძარღვიანი, წახნაგიანი, სისხლიანი ყოფა წუთისოფლისა პირდაპირ გადმოდის ლიტერატურაში: ბატები კორტნიან მწვანეს, მზის ყუდროს მისჩერებიან კატები, კრუხი წიწილებს მიუძღვის და მამლები იბოხებენ ხმას; პოეტური სახეები შემოქმედებით წარმოსახვაში ლაღად დასრიალობენ, როგორც ნავები ოკეანის გაშლილ მკერდზე.

ვაჟა-ფშაველა იღებს არსებობისათვის ბრძოლის და სიცოცხლის მობრუნების იდეას: სადად, მარტივად, ლამაზად ეხება იმ დიდ საკითხებს, რომელთაც ეხებოდენ კაცობრიობის გონებისა და სულის დიდი წარმომადგენლები: სოლომონ ბრძენი („ეკლეზიასტი"), ლუკრეციუსი კარა, ნიცშე. „სად მოსცანცარებ, სად, შენ, ეი, ბრუციანო! ტალახი მაინც მოიშორე ფეხებიდან!—წყრებოდა მდელო დიდს, უღრანს ტყეში მომწყვდეული და ათასფერად ყვავილებით აჭრელებული. კურდღელი კი ყურსაც არ უგდებდა, დაკუნთრუშობდა, ლაღობდა; არ იცოდა, რასა შვრებოდა ბუნების ეშხით დამთვრალი. ნავარდობდა კურდღელი და თანაც მწვანე ბალახს შეექცეოდა, ხოლო, ხანდახან წაულაპარაკებდა:—კარგი ერთი, ღმერთი გაგახარებს, ეგ რა სათქმელია! მაშ, სადღა წავიდე, მითხარი, სად, როცა შენზე კარგსა და ლამაზს ვერავის ვხედავ ამ დედა-მიწის ზურგზე". სიცოცხლის ეროსი, ცხოვრების ხალისი, სიხარული არსებობის, ბუნების ეშხით სიმთვრალე ალერსითა და ტკბილი გრძნობებით თავდება: „კარგი ერთი, ღმერთი გაგახარებს ეგ რა სათქმელია"— ეუბნება კურდღელი მდელოს და ამ სიტყვებში ისმის უნაზესი თქმის. რეზონანსი, უმშვენიერესი სულის არსებობა ქვეყნად.

მაგრამ კიდევ მოვისმინოთ ანთროპომორფიული დიალოგი კურდღლისა და მდელოს შორის—დიალოგი სადა და მშვენიერი—დიალოგი სავსე სიცოცხლით, ბუნების გულუბრყვილო ღაღადით:

— ისე მაინც დაადგი ფეხები, ყვავილები არ გასთელო! — დუდუნებდა მდელო.

— აბა, რა სათქმელია! კიდეც ის მიყვარს, რომ ყვავილებს ვადგამდე ფეხებსა, და არა მარტო ფეხებს, მთელ ბის ტანით ყვავილებში ვიყო გახვეული,—უპასუხებდა კურდღელი.

— შენ-კი გაქრი, აჰაანდე!—დუდუნებდენ ყვავილები:— ხანდახან რომ კისერსაცა გვტეხავ, შე კისერ-მოსატეხო! მთელ დღე-ღამეს, ვიდრე წყლული არ გაგვიმთელდება და მაღლა თავს არ ავიღებთ, ვკვნესით, ვიტანჯებით.

— თქვენ, ქალბატონებო, რატომ ღმერთს მადლობას არა სწირავთ, რომ სრულიად არ გისპობთ სიცოცხლეს, არა გსრესავთ— ამბობდა კურდღელი.

— ერთი ამას უყუროს კაცმა! სიცოცხლის მოსპობასაც გვემართლები? ის არ გეყოფა, რაც ჩვენ თავზე ოინებს ეწევი, სიკვდილსაც არ გვიქადოდე? რა უზრდელი რამა ხარ!... მიყვარხართო! კაი სიყვარულია, თქვენმა მზემ, ადამიანს თავპირს ამტვრევდე!.. გვერდებს ალეწდე!.. ძალიან სიყვარულია! ეგრე შენ შეგიყვაროს მგელმა, მელამ და კვერნამ, როგორც შენ ჩვენ გიყვარვართ...— ამბობდნენ ყვავილები.

— მიყვარხართ, ჩემი ყურების მზემა, და რა ვქნა, რა ვსთქვა ამაზე მეტი?—უპასუხებდა კურდღელი.

— შენ კი არ გიყვარვართ, თუ სიმართლეს გვათქმევინებ,—მიუგეს ყვავილებმა:—აგერ იმას უყვარვართ, უცქირე კარგად, როგორ თავზე გვევლება, ზედ დაგვკანკალებს, შიშით ლამის ფერფლად იქცეს საცოდავი, ყვავილებს არაფერი ვაწყენიოვო ან ვატკინოო; ფოთოლსაც-კი არავის გაგვიბრუდებს, როცა გვკოცნის, გვეალერსება, ან გვემუსაიფება.

— ჰმ, ჰმ! — წარმოსთქვა კურდღელმა: რამდენადაც ლამაზები ხართ, იმდენად სულელებიც ყოფილხართ; რატომ არ გესმით, რომ პეპელას ფრენა შეუძლიან და მე—არა. ბარემ კარგი იყო, რაც უნარი მაქვს, ამასთან ერთად ფრენაც ვიცოდე, მაგრამ არ ვიცი და რა ვქნა?! მადლობა ღმერთს!.. ეჰ, ჩემო კარგებო, ჯერ თქვენ გამოუცდელი, ხემები ხართ, გუშინდელი ბალღები, კარგათ ვერ იცნობთ მუხსაალ წუთი სოფელს, როცა გაიცნობთ, მაშინ იტყვით: ნეტავი ისევ კურდღლის მეტი ცხოველი თვალითაც არ გვენახა, იმის ხელში დავხოცილიყავითო,— უთხრა კურდღელმა".

რა არის ეს, თუ არა დიდი სიბრძნე? ვინ იტყვის სად თავდება აქ სიცოცხლის ფილოსოფია და სად იწყება მისი პოეზია? ვინ იცის რაოდენი სინაზეა და სილამაზე ამ სიტყვებში? ქართული სულის გენია კუთხებრივი ტანჯვით და წვალებით შორს ფშავ-ხევსურეთის

ფერდოებზე კაცობრიობის ულრმეს განცდებს ქართული მეტყველების მარგალიტებად აწყობს; ყვავილები, ამწვანებული მდელო, ბრუციანი კურდღელი თავისი გრძელი ყურებით, სიყვარული და ალერსი არსთა შორის, რაღაც გულწრფელი, ნაივური და ღრმა განცდა ბუნების მოვლენებისა, ცოდნა იმის, რომ ყოველი არსი ბუნებაში თავისებურია ტანით, ტემპერამენტით, სულით და ამ თავისებურობათა შორის არსებობს მჭიდრო, ნათესაური კავშირი, ღვთაებრივი ცახცახი სურვილთა და ნდომათა, სიცოცხლის ენება ძლიერი და ცეცხლოვანი, უნივერსალურად დაპენტილი უსაზღვროებაზე, „მუხთალ წუთისოფლის“ მკაცრი წესი და კანონი სიკვდილისა და სიყვარულის ერთმანეთისაგან განუშორებელი სიმწარე-სიტკბოებით სამყაროის ბიოფსიქიურ და პანთეისტურ სოფლშეგრძნობას იძლევიან. ბრძოლა არსებობისათვის და ამ ბრძოლაში შექმნილი ჯიშურ-გვარეული ჩვევანი, რეფლესები, თვისებანი ჰქმნიან ტემპერამენტს, ხასიათს, ინდივიდუალურ სახეობას; საქართველოს მიწა-წყალი, ჰაერი, კუთხებრივი და სფერიული წყობა ცხოვრებისა უთვალავ წელთა სვლაში ავითარებდენ გეოლოგიურ-ბიოლოგიურ და სოციალ-ეტნოგრაფიულ თავისებურობას, ტანისა და სულის ბიოსოციურ განხრებს, მეტყველებისა და აზრის კუთხებრივ შეფარდებებს - კოროლარიებს; თანდათანობით, წვალებით, შემთხვევათა შერჩევით სახიერდებოდა საქართველოს ბუნებისა და ისტორიის სული მრავალ ათას წელთა განმავლობაში და ეს სული, გენეტიურად შექმნილი, დროულ-სივრცეულ წვალების ნაყოფი, გამოიყურება უსაზღვროებაში გეოლოგიურ ფენებიდან, ფოლკლორიდან, მცენარეებისა და ცხოველების მიმოხვრებიდან, ადამიანთა თემურ-პატრიარქალური ყოფის ხვეულებიდან; შემოქმედებითი ევოლიუციის დაუსრულებელი და სწრაფი დენა წაშლის თანდათანობით ჩვენი პლანეტარული არსებობის სახეებს; გარდაიქმნებიან ჯიშები და ფორმები ცხოვრებისა; გადასხვაფერდებიან მოვლენები სოციალური და ბიოლოგიური ხასიათისა; საქართველოს მიწა წყალს, მთა-ფერდოებს, ველებს შეხუთავს ცივილიზაცია მაშინებით, ასფალტით; დევებივით აყუდებულ კლდეებს გაანათებს ელექტრონით, თხემებსა და ბორცვებს დაგრაგნის ფუნიკულიორებით; მაშინ ვაჟა-ფშაველას გმირები — შაშვები, შველები, წყაროები, მუხის ფესვები; ყვავილები, ფოთლოვანი ტყეები, კლდეები და მდინარეები სამარადჟამოდ დალაგდებიან ქართული ცივილიზაციის არქივში და ქართული ლიტერატურა იქნება ერთად-ერთი და უმშვენიერესი თავშესაფარი ცხოვრების დალუპულ და წაშლილ ფორმებისა, დამწვარი სურვილებისა და სიყვარულის, რომელთაც ეადაგებდა ქართველი ბრძენი. არსებობისათვის

ბრძოლა და სიცოცხლის მობრუნება მარადიული დიდი პრობლემაა და ქართველი ბრძენი ვაჟა-ფშაველა ამ პრობლემას არკვევს ისეთი ძლიერი სახეებით და იდეებით, რომელთაც თამამად შეუძლიათ დამშვენება მსოფლიო ლიტერატურის:

„დილის მზემ დააფრქვია ველს თავისი სხივები და დილის ნამი ააბრჭყვიალა.

. . . შუადღის დროს მდელოს მოეფინა ძროხის ნახირი, ხამ ბალახს ხარბად დაეცა საქონელი, გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხები ბალახთან ერთად ყვავილებს და ყურსაც არ უგდებდნენ ყვავილების კვნესა-ჩივილს: მონაყრებული საქონელი იქვე დაეყარა და ფშვენით, ზმორვით ყბებს იქნევდა, ყურების ბარტყუნით, თავ-რქის ქნევით ბუზებს ივერებდა.

მწყემსი გრილოში იჯდა და არხეინად სალამურს უკრავდა.

თითო-ოროლა გადარჩენილი ყვავილი დიდათ ჰგოდებდა დაზოცილებს და თავის სვე-ბედს, ითვალისწინებდა მომავალს და ევედრებოდა დედა-მიწას:

— დედილო, შენი ჭირიმე, ჩაგვაწვინე ისევ იმ აკვანში, სადაც აქამდის ვიწექით: აღარ გვინდა მზე, აღარ გვინდა ჰაერი, აღარც ცა, არც წვიმა და აღარც ასეთი სიცოცხლე, — შენს უბეში ყოფნა გვირჩევნიან!

— სსსუთ. გაჩუმდით! — შემოსძახოდა ძირიდან დედა-მიწა, — ეგ აღარ გამაგონოთ! რა გატირებთ? რა გაჩივლებთ? ვიდრე თქვენი ფესვი ჩვენს გულმკერდშია ჩაქსოვილი, თქვენთან სიკვდილს ხელი არა აქვს. კიდევ აჰყვავდებით, შვილებო, კიდევ გაიზრდებით, მოითმინეთ ცოტა ხანს! მაშ, რად გინდათ სიცოცხლე თუ, თქვენ სიცოცხლეს ნაყოფს არ გამოაღებინებთ, არავის ასიამოვნებთ!

საღამო ხანზე ტყიდან ჩვეულებრივად გამოითამაშა კურდღელმა და რა დაინახა განადგურებული სატრფიალო მდელო, სადაც აღარც მწყემსი სჩანდა და აღარც მისი სამწყემსო, საბრალოს ელდა ეცა, იქვე ტყის პირად დაყუნთდა. ყურები გაუნძრევლად აღმა ჰქონდა აცქვეტილი; დაჭყეტილი თვალები უფრო დაეჭყიტა, ხოლო თვალებიდან ცრემლი ჩამოსდიოდა. როგორც შვილის კუბოს დედა, ისე დასტიროდა კურდღელი მდელოს. ვინ იცის, თავის გულში რას ამბობდა, რას ფიქრობდა? ველარ გაუძლო მწუხარებას და ისევ ტყეში მიიმალა, არსად ბეწვი ბალახი არ მოუწყვეტია, მოიკუნჭა თავის ლოგინში, და მწარედ კვნესოდა.

დაღამდა. ახლა ველს, აოხრებულს, ცარიელ კლერტებს, დასტრიალებდა თავზე ნიავი და ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიჯნთ, ღმერთი მოწყალეა, ილოცეთ, ილოცეთ! — და... ყვავილნიც ლოცულობდენ: „ღმერთო გვიშველეო!“ მწყემსმა შორს წაასხა საქონელი... წვიმა მოდიოდა და ალბობდა მდელოს, მხე ათბობდა, ნიავი დასატირებელ სიმღერას უმღერდა. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ველი ისევე წინანდებურად ღაღანებდა, ყვავილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კურდღელიც ისევ წინანდებურად ნავარდობდა მდელოზე. ახლა აღარავინ ითხოვდა, აღარავინ ემდუროდა. ველი როდიღა სჩივოდა, როცა რომელიმე ნადირი გადურბენდა, ან როცა მწყერი, გნოლი, კაკაბი დაგოგავდნენ მის გულ-მკერდზე. ისევ დასტრიალებდნენ თავს პეპელები, ფუტკარი და სხვა ათასნაირი მწერი.

მდელოზე კვალად სიცოცხლე სდუღდა, ისევ კარგი, ლამაზი სანახავი იყო.

ახლა მხოლოდ დიდი, დაბურული შავი ტყე დასცინოდა, ნიშნს უგებდა:

— საწყალი მდელო, მაგას ეგონა, ეგ არი, მორჩა ჩემი საქმე, თავის დღეში აყვავებას, სიცოცხლეს აღარ ვეღირსებიო! ბალღია ჯერ კიდევ, როდი ესმის ბუნების წესი და კანონი.“

დილის მზე აფრქვევს ველს ოქროს სხივებს,—მდელოს ესტუმრა ძროხის ნახირი; ძროხები ხოხნიან ბალახსა და ყვავილებს; ძღებიან და იქვე წვებიან, ყბებს აქნევენ; თავ-რქის ქნევით, ყურების ბარტყუნით ბუზებს იგერიებენ; ყვავილები აღარ არიან... არავის ესმოდა მათი ტირილი და კვნესა, როდესაც ძროხები გლეჯდენ მათ; მწყემსი გრილოში იჯდა და არხეინად სალამურს უკრავდა; დარჩენილი ყვავილები გოდებდენ დახოცილებს და დედა-მიწას ევედრებოდენ — დამფარეო; —ახლად გამოსულ კურდღელს ყურები გაუნძრევლად მაღლა ჰქონდა აცქვეტილი; დაჭყეტილი თვალები უფრო დაეჭყიტა, ხოლო თვალებიდან ცრემლი ჩამოსდიოდა.

ეს კოსმიური სევდა და გლოვაა; ეს წუხილია არისტოტელეს ენტელექიის, სამყაროის სულის; არსთა შორის ომია გამართული; ბრძოლაში სუსტები იღუპებიან, მათი კვნესა-ტირილი არავის ესმის; შეუბრალებელია ცხოვრება: გლეჯს და სპობს ყველაფერს; მაგრამ მარადიული წესი ბუნების სიცოცხლის მობრუნებაა: „არ გაუვლია ერთ კვირას, რომ ველი წინანდებურად ღაღანებდა, ყვავილების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; კურდღელიც ისევ წინანდებურად ნავარდობდა მდელოზე“. მდელო ისევ აყვავდა, ასეთია „წესი“ მარადიული მობრუნების, მარადიული სევდისა და სიცოცხლის განახლების; ამაზე დიდხანს ფიქრობდა ნიცშე; ამას ქადაგებდნენ ეკლე-

ზიასტი და ლუკრეციუსი. კარა; ქართველი ბრძენი პოეზიით სავსე სიტყვებით ამას ამბობს მსოფლიო ლიტერატურის ტიტანებთან ერთად და ქართული სული თავის შინაგან ხილვაში ინტუიციით უახლოვდება კაცობრიობის უმშვენიერეს იდეებს, უღრმეს განცდებს.

ვაჟა-ფშაველას აქვს მოთხრობა „მთის წყარო", ამ პატარა მოთხრობაში აწერილია წუხილი და სევდა ინდივიდუალობის დაკარგვისა; ჩემი ბუნების მოთხოვნილებაა დენა,—ამბობს მთის წყარო: სულ უნდა ვიდინო, და ვიდინო! ქვეყანაზე არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია; ადამიანი მოვა, დამლევს და მერე მომაფურთხებსო.

— წმინდა, ანკარა, გამჭვირვალე მთის წყარო თავისუფლად ჩამოდის და მისრიალებს, სანამ სოფელ ჩადუნიანში ჩარაკრაკდება; ჩადუნიანის იქით მთის წყარო ჰკარგავს თავის ვინაობას და ერთვის დიდს მდინარეს. ამაშია მიზეზი იმ წუხილისა, რომელსაც მთის წყარო განიცდის: უცოდველი და მუდამ გულკეთილი წყარო იძულებულია დიდ მდინარეში რომ შევა, ჩაიდინოს ისეთ რამ, რაც მას არ უნდა. მდინარე კაცს ახრჩობს და მთის წყარო, როგორც შენაკადი, იღებს მონაწილეობას მდინარის ცუდ საქციელში. რა არის ეს მოთხრობა, თუ არა მშვენიერი ფილოსოფიური ნაწარმოები სიმბოლიური ხასიათისა: მთის წყაროს ხვედრი ქვეყნად ხვედრია ყველა სუსტისა; ძლიერი აიძულებს სუსტს ჩაიდინოს ის, რაც მას არ უნდა; სუსტი ერთვის ძლიერს და ვინაობა მისი იკარგება.

მთის წყარო სიმბოლოა ინდივიდუალური ცხოვრების ბედისა ამ ქვეყნად: ყოველი არსი წარმოადგენს ერთგვარ პატარა მთის წყაროს, რომელიც გამოდის ბუნების წიაღიდან, ცოტა ხანს თამაშობს და ხარობს, შემდეგ ილია ჭავჭავაძის თქმის არ იყოს შედის ცხოვრების მდინარეში და იკარგება კვალი მისი სამარადჟამოდ.

მთის წყარო ისე ლამაზად ლაპარაკობს, ისე ბუნებრივია მისი წუხილი, ისე მოხერხებულად არის ადამიანის სული და ცხოვრების მორალი, მისი ფილოსოფია შეტანილი ბუნების ძალთა სტიქიურ წყობაში, იმდენი უმეშვეო შეგრძნობაა კოსმოსის, ისეთი ძლიერი გ ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ა ა სამყაროისა, რომ ვაჟა-ფშაველას ამ პატარა მოთხრობის შეტი არაფერი დაეწერა, მაინც დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურის გენიოსად. გოეთე ხომ დიდი ბიოლოგი და ბუნებისმეტყველი იყო, აბა დამისახელეთ გოეთეს ნაწერებში ასეთი ადგილები; აბა მიჩვენეთ მსოფლიო ლიტერატურაში ისეთი მწერალი, რომელიც ეგრე ღრმად გრძნობდეს ბუნების გულმკერდის რხევას, რომელსაც ეგრე ლამაზად და მშვენივრად ჰქონდეს შეგრძნობილი ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ ი-

ღმა წყობილი სამყარო და მისი ორგანიულ-ბიოლოგიური ღელვა, მისი სულიერი და მორალური განცდები.

ვაჟა-ფშაველას უყვარს მაღალი, მწვანით და ყვავილებით მორთული მთა, გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, რომელიც „შეჰყურებს მზეს, ქვეყანას“ და რომლის „ნაზ, მიბნედილ სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაფენია“; „საამურია გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავილდებიან;“ „მიბუნდებულს, ულრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ რა შეედრება“, — ამბობს ვაჟა-ფშაველა. მაგრამ ტყეში სიხარულისა და სიცოცხლის მობრუნების გარდა მწუხარებაც არის, მწუხარება ისეთი, როგორიც ადამიანებს ეწევათ ცხოვრებაში; ტყეში არის ავადმყოფობა, სიბერე, ტანჯვა: — ი ხმელი წიფელი, რომელსაც წასვლია სიცოცხლის ნიშან-წყალი, „სამი ტოტიღა შერჩენია შუა წელს ქვევით, ზედა ტანი მოტეხილა და ხევში ჩაჩხატულა, გახიდულა“; „სხვა ხეები დგანან ამაყად, ხმელ წიფელს ყურადღებას არ აქცევენ; ხმელი წიფელი დროგამოშვებით ამოიკვნესებს ღრმა კვნესით: ერთ დროს ისიც ამაყად გაბარჯღული იდგა; სხვა ხეებს ბევრათ მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონი ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელ ტყეს; მთიდან ბარად მომდინარე არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოყვებოდა ამაყად ყეფას; ეხლა კი დაბერებულა: „ქერქი ასძრომია და ტიტველი გვერდები უჩანს;“ ჭიებიც დასევია და კოდალაც ამიტომ ხშირი სტუმარია მისი, ურახუნებს ნისკარტს, დასჭყივის, დაჰკივის და ულრუტნის გულს შეუბრალებლად ხმელ წიფელს.

როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ირწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა; წინათ-კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას, მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილით ხმაურობას ასტეხდნენ, ხმელი წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ. დიახ, ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით; ძველებურად შეუპოვრად გულ-მკერდს ვეღარ უპყრობს. არ მოიდრეკება იგი ხმელი წიფელი, და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვთქვათ, მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფესვები გამოჩნდებიან, აღმა თავ-დაჭერილი, თითქოს ლოცულობდნენ, ღმერთს ევედრებოდნენ, შველას სთხოვდნენო. ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი. სხვა ხეები მორთულან მწვანის ფოთლით, უვნებელნი, უდარდელნი; მათზე ათასი ფრინველი სხდება საგალობლად: ქედნები ღუღუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაჰკრავს დაუსრულებელ

გალობას, წიპრია იკლებს სტვენით არე-მარეს და მოუსვენრად გადახტ-გადმოხტის: ყელ მოღერებული შველი და ირემი იმათ იჩრდილავს, ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელ წიფელს, იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ; „ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეო“! არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება: და არიან, იპოვებიან ისეთი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი... სოფელში დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ ხმელ წიფელს“.

სხვა ხეები ირწევიან და ხმელი წიფელი სიბერის გამო ვერ ინძრევა; წინად ზღვასავით ღელავდა, თავის ფოთლებით და ტოტებით ჭექა-ქუხილით ხმაურობას ტეხდა; ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება; ასეთია სიბერე: მოძრაობა, სიცოცხლე, ღელვა სიბერემ არ იცის. გამოფიტული ტანი ვერ იტანს ამას; და როდესაც ირგვლივ სიხარული, გალობა, სტვენა და სიცოცხლეა, როდესაც სული ღუღუნებს არსებობის სიტკბოებისაგან, როდესაც ყელმოღერებული შველი და ირემი სიხარულით გასცქერიან ქვეყნის მდიდარ ფერებს, ბუნების სიდიადეს, მარადობის მძლეობას, ხმელი წიფელი „ფიქრობს თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“... აი ბიოლოგიური ფსიქოლოგიის შესავალი, საუცხოვო სილამაზით მოთხრობილი; შეიძლება კაცმა ვერ იგრძნო ბუნება ისე ახლო, როგორც ვაჟა-ფშაველა გრძნობს, შეიძლება ქალაქისა და მაშინების ხმაურობით გამოფიტული სული ვერ დაუახლოვდეს ბუნებას, როგორც ვაჟა-ფშაველას სული, მაგრამ იგი მაინც დარწმუნდება იმაში, რომ ბუნების სიყვარული მშვენიერია და ბუნებასთან სიახლოვე ადამიანის გონებას აფართოებს, აღრმავებს, აკეთილშობილებს; ქალაქში სული ადამიანისა ეჩვევა ცულლუტობას, ფარისეველობას, ტყუილს, ღალატს, შურს, მტრობას; ქალაქი ჰკლავს და ახრჩობს სიყვარულის ნაზ გრძნობას; ქალაქი სამარეა პატიოსნებისა, ადამიანობისა და სიცოცხლის. ლაღად გაშლილი და მდიდარი ბუნება თავისი ულრანი ტყეებით, თეთრ წყაროებით, დანისლული მთებით, ამწვანებული ბორცვებით, ზარდისა და კვების დამათრობელი სუნით, მზის ცხოველმყოფელი სხივებით და მთვარის რომანტიული ღიმილით—აცხოველებს სულს ადამიანისას, აკეთილშობილებს მის ხებისყოფას, აფართოებს გონებას უსაზღვროების წარმოსახვამდე. ვაჟა-ფშაველა არამც თუ ქადაგებს, როგორც ჟან-ჟაკ რუსსო ბუნებასთან დაახლოებას, არამედ გვაგრძნობინებს ბუნების სიმშვენიერეს, ბუნების სულს, ბუნების აზრს. კითხულობთ ვაჟა-ფშაველას და თანდათანობით გეჩვენებათ, რომ თქვენ ხართ სადღაც

ულრან ტყეში და მთელი თქვენი არსებით, მთელი თქვენი ფილტვებით სუნთქავთ სიცოცხლისა და ბუნების სილამაზეს.

ტრადიცია და რევოლიუციონური მორალი

ქვეყანა ფართეა, მაგრამ ქვეყნის ყოველ კუთხეს თავის კუთხებრივი ცხოვრება და განცდა აქვს; თავისებურია ბუნება და საგანთა წყობა ყოველ კუთხეში, თავისებურია სული და ხასიათიც ადამიანებისა. სული თავის შინაარსით და განცდებით გამონაჟურია მდგომარეობის, ხოლო მდგომარეობა ეწყობა განსაკუთრებულ მიწაწყალზე თანდათანობით; საუკუნეები რიგ-რიგად ერთმანეთს აბარებენ სოციალ-კუთხებრივ განცდებს და ეპოქის სული ატარებს თვისებებს წარსული ცხოვრებისას! თითოეული სახე, თითოეული ტანი და გონება ქვეყნად დამზადებულია სოციალ-გენეტიურ განცდათა ნარევებით და რაც ჩვენ რომელიმე ხასიათის, ტემპერამენტის, სულის და გონების სახით გვეჩვენება, ის ნალეკია კუთხებრივი ბიოდინამიური ევოლიუციისა და სხვა პირობებში, სხვა კუთხეში სამყაროისა სხვა სახის იქნებოდა; სამყარო ბიოლოგიურად და სოციოლოგიურად დაკუთხულია; შემოქმედებითი ევოლიუცია მიმდინარეობს დაკუთხული ადგილების ხვეული გზებით და ყოველ სფეროში ქვეყნად თავისებური წყობაა მოვლენებისა, ჩვეულებათა და სოციალ-კუთხებრივ ძალთა. რაც უფრო ჩქარა და ინტენსიურად სოციალური ინდუსტრიის ფორმები შეიჭრებიან ამ კუთხეებში, კუთხებრივი მდგომარეობანი მით უფრო მალე ერთმანეთს დაემსგავსებიან და სამყაროს დაკუთხული სოციალური არეები სულებით, განცდებით ერთმანეთს დაუახლოვდებიან; მაგრამ კუთხებრივობის პრინციპი სამყაროს შენობაში მარადიულად იქნება და როდესაც ჩვენი პლანეტის დაკუთხული სოციალური არეები ინდუსტრიალიზაციის პროცესში გაერთიანდებიან სულით, იდეით, გრძნობით, მაშინ ადამიანი თვით დედა-მიწას შეიგრძნობს მთლიანად როგორც პატარა კუთხეს უსაზღვროებისას და სული მისი სავსე სევდით, თავის ილიუზიებით გადაწვება უსაზღვროების აოში. საცოდავი რამ იქნება კაცობრიობისათვის მაშინ წარსული თავის კუთხებრივი პრინციპებით და ეტნოგრაფიულ-ჯგუფობრივი იდეალებით. ლიტერატურა თავის ტიპებით და ისტორია მოღვაწეებით კაცობრიობას დარჩება როგორც საბუთი ცუდი წარსულის ლამაზი განცდებისა; მართალია, ცხოვრება წარსულში საშინელი იყო; ადამიანები ერთმანეთს ახრჩობდენ ლუკმა პურისათვის; ბაქტერიები და შემთხვევები ღუპავდენ უდანაშაულო ადამიანებს; ტრადიციით შებოჭილი კუთხეები სპობდენ ადამიანის ლამაზ და პატიოსან სურვილებს; მაგრამ ადამიანთა შორის

რჩეულები ტიტანიურად ებრძოდენ ყოველთვის უსამართლობას, გამოფიტული ტრადიციის ჩვეულებებს და ამ ბრძოლაშია უდიდესი შინაგანი სიმართლე ცივილიზაციის, ამ ბრძოლაშია უმშვენიერესი ფორმა ადამიანის ყოფის ესთეტიური ღირებულებისა. სამყაროს ყოველი კუთხიდან, ყოველი ხალხის წარსულიდან გამოიყურება მებრძოლი და კეთილშობილი სული ადამიანისა, სული, რომელიც სამართლიანობისა და ადამიანობისათვის იბრძვის: პრომეთემ ცეცხლი წაართვა ღმერთებს ადამიანებისათვის; ჰამლეტმა არ მიიღო უზნეო და „გაუმარგლავი ქვეყანა", ბაირონმა ომი გამოუცხადა ყველაფერს, რაც მიღებულია, მაგრამ რაც ადამიანს ჩაგრავს; საქართველოს მიყრუებულ კუთხეში, ხევსურეთში შატილის გმირი ალუდა ქეთელაური შეებრძოლა ტრადიციას, როგორც ჰამლეტი და პრომეთე. ხევსურეთის მიწა-წყალი და სოციალური წარსული ომისა და ბრძოლის ჩვეულებას ამტკიცებდენ; თემი მხოლოდ მაშინ თვლიდა ადამიანს თავის წევრად, თუ ღირსეულად იცავდა თემის საუკუნეებით განმტკიცებულ ჩვეულებებს ომისა და ბრძოლისას, თუ არა და სასტიკად და შეუბრალებლად დევნიდა.

ძველის-ძველად დაკანონებული იყო მამა-პაპათა მიერ ხევსურეთში, რომ ყოველ ხევსურს, რომელიც მტერს მოკლავდა, ევალებოდა მოეჭრა მოკლულისათვის მარჯვენა და თავის გმირობის ნიშნად წამოეღო თემში. ალუდა ქეთელაურმა დაარღვია რწმენა და ჩვეულება თემის და თავის მტერს მუცალას არ მოჭრა მარჯვენა:

წესი არ არი მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა,
ვაი ეგეთსა სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

— ამბობს ალუდა ქეთელაური და როდესაც მეორე გმირმა — მინდიამ მუცალას მარჯვენა მოიტანა მოჭრილი, ალუდა ქეთელაურს ეწყინა: „ჯაგარ-აშლილი" ბერდია—წარმომადგენელი თემის ფსიქოლოგიისა და მორალის მკაცრად, შეუბრალებლად აცხადებს:

ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი—დიდი მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმენით
ცოლ-შვილის ამამტირენი,

მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შენამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს,
ცასა წვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ:
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ
გუდანს—შინშნი და ქალები.

შეუბრალებელია თემი—საზოგადოება, როდესაც კერძო პირი არღვევს თემის ჩვეულებას, ტრადიციას; ბერდია სასტიკ ზომებს მიმართავს ალუდა ქეთელაურის დასასჯელად; ბერდია მთიელთა ფსიქოლოგიის გამომხატველი ტიპია და ვინც არ ემორჩილება მთაში განმტკიცებულ ტრადიციას, ის, ბერდიას აზრით, უნდა დაისაჯოს; ერთი მხრით საზოგადოება დგას თავის მორალით და ლოგიკით, რომელიც შემუშავდა ტრადიციით, მეორე მხრით ალუდა ქეთელაური, რომელიც აღზრდილია თემში, მაგრამ ორგანოტროპიულად დამზადებული სული უარყოფს ტრადიციას, ებრძვის მას; აი ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ მდგომარეობა ჰქმნის იდეოლოგიას, მაგრამ იდეოლოგიას სურს მდგომარეობის გარდაქმნა და იბრძვის ამისათვის: სულმა უარყო ტრადიცია—აი ორგანოტროპიული და რევოლიუციონური ძალა სულისა; განა ისტორია სავსე არ არის ასეთი მაგალითებით? განა ჰამლეტი არ ებრძვის იმ წრეს, რომელშიაც აღიზარდა? განა საერთოდ მამებისა და შვილების ერთმანეთთან ბრძოლა ორგანოტროპიული ფაქტი არ არის? ალუდა ქეთელაური ისე ეწინააღმდეგება თემის აზრს, როგორც სოკრატე ათინელთა შეხედულებას: ალუდა ქეთელაური გავს საბერძნეთის ფილოსოფოსს ხასიათის სიმტკიცით, ნებისყოფით; მაგრამ კიდევ უფრო გავს იგი სოფოკლეს გმირს ანტიგონეს: ანტიგონე ისე არღვევს თავის მოქმედებით ტრადიციულ შეხედულებას ადამიანის ქცევის შესახებ, როგორც ალუდა ქეთელაური; ხოლო ალუდა ქეთელაური მტრის მიმართ იცავს იმ მორალურ პრინციპს, რომელსაც ანტიგონე თავის ძმისთვის იცავს. არ შეიძლება, ამბობს თემი, შეიძლება და უფრო სამართლიანია,—ამბობს ალუდა ქეთელაური და რასაც ამბობს, იმას მტკიცედ, ურყევად იცავს ბოლომდე; თემი შეუბრალებელია: თავის მოწინააღმდეგეს იგი ანადგურებს,—და აი ალუდა ქეთელაური იძულებულია დასტოვოს თავის მიწა-წყალი, საყვარელი კუთხე, სახლ-კარი, „გულში ამშლელი

ბრალისა“ „საჯიხვეები გამახარენი თვალისა“; თემმა გააძევა ალუდა და ზამთრის სიცივეში, თოვლითა და ყინვით დაბურულ უგზო-უკვლო მთებში იგი დახეტიალობს თავის ოჯახით, როგორც დამცველი თავის რევოლიუციონური სინიდისისა და მეშჩანური ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დასჯილი.

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები
ჩამოსხლეტილი კლდებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,
ხუთიც უკვენა ჰყვებისა.
შიმშილით შეწუხებული
მთას ღმუის ჯოგი მგლებისა.
„კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო“,
ერთი დიაცი სწყრებისა.
„ავაჰმე, ჩვენო სახლ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო.
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო“.
დედა ეტყოდა ალუდას:
„შვილო, იარე ნელაო,
შენთან ვერ გავძლებ ვერც მენა,
ვერც შენი ცოლი ლელაო.
ბალღები აგვიბოჟირდა,
ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე, როგორა ბნელაო!
ნეტავ არ დასჭირდებაა
ხევსურთა შენი შველაო?!
ვის რა წყალ ჭალა გვისტუმრებს,
სად რასა დავილევითა?
უბინო, უსახლ-კარონი

სხვაგანაც დავიწყევითა.
ვეღარ მიუვალთ ჩვენ სახლ-კარს,
გაღმა შატილის ზევითა.
თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;
მამაკვდავს დავფერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!"
ჯავრობით ეტყვის ალუდა:
— დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მომყევით, ვიდინოთ,
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა.
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა!"
ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარენო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახლკარო,
გულში ამშლეო ბრალისა!
მშვიდობით, ჩემო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!"
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მოისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

„თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა",—აი სოკრატისებური სულიერ. ალუდა ქეთელაური თემის შვილია და მან კარგად იცის თემური ცხოვრების კანონი — ტრადიციის ძალა; თემს იგი არ აბრალებს თავის ტანჯვას, მაგრამ ამავე დროს გულში, სუბიექტიურად, თავის სინიდისის წინაშე ალუდა გრძნობს რომ მართალია; ქარ-

თული კულტურისათვის ასეთი ტიპი საინტერესოა განსაკუთრებით იმით, რომ მას აქვს, როგორც დავინახეთ, ზოგადი, საკაცობრიო ხასიათი: ხევსურეთის მივარდნილ კუთხიდან, სოფელ შატილიდან, ქართული სული გარკვევით ხედავს კაცობრიობის ლამაზ იდეალებს; ალუდა ქეთელაური მსოფლიო ხასიათის ტიპია: მორალის და ფილოსოფიის წარმომადგენლებთან ერთად იგი ფიქრობს ადამიანობისა და სიყვარულის განმტკიცებისათვის ქვეყნად; ალუდა ქეთელაურს შეეძლო კანტისებურად დაეპირდაპირებია ვარსკვლავიანი სივრცისათვის თავის ლამაზი სულის საკუთარი მორალი.

ტანჯვა, შემეცნება და სიყვარული

„გველის მჭამელი“.

კაცობრიობის ისტორია სავსეა მოარული იდეებით და ტიპებით: პრომეთე, იქსიონი, დონ-კიხოტი, ფაუსტი, ჰამლეტი მოხეტიალე სულებია; თითოეული მათგანი ატარებს ეპოქათა სოციალურ განცდებს, იდეებს, ოცნებებს; თითოეული მათგანი წარმომადგენელია თავის ეპოქის და სოციალური ტკივილების; თითოეული მათგანი იძლევა თვისებებს იმ საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელშიაც ტრიალებენ და მოქმედებენ. ნიცშე ამბობს: აღმოსავლეთის ხალხს ყველგან ესახებოდა პრომეთეო, იდეა ბრძოლისა თავდებ.იდა ადამიანის წარმოდგენაში გმირის სიმბოლიური სახით და პრომეთე, როგორც უშიშარი მებრძოლი, წინ მიუძღოდა კაცობრიობას; თვით სიტყვა „პრომეთე“ ნიშნავს ქართულად „წინამხედს“, წინდახედულს, მცოდნეს; ცხოვრება დიდი გაჭირვებაა და ბრძოლა არსებობისათვის გმირობას ითხოვს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ფსიქოლოგიურად შენდება სოციალური ეპოსებიდან: სანამ სერვანტესი „დონკიხოტს“ დასწერდა, დონ-კიხოტობის კულტი ტრიალებდა საზოგადოებაში; სანამ ფაუსტის იდეა გოეთეს პოემად გადაიქცეოდა, ფაუსტობა ვითარდებოდა ისტორიულად. ასე წარმოიშვენ ჰამლეტი, დონ-ჟუანი, პეჩორინი, კარამაზოვები და სხვა... ლიტერატურული სახეები და ტიპები სოციალ-ისტორიულ დულილში იბადებიან; ტიპის განსახიერებას ლიტერატურაში წინ მიუძღვის რამოდენიმე წლის, და ხშირად რამოდენიმე საუკუნის, ხეტიალი ამ ტიპისა საზოგადოებრივობის ევოლიუციაში, სოციალური ცხოვრების ხვეულებში; ვიდრე მ. ჯავახიშვილი შემოიტანდა ლიტერატურაში კვაჭის ფსიქოლოგიას, პატარა კვაჭები ტრიალებდენ საზოგადოებაში და პოეტი ყოველ დღე ხედავდა მათი მოლვაწეობის შედეგებს; პროფ. ალ. ხახანაშვილმა სწორი აზრი გამოსთქვა ვეფხის ტყაოსნის შესახებ: ტარიელის ამბავი ხალ-

ხური თქმულებაა. ტიპი უწინარეს ყოვლისა ისახება სოციალურ არეში და რაოდენად მწერალი ყოველდღიური ცხოვრების აუცილებლობით, საჭიროებით ჩათრეულია სოციალურ მოძრაობაში, იმდენად ძლიერია ორგანოტროპიული სურვილი შემოქმედისა ტიპი გადმოიტანოს ლიტერატურაში. საყურადღებოა რომ ვაჟა-ფშაველა გველის მჭამელის ამბავს ძველ ამბავს ეძახის: ეტყობა, ქართველ ხალხში იდეა გველის მჭამელისა „დადიოდა", როგორც ტარიელის ამბავი — როგორც თქმულება ხალხური, როგორც გამოსახულება ხალხის ფილოსოფიისა, სოციალ-ეპიური ფსიქოლოგიისა. პოემა „გველის მჭამელი" ფილოსოფიური ნაწარმოებია ხალხურ კილოზე დაწერილი და ჩვენი ნაციონალური კულტურის პრიმიტიულ ფონზე აწყობილი; მთავარი გმირი პოემისა არის მინდია. დახარჩენი მომქმედი პირები არიან ჩახვია, მზია, წიქა, სანდუა და ხალხი. პოემა იწყება წიქას წვეულებით: ხევსურს წიქას დაპატიჟებული ყავს ხალხი; სხვადან და სვამენ ლუდს; ზოგი უკრავს ფანდურს; ზოგი დამღერის საგმირო ამბებს და აღგზნებით გმირთა სახელებს სთვლის: მოხუცნი ჩიბუხებს სწევენ და აბოლებენ ნისლად.

კრებაში ერთი ვინმე სჩანს
სახე მკრთალი და მშვიდია,
როგორც თაფლს მწერი, ეხვევა
იმას მცირე და დიდია.
დაღვრემილს წელზე ხმალი ჰრტყავ,
მხარ-იღლივ ფარი ჰკიდია,
მუხლებს წინ თავშიშველანი
ორნი უსხედან ჩოქითა,
თასებს აწვდიან...

ეს კაცი არის მინდია. მას მოკრძალებით და პატივისცემით შეყურებენ; საყურადღებოა, რომ ამ ღრეობას აქვს რაღაც თავისებური ხასიათი: სიდინჯე სულისა და ხასიათის ეტყობა თითოეულ ხევსურს; ეს არ არის რესტორანული ქეიფი ძმა-ბიჭებისა; აქ მხოლოდ ლაღად ისვენებენ ბრძოლით დაღლილი და ცხოვრების გაჭირვებაში ამოგანგლული გმირები; ღრეობას აქვს რაღაც ტიტანიური, მძლე, ზვიადი გამომეტყველება, რაღაც თავისებური ბრძნული სახე; ეს ღრეობა ერთგვარი სკოლაა, სადაც ახალგაზდობას ასწავლიან გმირობას და რაინდობას, ბრძოლას, თავგანწირვას, „ახლების საწურინელადა იხსენებდიან (გმირებს) ქებითა". ყრილობაში გარკვევით იხედება სახემკრთალი და მშვიდი მინდია. მინდია თორმეტ წელს

ტყვეთ ყოლია ქაჯებს და ბოლოს, როდესაც ვერ აუტანია ქაჯთა შორის ცხოვრება, გადაუწყვეტია თავის მოკვლა:

ქაჯთათვის ცეცხლზედ ნადგამი
სადილად ნახა ქობია,
იცოდა, გველსა ჰხარშავდნენ,
იმასა სჭამდნენ ხშირადა;
ქაჯნი ქაჯობით იტანდნენ
გველის მიღებას პირადა.
და თავის-თავზე იფიქრა,
რომ ექცეოდა ჭირადა.
აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით ქურდულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალეს თვალით
ტყვეს გადმოხედა ზეცამა.
ახალად სული ჩაედგა.
ახალი ხორცი აისხა:
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმა და ყრუს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი
როდის ილხენენ—წვალობენ.
რაც-კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად.
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“;
არა ზარობდნენ სათქმელად.
შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო.

ადამიანის გადასხვაფერების ამბავი მართლა ძველი ამბავია არა მარტო საქართველოში, მსოფლიო ისტორიაშიაც; სახარებაში არის სულის გარდასახვის ამბავი მოთხრობილი; პუშკინმა სახარებიდან ამოიღო იდეა თავის ცნობილი ლექსისა: „Пророк", სადაც სხვათა შორის არის სიტყვები და აზრები, რომლებიც გვაგონებენ ძალა-უნებურად ვაჟა-ფშაველას ნათქვამს; რა თქმა უნდა, პუშკინის დროს ვაჟა-ფშაველა არ იყო ქვეყანაზე და არც ვაჟა-ფშაველას მიუბაძავს პუშკინისათვის; მაგრამ ვაჟა-ფშაველას სიტყვებია:

ახალად სული ჩაუდგა,
ახალი ხორცი აისხა.
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი
როდის ილხენენ წვალობენ.

და ეს სიტყვები გამოსახავენ სულის ინდივიდუალურ-კუთხებრივი განცდის გაფართოებას, კოსმიურ გაშლას, რომელსაც ეხება პუშკინი:

И внял я неба содроганье,
И горний ангелов полет,
И гад морских подводный ход,
И дольней лозы прозябанье.

მხოლოდ პუშკინის ნაწარმოებში სულის გ ა რ დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ე ბ ა არის ნაყოფი ზეშთაგონების; ვაჟა-ფშაველა პირდაპირ გვისახელებს მიზეზს, რატომ გ ა მ ე ც ნ ი ე რ დ ა სული; ვაჟა-ფშაველას პოემაში სულის გ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მიზეზი არის თორმეტი წლის ტანჯვა და ბოლოს „ზიზღით", „ქურდულად" გველის ხორცის ჭამა. გველი ისტორიაში დიდი ხანია სიმბოლოა სიბრძნისა და ჭკუის; მოსე წინასწარმეტყველს გველი გაკეთებული ჰქონდა თავის კვერთხის თავზე, როგორც გონების სიმბოლო; მინდიაც ჭამს გველის ხორცს, რომელიც იხარშება ქვაბში ქაჯების ქვეყანაში (რა მშვენიერი სიმბოლოა!) როგორც საწამლავს, მაგრამ მოულოდნელად, უცბად, მინდია გრძნობს, რომ გარდაიქმნა სრულებით: ის მინდია აღარ არის, რომელიც იყო. მთელი ცხოვრების სიმბოლიზაციაა მოცემული კონკრეტულ ფორმაში: ქვაბში იხარშება გველის ხორცი—სიმბოლო ჩვენი ცხოვრებისა წუთისოფლად, მინდია გველის ხორცს ჭამს და შემდეგ გამეცნიერდება: ადამიანის ცხოვრება შემთხვევათა და წვალებათა გრძელი რიგით, ტკივილებით, შეურაცყოფით, დაუკმაყოფილებელ სურვილთა

სინანულით, შეყვარების სიძნელით, გადაჩვევის სიმწარით, ათასგვარი გამოცდებით, ავადმყოფობისა და სიბერის აგონიით, უნაყოფო ბრძოლით, დამარცხებით, ოჯახისა და ნათესავების ფარისევლური ქცევით; საზოგადოების გულგრილობით, მარტოობით—განა გველის ხორცის ჭამა არ არის? და განა ჭკუა ადამიანის შეცდომათა და წვალებათა ნაყოფი არ არის? განა მთელი ისტორია კაცობრიობისა შეცდომათა ისტორია არ არის? განა კაცობრიობას ექნებოდა ის ჭკუა, მოხერხება, ნიჭი, რომელიც აქვს, რომ შეცდომებით და ტანჯვით არ ეცხოვრა? განა მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება ტანჯვით და საჭიროებით არ იქმნება ისტორიულად? ტანჯვა უდიდესი სკოლაა სულისა და გონების აღზრდისათვის; ისტორიის მშვენიერ ეპოქებს, კერძო ადამიანთა დიდ აზრებს და მოქმედებებს წინ ყოველთვის დიდი შეცდომები და წვალება ძიუძღვის *. სულიერი კულტურა კაცობრიობისა ტანჯვის რეფლექსებითაა ნაქსოვი; ყოველგვარი კათეგორიები და იმპერატივები ფილოსოფიური და ლოგიური ხასიათისა გამონაყურია იმ სოციალ-გენეტიური ტანჯვის, რომელიც მართლა წააგავს გველის ხორცის ჭამას; ცხოვრება დულს სამყაროის დიდ ქვაბში—იმ უზარმაზარ აუზში, რომლიდან, ბერგსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლის ნახტომი დაუსრულებლად ისვრის მაშხალებს: ეპოქები, ხალხები თავიანთი ფეტიშებით, ისტორიებით, ადამიანებით, პრინციპებით და იდეალებით მხოლოდ ცხოვრების ნახტომის —élan vital-ის მოთამაშე მაშხალებია და ამ მაშხალების თამაშს იწვევს ყოფის იმმანენტური წვალება—არსებობის შინაგან წინააღმდეგობიდან გამომდინარე ტანჯვა ადამიანისა. ჩვენი ქვეყანა თავის მიკრობებით, შემთხვევებით და უსამართლობით მართლა ქაჯების ქვეყანაა და თითოეული ადამიანი თავის რეალურ, ყოველ-დღიურ ცხოვრებაში იძულებულია ზიზღით ჭამოს „გველის ხორცი". ადამიანის ჭკუა ტანჯვის ნაყოფია და მინდიაც მას შემდეგ გამეცნიერდა, რაც გველის ხორცი შეჭამა: აქ შემეცნების ფილოსოფიაა გამოსახული; მაგრამ დიდი ინტუიციით საკითხს ვაჟა ფშაველა ისე მარჯვედ არკვევს, რომ გგონიათ, თითქო მამა-პაპური სკოლა გაუვლია ბიოლოგიისა და სოციოლოგიის. გამეცნიერება შედეგია ბიოლოგიური დათენთის. გაიხსენეთ მინდიას სახე მკრთალი და მშვიდი, თითქო მინდია ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურად დაცლილია, თითქო მისი გონება მისი სხეულის წვით გამდიდრებულა; სული გამომდინარეობს მატერიის იონო-დინამიურ წვიდან და გონება სულის ტანჯვით სხივოსნდება. ჩვენი ვაჟა-

* იხ. К. Г. Капанели «Страдание и Творчество» 1917 г.

ფშაველა უფრო ღრმად იხედება არსებობის საიდუმლოებაში, ვიდრე მოხუცი კანტი თავის დაგვიანებული მოწაფეებით. ტანჯვამ შექმნა სულის სიძლიერე და გონება, რომელსაც ყველაფერი ესმის ქვეყნად: სხვას არ ესმის ის, რაც მინდიას ესმის იმიტომ, რომ მინდია სხვაზე უფრო დაიტანჯა და ღრმა ტანჯვიდან დიდი გონება წარმოიშვა; „არსებობის ტალღებში, მოქმედებათა ქარიშხალში მე ამოვდივარ და ჩავდივარ“,—ამბობს გოეთეს სული „ფაუსტში“. ვაჟა-ფშაველა უფრო კონკრეტიულად ამბობს: ცხოვრების ქვაბი დუღს, გველის ხორცი იხარშება და ადამიანი **იძულებულია** შეჭამოს გველის ხორცი, რათა თავი გაინთავისუფლოს... ამაზე უფრო მკვეთრი, სახიერი და ღრმა ფილოსოფიურ-სიმბოლიური გამოსახულება სინამდვილის მიმდინარეობისა ჩვენ მსოფლიო ლიტერატურაში არ გვეგულება. დიდი და ღრმა აზრი ხალხის ძველი ამბავის სახით არის გადმოცემული.

გამეცნიერებული მინდია ყველაფერს არჩევს ქვეყნად; რაც სხვებისთვის გაუგებარია, ის მისთვის გასაგებია; სამყარო მას ელაპარაკება და იგი სამყაროს ელაპარაკება; მცენარეებისა და ცხოველების ენა მინდიამ იცის კარგად:

როცა კი გაზაფხულდება,
მოიკაზმება ქვეყანა,
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა,
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ შეზოიევლის მთა-ველსა,
ყველა მცენარეს და მღილსა
ის ეგებება სალმითა,
ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“.
ერთ-ხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა...

მარტოკა მინდიას ესმის
მათი კვნესა და ჩივილი.
ამისგან ნისი ცხოვრება
ძალიან დაცარულია,
მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!“
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შემოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“
დაუდუნდება მკლავები,
შტერად გახედნებს ზეცასა.
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა,
და რომ ღველფზედა არ გაჰქრეს
ცეცხლი, აანთებს თივასა,
ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,
თან მიაშველებს წივასა;
თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა.
მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა
საღამოსა და დილასა.
სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო,
„მოდი, ნუ შვრებით ცოდვასა:
„ნუ მოსჭრით ხესა, დავჯერდეთ
„ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“.
არავინ უსმენს, არქმევენ
ამ გვარს მის რჩევას ბოდვასა,
— ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია
სარგოდა, მოსახმარადა! —
და დღესაც არავინ ჰხოგავს
ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა.

ასეთი დიდი სიყვარულით არის გადაკავშირებული იდეალისტი და ფილოსოფოსი მინდია ბუნებასთან: მან იცის ბუნების ენა და

ამიტომ ბუნება უყვარს; სიყვარული ცოდნიდან გამომდინარეობს; ეს რაღაც სოკრატისებური ფილოსოფიაა ცხოვრებისა: ჯერ ცოდნა და მერე სიყვარული; ცოდნა იწვევს სიყვარულს ამბობს ვაჟა-ფშაველა; მაგრამ ხშირად ცოდნა ზიზღით თავდება; რომელ ცოდნაზე ლაპარაკობს ვაჟა-ფშაველა?—ეს ცოდნა არ არის ცხოვრების უბრალო მექანიკური პროცესის ცოდნა; ეს არის ფიზიკო-ქიმიური და ფიზიოლოგიური სამყაროს ცოდნა, რომელიც ხშირად მართლა ზიზღსა და უკმაყოფილებას იწვევს.

ეს ცოდნა არის ყოველი არსის ხვედრი ცოდნა; ეს ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი ცოდნაა არსებობის აზრისა და მიმდინარეობის, რომელიც მუდამ იცვლება და ცვლილებაში დაუსრულებლად ღუპავს სახეებსა და ფორმებს. მინდია ფილოსოფიურად გრძნობს მარადიული ცვლილების სისასტიკეს და ამიტომ მას არ უნდა ხელი შეუწყოს ევოლიუციის ულმობელ კანონებს, ცივილიზაციის ველურ მოთხოვნილებებს; მინდია ხეს ვერ ჭრის, რადგან ხე ევედრება ნუ მომჭრიო; ამიტომ მინდია შინ ბრუნდება ისე, რომ შეშა არ მოაქვს და რაღაც ჯოყრებით, წინწრებით ანთებს ცეცხლს. რეალური ცხოვრება წინააღმდეგია მინდიას ასეთი მოქმედების; რეალური ცხოვრების ლოგიკა სხვანაირია და მინდიას დიდი მოწინააღმდეგე ტიპიური რეალისტი ჩალხია ეგრე ამბობს:

მიკვირს ეგ თქვენი ფიქრია.
წინათაც ბევრჯერ გითხარით,
ეხლაც ამასვე ვიტყვია;
ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ?
ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია!
მე სამალავად არ ვამბობ,
თითონაც მისდის ყურშია;
თუ ამას მართალს არ ვამბობ,
იფიქროს თავის გულშია.
ვსთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი...
კაცის კვლა ყველასა სჯარბობს,
თუნდა მტერ იყოს ყოველთი;
მაშ აღარც კაცს უნდა ვკლავდეთ!

გეტყვით, მისმინეთ, მე რასა;
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ,
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, რომ რჯულიც
კვლისალ არ გვაძლევს ნებასა?!
მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.

ჩალხია დაკვირვებული კაცია. იგი დიდი რეალისტია და პრაქტიკოსი; მისი შენიშვნები საყურადღებოა და სამართლიანი: მართლა, თუ მინდია კაცის კვლას არ ერიდება და „მტრისას, ხმლით ნაჭერს სდგამს გორასა“, რა ცოდვა უნდა იყოს ბალახისა და ხის მოჭრა? მით უფრო, როდესაც ბალახი და ხე ადამიანს ესაჭიროება; თვით ყვავილები უარს არ ამბობენ, როდესაც ისინი ადამიანს ესაჭიროებიან; რატომ მინდია ადამიანს თამამად კლავს და ხეს არ ჭრის? ამის საწინააღმდეგოთ მინდიას შეუძლია სთქვას: ადამიანს მინდია კლავს იმიტომ, რომ მტერია მისი, ხელს უშლის მას ცხოვრებაში: მცენარე კი ადამიანს არაფერს უშავებს; მცენარე ადამიანის წინაშე უდანაშაულოა; ცხადია ადამიანს არ აქვს უფლება მცენარის მოჭრისა: მინდიამ, რომ უფრო ღრმად ჩაიხედოს ბუნების მოვლენებში, დაინახავს, რომ არც მცენარეა აბსოლიუტურად უცოდველი; არსებობისათვის ბრძოლაში მცენარეც ჩაგრავს სხვა ბუნების მოვლენებს: თვით მცენარეთა შორის დიდი სასიკვდილო ბრძოლაა გამართული და ამ ბრძოლაში, ისე როგორც ყველგან, სუსტი მარცხდება, ძლიერი იმარჯვებს.

ამიტომ ჩალხია საბოლოოდ მართალია და ცხოვრება თავისას გაიტანს მაინც; ოჯახს შეშა უნდა, სიცივეა. იწყება ახალი პერიოდი მინდიას ცხოვრებისა: კოსმიური სიყვარული — სიყვარული ყოველი არსის — შეუძლებელი ხდება; სოციალური ორგანიზაცია — ოჯახი პირვანდელი უჯრედია, რომელიც არღვევს კოსმიურ სიყვარულს იდეალურად განწყობილ სულისას: მინდიას ცოლი კათეგორიულად მოითხოვს მოიტანოს მინდიამ შეშა: ქვეყანას შეშა აქვს, ქვეყანა შეშას ჭრის, ბუნებაში აუარებელი ხეებია; მინდიას ცოლს შეშა არა აქვს; მინდიას შეშა არ მოაქვს; ცოლი მოსვენებას არ აძლევს:

ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორს ცეცხლს ანთებს ჭნახავდი...

იწყება ჩხუბი ცოლსა და ქმრის შორის; ამ ჩხუბში მშვენიერად არის დახასიათებული ცხოვრების მეშჩანური მხარე; მარტო ერთი ფრაზა რად ღირს:

ის დღე გაშავდეს, რას დღესაც
შენ მე დაგისვი ცოლადა.

მზიაც ისე პასუხობს, რომ უცბად გრძნობთ ცხოვრების რეალურ მიმდინარეობას და ამ მიმდინარეობის ~~ტოლსტოისებურ ასახვას:~~ (Крейцерова соната)

მე რად მაბრალებ თავის ბრალს,
შინ როს მოგივედ ძალითა?
გზას არ მიტევდი მიმავალს,
მავსებდი ცოდვა-ბრალითა.
„მზიავ, ძალიან მიყვარხარ"
ცრემლებს აბნევდი თვალითა...

იწყება ტანჯვა დიდი იდეალისტისა ოჯახისა და ცხოვრების ბრჭყალებში და ეს ტანჯვა ბუნებრივად თავდება იმით, რომ ცხოვრებას თავისი გააქვს, ცხოვრება არსებობის რეალური მოთხოვნილებებით იმარჯვებს, ხოლო იდეალისტი მარცხდება; მტრის ხელთ ჩავარდნილი, მინდია თავს იკლავს:

ხმლის ტარს შეეხო ცერითა
ამოიწვადა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა
მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა,
და დააშტერდა თავისმკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდო, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შეღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვენითა.

ეგრე დათავდა ცხოვრება ამ დიდი ადამიანისა, რომელიც თავის განცდებით, დიდი აზრებით, სიყვარულისა და ტანჯვის ღრმა

შეგრძნობებით გვაგონებს მსოფლიო ლიტერატურის დიდ გმირებს: ჰამლეტსა და ფაუსტს.

მინდიას ცხოვრებაში სამი მომენტია: 1) ტანჯვა ქაჯებთან ტყვეობაში, 2) გამეცნიერება და სიყვარული, 3) ბრძოლა კოსმიური სიყვარულისათვის ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებათა წინააღმდეგ. ბრძოლა თავდება იმით, რომ მინდია იღუპება და ბუნება „უდარდოდ, ნელის მღერითა“ „გაითამაშდის მწვანეზე ლაღად, მოლხენით, სტვენითა“. მინდიას თავგადასავალი ძველ ი ა მ ბ ა ვ ი ა ვაჟა-ფშაველას თქმით და ასეთივე ძველი ამბავი მოარული სოციალური ხასიათისა კაცობრიობას მრავალი აქვს: არსებობისათვის ბრძოლაში თანდათანობით სახიერდებოდა გარკვეული ფორმა ადამიანის ხასიათისა და მისი მოქმედების; აღმოსავლეთის ლეგენდები ამირანისა და პრომეთეს შესახებ, საშუალო საუკუნეთა თქმულებანი ჰამლეტისა და ფაუსტის შესახებ, ქართული გველის მჭამელის ამბავი და სხვა მრავალი ფსიქოლოგიური ნაყოფია იმ სოციალ-კულტურულ ორგანიზაციათა, რომელთაც სხვადასხვა მიწა-წყალზე სხვადასხვა ხალხი აწყობდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში კუთხებრივი ადათებისა, ჩვეულებათა და შ ე წ ყ ო ბ ი თ ი რეფლექსების მიხედვით.

მინდიას დიდი ტანჯვა, ცხოვრების ფილოსოფია, კოსმიური სიყვარულის ღრმა გრძნობები, სინაზე და წინააღმდეგობანი სულისა დამახასიათებელი თვისებებია ქართველი ხალხის, მისი თემობრივი-პატრიარქალური კულტურის და ფსიქოლოგიის; მინდია არ იცნობს ბერეუაზიულ-ქალაქურ ფორმას კულტურისას, მაგრამ მიუხედავად ამისა დიდი შინაგანი კულტურის ადამიანია; მინდია ტიპიური წარმოადგენელია ქართველი ერის, რომლის სული იშლება სამოქმედოთ ჯერ-ჯერობით ნატურალურ მეურნეობის არეში, მაგრამ ინტუიციით არღვევს ნატურალური მეურნეობის ზღუდეებს და შემოქმედებითი სულის სიმძლავრით ებრძვის პრიმიტივობას. მინდია ქართველი ხალხის ნაციონალური გმირია და ბარათაშვილთან ერთად იგი იწყებს ქართული კულტურის ინტელექტუალურ პერიოდს.

ამრიგად „გველის მჭამელი“ ფილოსოფიური პოემაა ტანჯვისა, შემეცნებისა, სიყვარულის ტრაგედიისა, ოჯახისა და სახელმწიფოს ტირანიის შესახებ; მთავარი გმირი ამ პოემისა — მ ი ნ დ ი ა კეთილშობილი რევოლიუციონერი და ანარქისტია, რომელიც იბრძვის ადამიანის სულის უმაღლესი კულტურისათვის, ინდივიდუმის სრული განთავისუფლებისა და სიყვარულისათვის Sub specie aeternitatis.

ჰამლეტი ებრძვის „გაუმარგლავ ქვეყანას“ კაცობრიობის მორალის გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს; ფაუსტის მიზანია სურვილების განხორციელება და ლამაზი ცხოვრების გატარება წუთისოფლად; მინდია იღუპება იდეისა და სიყვარულის კულტურისათვის; მაგრამ მინდია არ არის მშრალი ინტელექტუალისტი, როგორც ჰამლეტი; მინდიამ კარგად იცის, რომ „ნაგრძნობსა გულითა გონებით ჰშველენ ვერასა“.

ვინაიდან ჩვენი მიზანია ქართული შემოქმედებითი სულის ცხადყოფა ყველა თავის მსოფლიო ხასიათის თვისებით, გარკვეული კვალიფიკაცია ქართული ლიტერატურის სახეებისა და იდეების, ქართული აზროვნებისა და მეტყველების თავისებურობის შეფარდებით ანალოგიურ მოვლენებთან მსოფლიო ლიტერატურაში, ჩვენ უფრო ვრცლად შევჩერდებით ჰამლეტისა და ფაუსტის პრობლემებზე, რომ მკითხველი მართლა დარწმუნდეს რა დიდი საგანძურია ქართული ლიტერატურა ქართველი ხალხისათვის და რა საცოდავია ის საბავშოსასკოლო ხასიათის კრიტიკა, რომლითაც ჩვენი საზოგადოება იკვებებოდა დღემდე.

მე-XIX და მე-XX საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა საკმაოდ გაიარა პოლიტიკურ-სოციალური საკითხების სკოლა: ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა უხელმძღვანელეს ქართველი ხალხის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ წვრთნას და საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურას; მაგრამ ლიტერატურისა და საერთოდ იდეოლოგიური კულტურისათვის საქართველოში დღემდე კაცს არ უფიქრია და ქართველი ინტელიგენცია, ქართველი მეცნიერები თავიანთ აზრებს ხშირად გაზეთებიდან და კალენდრებიდან ამოღებულ ცნობებზე აშენებდნენ; ერთმა ქართველმა პროფესორმა კერძო საუბარის დროს იკითხა თურმე—ბოდლერი ვინ არისო? იდეოლოგიური და ლიტერატურული საკითხების რკვევა ჩვენში ჯერ-ჯერობით დილეტანტურ შენიშვნებს, ბროშურებისა და გაზეთების ფარგლებს ვერ გაშორებია. გასაკვირალიც არ არის რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ფართე საზოგადოება თავის ინტელიგენციით ევროპიული კულტურისა და ლიტერატურის იდეებში ვერ ერკვევა რიგიანად.

ჰამლეტი და მინდია

რეალური ცხოვრებისა და შეყვარებული სულის წინააღმდეგობა შეადგენს მინდიას ტრაგედიას: ცხოვრება სწორედ იმას მოითხოვს, რის წინააღმდეგი არის მინდია თავის შეგნებით, გონებით; მინდია განიცდის გონებისა და ცხოვრების უთანხმოებას თავისებური სიღრმით და კოსმიური

გაშლილობით: ჰამლეტი უსამართლობას ქვეყნად ხედავს განსაკუთრებით ადამიანთა შორის; მინდია უსამართლობას ხედავს მთელს სამყაროში — ადამიანისა და სხვა დანარჩენ არსთა შორის; ჰამლეტი ტრიალებს ადამიანურ სამყაროში: ადამიანთა შორის უთანხმოება, ღალატი, მტრობა, ადამიანის ბინძური ბუნების მავნებლობა ადამიანისათვის — აი რას ხედავს ჰამლეტი, აი რა აწვალებს მას; ჰამლეტი ისე ღრმად განიცდის ადამიანის ცხოვრების ტრაგედიას, ჰამლეტი იმდენ უსამართლობას ხედავს კაცობრიობის სოციალ-კლასობრივ წყობაში, რომ იგი ვერ იცლის გაიხედოს ადამიანთა ცხოვრების მიღმა — ბუნებისა და ადამიანის ურთერთობაში. მინდია მთელი თავის სულით და ყურადღებით ადამიანისა და ბუნების ურთერთობაშია: სოციალური ცხოვრება ოჯახისა და სახელმწიფოს სახით მიზეზია იმ ტანჯვისა, რომელსაც განიცდის მინდია, მაგრამ ეს ტანჯვა მარტო იმით არ არის გამოწვეული, რომ ოჯახი და სახელმწიფო ცუდათ არის დალაგებული, რომ ადამიანი ისეთია, როგორც კლავდიუსი ან ჰერტრუდა, ჩალხია ან მზეა; მინდია საერთოდ წინააღმდეგია ოჯახის, იმიტომ, რომ ოჯახს შეშა უნდა, შეშისათვის ხე უნდა მოიჭრას, ხეს კი სული აქვს და ეტკინება; უგნური ადამიანები ამ ტკივილის გამოსახვას „რაკუნს“ ეძახიან, მაგრამ მინდიამ იცის, რომ ეს ღრმა ტკივილის ნიშანია. მინდია ფილოსოფოსია და მისი ფილოსოფიის საგანია ბუნების სული: ყვავილები, ჩიტები, ბალახები, ხეები ამ სულს ატარებენ და მინდია გრძნობს კოსმიური სულის არსებობას, მის რხევას ბუნების წიაღში. ჰამლეტის ყურადღება სულ სხვა გზით მიიმართება: ჰამლეტი წინააღმდეგია საზოგადოებისა, ოჯახისა და სახელმწიფოს არა იმიტომ, რომ ეს ინსტიტუტები ჩაგრავენ კოსმიურ სულს, ბუნებას, მცენარეებს, ბალახებს, ჩიტებს, არამედ იმიტომ, რომ ოჯახსა და საზოგადოებაში ტრიალებენ ისეთი ფარისეველი, ფლიდი, ვერაგი, დაუნდობელი, საზიზღარი პირები, როგორიც არიან პოლონიუსი, კლავდიუსი, ჰერტრუდა, ლაერტი და სხვა. ჰამლეტის მთავარი საკითხია ადამიანთა ურთერთობა და ამ ურთერთობაში არსებული უსამართლობა, ბოროტება, ღალატი, ცბიერება; მინდია უფრო შორს იხედება: მინდიას აინტერესებს საყარო მცენარეულ-ცხოველური — სამყარო არა მარტო ადამიანებისა, არამედ ყველა დანარჩენი არსისა; მინდია ისეთი წრის ადამიანია, რომელსაც არა აქვს მაგარი სოციალ-კლასობრივი ორგანიზაცია და ამიტომ სოციალური, მოქალაქური ინტერესი ცხოვრების განრიგებისა ყოველდღიურ ყოფაში მინდიას არ აწუხებს: მინდია თემური ფსიქოლოგიის ადამიანია და ისტო-

რ ი ა კლასობრივი ინტრიგებით, შურისა და მტრობის ორგანიზაციული ფორმებით, დიდებისა, მეფობისა და ტახტისათვის ბრძოლით— მინდიასთვის არ არსებობს. მინდია სოციალური ტიპია თემურ-პატრიარქალური ცხოვრებისა და ახლო არის ბუნებასთან; ჰამლეტი დაშორებულია ბუნებას და როგორც წიგნებით, ისე მემკვიდრეობით დაინტერესებულია განმტკიცდეს სამართალი ადამიანთა ურთერთობაში; მინდია უპირდაპირებს თავის სულს და მორალს თემის ფსიქოლოგიას — ჩალხიას ქვეყანას, ჰამლეტი უპირდაპირებს თავის სულს და გონებას კლავდიუსისა და ჰერტრუდას ქვეყანას; მინდია ებრძვის თემს, ჰამლეტი — ფეოდალური კულტურის სახელმწიფოებრივ მორალს; მინდია ბუნების შვილია; ჰამლეტი ვიტენბერგის სტუდენტია; მინდია არ იცნობს ისტორიას; ჰამლეტი ისტორიის ფილოსოფოსია; მინდია პანთეისტია; ჰამლეტი ინტელექტუალისტია; მინდიას სამყარო უყვარს და ამ სიყვარულით საზრდოობს სულიერად, ჰამლეტს უყვარს ა დ ა მ ი ა ნ ი, მ ი ს ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა და პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა; ჰამლეტი ხელოვანი და არტისტია! მინდიას ხელოვნება და არტისტობა გამოისახება ბალახებისა და ჩიტების სიყვარულში.

მინდია მთლიანად თემისა და ბუნების არეშია; ჰამლეტი გარშემორტყმულია ფეოდალური არისტოკრატიის ოფიციალური მეშჩანობით და მისი ვერაგული მორალით. მინდიას მოწინააღმდეგენი ჩალხია, ბერდია, მზია მარტივი და სადა ხალხია, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუვლიათ სკოლა კულტურის კლასობრივი ორგანიზაციისა და ამ ორგანიზაციის ყოველგვარი ცუღლუტურ-ვერაგული თვისება მათ ჯერ არ უგრძვნიათ. ჰამლეტის გარშემო დგანან ფეოდალურ არისტოკრატიის ისტორიული ყაჩაღები და დიპლომატები თავიანთი ბატონ-მორჩილებისა და ცბიერების პოლიტიკით.

მინდია და ჰამლეტი — ორივე ნატურალური მეურნეობის სოციალურ რეფლექსებს ატარებენ, მაგრამ ჰამლეტი უფრო ახლოა ბურჟუაზიული კულტურის ფაუსტურ სულთან; მინდია მტკიცეა ხასიათით, სულით, ჰამლეტი მერყეობს; ერთი ფსიქოლოგიური ხაბიჯი კიდევ და ჰამლეტი ფაუსტს დაემსგავსება.

თემობრივი ცხოვრების ბიოსფერო ანიმისტურ და ზოოფორმისტულ ს ო ფ ლ შ ე გ რ ძ ნ ო ბ ა ს იძლევა: ნატურალური მეურნეობის პროცესში ადამიანი პირდაპირ, უმეშვეოდ უკავშირდება საგანს, მატერიას, მოვლენას; ნატურალური მეურნეობის წარმოებითი პროცესი მარტივია და რეალისტური: გარდაქმნისა და მაშინიზაციის მისტერიებს ადგილი არა აქვს; სული ნატურალური მეურნეობის კულტურისა ერთგვარად პლასტიურია: საგანს არ აქვს მაშინური კულტუ-

რის ორეული, თემის ფსიქოლოგია პანთეისტურია; თემობრივი სული კუთხებრივი ჩვევის ეროსითაა დაძენძილი, ხოლო ჩვევის ეროსი კუთხიდან უსაზღვროებაში იყურება; ასეთია მინდია თავის პანთეიზმით და მორალური ფილოსოფიით.

ფეოდალური ცხოვრების სული ატავისტურად ვითარდება ნატურალური მეურნეობის პროცესში, მაგრამ სოციალ-პოლიტიკურ გაფართოებასთან ერთად ფართოვდება სოფლ-შეგრძნობა: გეოგრაფიული მანძილი ღარიბი წარმოებით და სოციალური ურთერთობის სისუსტით იქცევა მისტიურ არედ, სადაც საგანთა ორეულები, სულები, დემონები მოძრაობენ მაშინაა და ელექტრონის სიჩქარით; ადამიანი ყოველ-დღიურ ცხოვრებაში გადაკავშირებულია ფსიქოლოგიურად ორეულთა სამყაროს და იბრძვის სოციალურ არეში სულებისა და ორეულთა ხელმძღვანელობით, მათი ჩვენებით და მისტიური დირექტივებით; ასეთია ჰამლეტი თავის საიქიოსთან კავშირით, მამის სულით, შურის ძიებით და ანთროპომორფიული ინდივიდუალიზმით.

ამრიგად სულისა და გააზრების ყველა ფორმა ითარგება კუთხებრივი ყოფის სოციალ-ინდუსტრიულ არეში; რაოდენად მდიდარია კუთხებრივი ყოფის შინაგანი წყობა სოციალური მოძრაობით, იმდენად ძლიერია სულის ორგანოტროპიული შემოქმედება დაძენძილი სოციალური მოძრაობის ჩვევათა კომპლექსებით და შეწყობითი ხასიათის რეფლექსებით.

ქართული ცხოვრება მთაში შორეულ წარსულიდან მომდინარეობს დიდი ფსიქოლოგიური და კულტურული ტრადიციით; ტრადიცია შეიცავს სოციალ-გენეტიური ყოფის რეფლექსებს, ჩვევათა კომლექსებს; ტრადიცია არ არის განრიგებული ისტორიულ ეპოქებში იმიტომ, რომ ტრადიციას არ ყავს ძლიერი კლასი; მაგრამ ტრადიცია როგორც ფსიქოლოგიური ფაქტი მაინც არსებობს და ინახავს სოციალური სულის შეწყობით რეფლექსებს: „გველის მჭამელი“ როგორც ფილოსოფიურ-მორალური პრობლემა შეიცავს ისეთ ლიტერატურულ ტიპს, რომელსაც აქვს გნოსეოლოგიური ხასიათი; ჩვენთვის გნოსეოლოგია გენეტიური ფსიქოლოგიის ფორმაა და იმ დიდ საკითხებში, რომელთაც ეხება ვაჟა-ფშაველა თავის პოემაში, ჩვენ ვხედავთ ქართველი ხალხის სიბრძნეს, ქართული სულის ცხოვრების ფილოსოფიას, ქართული განცდების ორიგინალობას და მსოფლიო მნიშვნელობას.

პოემა „გველის მჭამელი“ გონებისა და სიყვარულის ტრაგედიაა. მინდია ისეთივე დიდი გონებისა და ტემპერამენტის ადამიანია, რო-

გორც ჰამლეტი და ფაუსტი; მინდიას ყავს ანტიპოდი ჩალხია, ჰამლეტს — კლავდიუსი, ფაუსტს — მეფისტოფელი. მინდია, ჰამლეტი, ფაუსტი, პრომეთე--კაცობრიობის ინტელექტუალური კულტურის დიდი სახეებია: მათ შემოაქვთ წუთისოფლად ისეთი მორალურ-ფილოსოფიური პრინციპები, რომელთა წარმოშობა სოციალ-კუთხებრივ პირობებში გასაგებია, მაგრამ ამ პრინციპების გატარება ცხოვრებაში მოითხოვს ტიტანიურ ენერგიას, ზე-კაცურ ბრძოლას; მინდია და ჰამლეტი ბოლომდე იბრძვიან თავიანთი პრინციპებისათვის, ხოლო ფაუსტი პრინციპს უარყოფს მოქმედებისათვის. ფაუსტმა უარყო ინტელექტუალიზმი თავის ლოგიკით და კათეგორიებით: მან მიიღო ცხოვრება რაციონალური, ესტეტიური, ბიოლოგიური; მინდია იღუპება ინტელექტუალიზმისა და სიყვარულის შორის; ჰამლეტი ბოლომდე იცავს პრინციპს ინტელექტუალიზმისა და ანთროპომორფიზმის; მაგრამ ამ დაცვაში იგი არ არის მშრალი სოფისტი, სქოლასტიკოსი, როგორც კოჰენი, ან კანტი: ჰამლეტი იწვის, ორგანიულად იტანჯება იმისათვის, რომ ცხოვრება არ არის მოწყობილი ისე, როგორც ამას მოითხოვს ადამიანის იდეალური მორალი; ჰამლეტისა და კლავდიუსის შეტაკება სიმბოლოა ახალი საუკუნეების ბიოლოგიზმისა და ინტელექტუალიზმის შეტაკებისა: ჰამლეტი უფრო დიდი დამცველია ინტელექტუალიზმისა და ანთროპომორფიზმის, ვიდრე დეკარტი და კანტი; ჰამლეტის სულში ბერავს კაცობრიობის ისტორიული მორალის დიდი ქარიშხალი და მთელი ტრაგედია ჰამლეტის—მორალისა და აზრის ტრაგედიაა. საკვირველია, რომ საქართველოს მთებშიაც ყოფილან დიდი ჰამლეტები; ალუდა ქეთელაური ისეთივე მებრძოლია ანთროპომორფიული მორალისა და ადამიანობისათვის, როგორც ჰამლეტი და კანტი: გაიხსენეთ ალუდა ქეთელაური მთაში თავის ოჯახით ხამთრის სიცივისა და ქარიშხალის დროს, შეჩვენებული და გაკიცხული თემის მიერ; ვინ არის ალუდა ქეთელაური, თუ არა დიდი რაინდი კაცობრიობის მორალური იდეალისა? ვინ არის მინდია, თუ არა დიდი მოძღვარი შემეცნებისა, ტანჯვისა და სიყვარულის? ო, რა მშვენიერი სახეებია! რა ღრმა აზრი და სიმბოლო ადამიანის ცხოვრებისა წუთისოფლად.

მინდია ეოთი შეხედვით წააგავს იბსენის პიერ გუნტს, მაგრამ მსგავსება ამოიწურება ცხოვრების ანტურაჟით და სულის მხოლოდ ზოგიერთი თვისებით; სხვა მხრივ მინდია და პიერ გუნტი პრინციპიულად და ძირეულად სხვადასხვაობენ: მინდია იწყებს ტანჯვით, პიერ გუნტი ლაღი ცხოვრებით; მინდიას ცხოვრების აზრი ინდი-

ვიდუალობიდან გადააქვს კოსმოსში; პიერ გუნტს—კოსმოსიდან ინდივიდუალობაში. მინდია ტანჯვისა და სიყვარულის ფილოსოფოსია, პიერ გუნტი—ეგოისტი. მართალია, მინდია ისეთივე კლდეებისა და ფიორდებას შვილია, როგორც პიერ გუნტი, მაგრამ მინდიას ტრაგედია გამოიხატება რეალური ცხოვრების ჰამლეტურ წინააღმდეგობაში.

მინდია ისე განაპირებულია ჩალხიასა, ბერდიასა და მზიას საზოგადოებიდან, როგორც ჰამლეტი კლავდიუსისა, პოლონიუსისა და ჰერტრუდას წრიდან; ჰამლეტის ხასიათის მთავარ თვისებას იქვი კი არ შეადგენს, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობენ, არამედ ანთროპომორფიული მორალის დაცვა ბიოლოგიური სამყაროს წინაშე: ჩალხია და კლავდიუსი ბიოლოგიური რეალიზმის დამცველები; ჰამლეტი და მინდია ანთროპომორფიული მორალის მოციქულები; ჰამლეტი აღშფოთებულია იმით, რომ ქვეყანა გაუმარგლავია და უზნეო; მინდია სწუხს, რომ ყველას არ ესმის ბუნების თქმა: ჰამლეტი ტრიალებს ადამიანის სამყაროში, მინდია ბუნებისა და ადამიანის ურთერთობაში; დამარცხებულ მინდიაზე ვაჟა-ფშაველა ამბობს:

— მთათ რომ შეხედა მაღალთა,
დაიქვითინა მწარედ.

მინდია შეზრდილია ბუნებას — მთებს, მინდვრებს, ბალახებს, ცხოველებს; მინდია არ იცნობს სოციალ-კლასობრივი ყოფის ტრაგედიას: ადამიანთა შორის შურსა და მტრობას, გაბატონებულის დავგასულობას, ძალმომრეობას, მეტრიკულ წარჩინების პრივილეგიებს; მაგრამ მინდიამ მაინც ადრე იგრძნო, რომ ცხოვრება გველის ხორცის ჭამაა და ამ მწარე გრძნობაში გამეცნიერდა იგი, ხოლო მეცნიერებასა და ცოდნას მოყვა სიყვარული კოსმიური—სიყვარული ბუნების და სამყაროის—სიყვარული—სევდა, სიყვარული—იდეა. მინდიას სიყვარული არ არის ვნებათა ღელვით ათამაშებული სულის სექსუალური თრთოლვა; ეს არ არის ის გრძნობა, რომელიც მინდვრებიდან შემოყვა ფაუსტს სეირნობის შემდეგ: ფაუსტი მღელვარე სულით ფიზიოლოგიაში იძირება და იდეალების სიყვარულს ახურდავებს ქალების მოტყუებაში; მინდიამ სძლია ფიზიოლოგია და მატერია ტანჯვით—გველის ხორცის ჭამით, ქაჯთა შორის თორმეტი წლის ცხოვრებით. მინდია სიყვარულისა და ტანჯვის გმირია; ფაუსტი—მოქეიფე ვაგაბონდი.

ქართული აზროვნებისა და მეცხოველეობის კულტურისათვის

ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურისათვის

ქართული მეტყველების და აზროვნების კულტურა ორგანიულად დაკავშირებულია ქართული ინდუსტრიის ვითარებასთან; ჩვენ ხშირად ვამბობთ: სული და აზრი იკუმშებიან და ფართოვდებიან იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ს ი ნ ე რ გ ი ა სოციალურ ძალთა წყობისა, თუ რა სახისაა სტრუქტურა საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

დავა გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ჯგუფთა შორის, გამოწვეული ქართული ორთოგრაფიისა და სტილის რეფორმით, ფაქტიურად იყო შეტაკება ორი სხვადასხვა ხასიათის სოციალური ფსიქოლოგიისა ერთმანეთთან; ასეთი ხასიათის დავა ისტორიაში ბუნებრივი მოვლენაა; სოციალური საჭიროება შემომქმედია ყოველგვარი რეფორმისა და სტილის; სიტყვა და აზრი შემოქმედების ევოლიუციაში მხოლოდ ინსტრუმენტებია საჭიროებისა და ინტერესის; როდესაც ინსტრუმენტი ძველდება, ახალი იკავებს მის ადგილს; ძველი ინსტრუმენტი თავის დროზე კარგი იყო—ემსახურებოდა სოციალურ საჭიროებას და იგი რომ თავის დროზე არ ჰქონოდა ადამიანს, ახალი ინსტრუმენტიც არ ექნებოდა; ის, რაც ჩვენთვის დღეს უვარგისია, ოდესღაც საჭირო იყო ცხოვრებისათვის და როგორც კი შეიცვალა სოციალური საჭიროების ფორმა—შეიცვალა ისიც, რასაც ადამიანები ხმარობდენ.

ეგრე ხდება ლიტერატურაშიაც: მეტყველების ფორმა სოციალური საჭიროების გარსია; ყოველი სოციალური ჯგუფი ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომელთაც იგი საჭიროებს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი; ყოველ ჯგუფს აქვს თავისი ჯგუფური სული და სიტყვათა წყობა; ვაჭრები ხმარობენ ისეთ სიტყვებს და გამოთქმებს, რომელთაც არ იცნობენ პროფესორები და პოეტები; სამაგიეროთ პროფესორებისა და პოეტების სიტყვებს ვაჭრები არ იცნობენ: ყოველ სფეროს ცხოვრებისას თავის საკუთარი ი დ ე ო ლ ო გ ი უ რ-ვ ე რ ბ ა ლ უ რ ი განხრა აქვს და ცხოვრების აზრი და ფორმა იქმნებიან სწორედ ამ განხრის სფეროში ორგანოტროპიულად.

თუ ისტორიაში არ არის რომელიმე სოციალური ჯგუფი ხანგრძლივად გაბატონებული, თუ იგი არ ვარჯიშობს იდეოლოგიურად, ეპოქა ღარიბია მეტყველებით და აზრით. საქართველოში საშუალო საუკუნეებიდან ვერ მოახერხა ხანგრძლივი გაბატონება ვერც ერთმა სოციალურმა ჯგუფმა და ამიტომ ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურას ადგილი არ ჰქონებია. ჩვენი ეროვნული მეტყველების მდიდარი ფორმები, წარმოშობილი ქართული კულტურის დიდი ორგანიზაციის დროს, დაიშალა თანდათანობით ეროვნულ ინდუსტრიასთან ერთად და შეიქმნა პარადოქსალური ფორმა ისტორიული ცხოვრებისა: ქართველი ქართულ ენას სწავლობს შორეული წარსულის ვერბალური ტრაფარეტით, საბა-სულხან ორბელიანისა, რუსთაველისა და მოსე ხონელის ლექსიკონით.

ქართულ წყობილსიტყვაობას ისტორიულად შემუშავებული აქვს ერთგვარი სტილი; მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაშიაც ქართველმა კლასიკებმა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძემ, კარგი ქართული მეტყველებისათვის ბევრი რამ გააკეთეს; ქართული ლექსისა დარიტ მის საერეერება ასე თუ ისე გარკვეულია, მაგრამ ამ გარკვევასაც ხელს უშლის საერთოდ ქართული ენის რეტროგრადული და არქაიული ფორმა. ვინაიდან ქართული ცივილიზაცია და ინდუსტრია განსაკუთრებით ნელად ვითარდებოდა ისტორიულად, მეტყველებაც ნელა ვითარდებოდა და ამიტომ არის, რომ დღეს ჩვენ კიდევ შეგვიძლია წავიკითხოთ, უკომენტარიოთ გავიგოთ საშუალო საუკუნის ლიტერატურა — რუსთაველისა და შავთელისა, ჩახრუხაძის და სხვათა ნაწერები.

არც ერთ ევროპიულ ქვეყანაში, სადაც ცივილიზაცია ინდუსტრიით ნორმალურად ვითარდებოდა, ეს ამბავი აღარ არის: დღევანდელ ფრანგს არ შეუძლია წაიკითხოს საშუალო საუკუნის ფრანგული ლიტერატურა. მაგალითად არა სპეციალისტი ფრანგი, თუ მას ხელთ არა აქვს ლექსიკონი, ვერ გაიგებს Le roman de Renard-ს; ვერც იტალიელი გაიგებს დანტეს Divina Commedia-ს უკომენტარიოთ: ამ ქვეყნებში სოციალური კულტურის ევოლიუცია მიმდინარეობდა თავისებური სისწორით და პირდაპირ; სოციალური კულტურის ევოლიუციასთან მარქაფად, კორელიატიურად ვითარდებოდა მეტყველებაც; დღევანდელი განვითარებული, განსხვავებული ენა არ წააგავს საშუალო საუკუნის ენას; ამიტომ მკითხველიც ვერ იგებს შორეული წარსულის მშობლიურ ლიტერატურას.

საქართველოში სხვაობაა: საერთოდ ქართული მეტყველების ევოლიუცია არ ყოფილა ჩქარი და ქართული ლიტერატურა დღესაც ხმარობს თითქმის იმ სიტყვებს, რომელთაც ხმარობდა საშუალო საუკუნეებში.

რაც შეეხება მეცნიერულ-ფილოსოფიურ ენას, ქართულ ლიტერატურაში ასეთი მხოლოდ ეპიზოდიურად არსებობდა; მე-XIX-ე საუკუნის განმავლობაში შემუშავდა ენა პუბლიცისტიკისა და საპოლემიკო ხასიათის; ამ ენას, რა თქმა უნდა, დიდი ორიგინალობა და ესთეტიური დამუშავება არ ეტყობა; მაგრამ ერთი ღირსება უსათუოდ აქვს: მან განდევნა ყოველდღიურ ცხოვრების საჭიროებიდან ღვთისმეტყველური და ეპისკოპოსური კონსტრუქცია სიტყვათა; მან დაუკავშირა ენა საზოგადოებრივობის მოთხოვნილებებს, სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას ქართული ცხოვრებისას, ინდუსტრიულ ცვლილებებს; რკინის გზისა, ტელეგრაფი'ა და ოროქლმავლის ატმოსფეროში წარმოიშვა მეტყველება და ფსიქოლოგია ისეთი თავისებურობის, რომელსაც ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო ჩალანდრებისა და ნატურალური მეურნეობის მეტყველებასთან; მხოლოდ ეს ცვლილება დაეტყო საპოლემიკო და საგაზეთო მეტყველებას; რაკ შეეხება ფართე საზოგადოების ენას, აქ განვითარებას ადგილი არ ჰქონებია.

ქართული სამეცნიერო ენა ფაქტიურად ქართულ უნივერსიტეტთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ, სამწუხაროდ. ვერც სწორად დამუშავებული ტერმინოლოგია, ვერც ახალი ქართული ენის სანიმუშო სტილი უნივერსიტეტმა ვერ მოგვცა დღემდე და ჩვენ გულწრფელად გვინდა ქართული უნივერსიტეტი იყოს დირიჟორი ცოცხალი ქართული აზროვნებისა და ცოცხალი ქართული მეტყველების. ჩვენს გარშემო ცხოვრება იწვის სიახლის ნდომაში; იდეათა და ესთეტიურ სახეთა ზღვა ღელავს; ჩვენი თაობა, სავსე ცხოვრების ხალისით და იდეოლოგიისადმი ინტერესით, ფსიქოლოგიურად უნდა დაუახლოვდეს ქართულ და უცხო ქვეყანათა ახალ ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას; საქართველო უნდა გაეცნოს ინტელექტუალურ სიახლეს კაცობრიობისას, აზრისა და სიტყვის ახალ ფორმებს. საჭიროა სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა აზროვნებისა და მეტყველების სიახლისათვის, ბრძოლა ფილისტერებისა და ცრუპატრიოტების წინააღმდეგ, ბრძოლა ქართული შემოქმედებითი სულის რენესანსისათვის.

ქართული ცხოვრების ფენებში შთამოიღვარა ახალი ყოფის განცდები, იდეები, ილლიუზიები; საჭიროა პრიმიტივობის დაძლევა, აზრისა და თქმის რეფორმა, საჭიროა ფსიქოლოგიური ჩვევის რეორგანიზაცია გარკვეული პერსპექტივებით და სოციალური ამყოლეობით; ინდივიდუალისტური, ფეოდალურ-არისტოკრატიული სტილი თქმისა და აზროვნების, უსაქმობისა და ჭვრეტის მშრალი „დიდაქ-

ტიკა“, განცდისა, სოციალური რეზონანსისა და მოქმედების ფსიქოლოგიით უნდა შეიცვალოს.

ასეთი მიდგომით არის დაწერილი ყველა ჩვენი ნაწარმოები და სხვათა შორის წინამდებარე წიგნიც: ჩვენ შემოგვაქვს ახალი სიტყვები და გამოთქმები, ვინაიდან ამას მოითხოვს ცხოვრება, იდეოლოგიური ატმოსფერო. ჩვენ შემოგვაქვს ქართულ ლიტერატურაში განცდის სტილი — მეტყველების მხატვრული კონსტრუქცია. ზოგიერთმა კრიტიკოსმა ჩვენ გვისაყვედურა: თქვენ ნამეტან პოეტურად წერთო. გაიხსენეთ როგორ წერდენ პლატონი, რუსსო, შოპენჰაუერი, ბრიუნეტიერი, იპოლიტე ტენი, ფრ. ნიცშე, ბელინსკი და სხვა..., გაიხსენეთ რაოდენი პოეზიაა იმათ ნაწერებში, რაოდენი განცდა და მხატვრული წყობა სიტყვებისა; განა მხატვრული ენით არ არის დაწერილი ბერგსონის Evolution créatrice? განა პოეზიით, სავსე არ არის ჟან-მარი გიუიოს ნაწერები? განა ნიცშეს „ტრაგედიის წარმოშობა“... არ შეიცავს მეტყველების უმაღლეს პოეზიას? რა არის იპოლიტე ტენის „ლიტერატურის ისტორია“ (Histoire de la litérature anglaise) და „ხელოვნების ფილოსოფია“, თუ არა პოეზიით და მხატვრული მეტყველებით სავსე შემოქმედება?

მართალია უნიჭო დოცენტი ვერ დაწერს, როგორც იპოლიტე ტენი, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იპოლიტე ტენმა უნდა წეროს რომელიმე უნიჭო დოცენტის გემოვნების მიხედვით: ლიტერატურის და აზროვნების ისტორიას შერჩება მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელშიაც უმაღლესი პოეზია შედუღებულია აზრისა და გონების მიღწევებთან.

ვინ იცის რაოდენი დისერტაციები უნიჭო კომენტატორებისა ხელუხლებელი და მტვერდაყრილი აღაგია არქივთა და ბიბლიოტეკათა თაროებზე? ხოლო ბელინსკისა, ტენის და რუსსოს ნაწერებს დაეძებენ საკითხავად და სიამოვნებით კითხულობენ; გაივლიან საუკუნეები და ეს ეგრე დარჩება; განცდა და ექსტაზი დიდხანს ძლევენ ქვეყნად.

ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს ისე, როგორც შეიძლება გაკეთდეს ჩვენს პირობებში; — ჩვენ მრავალ წელთა ნააზრევი და განაცადი გვაქვს ის, რასაც დღეს ვამბობთ; ყველას, ვინც აზრისა და მეტყველების გულწრფელი სიყვარულით გვხდება, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ; მათ შენიშვნებ, მეგობრული მადლობით ვიღებთ; ხოლო, ვისაც თავის სულიდან ქართული „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ ნალეკი ჯერ კიდევ სავსებით ვერ ამოუწმენდია, მან დაიცადოს და დაიწმინდება ჟამთა სვლაში; მას ჩვენ გულდამშვიდებით ვეტყვით სიტყვებს, რომლებიც არქიმედმა მიმართა ველურ მხედრებს: noli turbare circulos meos!

„ქართული სული ესთეტიურ სახეებში“ დაწერილია იმ თვალთახედვით, რომელიც გარკვეულია „სოციალურ ესთეტიკის საფუძვლებ“-ში: სოციოლოგიური მეთოდოლოგიით ჩვენ ვისარგებლეთ ორგანოტროპიზმის სახით: ისტორიაში ჩვენ ვხედავთ იდეოლოგიისა და მდგომარეობის შემოქმედებით ურთერთობას; ლიტერატურა და ხელოვნება საერთოდ ერთგვარი ფორმაა იდეოლოგიისა და ამიტომ ყოველ ეპოქაში გამომდინარეობს როგორც შინაარსით, ისე ფორმით სოციალური საჭიროებიდან; ჩვენ გარკვევით და კათეგორიულად შემოვფარგლეთ ესთეტიური და ლიტერატურული იდეების არე: ჩვენი მიზანი იყო—გარკვევა ქართული ლიტერატურის შინაგანი წყობის, მთავარი კონცეპციების დასასიათება გენეტიურად—ერთმანეთის დაკავშირებით და სოციალური საჭიროების მიხედვით; ჩვენ ვეცადეთ ერთი მხრით მხატვრული ლიტერატურა გადაგვეკავშირებია საზოგადოებრივობის ევოლიუციასთან, მეორე მხრით გვეჩვენებია ქართული ლიტერატურის სერიოზული ავტონომიური სახე. ამ თვალთახედვით ჩვენ უარვყავით ქართული ლიტერატურის ის ელემენტები, რომელთაც წერდენ: „სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ ალ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, რომელთაც ნამდვილი ლიტერატურულ-ესთეტიური ღირებულება არა აქვთ.

საქართველოში დიდი ხანია ერთმანეთში არეულია პუბლიცისტიკა, სოციოლოგია, საზოგადოებათმეცნიერება, ლიტერატურა; მათ შორის მართლა არსებობს ორგანიული კავშირი, მაგრამ კულტურის ევოლიუციაში თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი შინაგანი წყობა, საკუთარი წყარო და მასალები.

ჩვენში ჯერ-ჯერობით ლიტერატურასა და უბრალო მწერლობას პროფესორებიც ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან და ზოგიერთი მწერლობის ისტორიას ლიტერატურის ისტორიას ეძახის; ამბობენ—თურმე ერთი გენერალი ყველაფერს ბელეტრისტიკას ეძახოდა. კულტურულ ქვეყნებში ასეთი ცნებები გარკვეულია; ჩვენში დროა საზოგადოება და მეცნიერები შეეჩვიონ კულტურულ თქმას, სიტყვების გარკვეულ ხმარებას; საჭიროა იდეოლოგიურ მოვლენათა კვალიფიკაცია; საჭიროა დემარკაციული ხაზების გავლება წმინდა აკადემიური ხასიათისა მოვლენათა შორის.

ცხრამეათედი იმისა, რაც დღეს საქართველოში ლიტერატურის სახელით საღდება, ლიტერატურას არ ეკუთვნის; ეს იმიტომაა, რომ ჩვენში ყველაფერს ლიტერატურას ეძახიან.

საჭიროა ბრძოლა ლიტერატურული კულტურისათვის; ლიტერატურა სალაღობო და უსაქმოთა სათრეველი მასალა კი არ არის; ლიტერატურული იდეალები ისეთივე იარაღებია არსებობისათვის ბრძოლისა, როგორც კბილები და ზარბაზნები. ამიტომ, ვინც ლიტერატურას ემსახურება, ის ისე საჭიროა კაცობრიობისა და ცივილიზაციისათვის როგორც ექიმი და ინჟენერი. ხოლო ლიტერატურის სამსახური საჭიროებს ცოდნას, კულტურას, მომზადებას, ნიჭს.

ქართული ლიტერატურის საქმე მხოლოდ მაშინ წავა კარგად, როდესაც ყოველი ქართველი თავის ხელობას მონახავს. ქართული კულტურის მთელი ტრაგედია ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ობ ი ს ცუდ ორგანიზაციაშია და ვისაც საქართველოში დიდი საქმის გაკეთება უნდა, მან უნდა იბრძოლოს ტიტანიურად იმ შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი მ ა რ თ ლ ი ს განმტკიცებისათვის, რომელიც ყოველთვის აკლდა საქართველოს და ურომლისოდ ერის სოციალური ცხოვრება ვერ აეწყობა ისტორიულად ..

ქართული კულტურა წარსულში, როგორც უკვე ვსთქვით, შეიცავს ეტნოგრაფიულ სტილებს, მაგრამ ეს ეტნოგრაფიული სტილები ნავსეა მსოფლიო ხასიათის თვისებებით, ზოგადი, საკაცობრიო იდეალებით. შედეგლება ეტნოგრაფიული სტილების ისტორიულად შეუძლებელი იყო: ეტნოგრაფიულ კულტურათა ცენტრალიზაცია ნაციონალურმა ინდუსტრიამ ვერ ჩაატარა და ქართულ სულს არა აქვს ტრადიციულად სოციალ-ისტორიული ინდივიდუალობის შეგრძნობა; ქართული ს ო ც ი ა ლ - ი ს ტ ო რ ი უ ლ ი სტილის სახიერება, ნისი შ ი ნ ა გ ა ნ ი ს ი ს ა ვ ს ი ს შეგრძნობა მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ მზადდება.

საქართველოს ისტორიულად არა აქვს გავლილი შინაგანი სიმართლის სკოლა: არც ფეოდალურ არისტოკრატიას, არც ბურჟუაზიას საქართველოში არ ჰქონებია მტკიცე, ურყევი კოლექტივისტურ-კლასობრივი სოფლშეგრძნობა; ამიტომ ისტორიული სტილიზაციის პროცესი სავსეა უწესრიგო განაპირებებით, გზამრუდობით, სოციალური დეფექტებით, აზიურ-ირანული ვერაგობით, ულტრაპერსონალიზმით: სოციალ-ისტორიულ ჩვევათა ეროსი სუსტია და ისტორიული ინდივიდუალობის სახიერებას ვერ იძლევა.

კულტურა ისტორიულად შესაძლებლობის პროცესია; ხელოვნება — ამ პროცესის ერთი ფორმათაგანი; სული ი ქ მ ნ ე ბ ა, მ ზ ა დ დ ე ბ ა; სტილი და ფორმა შინაარსის დულილიდან გამომდინარეობენ; შინაარსი კულტურისა და ცხოვრების გენეტიური წვალების ნაყოფია. ქართული ხელოვნების გენეზისი ისეთია თანამედროვე წყობაში, რომ ქარ-

ლი სულის სახე არ ჩანს არც ისტორიულ-ეტნოგრაფიული, არც ეთნოლიულ-სოციალური. ეტნოგრაფიას დევნის მაშინური ცივილიზაცია, ხოლო მაშინური ცივილიზაციის პროცესი ჩვენში ჯერ-ჯეროობით სუსტია და ქართული სული შინაგან წყობაში ქაოტიურ-ეკლექტიურია; ამიტომ აქვს ჩვენში გასავალი დილეტანტებს, ტროტუარისტებს, მოლაყლაყე ვაგაბონდებს; ამიტომ არის, რომ ჩვენში გარკვეული თქმისა, დიდ აზრისა და ორიგინალობის პატივისცემა არ არსებობს. ქართული ოჯახი და საზოგადოებრივობა სულიერად პრიმიტიული და მარჩხაა; ქართული სოციალური ყოფა ქართულ ლიტერატურას აძლევს მიმართებას და ქართულ ლიტერატურაში ხდება კურიოზული ამბები: ბრმა—ფერებზე ლაპარაკობს, სულელი—ჭკუაზე, ცრუ—სიმართლეზე.

აზროვნების სისტემა, თქმის სტილი, კულტურა სულისა და გონების, ურომლისოდ ლიტერატურა და ხელოვნება შეუძლებელია, საზოგადოების ყურადღების გარეშეა. დღემდე ქართული მეტყველება იმ ზომამდე დაუწმენდავია, რომ საქართველოს სატახტო ქალაქის მართწერაც არ არის გარკვეული: ზოგი წერს თ ბ ი ლ ი ს ი, ზოგი—ტ ფ ი ლ ი ს ი, ზოგი—ტ ბ ი ლ ი ს ი—ან თ ფ ი ლ ი ს ი. მართწერისათვის არსებობს კანონები ფონეტიური და მორფოლოგიური; საკვირველია, რომ ამ კანონებს ქართველი პროფესორებიც არღვევენ; რა თქმა უნდა ლიტურლიისა და ღვთისმეტყველების კანდიდატებს ფონეტიურ-სეპანტიური და მორფოლოგიური კანონების ცოდნა არ მოეთხოვებათ, მაგრამ ქართულ ლიტერატურამ რა დააშავა თავის თავად? – ჩვენი მეცნიერები და მწერლები დღემდე წერენ: „ჩემის აზრით“, „თქვენის აზრით“, „ერთის მხრით“, „მეორეს მხრით“; ყოველად დაუშვებელია ეგრე წერა და თქმა; ასეთების მთქმელი და დამწერი ხალხი ქართული ენის მცოდნედ ითვლება საქართველოში; ამის შემდეგ გასაკვირალია განა ის ჩიქორთული, რომლითაც „ბაღსობენ“ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და რომელსაც უხვად ამოიკითხავ ქართველი ისეთი „რომანები“-დან, როგორიცაა „გველის პერანგი“, „სანავარდო“ და სხვა... ლამაზი წერისთვის გრამატიკის გარდა საჭიროა ლამაზი სული, გულწრფელი განცდა, დიდი კულტურა მეტყველებისა და აზროვნების.

კ. კეკელიძემ გამოსცა წიგნი ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ს ტ ო რ ი ა; სინამდვილეში ეს წიგნი ქ ა რ თ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ა: მწერლობის ისტორიის საგანია ყველაფერი, რაც ქართულად დაწერილა და რასაც ერთ დროს მაინც ჰქონებია ერთგვარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა; ლიტერატურა კი კერძოობითი და

ვიწრო სახეა მწერლობის—სახე, რომელიც განასახიერებს მეტყველებისა და აზრის ორიგინალობას; სახელმძღვანელო ლიტერატურული ნაწარმოები არ არის, მაგრამ მწერლობის ისტორიაშედის.

აქედან ცხადია რა ყალბი აზრები ვრცელდება ქართულ საზოგადოებაში ლიტერატურისა და მეცნიერების სახელით, რა ცუდ მდგომარეობაშია მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც მეცნიერებასა და ლიტერატურას ეცნობა აკადემიურად დაუწმენდავი წყაროებით და სიმართლეს მოკლებული ცნებებით.

ვიმეორებთ: საჭიროა ბრძოლა ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურისათვის; ევროპაში უნივერსიტეტების გარდა ათასგვარი ინსტიტუტები და აკადემიებია, ათასგვარი სალონებია მეცნიერული ხასიათისა; ჩვენი საზოგადოებაც საჭიროებს მეტყველების და აზროვნების კულტურას.